ზურაბ ძლიერიშვილი

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

(კაზუსები და ტესტები)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

უაკ.(UDC) 447.9
ბ-651

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია კაზუსები და ტესტები სამოქალაქო საპროცესო სამართალში სილაბუსით გათვალისწინებული სასემინარო-პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. კაზუსები შედგენილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. კაზუსების თემატური თანამიმდევრობა შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხების სისტემას. ნაშრომს თან ერთვის კაზუსების სწორად გადასაწყვეტად რეკომენდებული ბიბლიოგრაფია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, დოქტრინისა და საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების საფუძველზე კონკრეტული შემთხვევების პრაქტიკული სამართლებრივი გადაწყვეტა.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის (სამართლის სკოლის) სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, ასევე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

ნაშრომი იბეჭდება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის რეკომენდაციით

რედაქტორი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი **ვალერიან ხრუსტალი**

© ზურაბ ძლიერიშვილი, 2012
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

ISBN 978-9941-10-473-2

შინაარსი

1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები 4-9
2. სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა 10-19
3. სასამართლო შემადგენლობა. აცილება 20-25
4. პროცესის ხარჯები. საპროცესო ვადები 26-38
5. მხარეები სამოქალაქო პროცესში. მესამე პირები. წარმომადგენლობა სასამართლოში 39-59
6. სასამართლო მტკიცებულებები 60-75
7. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში:
   ა) სასარჩელო წარმოება 76-175
   ბ) გამარტივებული წარმოება 176-181
   გ) უდავო წარმოება 182-192
8. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში 193-231
9. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში 232-248
10. კერძო საჩივარი 249-253
11. საქმის წარმოების განახლება 254-259
12. ტესტები 260-339
13. რეკომენდებული ბიბლიოგრაფია 340-342

კაზუსი №1

2011 წლის 15 ნოემბერს რაიონული სასამართლოს მოსამართლე „X“ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ერთპიროვნულად განიხილავდა „ა“-ს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. მტკიცებულებათა შემოწმების და გამოკვლევის დაწყების შემდეგ, მოსამართლემ თავი ცუდად იგრძნო და გამოაცხადა შესვენება, მაგრამ შესვენების შემდეგაც ვერ შეძლო საქმის განხილვის გაგრძელება, ამიტომაც საქმის განხილვა გადადო მეორე დღისათვის. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსამართლემ მეორე დღესაც ვერ შეძლო საქმის განხილვა და განჩინებით საქმის განიხილა დაავალა იმავე რაიონული სასამართლოს სხვა მოსამართლეს - „დ“-ს. „დ“-მ საქმის განხილვა გააგრძელა მხარეთა პაექრობის ეტაპიდან, რის შემდეგადაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ხომ არ იქნა დარღვეული მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო სამართლის რომელიმე პრინციპი?

კაზუსი №2

2011 წლის 12 მარტს რაიონული სასამართლოს მოსამართლე “დ“ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ერთპიროვნულად განიხილავდა „ა“-ს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ სესხის დაბრუნების შესახებ. მტკიცებულებათა შემოწმებისა და გამოკვლევის დამთავრების შემდეგ მოსამართლემ თავი ცუდად იგრძნო და გამოაცხადა შესვენება, მაგრამ შესვენების შემდეგაც ვერ შეძლო საქმის განხილვის გაგრძელება და გამოიტანა განჩინება საქმის განხილვის მეორე დღისთვის გადადების შესახებ. მეორე დღესაც მოსამართლემ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ შეძლო საქმის განხილვა და მის ნაცვლად სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე, საქმე განიხილა იმავე რაიონული სასამართლოს სხვა მოსამართლე „გ“-მ.

მან საქმის განხილვა გააგრძელა მტკიცებულებათა შემოწმებისა და გამოკვლევის ეტაპიდან, რის შემდეგადაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ხომ არ იქნა დარღვეული მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო სამართლის რომელიმე პრინციპი?

კაზუსი №3

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი თავისი ძმისშვილის – „ბ“-ს წინააღმდეგ სამკვიდრო ქონების ხარჯზე სარჩოს გადახდის შესახებ. მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავდა, რომ იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შრომისუუნაროა, ღებულობს მცირე ოდენობის შემწეობას და წლების განმავლობაში იმყოფებოდა გარდაცვლილი ძმის კმაყოფაზე, რომლის მიერ მისთვის გაწეული დახმარება იყო მისი ძირითადი საარსებო წყარო. ძმის გარდაცვალების შემდეგ, სამკვიდრო ქონება მიიღო მისმა შვილმა – მოპასუხე „ბ“-მ, რომელმაც უარი განუცხადა მოსარჩელეს სარჩოს გადახდაზე. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. დანიშნულ დროს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, მოსამართლემ დადგენილად ჩათვალა სარჩელში მითითებული გარემოებები და გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი. მოსამართლემ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო მოსარჩელის ახსნა-განმარტება და მისი შუამდგომლობით დაკითხული მოწმეთა ჩვენებები. იმავდროულად, მოსამართლემ შეფასების გარეშე დატოვა მოპასუხის შუამდგომლობით დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მოსარჩელე თავისი გარდაცვლილი ძმის კმაყოფაზე არ იმყოფებოდა, ცხოვრობდა ცალკე თავის ქალიშვილის ოჯახში. გარდა ამისა, მოსამართლემ გადაწყვეტილება დააასაბუთა იმ გარემოებების გათვალისწინებითაც, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა მეორე რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს.

ხომ არ იქნა დარღვეული მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო სამართლის რომელიმე პრინციპი?

კაზუსი №4

რაიონული სასამართლო განიხილავდა „ა“-ს სარჩელს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოპასუხემ კარგად არ იცოდა სამართალწარმოების ენა, ამიტომაც მისმა წარმომადგენელმა აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე, რათა მოპასუხისათვის დაენიშნათ თარჯიმანი იმ მოტივით, რომ იგი ვერ ფლობდა სრულყოფილად ქართულ ენას. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რადგან მოპასუხე საქმეში მონაწილეობას იღებდა თავის ადვოკატთან ერთად, რომელმაც შესანიშნავად იცოდა სამართალწარმოების ენა, გარდა ამისა, მოსამართლე თავად ფლობდა იმ ენას, რომელზედაც საუბრობდა მოპასუხე, ამიტომაც თვითონ გაუწევდა დახმარებას მას საჭიროებისამებრ.

ხომ არ იქნა დარღვეული მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო სამართლის რომელიმე პრინციპი?

კაზუსი №5

2010 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს შპს „X-ის“ ადმინისტრაციის წინააღმდეგ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა. რაიონულმა სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, განიხილა საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოსარჩელემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ იგი გამოტანილ იქნა სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების უხეში დარღვევით, კერძოდ, საქმე ფაქტობრივად განხილულ იქნა დახურულ სასამართლო სხდომაზე

– მოსამართლის კაბინეტში, სადაც ვერ შეძლეს მონაწილეობის მიღება იმ პირებმა, რომლებიც საქმეში არ მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, მოსამართლე იყო მოპასუხის წარმომადგენლის ნათლია და მასთან ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებოდა.

საფუძვლიანია თუ არა სააპელაციო საჩივარი? დაარღვია თუ არა მოსამართლემ მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო სამართლის რომელიმე პრინციპი?

კაზუსი №6

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მის საკუთრებაში არსებული ბინიდან თავისი დისშვილის, მისი მეუღლისა და მათი ორი შვილის გამოსახლების შესახებ. სასარჩელო მოთხოვნას მოსარჩელე იმით ასაბუთებდა, რომ მან თავისი დისშვილის ოჯახს, რომელსაც ქალაქში არ გააჩნდა საცხოვრებელი ფართი, დროებით დართო თავისთან ცხოვრების უფლება, მაგრამ მათ მადლობის ნაცვლად ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ აუტანელი გახადა მათთან ერთად ცხოვრება. სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკითხულ იქნა ოთხი მოწმე (ორ-ორი მოწმე თითოეულ მხარეზე), რომლებმაც მისცეს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე არღვევს ერთად ცხოვრების დადგენილ ნორმებს, ვერ დადასტურდა მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო, მაგრამ რადგანაც მოპასუხესა და მის ოჯახის წევრებს არ მოუპოვებიათ მოსარჩელის საცხოვრებელ ფართზე უფლება, ამიტომაც ისინი, როგორც დროებითი მდგმურები, გამოსახლებულ უნდა იქნენ მოსარჩელის ბინიდან.

ხომ არ იქნა დარღვეული სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო სამართლის რომელიმე პრინციპი?

კაზუსი №7

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარემ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე შეადგინა ოქმი იმის შესახებ, რომ დამქირავებელი „ა“, რომელიც ცხოვრობს ამხანაგობის წევრის-გამქირავებელ „ბ“-ს ბინაში, არადანიშნულებისამებრ იყენებს დაქირავებულ ბინას, ბინა იმყოფება ანტისანიტარიულ მდგომარეობაში და „ა“ თავისი მოქმედებით საფრთხეს უქმნის მეზობლებს. იმის გამო, რომ გამქირავებელი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ამხანაგობის თავმჯდომარემ ამ ოქმის საფუძველზე, სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ბ“-სა და „ა“-ს შორის დადებული საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა და დამქირავებელ „ა“-ს ბინიდან გამოსახლება.

რაიონულმა სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, განიხილა საქმე არსებითად, სარჩელში მოყვანილი გარემოებები ჩათვალა დადგენილად და გამოიტანა გადაწყვეტილება დამქირავებლის ბინიდან გამოსახლების შესახებ.

ხომ არ იქნა დარღვეული მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო სამართლის რომელიმე პრინციპი?

კაზუსი №8

თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა „ა“-ს სარჩელი მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ სამკვიდროს გაყოფასთან დაკავშირებით. მოპასუხის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა “გ“-მ მოითხოვა მისი მარწმუნებლისათვის თარჯიმანის დანიშვნა იმ მიზეზით, რომ “ბ“ იყო უკრაინის მოქალაქე, თბილისში დაბადებული და გაზრდილი, რომელსაც ქართული კარგად ესმოდა, თუმცა უჭირდა ქართულად საუბარი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხე “ბ“-ს ადვოკატის შუამდგომლობა უსაფუძვლობის გამო. განაწყენებულმა “ბ“-ს ადვოკატმა “გ“-მ ახალი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომ საქმე უწყებრივად არ ექვემდებარებოდა სასამართლოს, ვინაიდან სამკვიდროს გაყო-

ფა და მემკვიდრეებზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა ნოტარიუსის გადასაწყვეტი იყო, აგრეთვე, ვინაიდან მოპასუხე უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო, ქონებრივი დავა უნდა განეხილა არბიტრაჟს და არა საქართველოს საერთო სასამართლოს. მოსამართლემ არც ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო და დაიწყო საქმის განხილვა. მოდავე მხარეებს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ და გამუდმებით კამათობდნენ, ამასთან სასამართლო სხდომის დარბაზი გადაჭედილი იყო მოსარჩელე „ა“-ს მეგობრებითა და ნათესავებით, თანაც საქმე საკმაოდ დიდ მემკვიდრეობას ეხებოდა, ვინაიდან გარდაცვლილი ცნობილი ბიზნესმენი იყო. მოსამართლემ გადაწყვიტა სასამართლო სხდომის დახურვა და სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოიტანა განჩინება სხდომის დახურვის შესახებ.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №9

2011 წლის 10 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა თბილისში მცხოვრებმა „ა“-მ ქუთაისში მცხოვრები „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შეუღლეთა მიერ ერთად შეძენილი ქონების – ქალაქ ქუთაისში, აღმაშენებლის გამზირზე №X-ში მდებარე სახლის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა. მოსარჩელეს ჰყავდა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც მასთან თბილისში ცხოვრობდნენ, ამიტომაც მოსარჩელე ითხოვდა საქმის განხილვას თბილისში, რადგან ვერ შეძლებდა ზემოაღნიშნული საპატიო მიზეზით ქუთაისში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სარჩელის განხილვაზე მონაწილეობის მიღებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საპატიოდ მიიჩნია მოსარჩელის არგუმენტები და განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის

მომზადების მიზნით მოსამართლემ დანიშნა მოსამზადებელი სხდომა. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხემ განმარტა, რომ იგი ქუთაისში ცხოვრობს და მოითხოვა საქმის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსჯადობის წესის დაცვით გადაგზავნა, რაზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა. მოპასუხე "ბ"-მ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

შეაფასეთ სასამართლოს და მხარეების მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №10

„ა"-მ 2011 წლის 10 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და აღნიშნა, რომ 2011 წლის იანვარში გარდაიცვალა მამამისი, რომელმაც შეადგინა ანდერძი და ქალაქ თბილისში, დიდუბის №X-ში მდებარე ბინა დაუტოვა ვაჟიშვილს "ბ"-ს. მოსარჩელის განმარტებით, მოანდერძე ანდერძის შედგენისას იმყოფებოდა ქმედუუნარო მდგომარეობაში, რის გამოც ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ამავდროულად მოსარჩელე აღიარებულ უნდა იქნეს ქალაქ თბილისში, დიდუბის №X-ში მდებარე ბინის ერთადერთ მესაკუთრედ. ბინა შეფასებული იქნა 90. 000 ლარად. მოსარჩელემ წარმოადგინა მტკიცებულება მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უმუშევრობის შესახებ, რის გამოც მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის – 2700 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება. 2011 წლის 14 აგვისტოს განჩინებით მოსამართლემ სარჩელი მიიღო წარმოებაში და მოსარჩელე გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

მოპასუხე "ბ"-მ, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ უცნობი იყო, შესაგებელი შეიტანა სარჩელზე და განაცხადა, რომ იგი ცხოვრობს ქუთაისში, წერეთლის №"X"-ში (წარმოადგინა

მტკიცებულება) და მოითხოვა საქმის განსჯადობის წესის დაცვით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და საქმე 2011 წლის 29 აგვისტოს განჩინებით განსახილველად გადაუგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში.

მოსარჩელე „ა“-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აგვისტოს განჩინება საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე გაასაჩივრა კერძო საჩივრით და ამავე მიზეზით დააყენა საკითხი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის აცილების თაობაზე;

მოპასუხე „ბ“-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 აგვისტოს განჩინება მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაათავისუფლების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა „ბ“-ს კერძო საჩივარი უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2011 წლის 15 ოქტომბერს დანიშნულ მთავარ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე “ბ“. სასამართლოს მიერ მოპასუხის შესაგებელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი უწყების თანახმად დასტურდება, რომ მოპასუხის მეულლემ უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. სასამართლომ უწყება ჩაბარებულად ჩათვალა, განიხილა საქმე, მოსარჩელე „ა“-ს შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც „ა“ ცნო ქალაქ თბილისში, დიდუბის №„X“-ში მდებარე ბინის 1/2 წილის მესაკუთრედ. ამავდროულად მოპასუხე „ბ“-ს დააკისრა 1350 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის სახით.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება, კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აგვისტოს განჩინება საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე; 2011 წლის 14 აგვისტოს განჩინება მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

ასევე მოპასუხის მიერ მოსარჩელის სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე განჩინებისა და მოსარჩელის მიერ საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე განჩინების გასაჩივრება; მოსამართლის აცილების საკითხის დაყენება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №11

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2011 წლის 20 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისში მცხოვრებმა „ა“-მ ბათუმში მცხოვრები „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების- ქალაქ ბათუმში, კოსტავას №“X“-ში მდებარე სახლის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა. „ა“-ს ჰყავდა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც მასთან თბილისში ცხოვრობდნენ. „ა“ სარჩელში მიუთითებდა, რომ ვერ შეძლებდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელის განხილვაში მონაწილეობის მიღებას ზემოაღნიშნული საპატიო მიზეზით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ საპატიოდ მიიჩნია მოსარჩელის არგუმენტები და განჩინებით „ა“-ს სარჩელი მიიღო წარმოებაში. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხე „ბ“-მ განმარტა, რომ იგი ბათუმში ცხოვრობს და მოითხოვა საქმის ბათუმის საქალაქო სასამართლოში განსჯადობის წესის დაცვით გადაგზავნა, რაზეც მას თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინებით უარი უთხრა. „ბ“-მ აღნიშნულ განჩინებაზე შეიტანა კერძო საჩივარი თბილისის

სააპელაციო სასამართლოში.

„ბ“-მ ასევე სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს “ა“-ს წინააღმდეგ 2009 წლის 15 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის ოდენობის 50%-ით შემცირების თაობაზე, რადგან ვეღარ შეძლებდა დაკისრებული 300 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდას სამსახურიდან განთავისუფლების გამო. ბათუმის საქალაქო სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ბ“-ს სარჩელი.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №12

2011 წლის 12 სექტემბერს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ 2010 წლის დეკემბერში ნარდობის ხელშეკრულება დადო „ბ“-სთან, რომლის მიხედვითაც „ბ“-ს „ა“-სათვის 15 თვეში უნდა აეშენებინა 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, თბილისში, დოლიძის №„X“-ში. „ბ“-მ მხოლოდ ერთი სართული ააშენა და შემდეგ საერთოდ არ გამოჩენილა. „ა“-მ სარჩელში აგრეთვე მიუთითა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, მოპასუხე ცხოვრობს ქალაქ თბილისში, წერეთლის №„X“- ში სიდედრის სახლში ცოლ-შვილთან ერთად. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში.

მოპასუხე „ბ“-მ შესაგებელი შეიტანა სარჩელზე და განმარტა, რომ იგი დროებით იყო თბილისში და ამ დროს მართალაც ცხოვრობდა ცოლის ნათესავებთან წერეთლის №„X“-ში, თუმცა იგი ამჟამად მშობლებთან ერთად ცხოვრობს და რეგისტრირებულია ქუთაისში, ნინოშვილის №„X“-ში (წარმოადგინა მტკიცებულება) და მოითხოვა საქმის განსჯადობის წესის დაცვით

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნა. საქმის განმხილველმა მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქმე განსახილველად გადაუგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

მოსარჩელე „ა“-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინება .საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე გაასაჩივრა კერძო საჩივრით;· ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განჩინებით მიიჩნია, რომ დავა არ იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოთა მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება.

კაზუსი №13

გადაწყვიტეთ განსჯადობის საკითხი:

1. „ა“ ცხოვრობს ბორჯომში. მას წარმოეშვა დავა წყალტუბოში მცხოვრებ „ბ“-სთან და ლანჩხუთში მცხოვრებ „კ“-სთან ქობულეთში მდებარე აგარაკის ნაწილზე საკუთრების უფლების შესახებ.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი?

2. „ა“ ცხოვრობს ქალაქ ქუთაისში. მას ხაშურში მცხოვრები „ბ“-ს კუთვნილი ავტომანქანა შეეჯახა გურჯაანში და მიაყენა სხეულის დაზიანება.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ?

3. გორში მცხოვრები „ბ“-ს მეუღლე „დ“ ცხოვრობს ქალაქ

თბილისში. „ბ“-მ გადაწყვიტა განქორწინება.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი განქორწინების შესახებ?

4. ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონში მცოვრებმა „ა“-მ, რომელიც ალიმენტს უხდიდა განქორწინებულ მეუღლესა და ორ შვილს, მატერიალური მდგომარეობის გაუარესების გამო ვეღარ შეძლო სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობის ალიმენტის გადახდა.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი დაკისრებული ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ?

5. კასპში მცხოვრებმა „ა“-მ გადაწყვიტა განქორწინება თავის მეუღლე „ბ“-სთან, რომელიც ცხოვრობდა მცხეთის რაიონში. მეუღლეებს ჰყავთ ქორწინების პერიოდში დაბადებული ორი მცირეწლოვანი შვილი.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი განქორწინების შესახებ „ა“-ს მიერ?

6. კომერციულმა ბანკმა შპს „X“-ს სესხად მისცა საბანკო კრედიტი ერთი წლის ვადით. შპს „X„-მა ვერ შეძლო კრედიტის დაბრუნება დათქმული ვადის გასვლის შემდეგ.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი კრედიტის დაბრუნების შესახებ?

7. თიანეთის რაიონში მცხოვრებმა „ა“-მ და კასპში მცხოვრებმა „ ბ“-მ, რომლებსაც საერთო საკუთრებაში გააჩნდათ გორის რაიონში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ვერ მიაღწიეს შეთანხმებას საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაყოფის შესახებ. დავის გადასაჭრელად „ა„-მ გადაწყვიტა სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი „ა“-ს მიერ?

8. „ა“-მ, რომელიც ცხოვრობს თელავში, სესხის ხელშეკრულებით „ბ“-ს გადასცა 2000 ლარი ერთი წლის ვადით. ხელშეკრულებით დათქმული ვადის გასვლის შემდეგ „ ბ“-მ ვერ

შეძლო ვალის უკან დაბრუნება. „ა“-მ გადაწყვიტა სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის, მაგრამ ვერ დადგინდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი „ა“-ს მიერ?

9. შრომისუუნარო, მარტოხელა მოხუცს „ბ“-ს, რომელიც ცხოვრობს ფოთში და საჭიროებს მატერიალურ დახმარებას, ჰყავს ორი სრულწლოვანი, შრომისუნარიანი შვილი – ქალ-ვაჟი. ქალიშვილი ცხოვრობს სენაკში, ხოლო ვაჟი კი – ხაშურში. „ბ“-მ გადაწყვიტა სასამართლო წესით მოითხოვოს ალიმენტის გადახდა ორივე შვილისაგან.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი სარჩელი ალიმენტის გადახდის დაკისრების შესახებ „ბ“-ს მიერ ამ შემთხვევაში?

10. ქალაქ რუსთავში მცხოვრებმა „ა“-მ, მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გადაწყვიტა სარჩელის შეტანა. მოპასუხეს წარმოადგენდა ქუთაისში მდებარე ქარხანა, სადაც მუშაობდა გარდაცვლილი მარჩენალი,რომლის სიკვდილიც გამოიწვია წარმოებაში მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ.

რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი ამ შემთხვევაში სარჩელი მარჩენალის გარდაცვალების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ „ა“-ს მიერ?

კაზუსი №14

ფოთში მცხოვრებმა „ა“-მ 2010 წლის მაისში სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ (ზიანის მიმყენებელი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ჩათვალა, რომ საქმე განსახილველად უნდა გადასცემოდა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ განჩინებით საქმე გადააგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოში. რადგან ამ დროისათვის მოსარჩელეს უკვე შეცვლილი ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი და იგი საცხოვრებლად გადასული იყო მცხეთაში, ამიტომაც ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ განჩინებით უარი თქვა საქმის წარმოებაში მიღებაზე და იგი განსახილველად გადააგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოში. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ განჩინებით არ მიიღო საქმე წარმოებაში იმ მოტივით, რომ დარღვეულ იქნა განსჯადობის წესები და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადააგზავნა საქართველოს უზენაესს სასამართლოში.

რა შეცდომები იქნა დაშვებული სასამართლოების მიერ მოცემულ საქმეზე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №15

„ა“-მ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლე „დ“-სთან ერთად, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ყოველგვარი ნებართვის გარეშე ააშენა საცხოვრებელი სახლი. სამი წლის შემდეგ მეუღლეები განქორწინდნენ და „ა“-მ ყოფილი ცოლი გამოასახლა ერთად აშენებული საცხოვრებელი სახლიდან.

ბინიდან გამოსახლებულმა “დ“-მ რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა ყოფილი ქმრის „ა“-საგან ქორწინების განმავლობაში ერთად აშენებული საცხოვრებელი სახლიდან 1/2 წილის გამოყოფა. რაიონულმა სასამართლომ განჩინებით უარი უთხრა „დ“-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ სადავო სახლი აშენებული იყო უკანონოდ და ამიტომაც საქმე უწყებრივად არ ექვემდებარებოდა სასამართლოს.

მართებულია თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №16

2011 წლის 10 აპრილს გორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა „ა“-მ და მოითხოვა მოპასუხე - მსჯავრდებულ „დ“-საგან დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ “დ“ ზიანის მიყენების მომენტში ცხოვრობდა გორის რაიონში, ხოლო ამჟამად კი სასჯელს იხდის რუსთავში.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა „ა“-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ იგი შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მსჯავრდებული მოპასუხე იხდის სასჯელს.

მართებულია თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №17

გამომცემლობასა და ნაწარმოების ავტორს შორის საგამომცემლო ხელშეკრულების დადებისას, მასში შეტანილ იქნა პირობა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა განხილული ყოფილიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. ხელშეკრულების დადების შემდეგ ნაწარმოების ავტორმა ჩათვალა, რომ საავტორო ჰონორარის ოდენობა გამომცემლობის მიერ არასწორად იყო განსაზღვრული და სარჩელით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამომცემლობისათვის ჰონორარის ოდენობის გაზრდის დაკისრების შესახებ.

უნდა მიიღოს თუ არა სარჩელი წარმოებაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ?

კაზუსი №18

ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონში მცხოვრებმა „ა“-მ თხოვნით მიმართა იურიდიულ კონსულტაციას განემარტათ მისთვის, თუ როგორ უნდა დაიცვას თავისი უფლებები შემდეგ შემთხვევებში:

ა) დამქირავებელი წავიდა რა დაქირავებული ბინიდან, არ გადაიხადა ხუთი თვის ბინის ქირის დავალიანება, თანაც არ შეატყობინა გამქირავებელს თავისი ახალი ადგილსამყოფელის შესახებ, არადა ხანდაზმულობის ვადები გადის ერთ თვეში.

ბ) მეუღლე უკვე ექვსი წელია სახლიდან წავიდა და მისი ადგილსამყოფელი უცნობია, არადა „ა“-ს სურს რომ გაყიდოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი.

გ) ნოტარიუსმა უარი განაცხადა გაეცა სამკვიდრო მოწმობა იმ ქონებაზე, რომელიც „ა“-ს დარჩა დედის გარდაცვალების შემდეგ.

დ) „ა“-ს მიერ სამი თვის წინ მაღაზიაში ნაყიდი ტელევიზორი მწყობრიდან გამოვიდა, მაგრამ მაღაზიამ უარი განაცხადა გამოეცვალა იგი ანდა აენაზღაურებინა მისი ღირებულება.

კაზუსი №19

2011 წლის 10 მარტს სასამართლოს მთავარ სხდომაზე რაიონული სასამართლოს მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავდა „ა“-ს სარჩელს “ბ“-ს მიმართ გაცვლის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ იგი კონტრაგენტმა განზრახ შეიყვანა შეცდომაში გასაცვლელი ქონების ხარისხთან დაკავშირებით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხემ აღძრა შუამდგომლობა, რომ საქმე განეხილა სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას, რათა გამოტანილიყო ობიექტური გადაწყვეტილება. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რამეთუ საქმის განხილვა სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მიერ გამოიწვევდა საქმის განხ-

ილვის გაჭიანურებას. საქმის განმხილველმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №20

რაიონული სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა იხილავდა „ა“-ს სარჩელს „ბ“-ს მიმართ სატრანსპორტო საშუალების არასწორი ექსპლოატაციის შედეგად ჯანმრთელობისათვის მიყენებული 5000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების შესახებ. სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეთა ხმები გაიყო: ორი მოსამართლე თვლიდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მთლიანად უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო სხდომის თავმჯდომარე კი მიიჩნევდა,რომ მოსარჩელისათვის უარი უნდა ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რამეთუ მოსარჩელემ უხეშად დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, გადავიდა რა ქუჩაში აკრძალულ ადგილას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მოსამართლეები საერთო გადაწყვეტილებამდე მაინც ვერ მივიდნენ, ამიტომ სხდომის თავმჯდომარემ შესთავაზა დანარჩენ მოსამართლეებს, რომ ხელი მოეწერათ გადაწყვეტილებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო თავიანთი განსხვავებული აზრი კი წერილობით თან დაერთოთ გადაწყვეტილებისათვის.

მართებულია თუ არა სხდომის თავმჯდომარის მოქმედება?

კაზუსი №21

2010 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართ რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ. 2010 წლის 14 მარტს რაიონულმა სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე, განიხილა სასამართლოს მთავარ სხდომაზე და მი-

იღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ კოლეგიური შემადგენლობით მოამზადა საქმე და განჩინებით დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. დანიშნულ დროს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, ერთ-ერთი მოსამართლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, განკარგულებით შეცვალა სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა და საქმის განხილვა დაავალა სასამართლოს სხვა კოლეგიურ შემადგენლობას.

მართებულია თუ არა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოქმედება?

კაზუსი №22

2011 წლის 15 მარტს სასამართლოს მთავარ სხდომაზე რაიონული სასამართლოს მოსამართლე იხილავდა „კ“-ს სარჩელს სამედიცინო დაწესებულების მიმართ არასწორი ქირურგიული ოპერაციის შედეგად ჯანმრთელობისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ. სასამართლოს მთავარ სხდომის გახსნის შემდეგ, მოსარჩელემ აცილება განუცხადა საქმის განმხილველ მოსამართლეს იმ მოტივით, რომ იგი .(მოსამართლე) მკურნალობდა მოპასუხის სამედიცინო დაწესებულებაში და შესაბამისად, ვერ იქნებოდა ობიექტური საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს. საქმის განმხილველმა მოსამართლემ განჩინებით არ დააკმაყოფილა აცილების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობა იმ საფუძვლით, რომ განცხადება აცილების შესახებ უნდა გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? არსებობს თუ არა აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი?

კაზუსი №23

ერთპიროვნულად საქმის განმხილველმა რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, რომელიც იხილავდა დავას მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, ჩათვალა, რომ ფაქტობრივი და სამართლებრივი სირთულის გამო საქმე მიზანშეწონილია განიხილოს სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ. რადგანაც საქმის განმხილველ რაიონულ სასამართლოში არ იყო სამოქალაქო საქმის განმხილველი სამი მოსამართლე, ამიტომაც რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ საქმე განსახილველად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც განჩინებით მიიღო საქმე წარმოებაში, განიხილა და გამოიტანა გადაწყვეტილება.

შეაფასეთ სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №24

სამოქალაქო საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს, მოსარჩელემ აცილება განუცხადა კოლეგიური შემადგენლობის თავმჯდომარეს. აცილების საკითხი განიხილა დანარჩენმა ორმა მოსამართლემ ასაცილებელი მოსამართლის დაუსწრებლად. ერთმა მათგანმა ხმა მისცა აცილებას, ხოლო მეორემ კი მხარი არ დაუჭირა აცილებას. მოსამართლეთა ხმების გაყოფის გამო აცილების შესახებ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

მართებულია თუ არა მიღებული განჩინება?

კაზუსი №25

სააპელაციო სასამართლოში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სააპელაციო საჩივრის განხილვისას, მოწინააღმდეგე მხარემ აცილება განუცხადა სასამართლო სხდომის მდივანს იმ საფუძვლით, რომ იგი რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილეობდა თარჯიმნად. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, შესაბამისად, შეიცვალა სასამართლოს სხდომის მდივანი. ამის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარემ აღძრა ახალი შუამდგომლობა სასამართლო კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლის აცილების შესახებ იმ მოტივით, რომ მას არაპირდაპირი დაინტერესება ჰქონდა საქმის შედეგით, მაგრამ არ მიუთითა, რაში გამოიხატებოდა ეს დაინტერესება. სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა.

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №26

2011 წლის 20 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე “ბ“-ს წინააღმდეგ. სარჩელში მითითებული იყო, რომ მხარეებს შორის 2009 წლის 10 მაისს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება 12000 კილოგრამი პომიდვრის მარინადის მიწოდების თაობაზე, რაც ხელშეკრულების თანახმად უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად – 2009 წლის 10 ივნისს, 10 ივლისს და 10 აგვისტოს თითოეულ ჯერზე 4000 კილოგრამი მარინადის ოდენობით. ერთი კილოგრამი მარინადის ღირებულება განისაზღვრა 2 ლარის ოდენობით. ხელშეკრულებით განისაზღვრა აგრეთვე პირგასამტეხლო ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის დავალიანების თანხის სამი პროცენტის ოდენობით. მოსარჩელემ ხელშეკრულების შესაბამისად მიაწოდა მო-

პასუხეს 4000 კილოგრამი მარინადი 2009 წლის 10 ივნისს, მოპასუხეს კი მიწოდებიდან ერთი კვირის ვადაში უნდა გადაეხადა 8000 ლარი, რაც მოპასუხემ არ შეასრულა. მოპასუხემ აგრეთვე უარი თქვა მარინადის დანარჩენი ნაწილის მიღებაზეც. მოსარჩელემ განმარტა, რომ ერთ კილოგრამ მარინადზე მისი მოგება შეადგენდა 20 თეთრს და მოითხოვა მოპასუხისათვის 4000 კგ. მარინადის ღირებულების- 8000 ლარის, მიუღებელი შემოსავლის სახით- 8000X0,2=1600 ლარის, მორალური ზიანის სახით 2000 ლარის, ასევე ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პირგასამტეხლოს სახით 8000 ლარის 3%-ის გადახდის დაკისრება სარჩელის აღძვრის მომენტისათვის, რამაც შეადგინა 2880 ლარი. მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა დავის საგნის ღირებულების – 13480 ლარის 3% - 404 ლარი. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა''-ს სარჩელი, მოამზადა საქმე და განჩინებით დანიშნა საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

მოპასუხე ''ბ''-მ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას, სარჩელი ცნო მიწოდებული პროდუქციის ღირებულების – 8000 ლარის გადახდის ნაწილში, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი მოსარჩელემ მოპასუხის თანხმობით უკან გამოიხმო ასევე სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა: მიწოდებული პროდუქციის ღირებულების - 8000 ლარის გადახდა; ვალდებულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობითვის პირგასამტეხლოს –240 ლარის გადახდა; მიუღებელი შემოსავლის სახით - 1600 ლარის გადახდა; სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეს ასევე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 404 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №27

თელავში მცხოვრებმა „ა“-მ 2011 წლის 12 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას თბილისში მცხოვრები მოპასუხე “კ“-ს წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ 2010 წლის ნოემბერში გარდაიცვალა მამამისი “ბ“, რომელიც მასთან ცხოვრობდა. „ბ“-მ შეადგინა ანდერძი, რომლითაც ქალაქ ბათუმში, დოლიძის №“X“-ში მდებარე ბინა დაუტოვა ძმისშვილს “კ“-ს. მოსარჩელის განმარტებით, ანდერძის შედგენისას მოანდერძე პერიოდულად კარგავდა ცნობიერებას, რის გამოც ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ამავდროულად მოსარჩელე, როგორც პირველი რიგის ერთადერთი კანონისმიერი მემკვიდრე აღიარებულ უნდა იქნეს ქალაქ ბათუმში დოლიძის №“X“-ში მდებარე ბინის მესაკუთრედ. ბინა შეფასებული იქნა 150. 000 ლარად. მოსარჩელემ სარჩელს თან დაურთო მტკიცებულება მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უმუშევრობის შესახებ, რის გამოც მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის- 3000 ლარის ნაწილის 1500 ლარის გადახდის გადავადება, ხოლო 1500 ლარი კი გადაიხადა. 2011 წლის 15 მარტს სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს სარჩელი და იმავე განჩინებით მას გადაუვადა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის-1500 ლარის გადახდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მოპასუხე „კ“-მ, შესაგებელი შეიტანა სარჩელზე და განაცხადა, რომ არის სოციალურად დაუცველი პირი, იგი აღარ ცხოვრობს თბილისში, არამედ ცხოვრობს ბათუმში, ნინოშვილის №“X“-ში, მუშაობს ქობულეთში (წარმოადგინა მტკიცებულებები) და მოითხოვა საქმის განსჯადობის წესის დაცვით ბათუმის საქალაქო ან ქობულეთის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნა.

მოპასუხემ კერძო საჩივრით ასევე გაასაჩივრა 2011 წლის 15 მარტის განჩინება მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2011 წლის 10 ივნისს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე. სასამართლოს მიერ მოპასუხის შესაგებელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი უწყების თანახმად დასტურდება, რომ მოპასუხის მეულლემ უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. სასამართლომ უწყება ჩაბარებულად ჩათვალა, განიხილა საქმე, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოსარჩელე „ა“ სცნო ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის №“X“-ში მდებარე ბინის მესაკუთრედ. იმავდროულად მოპასუხეს დააკისრა 1500 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო 1500 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

შეფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №28

განსაზღვრეთ შემდეგ შემთხვევებში სარჩელის ფასი, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და ვისგან უნდა იქნეს იგი გადახდილი?

1. „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ყოფილი მეულლისაგან რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდა. მოპასუხე მუშაობს და გადასახადების გამოკლებით ყოველთვიურად ღებულობს ხელფასს 500 ლარის ოდენობით.

2. „კ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს, მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება და 25 000 ლარად შეფასებული მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა.

3. „დ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს

წინააღმდეგ და მოითხოვა 60 000 ლარად შეფასებულ ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობა.

4. „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების შედეგად იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ – 1200 ლარის ფარგლებში.

5. ‘ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ.

კაზუსი №29

თბილისში მცხოვრებმა “ა“-მ 2010 წლის 5 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე „დ“-ს წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ 2010 წლის მაისში გარდაიცვალა მამამისი „ბ“, რომელიც მასთან ცხოვრობდა. „ბ“-მ შეადგინა ანდერძი და ქალაქ ბათუმში, დადიანის №X-ში მდებარე ბინა დაუტოვა ძმისშვილს “დ“-ს. მოსარჩელის განმარტებით, ანდერძზე არ არის მოანდერძის ხელმოწერა. მოსარჩელემ მოითხოვა ანდერძის ბათილად ცნობა და ქ. ბათუმში დადიანის №X-ში მდებარე ბინის ერთადერთ მესაკუთრედ აღიარება. ბინა შეფასებული იქნა 50. 000 ლარად. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უმუშევრობის შესახებ, რის გამოც მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი ბაჟის 1500 ლარის ნაწილის– 750 ლარის გადახდის გადავადება, ხოლო 750 ლარი კი გადაიხადა. 2010 წლის 9 სექტემბრის განჩინებით სასამართლომ სარჩელი მიიღო წარმოებაში და მოსარჩელეს გადაუვადა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის– 750 ლარის გადახდა გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მოპასუხემ “დ“-მ, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ უცნობი იყო, წერილობითი შესაგებელი (პასუხი) შეიტანა სარ-

ჩელზე და განაცხადა, რომ არის უნარშეზღუდული პირი, ცხოვრობს არა თბილისში, არამედ ბათუმში, აღმაშენებლის №X-ში, მუშაობს ქუთაისში (წარადგინა მტკიცებულებები) და მოითხოვა საქმის განსჯადობის წესის დაცვით ბათუმის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნა. მოპასუხემ კერძო საჩივრით ასევე გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 სექტემბრის განჩინება მოსარჩელისათვის ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებით მოპასუხის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. საქმის განმხილველმა მოსამართლემ მოამზადა საქმე და განჩინებით საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე დანიშნა 2010 წლის 10 ნოემბრისათვის. 2010 წლის 10 ნოემბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე „დ“. სასამართლოს მიერ მოპასუხის შესაგებელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი უწყების თანახმად დასტურდება, რომ მოპასუხის დედამ -„ლ“–მ უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. ხელმეორედ უწყება მოპასუხეს არ გაგზავნია. სასამართლომ უწყება ჩაბარებულად ჩათვალა, განიხილა საქმე და მოსარჩელის შუამდგომლობით მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე, როგორც პირველი რიგის ერთადერთი კანონისმიერი მემკვიდრე ცნო ქალაქ ბათუმში, დადიანის №X-ში მდებარე ბინის მესაკუთრედ. ამავდროულად მოპასუხეს დააკისრა ბაჟის სახით 1500 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №30

განსაზღვრეთ შემდეგ შემთხვევებში სარჩელის ფასი, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და ვისგან უნდა იქნეს იგი გადახდილი?

1. „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და

მოითხოვა ყოფილი მეუღლისაგან სამი მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ ორი წლის განმავლობაში გადასახდელი ალიმენტის დავალიანების გადახდევინება. დავალიანების თანხა 4800 ლარს შეადგენდა.

2. „ მ“ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მეუღლესთან განქორწინების, ერთობლივ ქორწინებაში დაბადებული ხუთი წლის მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 70 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდის დაკისრებისა და მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული 20 000 ლარის ღირებულების ქონების გაყოფის შესახებ. მოპასუხემ სასამართლოში აღძრა შეგებებული სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ.

3. „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ ბ “-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 25 000 ლარის გადახდის დაკისრება. რაიონულმა სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, დააკისრა რა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 18 000 ლარის გადახდა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით: მოსარჩელე მოითხოვდა სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილებას, ხოლო მოპასუხე კი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

4. „ზ “-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ ბ “-საგან სესხის ხელშეკრულებით გადაცემული თანხის – 3000 ლარის უკან დაბრუნება. მოპასუხე „ბ “-მ აღძრა შეგებებული სარჩელი მოსარჩელე „ზ “-ს მიმართ ნარკობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს საზღაურის–4000 ლარის ანაზღაურების შესახებ. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა თავდაპირვე-

ლად მოსარჩელის – გამსესხებელ „ზ "-ს სარჩელი, ხოლო მოპასუხე „ ბ "-ს შეგებებული სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ და „ზ" -ს „ ბ"-ს სასარგებლოდ დააკისრა 2500 ლარის გადახდა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

5. რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა "ა"-მ ყოფილი მეუღლის „ბ"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოთ ალიმენტის გადახდის დაკისრება ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით „ა"-ს სარჩელი დააკმაყოფილა. მოპასუხემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით.

6. ბინის მესაკუთრე „დ "-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა დამქირავებელ „ ბ"-ს გამოსახლება დაქირავებული ბინიდან და მისთვის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი ქირის 1000 ლარის გადახდევინების დაკისრება. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს, მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა 1500 ლარამდე, ხოლო მოპასუხემ კი შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა მოსარჩელისაგან დაქირავებული ბინის რემონტზე გაწეული ხარჯების ანაზრაურება 2000 ლარის ოდენობით.

7. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ბინის მესაკუთრე „კ"-ს მოთხოვნა მოპასუხე „გ"-ს დაქირავებული ბინიდან გამოსახლებისა და მისთვის დარჩენილი ქირის– 1500 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ და არ დააკმაყოფილა მოპასუხე „გ"-ს შეგებებული სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესახებ 1500 ლარის ოდენობით. რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილება“გ“-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ განჩინებით უცვლელად დატოვა ძალაში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. “გ“-მ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) გაასაჩივრა საკასაციო წესით.

კაზუსი №31

2011 წლის 20 აპრილს გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟი ზედმეტად ჰქონდა გადახდილი. 2011 წლის 10 ივლისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნების შესახებ.

როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო?

კაზუსი №32

2012 წლის 18 იანვარს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე საქმის განხილვისას, მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს უკან არ დაუბრუნეს, მან შეიტანა კერძო საჩივარი სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნება.

შეაფასეთ მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოქმედება.

კაზუსი №33

2012 წლის 10 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-სგან სესხად გადაცემული თანხის 2500 ლარის უკან დაბრუნება. სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დაუბრუნა უკან სესხად მიღებული თანხა. მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან სრულად დაბრუნება, აგრეთვე ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის.

დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნებს? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №34

2012 წლის 12 თებერვალს სასამართლოს მთავარ სხდომაზე რაიონულმა სასამართლომ განიხილა შპს „X“-ის სარჩელი მოპასუხე „ა“-ს მიმართ მიყენებული მატერიალური ზიანის – 3500 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა. მოსარჩელემ აგრეთვე მოითხოვა ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის –1000 ლარის მოპასუხისათვის გადახდევინების დაკისრება. სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნაც.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

კაზუსი №35

2012 წლის 15 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს მიმართ საერთო საკუთრებაში არსებული 30000 ლარის ღირებულების ქონების გაყოფის შესახებ. სა-

სამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე საქმის განხილვა დამთავრდა მხარეთა მორიგებით. მორიგების აქტით, სადავო ქონება თანაბრად გაიყო მხარეებს შორის. მორიგების აქტის დამტკიცებისას სასამართლომ არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი. მოსარჩელემ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის გადახდევინების დაკისრება. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

კაზუსი №36

2012 წლის 10 მარტს რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა „ა“-ს სარჩელი მოპასუხე „ბ“-ს მიმართ საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით საცხოვრებელი ნაგებობის, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 70000 ლარს, 1/3 საკუთრების უფლებით მიეკუთვნა მოსარჩელეს, ხოლო 2/3 დარჩა მოპასუხეს.

როგორ უნდა იქნეს განაწილებული სახელმწიფო ბაჟი მხარეთა შორის?

კაზუსი №37

2012 წლის 2 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან მიყენებული მატერიალური ზიანის – 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება. საქმის მომზადების დროს დადგინდა, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოპასუხის მიმართ. რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელის თანხმობით შეცვალა თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, განიხილა სარჩელი, დააკმაყოფილა იგი ნაწილობრივ და დააკისრა სათანადო მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდა. საქმის განხ-

ილვის პროცესში სასამართლომ თავისი ინიციატივით დანიშნა ექსპერტიზა, რომლის ჩატარებასაც დასჭირდა 500 ლარი.

როგორ უნდა იქნეს განაწილებული სასამართლო ხარჯები მხარეებს შორის?

კაზუსი №38

2012 წლის 8 თებერვალს რაიონულ სასამართლოში საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა მოწმე, რომლის ჩვენებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადასაწყვეტად და რომელსაც მიღებული ჰქონდა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით. ამის გამო, სასამართლო იძულებული შეიქნა გადაედო საქმის განხილვა სხვა დროისათვის, რამაც დამატებითი ხარჯები გამოიწვია. დადგინდა რომ მოწმის გამოუცხადებლობა გამოწვეულ იქნა იმ მოტივით რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ, სადაც მოწმე მუშაობდა, სამსახურებრივ საათებში არ გაუშვა იგი სასამართლოში ჩვენების მისაცემად.

სასამართლომ იმ საწარმოს ადმინისტრაციას,სადაც მოწმე მუშაობდა, დააკისრა სასამართლოს სხდომაზე მოწმის გამოუცხადებლობისა და საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ყველა დამატებითი ხარჯის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

კაზუსი №39

2012 წლის 12 იანვარს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას არ გამოცხადდა ექსპერტი, რომელსაც ჰქონდა მიღებული შეტყობინება კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ დააჯარიმა იგი 50 ლარით, რადგან არასაპატიოდ მიიჩნია ექსპერტის სასამართლოში გამოუცხადებლობა. ექსპერტმა სასამართლოს განჩინებაზე ზემდგომ სასამართლოში შეიტანა

კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ ჰქონდა ასეთი განჩინების მიღების უფლება. ზემდგომმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი.

შეაფასეთ სასამართლოთა და ექსპერტის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

ამოცანა №40

2011 წლის 15 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე –შპს „X“-საგან არასწორი ქირურგიული ოპერაციის ჩატარების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომებზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო საქმის განხილვა სამჯერ გადაიდო, ხოლო შემდგომ კი მოპასუხემ საერთოდ უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება მოპასუხისათვის 200 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდის დაკისრების შესახებ სასამართლოს უპატივცემულობისათვის და გადააგზავნა განჩინება დაუყონებლივ აღსასრულებლად.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

ამოცანა №41

2011 წლის 15 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან მიყენებული მატერიალური ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურების დაკისრება. მოსამართლემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მომზადება სამი თვე გააგრძელა, ხოლო საქმე კი არსებითად განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღებიდან მეექვსე თვეს და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

რა სახის დარღვევები იქნა დაშვებული სასამართლოს მიერ?

კაზუსი №42

2012 წლის 15 თებერვალს რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ. მოსარჩელემ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეთექვსმეტე დღეს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით უარი განუცხადა აპელანტს (მოსარჩელეს) საჩივრის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ გასული იყო კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტმა წარადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდებოდა გასაჩივრების ვადის გასვლა პატივსადები მიზეზებით.

სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო?

კაზუსი №43

2011 წლის 20 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ვინაიდან მოსარჩელის მიერ არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სასამართლომ გამოიტანა განჩინება ამ ხარვეზის შევსების შესახებ და მოსარჩელეს მისცა ათი დღის ვადა მის შესავსებად. „ა“-მ ხარვეზის შესავსებად მიცემულ ვადაში განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება ეკონომიკური გაჭირვების გამო. მოსამართლემ განიხილა „ა“-ს განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე, არ დააკმაყოფილა იგი უსაფუძვლობის გამო და მოსარჩელეს თავისი ინიციატივით გაუგრძელა ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა კიდევ 10 დღით.

შეაფასეთ მოსარჩელისა და სასამართლოს მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №44

2012 წლის 15 იანვარს "ა"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული 50. 000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურება. ვინაიდან მოსარჩელის მიერ არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რაიონულმა სასამართლომ 2012 წლის 20 იანვარს გამოიტანა განჩინება ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მისცა ათი დღის ვადა მის შესავსებად, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტში ბაჟის გადასახდელად.

„ა"-მ, რომელსაც აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2012 წლის 27 იანვარს, ხარვეზის შესავსებად მიცემულ ვადაში განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, თან წარადგინა შემდეგი მტკიცებულებები: 1. საბანკო საკრედიტო ხელშეკრულება ფულადი ვალდებულების შესახებ; 2. ცნობა ზამთრის გამო საწარმოს მუშაობის სეზონური შეჩერების შესახებ; 3. საგადასახადო ინსპექციის შედარების აქტი სახელმწიფო ბიუჯეტში დავალიანების შესახებ. მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

მოსარჩელემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, ამიტომაც მოსამართლემ მხარისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ გამოიტანა განჩინება ბაჟის გადაუხდელობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №45

2010 წლის 1 მარტს რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა „ა"-ს სარჩელი „ბ"-ს მიმართ 10. 000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელეს

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა 2010 წლის 20 მარტს. 2010 წლის 2 აპრილს "ა"- მ ფოსტის მეშვეობით გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოში გააგზავნა სააპელაციო საჩივარი, რომელიც სასამართლოში მიტანილ იქნა 2010 წლის 10 აპრილს. რაიონულმა სასამართლომ 2010 წლის 13 აპრილს ,,ა"-ს სააპელაციო საჩივარი გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 18 აპრილის განჩინებით უარი განუცხადა ,,ა"-ს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ გასული იყო კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა.

მართლზომიერია თუ არა სააპელაციო სასამართლოს მოქმედება? როგორ ხდება საპროცესო ვადების გამოთვლა?

კაზუსი №46

2010 წლის 20 იანვარს რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რითაც მოპასუხე ,,ა"-ს დააკისრა მოსარჩელე ,, ბ"-ს სასარგებლოდ 5. 000 ლარის გადახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა 2010 წლის 27 იანვარს. 2010 წლის 10 თებერვალს მოპასუხე "ა"-მ გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით. 2010 წლის 15 თებერვალს აპელანტი ,,ა" გარდაიცვალა. 2010 წლის 25 თებერვალს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი და შეაჩერა საქმის წარმოება გარდაცვლილის უფლებამონაცვლის დადგენამდე. გარდაცვლილი "ა-ს უფლებამონაცვლედ სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 5 მარტის განჩინებით, საქმეში ჩართო მისი შვილი ,,დ". მოწინააღმდეგე მხარე "ბ"-მ 2010 წლის 10 მარტს შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს

და მოითხოვა სააპელაციო საჩივარის განუხილველად დატოვება იმ მოტივით, რომ გაშვებული იქნა კანონით დადგენილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა „ბ“-ს შუამდგომლობა.

მართლზომიერია თუ არა სააპელაციო სასამართლოს მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №47

2012 წლის 10 მარტს „ა“-მ რაიონულ სასამართლოში აღძრა სარჩელი მოპასუხე „ბ“-ს მიმართ ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე უკვე ოთხი თვეა, რაც არ იხდიდა ხელშეკრულებით დადგენილ ბინის ქირას. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ ქირავნობის ხელშეკრულება დადებული იყო არა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, არამედ მოსარჩელეს ძმას– „გ“-სა (ბინის მესაკუთრე) და მოპასუხეს შორის. მოპასუხემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რომ „ა“ არის არასათანადო მოსარჩელე, არა აქვს მოთხოვნის აღძვრის უფლება და ამიტომ იგი უნდა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით. არასათანადო მოსარჩელემ – „ა“-მ თანხმობა განაცხადა მისი სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე, ხოლო სათანადო მოსარჩელე – „გ“-მ კი უარი განაცხადა შეეცვალა არასათანადო მოსარჩელე. მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №48

2012 წლის 11 თებერვალს რაიონულმა სასამართლომ დასაბუთებული გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელე „ა“-ს მოთხოვნა მოპასუხე „ბ“-სათვის ზიანის ანაზღაურების

დაკისრების შესახებ. სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ორივე მხარე ესწრებოდა. მოსარჩელეს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2012 წლის 15 თებერვალს. 2011 წლის 28 თებერვალს მოსარჩელემ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ განჩინებით წარმოებაში არ მიიღო სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ გაცდენილი იყო გასაჩივრების ვადა.

მართლზომიერია თუ არა ზემდგომი სასამართლოს მოქმედება?

კაზუსი №49

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2011 წლის 23 აპრილს სარჩელით მიმართა „ა“-მ „ბ“-ს წინააღმდეგ ქორწინების შეწყვეტის შესახებ. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2011 წლის 22 ივლისს. მოპასუხეს სასამართლო უწყება გაეგზავნა მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე, საიდანაც იგი დაბრუნდა სასამართლო კურიერის მიერ შედგენილი აქტით, რომლის მიხედვითაც მოპასუხის დედამ უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე. სასამართლომ მოპასუხის გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიიჩნია, განიხილა საქმე და მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №50

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა „ა“-მ 2012 წლის 10 იანვარს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეულლე „დ“-სთან განქორწინება. სასამართლოში საქ-

ის განხილვისას გაირკვა, რომ „ა“ ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენების გამო სასამართლოს მიერ ცნობილი იყო შეზღუდულქმედუნარიანად და მას მზრუნველად დანიშნული ჰყავდა თავისი მეუღლე „დ“. მოპასუხე „დ“-მ შესაგებელში არ ცნო სარჩელი და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს, როგორც შეზღუდულქმედუნარიან პირს, მისი თანხმობის გარეშე არ ჰქონდა უფლება შეეტანა სასამართლოში სარჩელი.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №51

16 წლის არასრულწლოვანი „ა“-ს მშობელმა „ბ“-მ, რომელიც შვილთან ერთად მუშაობდა „X“ ქარხანაში, 2011 წლის 10 მარტს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „X “-ის მიმართ “ა“-სათვის პრემიის მიცემაზე უსაფუძვლოდ უარის თქმის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ვინ არის სათანადო მოსარჩელე მოცემულ საქმეზე? როგორია „ა“-ს მშობლის - „ბ“-ს პროცესუალური სტატუსი?

კაზუსი №52

2010 წლის 10 მარტს სამი თანამდებობის პირის (მოხელის) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი დაუდგრილობის გამო შპს „X“-მა განიცადა მატერიალური ზიანი 25000 ლარის ოდენობით. ორმა ზიანის მიმყენებელმა – „ა“-მ და „ბ“-მ ნებაყოფლობით აანაზღაურეს მიყენებული ზიანის 2/3 ნაწილი თითოეულმა 1/3 -ის ოდენობით, ხოლო მესამე ზიანის მიმყენებელმა – „ დ“-მ კი უარი განაცხადა ზიანის დარჩენილი 1/3 ნაწილს ანაზღაურებაზე.

2011 წლის 15 მარტს დაზარალებულმა სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „დ“-საგან ზიანის დარჩენილი 1/3 ნაწილის ანაზღაურება. თავის შესაგებელში მოპასუხემ

არ ცნო სარჩელი და აღნიშნა, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას არ იქნა გათვალისწინებული თითოეული ზიანის მიმყენებლის ბრალი. სასამართლომ საქმის მომზადების სტადიაზე მოსარჩელის თხოვნით „ა“ და „ბ“ საქმეში ჩართო როგორც მოწმეები, დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე სადაც მოწმის სახით დაჰკითხა „ა“ და „ბ“ და მათი ჩვენების საფუძველზე დააკმაყოფილა სარჩელი.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №53

2012 წლის 10 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შპს „X“-ისაგან ნასყიდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული 1000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ გამყიდველმა ხელშეკრულებით დაადგინა საგარანტიო ვადა რომლის მოქმედების განმავლობაშიც ნაყიდი ნივთი ორჯერ გამოვიდა მწყობრიდან, ხოლო შეკეთების შემდეგ კი საერთოდ გამოუსადეგარი გახდა. სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების ეტაპზე, წერილობით შესაგებელში მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ ნივთს ჰქონდა ქარხნული დეფექტი, ამიტომაც საქმეზე მოპასუხედ უნდა ჩაბმულიყო ნივთის დამამზადებელი ქარხანა. სასამართლომ განჩინებით ნივთის დამამზადებელი ქარხანა საქმეში ჩააბა მოპასუხის მხარეზე მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედება განსაზღვრეთ საქმეში მონაწილე პირთა წრე.

კაზუსი №54

2005 წელს გარდაცვლილი მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემელმა „ა“-მ 2012 წლის 2 მარტს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ჟურნალ „X“-საგან გარდაცვლილი მწერლის პატივისა და ღირსების შემბღალავი გავრცელებული ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე, განიხილა იგი სასამართლოს მთავარ სხდომაზე და დააკმაყოფილა ნაწილობრივ: მოპასუხეს დააკისრა გავრცელებული ცნობების უარყოფა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურებაზე კი მოსარჩელეს უარი ეთქვა.

რა შეცდომა დაუშვა მოსამართლემ? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №55

2012 წლის 7 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეუღლე „დ“-სთან განქორწინება, აგრეთვე მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების- მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლის 1/2 წილის მიკუთვნება. სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების ეტაპზე, მოპასუხის დედამ „ქ“-მ სასამართლოს მიმართა სარჩელით სადავო საცხოვრებელ სახლზე მისი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ. სარჩელში „ქ“-მ აღნიშნა, რომ, მართალია, საცხოვრებელი სახლი რეგისტრირებულია მისი შვილის-„დ“-ს სახელზე, მაგრამ იგი მთლიანად აშენებულია „ქ“-ს ფულადი სახსრებით. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება მოპასუხის დედის – „ქ“-ს საქმეში თანამოსარჩელედ ჩართვის შესახებ.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №56

„ა“ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა მძღოლად ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში. 2012 წლის 15 იანვარს შრომითი მოვალეობების შესრულებისას იგი შეეჯახა შემხვედრ ავტომანქანას, რომელიც ეკუთვნოდა შპს „X“-ს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად „ა“ გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალი მიუძღვოდათ როგორც „ა“-ს, აგრეთვე შპს “X“-ის მძღოლს. გარდაცვლილის მეუღლე „ბ“-მ 2012 წლის 25 თებერვალს სარჩელით მიმართა სასამართლოს ავტოსატრანსპორტო გაერთიანებისა და შპს „X“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოში სარჩელის შეტანისას შპს „X “ უკვე ლიკვიდირებული იყო.

განსაზღვრეთ საქმეში მონაწილე პირთა წრე.

კაზუსი №57

ორი 15 წლის არასრულწლოვანი „ა“ და „ბ “სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, ცნობილი იქნენ დამნაშავედ „კ“-ს ქონების ფარულად დაუფლებაში (ქურდობაში). 2012 წლის 10 თებერვალს „კ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გამარტივებული წარმოების წესით დანაშაულის შედეგად მისთვის მიყენებული ქონებრივი (მატერიალური) ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. დანაშაულის ჩადენის მომენტში „ა“ იმყოფებოდა საბავშვო სახლის ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო „ბ“-ს მიმართ კი მზრუნველობას ახორციელებდა მისი ბიძა, რადგან “ბ“-ს ორივე მშობელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება. სასამართლოში საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ ქურდობის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობდა 12 წლის „დ“-ც, რომლის მიმართაც მცირეწლოვნობის გამო არ იქნა აღძრული სისხლის სამართლის

საქმე. „დ“-ს ზრდიდა დედა, ხოლო მამა კი ცალკე ცხოვრობდა და შვილის აღზრდაში არავითარ მონაწილეობას ღებულობდა.

განსაზღვრეთ მოცემულ საქმეში მონაწილე პირთა წრე.

კაზუსი №58

„ა“ მუშაობდა სკოლაში მასწავლებლად ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დროულად აღებისა და დაბინავების მიზნით, სკოლის დირექტორმა „ბ“-მ „ა“ თავის სადამრიგებლო კლასთან ერთად დასახმარებლად მიავლინა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებაში. ვაშლის მოკრეფის დროს „ა“-მ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების მუშის „ გ“-ს ბრალეული მოქმედებით მიიღო სხეულის დაზიანება. „ა “-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ჯანმრთელობისათვის მიყენებული მორალური ზიანისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება.

განსაზღვრეთ ვინ და რა სახით უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში.

კაზუსი №59

„ა“-მ დანაშაულებრივი ქმედებით სიცოცხლეს გამოასალმა „ბ“. გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ მოხუცი შრომისუუნარო დედა და სამი მცირეწლოვანი ბავშვი სხვადასხვა ქორწინებიდან. 2012 წლის 10 თებერვალს ბავშვების დედებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი „ა“-ს მიმართ პარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ ყოველთვიურად გადასახდელი სარჩოს სახით. გარდაცვლილის დედას კი დამნაშავის მიმართ არანაირი მოთხოვნა არ წაუყენებია. თუმცა კი საქმის მომზადების ეტაპზე, მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმეში გარდაცვლილის დედის თანამოსარჩელედ ჩართვის შესახებ, რაც დაასაბუთა იმით, რომ გარდაცვ-

ლილის დედის საქმეში მონაწილეობის მიღების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბავშვებისათვის გადასახდელი სარჩოს ოდენობის განსაზღვრა.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? განსაზღვრეთ საქმეში მონაწილე პირთა პროცესუალური მდგომარეობა.

კაზუსი №60

2012 წლის 10 თებერვალს „ა“ -მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ბ-“ სთან დადებული საცხოვრებელი ბინების გაცვლის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ გაცვლა მოხდა მისი თანხმობის გარეშე მეუღლის მიერ, ამასთან გაცვლის შედეგად გაუარესებდა ოჯახის საცხოვრებელი პირობები. სასამართლომ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მოპასუხის მხარეზე ჩართო მოსარჩელის მეუღლე მესამე პირად, რომელიც არ აცხადებდა დავის საგანზე დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას.

სწორად განსაზღვრა თუ არა მოსამართლემ მოსარჩელის მეუღლის პროცესუალური მდგომარეობა?

კაზუსი №61

საწარმოს ადმინისტრაციამ შტატების შემცირების მოტივით დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა „ა“. გათავისუფლების შესახებ ბრძანების ძალაში შესვლიდან 10 დღის შემდეგ საწარმოს ადმინისტრაციამ „ა“-ს ადგილას დანიშნა სხვა მუშაკი. „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს სამუშაოზე აღდგენისა და დამსაქმებლისათვის იძულებითი განაცდურის გადახდის დაკისრების შესახებ. სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელე მოულოდნელად გარდაიცვალა. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ

გარდაცვლილი მოსარჩელის უფლებამონაცვლის დადგენისა და საქმეში მის ჩაბმამდე.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? ჩამოთვალეთ სა-პროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები.

კაზუსი №62

ავტომანქანის მესაკუთრე „ა“-მ 2010 წლის 11 მარტს ზიანი მიაყენა სამი ძმის – „დ“-ს,„კ“-სა და „ბ“-ის საერთო საკუთრებაში მყოფ ავტომანქანას. „დ“-მ და „კ“-მ 2012 წლის 10 თებერვალს სარჩელით მიმართეს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს „ა“-საგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ გან-ჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების ეტაპზე, მოსამართლემ თავისი ინიციატივით განჩინებით საქმეში თანამო-სარჩელედ ჩართო მესამე ძმა „ბ“-ც, რომელმაც სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე განაცხადა, რომ „ა“ მისი უახლოესი მეგობარია, მის მიმართ არანაირი პრეტენზია არა აქვს და უარს აცხადებს სარჩელზე. მოსამართლემ „ბ“-ს მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო მიიღო განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №63

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „დ“-ის ბავშვის მამად ცნობისა და არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნით. რაიონულმა სასამართლომ განჩინებით სარჩელი მი-იღო წარმოებაში. სასამართლოში საქმის განხილვამდე მოპასუხე გარდაიცვალა.

მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმეში მოპასუხის სახით

გარდაცვლილი მოპასუხის მამის, როგორც შვილის უფლებამო-
ნაცვლის ჩაბმის შესახებ იმ საფუძვლით, რომ საქართველოს
სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლი ითვალისწინებს, „პაპები
და ბებიები, რომლებსაც საკმარისი შემოსავალი აქვთ, მოვალენი
არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო
შვილიშვილები, თუკი მათ არ შეუძლიათ თავიანთი მშობლებისა-
გან სარჩოს მიღება.“

კანონიერია თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება?

კაზუსი №64

2012 წლის 6 იანვარს „ა“-მ და „ბ“-მ სარჩელი აღძრეს
რაიონულ სასამართლოში „დ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვეს მოპა-
სუხისაგან სესხად გადაცემული 10000 ლარის უკან დაბრუნება.
რაიონულმა სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოე-
ბაში. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად
მომზადების დამთავრების შემდეგ, სასამართლოს განცხადებით
მიმართა “კ“-მ და განმარტა, რომ სადავო სესხის ხელშეკრულე-
ბიდან გამომდინარე 10000 ლარის მოთხოვნის უფლება „ა“-მ
მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე მას დაუთმო.
განმცხადებელმა მოითხოვა საქმეში „ა“-ს უფლებამონაცვლედ
დაშვება, რადგან „ა“ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით
გავიდა სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან. სასამართლომ
არ დააკმაყოფილა „კ“-ს შუამდგომლობა და უარი უთხრა მას
საქმეში ა“- ს უფლებამონაცვლედ ჩაბმაზე. უფლებამონაცვლით
შეცვლაზე უარის თქმის განჩინება მოსამართლემ იმით დაასაბუთა,
რომ მხარის (ფიზიკური პირის) საპროცესო უფლებამონაცვლეო-
ბა დაიშვება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემთხვევაში, რასაც
განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, ამასთან, უფლებამო-
ნაცვლეობა დაიშვება მხოლოდ საქმის მოსამზადებელ ეტაპზე

საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე განხილვისას, უფლე-
ბამონაცვლით შეცვლა მოითხოვა „ბ“-მაც და განმარტა, რომ მან

შეიცვალა გვარი და სახელი, გადავიდა დედის გვარზე და არის „გ“. სასამართლომ დააკმაყოფილა „ბ“-ს შუამდგომლობა.

სასამართლომ „კ“-ს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის დათხობის ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინა, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც ეკუთვნის მოთხოვნის უფლება და შესთავაზა „ა“-ს შეცვლილიყო სათანადო მოსარჩელით –„კ“-თი. „ა“ არ დაეთანხმა სათანადო მოსარჩელით შეცვლას, რის გამოც მოსამართლემ „ა“-ს სარჩელზე შეწყვიტა საქმის წარმოება იმ საფუძვლით, რომ არასათანადო მხარე არ იყო თანახმა სათანადოთი შეცვლაზე, ხოლო „კ“-ს შესთავაზა ჩაბმულიყო საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

შეაფასეთ სასამართლოს მოქმედებები, კერძოდ: სასამართლოს უარი უფლებამონაცვლით შეცვლაზე, სასამართლოს მოქმედება არასათანადო მოსარჩელის სათანადოთი შეცვლასთან დაკავშირებით, სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კაზუსი №65

2012 წლის 5 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან სამუშაოზე აღდგენა. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ სამუშაოდან განთავისუფლებული იყო აგროსამრეწველო გაერთიანების ფილიალის დირექტორის უკანონო ბრძანებით, კერძოდ იმ მოტივით,რომ თითქოსდა იგი სამსახურში გამოცხადდა არაფხიზელ მდგომარეობაში. სამუშაოდან დათხოვნის მიზეზი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა მის მიერ საწარმოს დირექტორის მიმართ მუშაკთა საერთო კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოირკვა, რომ სარჩელი შეტანილი იყო აგროსამრეწველო გაერთიანების ფილიალის წინააღმდეგ, რომელსაც არ გააჩნდა იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი. მოსამართლემ მოსარჩელეს შესთავა-

ზა არასათანადო მოპასუხის შეცვლა, რაზედაც მოსარჩელემ უარ
განაცხადა იმ მოტივით, რომ იგი სამუშაოზე მიღებული, ხოლო
შემდეგ კი გათავისუფლებული იქნა ფილიალის დირექტორის
მიერ. მოსამართლემ თავისი ინიციატივით საქმეში თანამოპასუხედ
ჩართო აგროსამრეწველო გაერთიანებაც, რომელიც რეგისტრირე
ბული იყო შპს–ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და
საქმე განსახილველად გადასცა სასამართლოს ამ იურიდიულ
პირის იურიდიული მისამართის მიხედვით.

რა სახის შეცდომები იქნა დაშვებული საქმეზე? შეიძლება თუ არა საქმეში მხარეს წარმოადგენდეს ორგანიზაცია, რომელიც არ სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით? განსაზღვრეთ ზემოთ აღნიშნული ყველა პირის პროცესუალური მდგომარეობა.

კაზუსი №66

2012 წლის 5 მარტს „ბ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ
სასამართლოს და მოითხოვა თავის მეუღლე „ა“-საგან არას
რულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოვ
ელთვიურად 200 ლარის ოდენობით. საქმის მომზადების ეტაპზე
მოსამართლემ დაადგინა, რომ „ა“ უკვე იხდის ალიმენტს წინა
ქორწინებაში დაბადებული არასრულწლოვანი შვილისათვის და
რომ მეუღლეები (ანუ მოსარჩელე და მოპასუხე) ცხოვრობენ
ერთ ოჯახში, წარმართავენ ერთიან საოჯახო მეურნეობას და მამა
აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თავისი შვილის მოვლასა და
აღზრდაში.

ვინ უნდა იქნეს ჩაბმული საქმეში მონაწილეობის მისაღებად?

კაზუსი №67

2012 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ
სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან სხეულის და
ზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდე-

სიობით. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპზე, მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა და მოპასუხისაგან 5000 ლარის ნაცვლად მოითხოვა 3000 ლარის გადახდა. სასამართლოში საქმის განხილვისას მთავარ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე გარდაიცვალა. მოსამართლემ თავისი ინიციატივით შეაჩერა საქმის წარმოება გარდაცვლილი მოსარჩელის უფლებამონაცვლის დადგენამდე და მის საქმეში ჩართვამდე. საქმეში უფლებამონაცვლედ ჩაერთო მოსარჩელის შვილი.

უფლებამონაცვლემ არ ცნო გარდაცვლილი მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირება და მოითხოვა მოპასუხისაგან 5000 ლარის გადახდევინება. მოსამართლემ დააკმაყოფილა უფლებამონაცვლის შუამდგომლობა.

დაიშვება თუ არა ამ შემთხვევაში საპროცესო უფლებამონაცვლეობა? სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №68

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ ბ“-ს წინააღმდეგ გამოგონებაზე თანაავტორად ცნობის შესახებ. რაიონულმა სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების ეტაპზე მოსარჩელე მოულოდნელად გარდაიცვალა. საქმის განმხილველ მოსამართლეს განცხადებით მიმართა გარდაცვლილის შვილმა საქმეში მამის უფლებამონაცვლედ ჩართვის შესახებ. მოსამართლემ უარი უთხრა მას განცხადების დაკმაყოფილებაზე, რადგან ასეთ შემთხვევაში კანონი არ უშვებს უფლებამონაცვლეობას და განჩინებით სარჩელი განუხილველად დატოვა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №69

2012 წლის 11 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შპს „X“-ის კუთვნილი ავტომანქანის მძღოლის – „ბ-საგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ „ბ“-მ უხეშად დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, გადავიდა საპირისპირო მხარეს და შეეჯახა შემხვედრ ავტომანქანას, რომელსაც მართავდა „ა“. შეჯახების შედეგად „ა“-ს ავტომანქანა მნიშვნელოვნად დაზიანდა.

მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში და საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩართო შპს „X“-იც. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ დაზიანებული ავტომანქანა წარმოადგენდა არა მოსარჩელის, არამედ მისი ძმისშვილის საკუთრებას.

განსაზღვრეთ საქმეში ზემოთ აღნიშნულ პირთა პროცესუალური მდგომარეობა.

კაზუსი №70

2011 წლის 10 მარტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მცირეწლოვანი გოგონას მამის „ა“-სათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა. სასამართლოში საქმის განხილვის მომზადებისას გამოირკვა, რომ ბავშვის მამა შვილთან ერთად არ ცხოვრობს და არ ღებულობს მონაწილეობას შვილის აღზრდაში იმიტომ, რომ ამას სასტიკად ეწინააღმდეგება ბავშვის დედა.

განსაზღვრეთ საქმეში მონაწილე პირთა წრე.

კაზუსი №71

2012 წლის 10 იანვარს „ა-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „კ“-საგან საცხოვრე

ბელი სახლის ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობა. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დაწყებისას, მოსარჩელემ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რათა მას საქმეში მონაწილეობის მისაღებად წარმომადგენლად დაეშვა მისი ძმისშვილი. მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა მოსარჩელეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ რადგან იგი პირადად გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, თვითონაც კარგად დაიცავს თავის უფლებებს სხვისი დახმარების გარეშე.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

კაზუსი №72

შპს „X“-ის ერთ-ერთმა დირექტორმა “ა“-მ იურიდიული პირის სახელით 2011 წლის 10 მარტს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. დირექტორმა სარჩელო განცხადებას თან დაურთო თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი მოწმობა.

როგორი წესით ხდება საქმეში იურიდიული პირის წარმომადგენლის დაშვება? აღნიშნულ შემთხვევაში იყო თუ არა დაცული ეს წესი? რა სახის პროცესუალური მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ იურიდიული პირის წარმომადგენლებს?

კაზუსი №73

2009 წლის 10 მარტს „ა“-მ სესხის ხელშეკრულებით გასცა „დ“-ს 5000 ლარი ერთი წლის ვადით. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მსესხებელმა ვერ შეძლო ვალის დაბრუნება.

2012 წლის 18 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-საგან სესხად გადაცემული ფულადი თანხის

უკან დაბრუნების მოთხოვნით და კანონით დადგენილი წესით გაფორმებული მინდობილობის (რწმუნებულება) საფუძველზე თავისი ინტერესების დაცვა და სასამართლოში საქმის წარმოება დაავალა პროფესიით ეკონომისტს, მეცნიერებათა დოქტორს „დ“-ს.

აქვს თუ არა „ა“-ს უფლება თავისი ინტერესების დაცვა მიანდოს სასამართლოში „დ -ს? ვინ შეიძლება გამოვიდეს მხარის წარმომადგენლად სასამართლოში?

კაზუსი №74

2010 წლის 10 მარტს „ა“-მ „ბ“-სთან დადო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მენარდე “ა“ კისრულობდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო მაღალხარისხიანად და დათქმულ ვადაში, ხოლო შემკვეთი „ბ“ კი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა მენარდისათვის შესრულებული სამუშაოსათვის 3000 ლარი. მენარდემ სამუშაო შეასრულა თავისდროულად, მაგრამ შემკვეთმა მას შეთანხმებული ანაზღაურების ნაცვლად გადაუხადა 1500 ლარი იმ საფუძვლით, რომ სამუშაო არაჯეროვნად იყო შესრულებული და მისი ხარისხი არ შეესაბამებოდა შეთანხმებულ პირობებს.

2011 წლის 12 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელოს სრული ოდენობით გადახდა. სასამართლოში საქმის მომზადების სტადიაზე მოსარჩელეს დასჭირდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია, რის გამოც პირადად ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში. ამიტომაც მოსარჩელემ თავისი ინტერესების დაცვა დაავალა მეუღლეს და მისცა რწმუნებულება, რომელიც დაადასტურა მოსარჩელის მკურნალმა ექიმმა. მოპასუხის ინტერესების დაცვას სასამართლოში ახორციელებდა მისი იურისტი, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა თავისი სამსახურებრივი მოწმობა. მოსამართლემ საქმეში მოსარჩელის წარმომადგენლად დაუშვა

მისი მეუღლე, ხოლო მოპასუხის წარმომადგენლად კი – მისი იურისტი.

გაფორმებულია თუ არა წარმომადგენელთა უფლებამოსილებანი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად? სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №75

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ და „ბ“-მ სარჩელით მიმართეს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს „დ“-ს სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე საქმის განხილვისას მხარეები მორიგდნენ. მორიგების აქტი მოსამართლემ დაამტკიცა განჩინებით. მორიგების აქტის მიხედვით, სადავო სამკვიდრო ქონების 2/5 ნაწილი გადაეცემოდათ მოსარჩელეებს საკუთრების უფლებით,ხოლო 3/5 ნაწილი კი რჩებოდა მოპასუხეს საკუთრების უფლებით. მორიგების აქტით გათვალისწინებული იყო ასევე,რომ მოსარჩელეების გარდაცვალების შემდეგ მათი წილი გადავიდოდა მოპასუხის საკუთრებაში.

მორიგების აქტი დადებულ იქნა მოსარჩელეების ინტერესების დამცველი ადვოკატისა და მოპასუხის ძმის მიერ. ადვოკატი სასამართლოში მონაწილეობდა იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე. მოპასუხის ძმა სასამართლოში წარმომადგენლად გამოდიოდა სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე,რომელიც მას უფლებას ანიჭებდა მარწმუნებულის სახელით სასამართლოში შეესრულებინა ნებისმიერი სახის მოქმედება.

მართებულია თუ არა მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ?

კაზუსი №76

2011 წლის 15 აპრილს „ა“-მ თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე „ბ“-ს ერთი თვის ვადით გადასცა მუსიკალური ცენტრი უსასყიდლოდ სარგებლობაში. თხოვების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მონათხოვრემ არ დააბრუნა უკან ნათხოვარი ნივთი. გამნათხოვებელმა „ა“-მ 2012 წლის 25 იანვარს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისაგან თხოვების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მოსარჩელემ საქმის წარმოება სასამართლოში სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე დაავალა თავის წარმომადგენელს „დ“-ს. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვისას მოსარჩელის წარმომადგენელმა მოსარჩელესთან წინასწარი ზეპირი შეთანხმებით უარი თქვა სარჩელზე. ამ საფუძვლით მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №77

2012 წლის 10 იანვარს შრომისუუნარო დედის სახელით რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მისმა სრულწლოვანმა შვილმა და მოითხოვა მამის-„ბ“-სათვის დედის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრება ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. სასამართლოში საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ მოსარჩელის დედასა და მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით უკვე შეწყვეტილი ჰქონდათ ქორწინება სამი წლის განმავლობაში, მაგრამ დედა შრომისუუნარო გახდა განქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ და მისი შრომისუუნარობა გამოწვეული იყო ქორწინების პერიოდში მიღებული ტრავმით. რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდა მანამ, სანამ

არ შეიცვლებოდა მხარეთა ქონებრივი ანდა მოსარჩელის დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მიუთითეთ, თუ რა შეცდომა დაუშვა მოსამართლემ. რა სახით და რა პირობების არსებობისას შეეძლო მონაწილეობა მიეღო საქმეში მოსარჩელის დედას?

კაზუსი №78

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხის – თავისი დედინაცვლის „დ“-ს სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობა. სასარჩელო მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ სადავო სახლი წარმოადგენდა მამამისის საკუთრებას, რომელიც გარდაიცვალა 2011 წლის 15 თებერვალს. გამომდინარე იქედან, რომ „ა“ საზღვარგარეთ ცხოვრობდა, მან დროულად ვერ შეიტყო მამის გარდაცვალება და როგორც პირველი რიგის კანონით შემკვიდრემ დროულად ვერ მიმართა სანოტარო ორგანოს, მამის მიერ დატოვებული სამკვიდრო ქონების 1/2 ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ მოთხოვნით. ამით ისარგებლა მამამისის მეორე ცოლმა (პირველი ანუ მოსარჩელის დედა გარდაცვლილი იყო) ანუ მოპასუხემ და მთლიანად მიიღო სამკვიდრო ქონება.

სასამართლოში საქმის მომზადებისას გაირკვა, რომ მოპასუხეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო თავისი ინტერესების დაცვა და მისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დანიშნული ჰყავდა მზრუნველი. სამზრუნველო პირის ინტერესების დასაცავად საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულ იქნა მზრუნველი, რომელმაც სასამართლოს თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტად წარუდგინა ამონაწერი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დადგენილებიდან მისი სამზრუნველო პირის(მოპასუხისათვის)

მზრუნველად დანიშვნის შესახებ. მოსამართლემ ამ ამონაწერის საფუძველზე დაუშვა მზრუნველი საქმეში მოპასუხის წარმომადგენლად.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? დაასახელეთ სასამართლო წარმომადგენლობის სახეები. რომელ მათგანს და რა პირობების არსებობისას მიეკუთვნება მოცემულ საქმეზე მზრუნველის წარმომადგენლობა?

კაზუსი №79

2012 წლის 10 მარტს რაიონულ სასამართლოში საქმის მოსამზადებელ სხდომაზე განხილვისას, მოსამართლემ განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლად **არ დაუშვა** „ა“ იმ საფუძვლით, რომ იგი არ იყო პროფესიით **იურისტი** და არც ადვოკატთა ასოციაციის წევრი, აგრეთვე **მას** უკვე ჰქონდა მიღებული რამდენჯერმე მონაწილეობა **სხვა** სამოქალაქო საქმეებზე წარმომადგენლად და ამ საქმიანობას **ახორციელებდა** მოგების მიზნით ისე, რომ სახელმწიფოს **არ უხდიდა** არავითარ გადასახადს.

„ა“-მ პროცესში წარმომადგენლად **დაშვებაზე** უარის თქმის შესახებ განჩინება გაასაჩივრა კერძო **საჩივრით და** მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ, **მართალია იგი** არ არის პროფესიით იურისტი და არც ადვოკატთა **ასოციაციის** წევრი მაგრამ რეგისტრირებულია როგორც **ინდივიდუალური** მეწარმე და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა **მხარეებისათვის** იურიდიული დახმარების გაწევა სასამართლოში **წარმომადგენლად** მონაწილეობის გზით და რომ იგი **იხდის კანონით** დადგენილ ყველა გადასახადს.

შეაფასეთ მოსამართლისა და „ა“-ს მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №80

2011 წლის 10 ნოემბერს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა „ა“-მ და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან ბებიის მიერ ანდერძით დატოვებული საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობა. იმის გამო, რომ მოპასუხე არასრულწლოვანი იყო, მის კანონიერ წარმომადგენლად სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილეობა მიიღო დედამ – „დ“-მ. 2012 წლის 25 იანვარს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შემდეგ, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხის წარმომადგენელს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2012 წლის 12 თებერვალს. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი კვირის შემდეგ მოპასუხე სრულწლოვანი გახდა.

მოპასუხის დედამ- „დ“-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელციო წესით მისი ჩაბარებიდან მე-12 დღეს. სააპელაციო სასამართლომ განჩინებით არ მიიღო საჩივარი წარმოებში იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო საჩივარს თან არ ერთვოდა სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

მართებულია თუ არა ზემდგომი სასამართლოს მოქმედება?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №81

2011 წლის 14 მარტს „ა“-მ თავისი დის სახელით სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „დ“-საგან ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ მის დას ავადმყოფობის გამო თვითონ არ შეეძლო დაეცვა თავისი დარღვეული უფლებები. მოსარჩელემ სარჩელს თან დაურთო მისი დის მიერ 2009 წლის 10 მაისს გაცემული

სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულება.

რა გარემოებები უნდა დაადასტუროს მოსამართლემ და ამის შესაბამისად რა სახის პროცესუალურ- სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს?

კაზუსი №82

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან გავრცელებული ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავდნენ მოსარჩელის პატივსა და ღირსებას, აგრეთვე მიყენებული მორალურ ზიანის ანაზღაურება. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ მას ამხანაგობის წევრთა კრებაზე საჯაროდ დააბრალა საწყობიდან ნივთების ფარულად დაუფლება.

რომელი ფაქტები შედის მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანში? როგორ უნდა განაწილდეს მათი დამტკიცების ტვირთი?

კაზუსი №83

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-სათვის 5000 ლარის გადახდის დაკისრება. სასარჩელო მოთხოვნას მოსარჩელე იმით ასაბუთებდა, რომ მოპასუხის მამასთან იგი იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, 2006 წელს ისინი განქორწინდნენ, მაგრამ აგრძელებდნენ ერთად ცხოვრებასა და ერთიანი საოჯახო მეურნეობის წარმოებას. 2007 წელს მათ ერთად შეიძინეს ავტომანქანა 8000 ლარად, რომელშიც „ა“-მ (მოსარჩელემ) პირადად გადაიხადა 5000 ლარი. 2010 წელს ყოფილი მეუღლე (მოპასუხის მამა) გარდაიცვალა, ხოლო მისმა შვილმა პირველი ქორწინებიდან “ბ“-მ (მოპასუხემ) გადაიფორმა მამის სამკვიდრო და უარს ეუბნება მოსარჩელეს აუნაზღაუროს მანქანის შესაძენად ღირებულებაში გადახდილი 5000 ლარი.

მოპასუხემ საქმის განხილვისას არ ცნო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მისთვის არ არის ცნობილი იმის შესახებ, მართლაც გადაიხადა თუ არა მოსარჩელემ მანქანის ღირებულების ნაწილი 5000 ლარის ოდენობით.

რომელი ფაქტები შედის მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანში? როგორ უნდა განაწილდეს ფაქტების დამტკიცების ტვირთი? რა სახის მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული მათ დასადგენად?

კაზუსი №84

მარტოხელა „ა“ ცხოვრობდა ერთოთახიან პრივატიზებულ ბინაში. 2009 წელს „ა“-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო კანონით დადგენილი წესით დაენიშნა მზრუნველი – თავისი მეზობელი „დ “. 2011 წლის 20 მარტს „ა“ გარდაიცვალა. გარდაცვლილ „ა“-ს არ ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრეები, ამიტომაც მისმა ძმამ „ბ“-მ, რომელიც ერთადერთი მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრე იყო და რომელსაც არ ჰქონდა ჩამორთმეული სამკვიდროს მიღების უფლება, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე. ნოტარიუსმა უარი განაცხადა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ გარდაცვლილ „ა“-ს მზრუნველმა „ დ-მ წარადგინა 2010 წლით დათარიღებული ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც „ა“-მ თავისი კუთვნილი ბინა საჩუქრად გადასცა მას.

გარდაცვლილი „ა-ს ძმამ „ბ“-მ 2012 წლის 11 იანვარს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ა“-სა და „დ“-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო ბინის მისთვის საკუთრებაში გადაცემა.

განსაზღვრეთ მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანი. როგორ უნდა განაწილდეს მტკიცების ტვირთი? რა სახის მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული დავის გადასაწყვეტად?

კაზუსი №85

2012 წლის 20 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ყოფილი მეუღლის „ბ“-საგან ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. მოსამართლემ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, საქმის მომზადების სტადიაზე გამოარკვია, რომ „ბ“ უკვე იხდიდა ალიმენტს წინა ქორწინებაში დაბადებული ორი მცირეწლოვანი შვილისათვის. მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ „ბ“-სათვის „ა“-ს სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრებას შეიძლება გამოეწვია „ბ“-ს მხრიდან სარჩელის შეტანა წინა ქორწინებაში დაბადებული ბავშვებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ, ამიტომაც მოსამართლემ საქმის მომზადების მიზნით სასამართლოს კურიერს დაავალა შეემოწმებინა, თუ როგორია მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობა. კურიერმა შეასრულა სასამართლოს დავალება და შესწავლის შედეგები წერილობითი ფორმით წარუდგინა საქმის განმხილველ მოსამართლეს. მოსამართლემ ეს დასკვნა საფუძვლად დაუდო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

წარმოადგენს თუ არა სასამართლოს კურიერის მიერ შედგენილი დასკვნა მტკიცების საშუალებას? მართლზომიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

კაზუსი №86

2010 წლის 23 დეკემბერს გარდაიცვალა „ა“, რომელსაც დარჩა ერთადერთი პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე შვილი „ბ“. 2011 წლის 2 თებერვალს “ბ“-მ წერილობით მიმართა სანოტარო ორგანოს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად. ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა.

2011 წლის 25 მარტს „კ“-მ შეიტანა სარჩელი „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა გარდაცვლილ „ა“-ს საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების ცნობა. თავის მოთხოვნას „კ“ იმით

ასაბუთებდა, რომ „ა“-საგან 2010 წლის 19 დეკემბერს ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა სადავო სახლი, მაგრამ გამყიდველი მოულოდნელად გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება კანონით დადგენილი წესით.

მოსარჩელემ სასამართლოს თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მტკიცებულების სახით წარუდგინა გარდაცვლილი „ა“-ს ხელწერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ გამყიდველმა მიიღო სახლის ღირებულების ნახევარი და კისრულობდა ვალდებულებას ორ კვირაში გადაეფორმებინა ბინა მყიდველისათვის. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ სახლის ყიდვის მომენტიდანვე იგი ცხოვრობდა ნაყიდ ბინაში, უვლიდა მას, იხდიდა ყველა სახის გადასახადს, რასაც დაამტკიცებს სათანადო ქვითრების წარმოდგენითა და მეზობლების ჩვენებით.

მოსამართლემ უარი განაცხადა საქმეში მტკიცებულებად დაშვებული ყოფილიყო გარდაცვლილი გამყიდველის ხელწერილი, გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები და მოწმეების ჩვენებები იმ მოტივით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ და მხოლოდ წერილობითი ფორმით დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც შემძენი რეგისტრირებულია მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.

მართლზომიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება? რას ნიშნავს მტკიცებულებათა დასაშვებობა? როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №87

2012 წლის 10 იანვარს „ბ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გარდაცვლილი „ა“-ს მემკვიდრე „კ“-საგან 5000 ლარის გადახდა. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გარდაცვლილმა „ა“-მ მისგან სესხად აიღო აღნიშნული თანხა ბინის შესაძენად, მაგრამ ვერ

მოასწრო მისი უკან დაბრუნება. მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, გამოეთხოვა კომერციული ბანკისაგან (სადაც „ა“-ს გახსნილი ჰქონდა ფულადი ანგარიში) გადარიცხვის ოპერაციების დოკუმენტაცია, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ მან გარდაცვლილი მოპასუხის მიერ ბინის ყიდვის დღეს მის ანგარიშზე გადარიცხა 5000 ლარი, რომელიც გარდაცვლილმა გამოიტანა და გადაიხადა ნაყიდი ბინის ღირებულების ანგარიშში. მოსარჩელემ წარადგინა ასევე გარდაცვლილი „ ა“-ს წერილიც, რომელშიც იგი მადლობას უხდიდა მოსარჩელეს გაწეული ფულადი დახმარებისათვის და პირობას დებდა, რომ უკან დაუბრუნებდა თანხას. მოსარჩელემ აღნიშნა ასევე, რომ „ა“-ს გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ ზეპირად აღიარა ვალი, შეჰპირდა მის გადახდას და სთხოვა არ გაეხმაურებინა ვალის არსებობის ფაქტი. ვალის გადახდის დაპირება მოხდა „ა“-ს გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ, რამდენიმე მოწმის თანდასწრებით, მაგრამ შემდგომში მოპასუხემ უარი განაცხადა ვალის დაბრუნებაზე. მოსარჩელემ მოითხოვა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით იმ პირთა გამოძახება და დაკითხვა, ვისი თანდასწრებითაც მოპასუხემ აღიარა ვალის არსებობა და დაპირდა მის გადახდას. საქმის განმხილველმა მოსამართლემ მოწმეთა გამოძახებაზე უარი განაცხადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე და 341-ე მუხლის საფუძველზე. ასევე უარი განაცხადა კომერციული ბანკისაგან ფულადი თანხების გადარიცხვის ოპერაციების წარმოების დოკუმენტაციის გამოთხოვაზე იმ საფუძვლით, რომ მათი მეშვეობით ვერ დადასტურდებოდა სესხის აღების ფაქტი და ამიტომაც ისინი საქმეს არ განეკუთვნებოდა. გარდაცვლილი „ა“-ს სამადლობელო წერილიც არ გამოდგებოდა მტკიცებულებად, რამეთუ მასში არ იყო დაფიქსირებული თანხის ოდენობა.

გააანალიზეთ მოსამართლის მოქმედებებისა და განმარტებების სისწორე. რა არის მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა?

კაზუსი №88

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით მოწმე „ ბ-ს დაკითხვა. თავის შუამდგომლობას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ მას განზრახული ჰქონდა აღეძრა სარჩელი „ გ“-ს მიმართ, რომელმაც მას მიაყენა მატერიალური ზიანი და ამ ფაქტს შეესწრო „ბ“, რომელიც ამჟამად ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით მიემგზავრება საზღვარგარეთ, რაც გამოიწვევდა შემდგომში სასამართლოში მის გამოცხადების შეუძლებლობას. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ უარი განუცხადა „ა“-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ საქმის განხილვის დროს მოწმე „ბ“-ს ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა საქმეზე სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების გამოსატანად.

მართლზომიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება? როგორ ხდება მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე და სარჩელის აღძვრის შემდეგ?

კაზუსი №89

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „X“-სთან დადებული გაცვლის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თავის სასარჩელო მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ ხელშეკრულების დადების დროს იგი იმყოფებოდა მძიმე ნერვულ-სტრესულ მდგომარეობაში და არ შეეძლო სწორად შეეფასებინა თავისი მოქმედების მნიშვნელობა.

სასამართლოში საქმის მოსამზადებელ სხდომაზე განხილვისას „ა“-მ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია ყოველდღიურად ისარგებლოს მეტროთი, ბინის გაცვლის შედეგად კი იგი იძულებულია ნახევარი საათის განმავლობაში იაროს მეტროთი, რადგან მის სამსახურამდე სხვა სატრანსპორტო საშუალება არ მიდის. გაცვლის

ხელშეკრულების დადებამდე კი იგი ფეხით დადიოდა სამსახურში, რომელიც მისი სახლიდან 10 წუთის სავალზე მდებარეობდა.

მოპასუხე „X“-მა თავის წერილობით შესაგებელში არ ცნო სარჩელი და მიუთითა, რომ მოსარჩელე მშვენივრად მგზავრობს მეტროთი, იგი ხშირად უნახავს კიდეც მეტროს სხვადასხვა სადგურში.

განსაზღვრეთ მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანი.

კაზუსი №90

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მობინადრეებმა 2007 წლის 10 მარტს სარჩელით მიმართეს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს ერთ-ერთი ბინის მესაკუთრის – „ბ“-ს ბინის იძულებითი გასხვისება, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება ერთხმად მიღებულ იქნა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრებაზე.

თავიანთ სასარჩელო მოთხოვნას მობინაადრეები იმით ასაბუთებდნენ, რომ „ბ“ ამორალურ, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, სისტემატურად ლოთობდა, მის ბინაში ხშირად თავს იყრიდნენ საეჭვო რეპუტაციის მქონე პირები, რომლებიც ტეხდნენ ჩხუბს, დებოშს და სხვა მესაკუთრეებს უქმნიდნენ ცხოვრების აუტანელ პირობებს. გარდა ამისა, „ბ“-ს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლებები, თავის დროზე იგი ორჯერ იყო მოთავსებული დროებითი დაკავების იზოლატორში ოჯახის წევრებზე განხორციელებული ძალადობის გამო.

განსაზღვრეთ მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანი და მტკიცებულებათა განკუთვნადობა. როგორ ნაწილდება მოცემულ საქმეზე მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის?

კაზუსი №91

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან 8000 ლარის

უკან დაბრუნება. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხეს სხვადასხვა დროს სამჯერ ასესხა ფულადი თანხა, რომელმაც საბოლოო ჯამში 8000 ლარი შეადგინა, თუმცა კი მოპასუხე უარს აცხადებს თანხის დაბრუნებაზე. თანხის მიღების შესახებ მოპასუხემ მას მისცა ხელწერილი, მაგრამ მოსარჩელეს ბინა გაუქურდეს და სხვა ძვირფასეულობებთან ერთად წაღებულ იქნა მოპასუხის მიერ მიცემული ხელწერილიც.

თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად „ა“-მ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რათა მას გაეგზავნა მიმართვა პოლიციის იმ განყოფილებისათვის, სადაც აღძრული იყო საქმე „ა“-ს ბინის გაქურდვის თაობაზე, ასევე დაეკითხა ის მოწმეები, რომლებიც ნამდვილად დაადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ მოპასუხემ მიიღო სესხად 8000 ლარი და გასცა ამის თაობაზე ხელწერილი. წერილობით შესაგებელში მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და უარი განაცხადა საერთოდ მოსარჩელის ნაცნობობაზე.

უნდა დაჰკითხოს თუ არა სასამართლომ მოწმეები მოცემულ საქმეზე? რაში მდგომარეობს მტკიცებულებათა დასაშვებობის არსი? რა მტკიცებულებითი ძალა შეიძლება გააჩნდეს პოლიციის ორგანოს მიერ გაცემულ ცნობას ქურდობის ფაქტის შესახებ?

კაზუსი №92

2012 წლის 10 იანვარს „ა “-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ყოფილი მეუღლის „დ“-სათვის მცირეწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრება. საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლემ მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მოსთხოვა მტკიცებულებების წარდგენა, მაგრამ კონკრეტულად არ მიუთითა, თუ რომელი მტკიცებულებები უნდა წარედგინა მოსარჩელეს. მოსარჩელემ განაცხადა, რომ მოსამართლის მოთხოვნა არასწორია, რამეთუ მოპასუხე თავის წერილობით შესაგებელში არ უარყოფს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას, ამიტომაც სასარჩელო მოთხოვნის

საფუძველში მითითებული ფაქტები უდავოა და აღარ საჭიროებენ დამტკიცებას.

მართებულია თუ არა მოსარჩელის მოქმედება? როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში მოსამართლე?

კაზუსი №93

2012 წლის 20 თებერვალს რაიონული სასამართლო იხილავდა ა-ს სარჩელს „ბ“-ს მიმართ ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაში აღნიშნავდა, რომ იგი გარდაცვლილი მამკვიდრებლის ძმაა და რადგან მამკვიდრებელს არ დარჩენია პირველი რიგის არცერთი კანონისმიერი მემკვიდრე, ამიტომაც მხოლოდ ის არის ერთადერთი კანონისმიერი მემკვიდრე, ხოლო რაც შეეხება მამკვიდრებლის მიერ მოპასუხის სასარგებლოდ შედგენილ ანდერძს, იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი იმ საფუძვლით, რომ მოანდერძე ანდერძის შედგენის მომენტში იმყოფებოდა ქმედუუნარო მდგომარეობაში და არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ამ ფაქტს მოსარჩელე ადასტურებდა მოქალაქე „დ“-ს ჩვენებით, რომელიც ერთ პალატაში იწვა მამკვიდრებელთან ერთად და ესწრებოდა ანდერძის შედგენას მოწმის სახით. მოწმის ჩვენება მოსარჩელის თხოვნით ჩაწერილ იქნა მაგნიტოფონზე მისი მკურნალი ექიმის მიერ, რამეთუ მოწმე დაავადებული იყო უკურნებელი სენით და გარდაიცვალა სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე სამი დღით ადრე.

ჩაითვლება თუ არა მტკიცებულებად ექიმის მიერ ჩაწერილი ავადმყოფი მოწმის ჩვენება? ვის და რა წესით აქვს უფლება მოახდინოს იმ მოწმეთა დაკითხვა და მათი ჩვენების ჩაწერა, რომლებსაც არ შეუძლიათ გამოცხადდნენ სასამართლოს სხდომაზე?

კაზუსი №94

„ა“-მ“„ ბ“-ს ზეპირი სესხის ხელშეკრულებით სესხად გადასცა 2 ტონა ხორბალი, რომელიც მსესხებელს უნდა დაებრუნებინა უკან 2010 წლის 4 ოქტომბერს. ხელშეკრულება დადებულ იქნა 2009 წლის 1 ოქტომბერს და მას მოწმის სახით ესწრებოდა მსესხებლის ძმა. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მსესხებელმა ვერ შეძლო ხორბლის დაბრუნება, ამიტომაც გამსესხებელმა სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს. სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოწმის სახით დაკითხულიყო მოპასუხე მსესხებლის ძმა. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. მოწმედ გამოძახებულმა მსესხებლის ძმამ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე იმ მოტივით, რომ ამას შეიძლება მისი ძმისათვის ქონებრივი ზიანი მიეყენებინა. მოსამართლემ მოწმის პასუხი დამაჯერებლად მიიჩნია და აღარ დაჰკითხა იგი.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №95

2011 წლის 20 ნოემბერს „ა“-მ მაღაზიაში შეიძინა ფეხსაცმელი. ორჯერ ჩაცმის შემდეგ ფეხსაცმელს აძვრა ლანჩა და გამოუსადეგარი გახდა. მყიდველმა მიმართა მაღაზიის ადმინისტრაციას და მოითხოვა ნაყიდი უხარისხო ფეხსაცმლის გამოცვლა, რაზედაც მაღაზიის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ფეხსაცმლის დაზიანება გამოიწვია მყიდველის არასწორმა ქმედებამ, რაც გამოიხატა სარგებლობის წესების დარღვევაში. ეს დასტურდება გამყიდველის თხოვნით ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით. 2012 წლის 10 იანვარს მყიდველმა სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების ეტაპზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ იმ მოტი-

ვით, რომ ასეთი ექსპერტიზა უკვე ჩატარებული იქნა მოპასუხის თხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანამდე. სასამართლომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას და უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე? რა უფლებებით სარგებლობენ მხარეები ექსპერტიზის დანიშვნისას?

კაზუსი №96

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე შპს „ავტოსატრანსპორტო გაერთიანებისაგან“ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მოპასუხის კუთვნილ ავტომანქანას მართავდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი, რომელმაც ვერ დაიმორჩილა საჭე, გადავიდა გზის მეორე მხარეს და შეეჯახა მოსარჩელის შემხვედრ მანქანას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილ აქტში აღნიშნული იყო, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იქნა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლის ბრალით, რისთვისაც მას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მართვის უფლების 6 თვემდე ჩამორთმევით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, მოპასუხის მხარეზე მესამე პირად ჩართულმა მძღოლმა, რომელიც არ აცხადებდა დავის საგანზე დამოკიდებულ სასარჩელო მოთხოვნას, ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენაში ბრალი დასდო მოსარჩელეს. მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს „კ“-ს მოწმედ დაკითხვის შესახებ, რომელიც იყო მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის თვითმხილველი. მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა მოპასუხეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რადგან მიიჩნია, რომ საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილ

აქტში მოყვანილი ფაქტები მტკიცებას აღარ საჭიროებდა და მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №97

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და უსაფუძვლოდ გათავისუფლების შედეგად დაკარგული ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. „ა“ სამუშაოდან გათავისუფლებულ იქნა მოპასუხის მიერ იმ მოტივით, რომ სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი სამსახურში გამოცხადდა ფხიზელ მდგომარეობაში, მაგრამ მთელი ღამის უძილო იყო და გარეგნულად ისე ჩანდა, რომ თითქოს არაფხიზელ მდგომარეობაში იყო. საქმის მომზადების დროს მოპასუხემ თავის წერილობით შესაგებელში სარჩელი არ ცნო. მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს შემდეგი მტკიცებულებები:

1) მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ასლი. 2) მოსარჩელის სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების შესახებ ადმინისტრაციის მიერ შედგენილი აქტი, რომელსაც ხელს აწერდა სამი მუშა; 3) ცნობა მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასის ოდენობის შესახებ; 4) მოსარჩელის წინა სამუშაო ადგილიდან გაცემული ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან სამუშაოზე სისტემატურად არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების გამო.

განეკუთვნება თუ არა მოცემულ საქმეს ყველა ზემოთ აღნიშნული მტკიცებულება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №98

„ა“ შეუთანხმდა „ბ“-ს, რომ განსაზღვრული ოდენობის გასამრჯელოს სანაცვლოდ მოუვლიდა და დამწყემსავდა „ბ“-ს პირუტყვს. შეთანხმებიდან სამი თვის შემდეგ, „ბ“-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა „ა“-საგან იმ ხუთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ღირებულების ანაზღაურება, რომლებიც დაიღუპნენ იმ დროს, როცა მათ მწყემსავდა მოპასუხე. მოპასუხემ თავის შესაგებელში სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მას ცხოველების დაღუპვაში ბრალი არ მიუძღვის, რადგან ისინი დაიღუპნენ მთაში ზვავის ჩამოწოლის გამო. საქმის განმხილველი მოსამართლისათვის მართალია ცნობილი იყო, რომ გაზაფხულზე მთებში ზვავი ჩამოწვა, მაგრამ მაინც მოსთხოვა მოპასუხეს ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? განსაზღვრეთ საქმეზე მტკიცების საგანი.

კაზუსი №99

2011 წლის 19 მარტს „ა“-მ და „ ბ“-მ ზეპირი ფორმით დადეს 5000 ლარის სესხად გადაცემის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მსესხებელმა „ ბ“-მ ვერ შეძლო ნასესხები თანხის უკან დაბრუნება. 2012 წლის 18 იანვარს გამსესხებელმა „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ბ“-საგან სესხად გაცემული თანხის უკან დაბრუნება, ასევე მოწმის სახით საერთო მეზობლის „ გ“-ს დაკითხვა, რომელიც დაადასტურებდა სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტს. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას მოპასუხემ აღიარა, რომ მან მართალია მოსარჩელისაგან სესხად მიიღო 5000 ლარი, მაგრამ ჯერ არ დამდგარა სესხის უკან დაბრუნების დრო. მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რაც იმით დაასაბუთა, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი შეი-

ძლება დადასტურდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებით, ხოლო მოწმის ჩვენება კი არ არის დასაშვები.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №100

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან პატივისა და ღირსების შემბღალავი გავრცელებული ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება 10000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების ეტაპზე, მოპასუხემ წერილობით შესაგებელში არ ცნო სარჩელი და აღნიშნა, რომ პირველ რიგში, ეს ცნობები მისი გავრცელებული არ იყო, თანაც, მეორე მხრივ, აღნიშნული ცნობები სინამდვილეს შეესაბამებოდა. სასამართლოში საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას დადგინდა, რომ ცნობები გავრცელებული იქნა უშუალოდ მოპასუხის მიერ, მაგრამ მოსამართლემ გადაწყვეტილებით მაინც უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შეესაბამებოდა.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება?რომელი ფაქტები შედის მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანში?

კაზუსი №101

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „დ“-ს ბავშვის მამად ცნობა, ასევე “დ“-სათვის ალიმენტის გადახდის დაკისრება მცირეწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ. მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა,რომ იგი გარკვეული დროის განმავლობაში მოპასუხესთან იმყოფებოდა ინტიმურ ურთიერთობებში, მოპასუხე მას ჰპირდებოდა ცოლად შერთვას, ბავშვის დაბადების შემდეგ

გარკვეული დროის განმავლობაში აღიარებდა კიდეც მის მამობას, მაგრამ შემდგომ უარი განაცხადა მოსარჩელის როგორც ცოლად მოყვანაზე, ისე ბავშვის მამობაზე.

მტკიცებულების სახით მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მაგნიტოფონის ფირი, რომელზეც ჩაწერილი იყო მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ბიჭის დაბადების მილოცვა, სადაც მოპასუხე რამდენჯერმე იმეორებდა, რომ დაბადებული ბავშვი მისი შვილია.

განსაზღვრეთ მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანი? შეუძლია თუ არა სასამართლოს, რომ მტკიცებულების სახით მიიღოს და შეამოწმოს მაგნიტოფონის ფირის ჩანაწერი?

კაზუსი №102

2011 წლის 16 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს და აღნიშნა, რომ მისი შვილი, თელავში მცხოვრები „დ“ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ქალაქ ბათუმში მცხოვრებ “ბ“-სთან, მეუღლეებს ჰყავდათ საერთო შვილი – ათი წლის არასრულწლოვანი “გ“, თუმცა მიუხედავად ამისა, მეუღლეები ექვსი წლის მანძილზე ფაქტობრივად ერთად აღარ ცხოვრობდნენ, რის გამოც „ა“-მ მოითხოვა „დ“-სა და „ბ“-ს შორის განქორწინება და „ბ“-სათვის შვილის- „გ“-ს სასარგებლოდ სრულწლოვნობის მიღწევამდე ყოველთვიურად ალიმენტის სახით 200 ლარის გადახდის დაკისრება.

თელავის რაიონულმა სასამართლოს მოსამართლემ 2011 წლის 18 თებერვლის განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით, მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა 2011 წლის 26 აპრილს და წერილობითი შესაგებლის წარსადგენად განესაზღვრა ათი დღის ვადა. 2011 წლის 4 ივნისს მოპასუხემ სასამართლოში გააგზავნა წერილობითი შესაგებელი და აღნიშნა, რომ „ა“ არასათანადო მოსარჩელე იყო, ხოლო თელავის რაიონული სასამართლო კი არაგანსჯადი

სასამართლო იყო, ვინაიდან მოპასუხე ბათუმში ცხოვრობდა. საქმის მომზადების მიზნით მოსამართლემ განჩინებით დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც აცნობა მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

2011 წლის 15 ივნისს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა არაგანსჯადი სასამართლოს შესახებ იმ საფუძვლით, რომ განსჯადობისას გადამწყვეტი იყო არა მოპასუხის, არამედ მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო მეორე შუამდგომლობა არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლის შესახებ დააკმაყოფილა და "ა" არასათანადო მოსარჩელედ ცნო. სასამართლომ „ა"-ს შესთავაზა მისი შეცვლა სათანადო მოსარჩელით –"დ"-ით, რაზეც მოსარჩელე „ა"-მ უარი განაცხადა. იმის გამო, რომ არასათანადო მოსარჩელემ უარი განაცხადა სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე, სასამართლომ განჩინებით შეწყვიტა საქმის წარმოება.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №103

გააანალიზეთ ქვემოთ ჩამოთვლილი სარჩელები ელემენტების მიხედვით და განსაზღვრეთ მათი სახეები პროცესუალური ნიშნის მიხედვით:

ა) „ა"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ბ"-საგან 5000 ლარის დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ მან ეს თანხა სესხად გადასცა მოპასუხეს, გავიდა თანხის უკან დაბრუნების ვადა, რომელიც სესხის ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული, მაგრამ მოპასუხე ფულს არ აბრუნებს.

ბ. „ბ"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ა"-სთან დადებული ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მოთხოვ-

ნას მოსარჩელე იმით ასაბუთებდა, რომ ნარდობის ხელშეკრულებით მოპასუხეს მისთვის უნდა აეშენებინა სათბური. შემკვეთის მიერ არაერთგზის წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, მენარდე სამუშაოს არაჯეროვნად ასრულებდა და უხეშად არღვევდა ხელშეკრულების პირობებს.

გ) „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან საცხოვრებელი სახლის ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობა. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ აღნიშნა, რომ უკვე სამი წელია, რაც მას დაკავებული აქვს მოპასუხის სახლში ორი ოთახი, რომელიც მისგან შეიძინა მარტივი წერილობითი ფორმით დადებული გარიგებით, გადაუხადა შეთანხმებული საზღაური, რის შესახებაც მოპასუხემ მისცა ხელწერილი, მაგრამ მოპასუხე მოსარჩელის მხრიდან არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, თავს არიდებს საჯარო რეესტრში „ა“-ს სახელზე შეძენილი ფართის რეგისტრაციას.

დ) 2011 წლის იანვარში „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „დ“-სთან ქორწინების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ მოპასუხე 2009 წლიდან იმყოფება სხვა რეგისტრირებულ ქორწინებაში, რის შესახებაც მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა სარჩელის აღძვრამდე ერთი კვირით ადრე.

ე) „ა“-მ რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე შპს „კ“-ის წინააღმდეგ, მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სასარჩელო განცხადებაში მან მიუთითა, რომ სამუშაოდან განთავისუფლებული იქნა შტატების შემცირების გამო, სინამდვილეში კი საწარმოში შტატების შემცირებას არ ჰქონია ადგილი, რამეთუ მის ადგილზე მეორე დღესვე მიიღეს სხვა მუშაკი. მისი განთავისუფლების რეალური მიზეზი ის გახლდათ, რომ მოითხოვდა შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას.

ვ) „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეუღლე „დ“-სთან განქორწინება. მოსარჩელემ აღნიშ-

ნა, რომ იგი მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება სამი წლის განმავლობაში, მაგრამ უკვე ორ წელზე მეტია, რაც იგი ქმრის მიერ ალკოჰოლური სასმელების სისტემატური გამოყენების გამო, ცხოვრობს ცალკე, სხვა ქალაქში და ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვს საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები.

ზ) „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-ს ბავშვის მამად ცნობა და მისთვის შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდის დაკისრება. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ აღნიშნა, რომ წელიწადზე მეტხანს იმყოფებოდა მოპასუხესთან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში, ისინი ერთად წარმართავდნენ საოჯახო მეურნეობას ბავშვის ჩასახვის მომენტში, მოპასუხე დაპირდა ცოლად შერთვას და ბავშვის მამობის აღიარებას, მაგრამ ბავშვის დაბადების შემდეგ უარი განაცხადა როგორც ცოლად მოყვანაზე, ისე ბავშვის მამობაზე.

თ) „ა-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ყოფილი მეუღლის „დ“-ს სასარგებლოდ დაკისრებული გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს ოდენობის შემცირება იმ მოტივით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მისი ჯანმრთელობა და ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდა და მას აღარ შეუძლია დადგენილი ოდენობის სარჩოს გადახდა.

კაზუსი №104

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-გან სესხად გადაცემული თანხის – 5000 ლარის უკან დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ სესხის ხელშეკრულებით თანხის დაბრუნების ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 1 აგვისტო და, მაშასადამე, ჯერ არ დამდგარა ვალდებულების შესრულების დრო.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №105

„ა-მ შრომის ხელშეკრულება დადო შპს „კ“ -სთან. ხელშეკრულების მიხედვით, შრომის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დამსაქმებელი უზრუნველყოფდა მუშაკს საცხოვრებელი ფართით სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელ სახლში. „ა“-ს გამოეყო საცხოვრებლად ოროთახიანი ბინა, რომელშიც იგი შესახლდა თავის ცოლთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად. შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, დამსაქმებელმა მოსთხოვა „ა“-ს სამსახურებრივი დანიშნულების ბინის დაცლა. „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა დაკავებულ საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების ცნობა. 2010 წლის 20 მარტს სასამართლომ განიხილა საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმ საფუძვლით, რომ სადავო ბინა სამსახურებრივ სარგებლობას ექვემდებარება და შრომის კონტრაქტის ვადის გასვლის გამო, მოსარჩელემ დაკარგა მისით სარგებლობის უფლება. მოსარჩელე ბინიდან გამოსახლებულ იქნა.

2011 წლის აპრილში „ა “-მ კვლავ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა იმავე საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების ცნობა. სასარჩელო განცხადებაში „ა“-მ აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ბინა ამჟამად უკავია ისეთ პირს, რომელიც არავითარ შრომით ურთიერთობაში არ იმყოფება დამსაქმებელთან. მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა „ა“-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? რა შემთხვევაში ჩაითვლება სარჩელი იგივეობრივად?

კაზუსი №106

2011 წლის 12 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-ს ბინიდან გამო-

სახლება და ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ დამქირავებელი უკვე ოთხი თვეა რაც არ იხდის ბინის ქირას. სასამართლოში 2011 წლის 5 მაისს საქმის განხილვისას, მოპასუხემ თანხმობა განაცხადა გადაეხადა ქირა ყოველთვიურად და პირობა დადო, რომ თანხის გადახდის ვადის გადაცილება შემდგომში აღარ მოხდებოდა. ამის გამო მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2012 წლის 20 იანვარს მოსარჩელემ კვლავ მიმართა სარჩელით რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს ბინიდან გამოსახლებისა და ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ბინის ქირის გადახდის შესახებ. მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა „ა-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოსამართლემ მოსარჩელეს შესთავაზა, რომ მას მიემართა ზემდგომი სასამართლოსათვის 2011 წლის 5 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ მოთხოვნით.

კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება? რა პირობების არსებობისას არის სარჩელები იგივეობრივი?

კაზუსი №107

2012 წლის 10 მარტს შპს „Y“ -ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ჟურნალ „X“-ისაგან შპს-ს საქმიანი რეპუტაციის შემბღალავი გავრცელებული ცნობების უარყოფა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ განჩინებით უარი განაცხადა

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ „ა“ არ იყო სათანადო მოსარჩელე.

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №108

2011 წლის ოქტომბერში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლითაც ერთ-ერთ თანამდებობის პირს - „დ“-ს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. მოგვიანებით სასამართლომ განიხილა „დ “-ს მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და მასზე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი კვირის შემდეგ „დ“ გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

გარდაცვლილი „დ“-ს მეუღლე „ქ“-მ 2012 წლის 10 თებერვალს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციის მიმართ, რომელმაც გაავრცელა გარდაცვლილი „დ“-ს პატივისა და ღირსების შემბღალავი ინფორმაცია და მოითხოვა ცნობების უარყოფა და „დ“-ს მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გამოქვეყნება.

მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა „ქ“-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ სასამართლოში სახელის, პატივისა და ღირსების შემბღალავი ცნობების უარყოფის შესახებ მოთხოვნა შეიძლება შეიტანოს მხოლოდ იმ პირმა, ვის შესახებაც ეს ცნობები გავრცელდა, ხოლო გარდაცვლილის სახელით ასეთი სარჩელის შეტანის უფლება მის მეუღლეს არ გააჩნია.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №109

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ მიწის ნაკვეთის გამოყო-

ფისა და სარგებლობის წესის დადგენის შესახებ. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად. განჩინებაში მოსამართლემ მოსარჩელეს შესთავაზა, რათა მას მიემართა მიწის მართვის რეგიონალური სამსახურისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფისა და სარგებლობის წესის განსაზღვრისათვის.

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №110

2012 წლის 10 მარტს ,,ა''-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეუღლე ,,ბ''-სთან განქორწინება. მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა ,,ა''-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ განსაქორწინებელ მეუღლეებს არ ჰყავდათ არასრულწლოვანი შვილები, ამიტომაც განქორწინება უნდა განხორციელებულიყო სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ.

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №111

2011 წლის 10 მარტს ,,ა''-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეუღლე ,,დ''-სთან განქორწინება, აგრეთვე ქორწინების განმავლობაში შეძენილი სამი მცირეწლოვანი ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე ბოროტად იყენებდა ალკოჰოლურ სასმელებს და არავითარ ყურადღებას არ იჩენდა შვილების აღზრდის მიმართ. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლემ დანიშნა მოსამზადებელი სხდომა. მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ უარი განაცხადა

სარჩელზე. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ექვსი თვის შემდეგ „ა“-მ კვლავ მიმართა სარჩელით რაიონულ სასამართლოს „დ“-სთან განქორწინებისა და მისთვის სამი მცირეწლოვანი ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ იმ მოტივით, რომ „დ“ კვლავ აგრძელებდა ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენებას, სამუშაოს თავი მიანება, სცემდა ბავშვებს და აიძულებდა მათ, რომ მაწანწალობით ერჩინათ თავი. მისი მოქმედების ატანა უკვე შეუძლებელი იყო, რამეთუ უარყოფით გავლენას ახდენდა ბავშვების აღზრდასა და ჯანმრთელობაზე.

მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სსსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, „სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ არსებობს სასამართლოს განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ“.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? აქვს თუ არა „ა“-ს უფლება მოცემულ შემთხვევაში მიმართოს სარჩელით სასამართლოს? იგივეობრივია თუ არა, „ა“-ს მიერ წარდგენილი პირველი და მეორე სარჩელი?

კაზუსი №112

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს, მოითხოვა მეუღლე „ბ“-სთან განქორწინება, აგრეთვე ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილი 50000 ლარად ღირებული საცხოვრებელი სახლის ნატურით გაყოფა. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი.

საქმის მომზადების ეტაპზე, მოპასუხემ წერილობით შესაგებელთან ერთად სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოსარჩელე შვილებთან ერთად ცხოვრობს ცალკე სამოთახიან ბინაში, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო თავისი ბებიისაგან, ამიტომაც არ საჭიროებს დამატებით საბინაო

ფართის გამოყოფას. მოპასუხის შესაგებლის გაცნობის შემდეგ მოსარჩელემ შეცვალა სასარჩელო მოთხოვნა და სახლის ნატურით გაყოფის ნაცვლად, მოითხოვა თავისი წილის ღირებულების -25000 ლარის გადახდა.

მოსამართლემ შესთავაზა მოსარჩელეს მოთხოვნის შეცვლის გამო ახალი სარჩელის შეტანა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №113

შპს „X“-ის კუთვნილი ავტომანქანით მძღოლმა “ბ“-მ „ა“-ს მიაყენა მატერიალურ ზიანი. დაზარალებულმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს ზიანის მიმყენებელი მძღოლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოსამართლემ უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ მძღოლი არის არასათანადო მოპასუხე, ამიტომაც შესთავაზა მოსარჩელეს, სარჩელი შეეტანა სათანადო მოპასუხის ანუ იმ შპს-ის იურიდიული მისამართის მიხედვით, ვისაც ეკუთვნოდა ავტომანქანა.

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №114

2012 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს, მოითხოვა მეუღლე „ბ“-სთან განქორწინება და არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრება.

მოსამართლემ განჩინებით არ მიიღო სარჩელი წარმოებაში იმ მოტივით, რომ მოპასუხე ცხოვრობდა უკრაინაში და შესაბამისად, სარჩელი შეტანილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში არა მოსარჩელის, არამედ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №115

კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე კოოპერატივის წევრობიდან გარიცხა „ა“ და მიიღო დადგენილება მისი პაის ღირებულების ფულადი თანხით ანაზღაურების შესახებ.

„ა“-მ საერთო კრების გადაწყვეტილებაზე რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, მოითხოვა კოოპერატივის წევრად აღდგენა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ განჩინებით არ მიიღო სარჩელი წარმოებაში იმ მოტივით, რომ კოოპერატივის წევრთა საქმიანობა წესრიგდება კოოპერატივის წესდებით, წევრის გარიცხვის შემთხვევაში წესდებით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება სასამართლოში არ დაიშვება.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №116

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-სთან დადებული ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტა აგრეთვე მიცემული ავანსის-1000 ლარის უკან დაბრუნება. თავის მოთხოვნას შემკვეთი იმით ასაბუთებდა, რომ მენარდე დროულად არ შეუდგა სამუშაოს შესრულებას, რის გამოც შემკვეთმა სამუშაოს შედეგის მიმართ ინტერესი დაკარგა.

მოსამართლემ განჩინებით უმოძრაოდ დატოვა სარჩელი, რამეთუ მოსარჩელემ არ დაურთო სასარჩელო განცხადებას თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები:

1) ნარდობის ხელშეკრულების ასლი;

2) ავანსის მიღების შესახებ ხელწერილი;

3) წერილობითი გაფრთხილება სამუშაოს შესრულების დროულად დაწყების შესახებ და ა. შ.

მართებულია თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება?

კაზუსი №117

2011 წლის 10 ნოემბერს „ა“-მ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე „ბ“-საგან შეიძინა ავტომანქანა. 2011 წლის 25 ნოემბერს შსს-ის მომსახურების სააგენტოში მანქანის გადაფორმებისას დადგინდა, რომ ავტომანქანა მოპარული იყო „დ“-საგან, რის გამოც მანქანა ამოღებულ იქნა „ა“-საგან და დაუბრუნდა „დ“-ს. 2012 წლის 15 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „დ“-საგან მანქანის ღირებულების ანუ „ბ“-სათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა „ა“-ს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ იგი შეტანილ იქნა არასათანადო მოპასუხის მიმართ.

სწორია თუ არა მიღებული განჩინება?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №118

2012 წლის 10 მარტს ავტოსატრანსპორტო გაერთიანებამ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ბ“-საგან დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსამართლემ განჩინებით უმოძრაოდ დატოვა სასარჩელო განცხადება და მოსარჩელეს მისცა 10-დღიანი ვადა, რათა მას გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი, აგრეთვე სარჩელისათვის დაერთო „ბ“-ს მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ასლი.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

კაზუსი №119

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან

სარჩოს(ალიმენტის) გადახდა ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით. მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზრდიდა და არჩენდა მოპასუხეს, ამჟამად კი შრომისუუნაროა და საჭიროებს მატერიალურ დახმარებას. იმის გამო, რომ სარჩელს თან არ ერთვოდა მტკიცებულებები, მოსამართლემ განჩინებით სარჩელი უმოძრაოდ დატოვა და შესთავაზა მოსარჩელეს 5 დღის ვადაში სარჩელისათვის დაერთო მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ იგი შრომისუუნაროა და საჭიროებს მატერიალურ დახმარებას. მოსამართლის მიერ დადგენილ ვადაში, მოსარჩელემ ვერ შეძლო მტკიცებულებების წარდგენა, რის გამოც მოსამართლემ მას ფოსტით უკან გადაუგზავნა სასარჩელო განცხადება.

ერთი თვის შემდეგ „ა“-მ კვლავ მიმართა რაიონულ სასამართლოს იმავე მოთხოვნით და სარჩელს თან დაურთო ყველა საჭირო მტკიცებულება. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, განიხილა არსებითად და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რითაც მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელისათვის სარჩოს გადახდა სასარჩელო განცხადების მეორედ შეტანის დღიდან.

რა დარღვევები იქნა დაშვებული მოსამართლის მიერ მოცემულ საქმეზე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №120

„ა“-ს გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილმა სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – ანდერძისმიერი მემკვიდრე „ბ“-ს წინააღმდეგ სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის გამოყოფის თაობაზე. მოპასუხეს წარმოადგენდა მამკვიდრებლის 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელმაც ანდერძით მიიღო მთელი სამკვიდრო ქონება.

მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა „ა“-ს სარჩელის

წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ იგი შეტანილი იყო არასრულწლოვანი პირის მიმართ.

მართებულია თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება?

კაზუსი №121

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ყოფილი მეუღლის „ბ“-სათვის ალიმენტის გადახდის დაკისრება. მოსამართლემ განჩინებით არ მიიღო სარჩელი წარმოებაში იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ სარჩელში არ მიუთითა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი, ასევე არ წარადგინა მოპასუხის ხელფასის ოდენობის შესახებ ცნობა.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №122

2011 წლის 10 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მეუღლე „დ“-სთან განქორწინების შესახებ. მოსამართლემ განჩინებით არ მიიღო სარჩელი წარმოებაში იმ საფუძვლით, რომ „ა“ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენების გამო სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა შეზღუდულქმედუნარიანად და მას მზრუნველად დანიშნული ჰყავდა მეუღლე „დ“, ამიტომაც განქორწინების შესახებ სარჩელის შესატანად „ა“-ს ესაჭირებოდა მეუღლის, როგორც მზრუნველის თანხმობა. მოსამართლემ ასევე მიუთითა, რომ „ა“ სსსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად პროცესუალურად ქმედუუნარო პირია.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №123

2011 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-სგან ივნარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. რამდენიმე დღის შემდეგ, იმავე სასამართლოს სარჩელით მიმართა უკვე „ბ“-მ და მოითხოვა „ა“-სთან დადებული ივნარის ხელშეკრულების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

„ბ“-მ სასამართლოს მიმართა წერილობითი შუამდგომლობით სარჩელების გაერთიანების შესახებ, რამეთუ საუბარია ერთი და იმავე ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობაზე, ხოლო სასარჩელო მოთხოვნების ცალ-ცალკე განხილვამ შეიძლება გამოიწვიოს საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

მოსამართლემ განჩინებით უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნების ერთ წარმოებად გაერთიანებაზე იმ მოტივით, რომ „ა“-ს სარჩელზე დანიშნულია ექსპერტიზა და ამან შეიძლება გამოიწვიოს მეორე სარჩელის განხილვის გაჭიანურება.

ხომ არ იქნა დაშვებული შეცდომები მოსამართლის მხრიდან მოცემულ საქმეზე?

კაზუსი №124

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ მოპასუხეების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შრომისუუნარო მშობლებისა და ყოფილი მეუღლისათვის გადასახდელი სარჩოს (ალიმენტის) ოდენობის შემცირება. თავის მოთხოვნას მოსარჩელე იმით ასაბუთებდა, რომ უკვე ორი წელია იხდის სარჩოს, მაგრამ ამჟამად მისი ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდა და მას აღარ შეუძლია დადგენილი ოდენობით სარჩოს გადახდა.

მოსამართლემ განჩინებით უარი განაცხადა სარჩელის წარ-

მოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ საქმე უნდა განეხილა იმავე სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება ალიმენტის (სარჩოს) გადახდის დაკისრების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №125

2012 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე “ბ“-საგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ გამოარკვია, რომ სასარჩელო განცხადებაში არ იყო მითითებული მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი, სარჩელს თან არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ამიტომაც გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, თანაც მოსარჩელეს ურჩია, რომ მას დახმარებისათვის მიემართა იურიდიული კონსულტაციისათვის (ადვოკატურისთვის).

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე მოცემულ შემთხვევაში?

კაზუსი №126

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მეუღლე „ბ“-სთან განქორწინების შესახებ. სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა. სასამართლოში მოსამზადებელ სხდომაზე საქმის განხილვისას, მოსამართლემ მხარეებს შესთავაზა შერიგებულიყვნენ და არ დაენგრიათ ოჯახი. მეუღლეებმა თანხმობა გამოთქვეს შერიგებაზე. მოსამართლემ ეს ფაქტი მორიგებად მიიჩნია და გამოიტანა განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცებს გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მართებულად მოიქცა თუ არა მოსამართლე? რას ნიშნავს მხარეთა მორიგება?

კაზუსი №127

2011 წლის 10 მარტს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა „ა“-მ და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. სასამართლოში საქმის მოსამზადებელ სხდომაზე განხილვისას, მოპასუხემ თანხმობა განაცხადა ნებაყოფლობით გადაეხადა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანისათვის 3000 ლარი. მოსამართლემ მოპასუხის ქმედება მხარეთა მორიგებად მიიჩნია და გამოიტანა განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კანონიერია თუ არა მიღებული განჩინება?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №128

სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხის წარმომადგენელმა განაცხადა:

ა)მოსარჩელე შეზღუდულქმედუნარიანია და დამოუკიდებლად არ შეუძლია აწარმოოს საქმე;

ბ)სასარჩელო მოთხოვნა არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით;

გ) მოსარჩელის მოთხოვნის მიმართ გასულია ხანდაზმულობის ვადა;

დ) მოსარჩელე არასწორად განმარტავს სამოქალაქო სამართლის ნორმებს;

ე) მოსამართლე მოსარჩელის დანიშნულის მამაა, ამიტომაც იგი ვერ იქნება მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

მოპასუხის ზემოთ ჩამოთვლილი შესაგებლებიდან რომელი მიეკუთვნება მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს?

კაზუსი №129

2012 წლის 8 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან 3000 ლარის უკან დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ 2009 წლის შემოდგომაზე ის შეუთანხმდა მოპასუხეს, რომ მისგან შეიძენდა აგარაკს ხეხილიანი ბაღით 80000 ლარად და წინასწარ გადაუხადა ბეს სახით თანხის ნაწილი- 5000 ლარის ოდენობით. შემდგომში გარიგება ჩაიშალა. მოპასუხემ უკან დაუბრუნა მოსარჩელეს 2000 ლარი, ხოლო 3000 ლარის დაბრუნებაზე კი უარი განაცხადა. მოპასუხემ თავის წერილობით განმარტებაში არ ცნო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე ერთი წლის განმავლობაში სარგებლობდა აგარაკით, გარდა ამისა, ბაღიდან მოკრიფა ვაშლის მოსავალი.

არის თუ არა ამ შემთხვევაში მოპასუხის განმარტება შესაგებელი? რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოპასუხის შესაგებელი?

კაზუსი №130

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3000 ლარის გადახდა. მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში, თავის მხრივ შეიტანა „ა“-ს მიმართ შეგებებული სარჩელი და მოითხოვა მიწოდებული კომბინირებული საკვების ღირებულების – 2000 ლარის გადახდა.

მოსამართლემ განჩინებით უარი განაუცხადა „ბ“-ს შეგებებული სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ თავდაპირველ და შეგებებულ სარჩელებს სხვადასხვა საფუძველი გააჩნდათ და ამიტომაც მათი ერთად განხილვა გამოიწვევდა თავდაპირველი სარჩელის განხილვას გაჭიანურებას.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №131

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა თავისი მეუღლე „დ“-სათვის ბავშვის სასარგებლოდ ყოველთვიურად ასი ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდის დაკისრება. სასარჩელო მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ 2008 წლიდან მოპასუხესთან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, ჰყავთ გოგონა, რომელიც ამჟამად 2 წლისაა, ხოლო მოპასუხე კი ბავშვს არანაირ მატერიალურ დახმარებას არ უწევს.

მოპასუხე „ დ“-მ სასამართლოში შეიტანა შეგებებული სარჩელი მამობის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ.

საქმის განმხილველმა მოსამართლემ, მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ ალიმენტის გადახდის დაკისრების შესახებ საქმეები განხილულ უნდა იქნეს სარჩელის წარმოებაში მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, განჩინებით უარი უთხრა მოპასუხეს შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. თანაც ურჩია მოპასუხეს, რომ მას მამობის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი შეეტანა სასამრთლოში მას შემდეგ, რაც განხილული იქნებოდა საქმე ალიმენტის დაკისრების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? როგორია შეგებებული სარჩელის აღძვრის წესი?

კაზუსი №132

საცხოვრებელი სახლის გამქირავებელმა „დ“-მ 2012 წლის 18 იანვარს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლებისა და ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მიყენებული 1000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. თავის მოთხოვნას მოსარჩელე იმით ასაბუთებდა, რომ მოპასუხე არ იხდიდა დადგენილი ქირას, არ უვლიდა ბინას და არ ჩაატარა მიმდინარე რემონტი. სასარჩელო განცხადებას მო-

სარჩელემ არ დაურთო რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სარჩელში მოყვანილ გარემოებებს. მოსამართლემ საქმის მომზადების ეტაპზე მოპასუხის შესაგებლის მიღების შემდეგ, ზეპირი ახსნა-განმარტებები მოისმინა მოსარჩელისაგან და მიიჩნია რა, რომ აღარ არის საჭირო საქმეზე რაიმე მოსამზადებელი მოქმედებების განხორციელება, განჩინებით დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. ამასთან, მოსამართლემ დაავალა მოსარჩელეს, რომ მას დროულად შეეტყობინებინა მოპასუხისათვის საქმის განხილვის თარიღი.

რა შეცდომები იქნა დაშვებული მოსამართლის მიერ?

კაზუსი №133

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მეუღლის „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა განქორწინება. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების ეტაპზე, მოპასუხე „ბ“-მ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს „ა“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილი ქონების გაყოფა.

რა არის შეგებებული სარჩელი? უნდა მიიღოს თუ არა მოსამართლემ წარმოებაში შეგებებული სარჩელი?

კაზუსი №134

2011 წლის 10 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით გადაცემული თანხის – 6000 ლარის დაბრუნება. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც აცნობა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქ-

მის განხილვის 10 დღით გადადების შესახებ იმ მოტივით, რომ სურდა შეეტანა მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი, რამეთუ მან მოსარჩელეს ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეუსრულა ექვსი ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, რომელიც მოსარჩელემ არ აუნაზღაურა. შეგებებული სარჩელის დასასაბუთებლად კი მოპასუხეს გარკვეული მტკიცებულებების შეგროვება სჭირდებოდა.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე? როგორია შეგებებული სარჩელის აღძვრის წესი?

კაზუსი №135

2012 წლის 10 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეუღლე „ბ“-სთან განქორწინება. სასარჩელო მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ მოპასუხესთან ორი წლის განმავლობაში იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, ისინი ერთად ცხოვრობენ საერთო სახსრებით შეძენილ სახლში, მაგრამ ხასიათის შეუთავსებლობის გამო ვერ უგებენ ერთმანეთს და თითქმის ყოველდღიურად ჩხუბობენ. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების ეტაპზე მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა საცხოვრებელი სახლიდან მოსარჩელის გამოსახლება იმ საფუძვლით, რომ შეუძლებელია მათი ერთად ცხოვრება, რადგან მოსარჩელე ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელს, სახლში გვიან ბრუნდება და ტეხს დებოშს. .

უნდა მიიღოს თუ არა მოსამართლემ შეგებებული სარჩელი წარმოებაში?

კაზუსი №136

„ა“-სა და „ბ“-ს შორის 2010 წლის 10 მაისს წერილობითი ფორმით დაიდო საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკ-

რულება. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა-„ა“-მ გადაუხადა გამყიდველ “ბ“-ს ბინის შეთანხმებული ფასი, დაიწყო ცხოვრება ნაყიდ ბინაში, თუმცა არ მომხდარა შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული დარჩა გამყიდველი „ბ“. მყიდველმა „ა“-მ ნაყიდ ბინაში ჩააბარა 20000 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. მხარეთა შორის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ „ბ“-მ აღნიშნული ბინა სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა „დ“-ს, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა ბინის მესაკუთრედ. „დ“-მ, როგორც ბინის მესაკუთრემ, სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ა“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისი ბინიდან გამოსახლება. სასამართლომ სარჩელი მიიღო წარმოებაში და საქმის მომზადების მიზნით გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. მოპასუხე „ა“-მ შეგებებული სარჩელი შეიტანა „ბ“-ს მიმართ და მოითხოვა სადავო ბინაში დაბრუნებული თანხის ღირებულების დაბრუნება, აგრეთვე გაწეული ბინის სარემონტო ხარჯების ანაზღაურება. სასამართლომ განჩინებით შეგებებული სარჩელი მიიღო წარმოებაში და „დ“-ს სარჩელთან ერთად განიხილა. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა „დ“-ს სარჩელი და „ა“ გამოასახლა სადავო ბინიდან, აგრეთვე დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი- „ბ“-ს დაეკისრა „ა“-ს სასარგებლოდ ბინისა და სარემონტო სამუშაოების ღირებულების გადახდა. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ბინიდან „ა“-ს გამოსახლება უნდა მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა „ბ“ „ა“-ს გადაუხდიდა სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხას.

რა შეცდომები დაუშვა რაიონულმა სასამართლომ შეგებებული სარჩელის მიღებისას და საქმის გადაწყვეტაში? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №137

შპს „X“-მა სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ა“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა იძულებითი აღსრულება მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკით იყო დატვირთული მოპასუხის ბიძის– „დ“-ს მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად. მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ იპოთეკის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განხორციელებული იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის საფუძველზე; აუცილებელი საბუთების ხელმოწერისას „ა“ მოქმედებდა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე; „დ“-მ სესხი ვადაში ვერ დაფარა და საზღვარგარეთ გაემგზავრა, მისი ადგილსამყოფელი კი უცნობი იყო.

„ა“-მ სარჩელი არ ცნო, თავის მხრივ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „X“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ მისი ხელმოწერა სანოტარო წესით დამოწმებულ საბუთზე გაყალბებული იყო, რადგან იპოთეკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ნოტარიუსთან იმყოფებოდა სხვა პიროვნება და არა თავად იგი.

რაიონულმა სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს შეგებებული სარჩელი და საქმის მომზადების მიზნით თავისი ინიციატივით დანიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა. ექსპერტიზამ დაადასტურა ხელმოწერის გაყალბების ფაქტი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო სარჩელთან და შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №138

2011 წლის 20 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „დ“-ს წინააღმდეგ უკანონო მფლობელობიდან მუსიკალური ცენტრის გამოთხოვის თაობაზე. სასამართლომ გან-

ჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. მოპასუხე „დ“-მ შეგებებული სარჩელი შეიტანა „ა“-ს მიმართ სადავო ნივთზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. სასამართლომ წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელიც, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, რის შესახებაც აცნობა მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე თავდაპირველმა მოსარჩელე „დ“-მ უკან გამოიხმო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მას ამ ეტაპზე აღარ სურდა სარჩელის სასამართლოში განხილვა. მოპასუხე „ა“ დაეთანხმა მოსარჩელის მიერ სარჩელის უკან გამოხმობას, თუმცა მოითხოვა შეგებებული სარჩელის განხილვა და დაკმაყოფილება.

საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიჩნია,რომ მოსარჩელე „დ“-მ უარი თქვა სარჩელზე, ამიტომ ამ საფუძვლით განჩინებით შეწყვიტა საქმის წარმოება, ხოლო “ა“-ს შეგებებული სარჩელი კი დატოვა განუხილველად იმ მოტივით, რომ პირვანდელი და შეგებებული სარჩელი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს ერთდროულად და ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, თავდაპირველი სარჩელის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, ამიტომაც შეგებებული სარჩელის განხილვაც ვეღარ მოხდება. „დ“-მ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე მის გამომტან სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ მას უარი კი არ უთქვამს სარჩელზე, არამედ მხოლოდ ამ ეტაპზე არ სურს სარჩელის განხილვა, რაც სრულიადაც არ ნიშნავს მის მიერ სარჩელზე საერთოდ უარის თქმას ამიტომ, სასამართლოს საქმე კი არ უნდა შეეწყვიტა, არამედ სარჩელი უკან უნდა დაებრუნებინა მისთვის.

შეგებებული სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებგანჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა “ა“-მაც, მოითხოვა მისი გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და შეგებებული სარჩელის განხილვა.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო მხარეთა მიერ შეტანილ კერძო საჩივრებს? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი№139

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2011 წლის 6 მაისს განცხადებით მიმართა „დ“-მ მეუღლის- „ა“-ს წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ აპირებს სარჩელის აღძვრას მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების– ქალაქ თბილისში, ბახტრიონის №X-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გაყოფის თაობაზე და მოითხოვა შესაბამისად სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება – ქონებაზე ყადაღის დადება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 მაისის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა და ქალაქ თბილისში, ბახტრიონის №„X“-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს ყადაღა დაედო. მოსამართლემ თავისი ინიციატივით „დ“-ს განუსაზღვრა სარჩელის აღძვრისათვის 7 დღის ვადა. „ა“-მ სასამართლოს 2011 წლის 8 მაისის განჩინება ჩაიბარა 12 მაისს. „ა“-მ 2011 წლის 20 მაისს „ა“-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიტანა კერძო საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით. სასამართლომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია და 2011 წლის 10 ივნისის განჩინებით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

შეაფასეთ სასამართლოსა და მხარეთა მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება.

კაზუსი №140

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 ივნისის განჩინებით „ა“-ს განცხადება დაკმაყოფილდა და თბილისში, ზანდუკელის №X-ში მდებარე საცხოვრებელი სახლს ყადაღა დაედო. მოპასუხე „ბ“–მ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინება ჩაიბარა 2011 წლის 12 ივნისს. 2011 წლის 28 ივნისს „ბ“-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისა და მოსარჩელისათვის სასამართლო სადეპოზიტო ანგარიშზე 80. 000 ლარის ოდენობის თანხის დადების დაკისრების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებით „ბ“-ს განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და „ა“-ს დაეკისრა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე 40. 000 ლარის გარანტიის შეტანა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. “ა“-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ივლისის განჩინება ჩაიბარა 2011 წლის 7 ივლისს, მეორე დღეს კი იგი გაასაჩივრა საჩივრით და მოითხოვა გარანტიისაგან განთავისუფლება. 2011 წლის 4 ივლისს მიიღებული განჩინება საჩივრით ასევე გაასაჩივრა “ბ“-მაც, რომელმაც მოითხოვა მისი განცხადების სრულად დაკმაყოფილება და მოპასუხისათვის უზრუნველყოფის გარანტიის სახით 80. 000 ლარის სრულად გადახდის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებით მათი საჩივრები მიიღო წარმოებაში,არ დააკმაყოფილა ისინი და დაუსაბუთებლობის გამო გადაგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

შეაფასეთ სასამართლოსა და მხარეთა მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება.

კაზუსი №141

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით „დ“-ს განცხადება დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხე „ბ“-ს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, მდებარე თბილისში,დოლიძის №„X“-ში. მოპასუხე „ბ“-მ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინება ჩაიბარა 2011 წლის 27 დეკემბერს. 2012 წლის 3 იანვარს „ბ“-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა საჩივრით და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საჩივარი წარმოებაში მიიღო 2012 წლის 8 იანვარს და საკუთარი ინიციატივით, მოსარჩელეს მოსთხოვა სარჩელის უზრუნველყოფის გარანტია 10. 000 ლარის ოდენობით, რომლის განხორციელებისათვის განუსაზღვრა 10 დღიანი ვადა. მოსარჩელემ არ შეასრულა სასამართლოს დავალება გარანტის შეტანასთან დაკავშირებით, არ შეიტანა თანხა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლკოს მოსამართლემ 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოპასუხის საჩივართან ერთად გადაავზავნა ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოში.

შეაფასეთ სასამართლოსა და მხარეთა მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №142

2011 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა „ა“-ს სარჩელი მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ: „ა“ ცნობილი იქნა მცხეთაში მდებარე ბინის 1/2 წილის მესაკუთრედ იმ საფუძვლით, რომ სადავო ქონება მხარეებს შეძენილი ჰქონდათ ქორწინების განმავლობაში ერთად ცხოვრების პერიოდში. სარჩელის განხილვისას „ა“-მ აგრეთვე

მოითხოვა სარჩელის უზურნველყოფის მიზნით ყადაღის დადება სადავო ბინაზე, მაგრამ სასამართლოს განჩინებით აღნიშნული არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ „ა“-სათვის ცნობილი გახდა, რომ საქმის განხილვის პერიოდში „ბ“-მ სადავო ბინა აჩუქა თავის დას „ლ“-ს. „ა“-მ მიმართა სასამართლოს ახალი სარჩელით და მოითხოვა „ბ“-სა და „ლ“-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ამავე დროს ყადაღის დადება სადავო ბინაზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა „ა“-ს განცხადება ყადაღის დადების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ „ბ“-ს დამ- „ლ“-მა ნაჩუქარი ბინა გაყიდა „გ“-ზე. ამ ამბის შეტყობინებისთანავე ა“-მ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა: „ლ“-სა და „გ“-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, „ბ“-სა და „ლ“-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო ბინის 1/2 წილის აღრიცხვა მოსარჩელის საკუთრებაში. „ა“-მ ასევე მიმართა სასამართლოს განცხადებით და მოითხოვა ყადაღის დადება სადავო ბინაზე.

სასამართლომ განცხადება ყადაღის დადების შესახებ განუხილველად დატოვა იმ საფუძვლით, რომ სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ყადაღის დადების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება მის გამომტან სასამართლოში “ა“-მ გაასაჩივრა საჩივრით, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო „ა“-ს საჩივართან და სარჩელთან დაკავშირებით? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №143

სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, 2011 წლის 20 მაისს „ა“-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა „ბ“-ს საცხოვრებელ სახლზე ყადაღის დადება, მისთვის საცხოვრებელი სახლის გაქირავებისა და სარგებლის მიღების აკრძალვა. მოსამართლემ განცხადებით დააკმაყოფილა „ა“-ს მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ამასთან მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მისდგომოდა ზიანი და იმავდროულად „ა“-ს მოთხოვა „ბ“-სათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის სახით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 10. 000 ლარის შეტანა. განჩინებაში, „ა“-ს განესაზღვრა ორი კვირის ვადა სარჩელის აღსაძრავად და თუ იგი დანიშნულ ვადაში არ აღძრავდა სარჩელს, ანდა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღეში არ განახორციელებდა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, სასამართლო გააუქმებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. „ა“-მ სასამართლოში სარჩელი შეიტანა უზრუნველყოფის განჩინების გადაცემიდან მე-8 დღეს, მაგრამ „ბ“-სათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა არ განახორციელა. იმის გამო, რომ „ბ“-მ არ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, სასამართლომ თავისი ინიციატივით არ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სარჩელის წარმოებაში მიღებიდან ერთი თვის შემდეგ „ბ“-მ სასამართლოს მიმართა წერილობითი განცხადებით და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. სასამართლომ „ბ“-ს დაუდგინა ხუთი დღის ვადა ხარვეზის შესავსებად და მოსთხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა. „ბ“-მ დადგენილ ვადაში ხარვეზი ვერ შეავსო, რის გამოც სასამართლომ გამოიტანა განჩინება

განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამ განჩინებაზე „ბ“-მ მის გამომტან სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი, რომელიც სასამართლომ განიხილა მისი შეტანიდან მე-19 დღეს, არ დააკმაყოფილა იგი და განჩინებით 5 დღის ვადაში საქმესთან ერთად გადააგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №144

2011 წლის 10 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად მიცემული თანხის- 150. 000 ლარის დაბრუნება. იმავდროულად „ა“-მ წერილობითი განცხადებით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაც. „ა“-მ სარჩელში მიუთითა, რომ მოპასუხემ მისგან 2010 წლის 10 მარტს ექვსი თვის ვადით სესხად აიღო 150. 000 ლარი, თუმცა კი ვადის გასვლის შემდეგ აღარ დააბრუნა. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში მიუთითა, რომ როგორც მისთვის გახდა ცნობილი, მოპასუხე ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით აპირებდა ქონების გასხვისებას და საზღვარგარეთ საცხოვრებლად გამგზავრებას. მოპასუხეს საკუთრებაში გააჩნდა ავტობუსი, რომლითაც ახორციელებდა მგზავრების გადაყვანას და იღებდა შემოსავალს, აგრეთვე ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინა მდებარე ქალაქ თბილისში X ქუჩაზე, გარდა ამისა, იგი იყო შპს „X“-ის ერთადერთი დამფუძნებელი და ფლობდა შპს „X“-ის 100%-იან წილს. თავის მხრივ შპს „X“-ის საკუთრებაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო 20000 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთი, შესაბამისად „ა“-მ მოითხოვა ყადაღის დადება მოპასუხის საკუთრებაში მყოფ ავტობუსზე, აგრეთვე საჯარო რეესტრში შპს „X“-ის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

იმის გამო, რომ სარჩელს თან არ ერთვოდა სახელმწიფო

ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეს განჩინებით სარჩელზე დაუდგინა ხარვეზი და მოსთხოვა სახელმწიფო ბაჟის სახით დავის საგნის ღირებულების 3%-ის- 4500 ლარის გადახდა, აგრეთვე სარჩელის და თანდართული დოკუმენტების დამატებით ერთი ასლის წარმოდგენა მოპასუხისათვის გადაგზავნის მიზნით, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე მოსაზრებისა და იმ სამართლებრივი საფუძვლების მითითება, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებდა თავის მოთხოვნებს.

რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელე „ა“-ს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, აგრეთვე დაუდგინა ხარვეზი და მოსთხოვა სახელმწიფო ბაჟის სახით 150 ლარის გადახდა, ვინაიდან განცხადებით მოსარჩელე ითხოვდა იურიდიული პირის – შპს „X“-ის სახელზე რეგისტრირებულ ქონებაზე ყადაღის დადებას, ასევე მოსთხოვა საცხოვრებელი ბინისა და მიწის ნაკვეთის მოპასუხის საკუთრებაში არსებობის თაობაზე საჯარო რეესტრიდან ცნობის წარმოდგენა, ბოლო ავტობუსზე მოპასუხის საკუთრების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან ცნობის წარმოდგენა.

მოსარჩელემ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი სარჩელის ხარვეზი, აგრეთვე გადაიხადა უზრუნველყოფის შესახებ განცხადებისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ბაჟი, თუმცა კი არ წარადგინა სასამართლოში მოპასუხის საკუთრებაში ავტობუსის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება. რაიონულმა სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება კი სრულად დააკმაყოფილა. რაიონულმა სასამართლოს მოსამართლემ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ, სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ორჯერ გაუგზავნა მოპასუხეს სარჩელში მითითებულ მის მისამართზე(საცხოვრებელ ადგილას). ერთ შემთხვევაში ფოსტის ხოლო მეორე შემთხვევაში კი სასამართლო კურიერის მიერ

სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა საცხოვრებელ ადგილას მოპასუხის არ ყოფნის გამო, რის გამოც სასამართლომ განჩინებით სარჩელი განუხილველად დატოვა და ამავე განჩინებით გააუქმა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

მოსარჩელე „ა“-მ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ ნაწილში, სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში კი – საჩივრით.

რაიონულმა სასამართლომ კერძო საჩივარი განსახილველად გადაუგზავნა ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოს, ხოლო საჩივარი კი განიხილა, განჩინებით უარი უთხრა „ა“-ს მის დაკმაყოფილებაზე და დაუსაბუთებლობის მოტივით, განჩინების მიღებიდან მეექვსე დღეს, საჩივარიც განსახილველად გადაუგზავნა ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოს.

შეაფასეთ რაიონული სასამართლოს მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №145

შეუძლია თუ არა მოსამართლეს, სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების დროს, განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ა) გამოიტანოს განჩინება არასათანადო მხარის სათანადო მხარით შეცვლის შესახებ;

ბ) გამოიტანოს განჩინება დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

გ) გამოითხოვოს ის წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები საქმეზე, რომლებიც ვერ წარადგინეს მხარეებმა;

დ) უარი თქვას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე;

ე) დატოვოს სარჩელი განუხილველად;

ვ) შეწყვიტოს საქმის წარმოება.

კაზუსი №146

2012 წლის 26 იანვარს რაიონულმა სასამართლომ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების სტადიაზე, გამოიტანა განჩინება მოსარჩელის გარდაცვალების გამო, საქმეში მისი უფლებამონაცვლის ჩართვამდე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

დაიშვება თუ არა საქმის მომზადების სტადიაზე საქმის წარმოების შეჩერება?

კაზუსი №147

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეუღლე „ბ“-საგან ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილი ქონების გაყოფა. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების დროს, მოსამართლე გაეცნო რა სარჩელესა და მოპასუხის შესაგებელში მოყვანილ გარემოებებს,დაადგინა,რომ სასამართლო სხდომის მდივანი მოპასუხესთან იმყოფება ახლო ნათესაურ დამოკიდებულებაში. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლემ თავისი ინიციატივით გამოიტანა განჩინება სხდომის მდივნის აცილების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №148

2012 წლის 10 მარტს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების დროს, მოსამართლე გაეცნო რა მოსარჩელის მოთხოვნას და მოპასუხის შესაგებელს, განჩინებით დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, სადაც მხარეებს განუმარტა, რომ მათ უფლება აქვთ დავა დაამთავრონ მორიგებით. მხარეები დაეთანხმნენ მოსამართლის შეთავაზებას და წარუდგინეს წერილობითი ფორმით შედგენილი მორიგების

აქტი. მოსამართლემ დაამტკიცა მხარეთა მორიგება და გამოიტანა განჩინება დავის საგნის არ არსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? შეიძლება თუ არა საქმის მომზადების სტადიაზე მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა?

კაზუსი №149

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით, მოსამართლემ გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები და დაუნიშნა ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების თაობაზე. მოპასუხის შესაგებლის მიღების შემდეგ, მოსამართლემ დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც მოპასუხემ ცნო სარჩელი. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №150

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-ს ბავშვის მამად ცნობა, აგრეთვე მისთვის შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდის დაკისრება. მოსამართლემ მოსარჩელეს განუცხადა, რომ სარჩელს წარმოებაში მიიღებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე განახორციელებდა შემდეგ მოქმედებებს: გადაუგზავნიდა მოპასუხეს სარჩელის ასლს, მოსთხოვდა მას წერილობით ეცნობებინა თავისი დამოკიდებულება სასარჩელო მოთხოვნის მიმართ, გამოითხოვდა დოკუმენტებს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობისა და მისი

ხელფასის ოდენობის შესახებ, დანიშნავდა გენეტიკურ ექსპერტიზას. აღნიშნული მოქმედებები მოსამართლემ განახორციელა ერთი თვის განმავლობაში და ამის შემდეგ მიიღო სარჩელი წარმოებაში 2011 წლის 10 აპრილს. საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაინიშნა 2011 წლის 15 მაისს, სადაც მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდის დაკისრების შესახებ 2011 წლის 10 აპრილიდან.

რა შეცდომები იქნა დაშვებული მოსამართლის მიერ მოცემულ საქმეზე?

კაზუსი №151

2011 წლის 10 მაისს საცხოვრებელი ბინის გამქირავებელმა „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა დამქირავებლ “ბ“-სა და მისი ოჯახის წევრების დაქირავებული ბინიდან გამოსახლება და ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მოთხოვნას მოსარჩელე იმით ასაბუთებდა, რომ მოპასუხე არ იხდიდა დადგენილ ქირას, არ უვლიდა ბინას და არ ჩააბარა მიმდინარე რემონტი. სასარჩელო განცხადებას მოსარჩელემ თან დაურთო მტკიცებულებები, რომელებიც ადასტურებდნენ სარჩელში მოყვანილ გარემოებებს. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების დროს, მოსამართლემ ზეპირად დაჰკითხა მოსარჩელე და მიიჩნია, რომ აღარ არის საჭირო საქმეზე რაიმე მოსამზადებელი მოქმედებების განხორციელება და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? რა საპროცესო მოქმედებები უნდა განეხორციელებინა მოსამართლეს აღნიშნულ შემთხვევაში?

კაზუსი №152

2011 წლის 10 მარტს "ა"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა თავისი მეზობლის „ბ"-საგან ქონების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ „ბ"-ს მიერ ქონების დაზიანების ფაქტი შეიძლება დადასტურდეს მოწმე „გ-ს ჩვენებით, რომელიც ამჟამად მსჯავრდებულია და სასჯელს იხდის მკაცრი რეჟიმის საპატიმრო დაწესებულებაში. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლემ წერილი გაუგზავნა თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციას და სთხოვა მათ, ადგილზე დაეკითხათ მოწმედ მსჯავრდებული „გ", ხოლო მოწმის დაკითხვის ოქმი კი გადაეგზავნათ საქმის განმხილველ სასამართლოში. მოსარჩელის თხოვნით მოსამართლემ იგი გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ისე, რომ არ მიუთითა გათავისუფლების საფუძველი. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის წინა დღეს, მოსარჩელემ მოსამართლეს აცნობა, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით აანაზღაურა მიყენებული ზიანი, ამიტომაც მოსარჩელემ სთხოვა მოსამართლეს უკან დაებრუნებინა სასარჩელო განცხადება მასზე თანდართული დოკუმენტებითურთ. მოსამართლემ ეს თხოვნა დააკმაყოფილა და აღარ განიხილა საქმე.

რა შეცდომები იქნა დაშვებული საქმეზე მოსამართლის მიერ?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №153

17 წლის არასრულწლოვანმა „ნ"-მ ინტიმური კავშირი დაამყარა უცნობ მამაკაცთან. ცხრა თვის შემდეგ „ნ"-ს შეეძინა ბავშვი. იმისათვის, რომ ამის შესახებ არ შეეტყოთ მის მეგობრებსა და ახლობლებს, „ნ"-მ, თავის დედასთან შეთანხმებით გადაწყვიტა ბავშვის დატოვება სამშობიარო სახლში. მან დაწერა

განცხადება, რომ ტოვებდა ბავშვს და თანახმა იყო მის გაშვილებაზე. განცხადებას ხელი მოაწერა „ნ“-ის დედამაც. ამის შემდეგ გავიდა ერთი კვირა და დატოვებული ბავშვი გაშვილებული იქნა „ დ“-ს ოჯახში კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ორი წლის შემდეგ „ნ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მშვილებელ „დ“-ს წინააღმდეგ, მოითხოვა შვილად აყვანის გაუქმება და ბავშვის მისთვის დაბრუნება. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი არასწორად მოიქცა, როდესაც შვილი სამშობიარო სახლში დატოვა, ახლა იგი უკვე სრულწლოვანი გახდა, დაქორწინდა და სრული შესაძლებლობა აქვს ნორმალურად აღზარდოს და არჩინოს შვილი. გარდა ამისა, მისი მეუღლეც ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას და თანახმაა იშვილოს ბავშვი.

მოპასუხე მშვილებელმა „დ“-მ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მან ბავშვი იშვილა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, არ ჩაუდენია ძალადობითი თუ მოტყუებითი ქმედება, ამასთან ბავშვს ზრდის უკვე ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და ბავშვსაც იგი საკუთარ მშობლად მიაჩნია.

რა მოქმედებები უნდა განახორციელოს მოსამართლემ საქმის განხილვის მომზადების მიზნით? ვინ უნდა იქნეს ჩაბმული საქმეში მონაწილეობის მისაღებად?

კაზუსი №154

2011 წლის 12 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 10000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ. ამასთან ერთად, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, რადგან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულება. მოსამართლემ განჩინებით

უარი განუცხადა მოსარჩელეს სარჩელის უზურნველყოფაზე იმ მოტივით,რომ ამას შეიძლება ზიანი მიეყენებინა მოპასუხისათვის.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №155

2010 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს ინდივიდუალური მეწარმე „გ“-ს მიმართ იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ იკისრა თავდებობა ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მაგრამ შემდგომში უარი განუცხადა მოსარჩელეს გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი მოვალის მიერ გადასახდელი პროცენტი.

საქმის მომზადების სტადიაზე, მოსარჩელემ ვერ წარადგინა რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რომელიც ძირითადი მოვალის მიერ პროცენტის გადახდის ვალდებულების არსებობას დაადასტურებდა. მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვისას წარმოადგინა მოსარჩელემ ხელწერილი იმის შესახებ, რომ ძირითადმა მოვალემ იკისრა ვალდებულება გადაეხადა პროცენტიც. მოსამართლემ არ მიიღო წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულება, განიხილა საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №156

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზდების მიზნით,

მოსამართლემ გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და განუსაზღვრა ათი დღის ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების დროს, მოპასუხემ სასამართლოს გამოუგზავნა წერილობითი შესაგებელი, რომელშიც არ ცნო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ ზიანი გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. მოსამართლემ განჩინებით მოსამზადებელ დანიშნა მოსამზადებელი სხდომა მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №157

2012 წლის 10 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლისა და სხვა საოჯახო ნივთების გაყოფის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მხარეები თვითონ ვერ შეთანხმდნენ.

საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების სტადიაზე, მხარეებმა მოსამართლეს წარუდგინეს წერილობით გაფორმებული მორიგების აქტი. მოსამართლე გაეცნო მორიგების აქტს და გამოიტანა განჩინება მორიგების აქტის დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ისე, რომ არ დაუნიშნავს მოსამზადებელი სხდომა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №158

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად გადაცემული თანხის – 10000 ლარის დაბრუნება. რაიონ-

ულმა სასამართლომ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში და საქმის მომზადების მიზნით დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც მხარეებს აცნობა კანონით დადგენილი წესით. მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადდა ორივე მხარე. სასამართლომ მხარეებს შესთავაზა საქმის მორიგებით დამთავრება, რაზეც მხარეებმა თანხმობა განაცხადეს. მოსამართლემ მოსამზადებელ სხდომაზე განჩინებით დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება იმ პირობით, რომ „ბ“ „ა“-ს განჩინების მიღებიდან 15 დღეში გადაუხდიდა 7000 ლარს. მხარეთა მორიგების გამო რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და განუმარტა მხარეებს, რომ ამ განჩინებაზე შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა ერთი თვის განმავლობაში განჩინების გამოტანიდან. მხარეთა შორის მორიგების შესახებ განჩინების მიღებიდან 15 დღეში მოპასუხე „ბ“-მ არ შეასრულა პირობა და „ა“-ს არ გადაუხადა 7000 ლარი. „ა“-მ მხარეთა შორის მორიგების შესახებ განჩინების გამოტანიდან მეოცე დღეს, განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მხარეთა შორის მორიგების განჩინებაზე საალსრულებო ფურცლის გაცემა, რათა იძულებითი აღსრულების მეშვეობით მომხდარიყო „ბ“-საგან დაკისრებული თანხის გადახდევინება. რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა „ა“-ს მოთხოვნა, რადგან მხარეთა მორიგების შესახებ განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების ვადა არ იყო გასული.

რა შეცდომები დაუშვა სასამართლომ? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №159

2012 წლის 18 მარტს საცხოვრებელი ბინის გამქირავებელმა „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „დ“-სთან დადებული საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და გაქირავებული ბინიდან დამქირავებლ „დ“-ს გამოსახლება იმ მოტივით, რომ იგი ერთი წლის

განმავლობაში არ იხდიდა შეთანხმებულ ქირას, ამასთან გამქირავებელს თვითონ დასჭირდა ბინა. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი.

საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს, მოპასუხემ წერილობით შესაგებელში ცნო სარჩელი. მოსამართლემ აღარ დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა და გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რითაც მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დაგროვილი ქირის გადახდა და ბინიდან გასვლა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №160

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ რაიონულ სასამართლოში აღძრა სარჩელი მოპასუხე „დ“-ს მიმართ სესხად მიცემული თანხის 1000 ლარის დაბრუნების შესახებ. თავის მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ ზეპირი სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მოპასუხეს აღნიშნული თანხა, გავიდა სესხის ხელშეკრულების ვადა, მაგრამ მოპასუხე არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად გასესხებულ თანხას უკან არ აბრუნებს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მომზადების დროს, მოსარჩელემ სესხის მიცემის ფაქტის დადასტურების შესახებ მოწმის ჩვენების გარდა, ვერ წარმოადგინა რაიმე წერილობითი მტკიცებულება. მოპასუხემ კი გამოაგზავნა წერილობითი შესაგებელი, რომელშიც მიუთითა, რომ მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოთქვამდა თავის დამოკიდებულებას სარჩელის მიმართ. მოსამართლემ მიიჩნია რა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა, გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №161

2011 წლის 14 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე შპს „X“-საგან გადაზიდვის ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული 5000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, დანიშნა საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას, გამოცხადდა მოპასუხე და მოსარჩელის ინტერესების დამცველი ადვოკატი, ხოლო თვითონ მოსარჩელე კი არ გამოცხადდა. მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №162

2008 წლის 15 სექტემბერს „ა“-მ სესხის ხელშეკრულება დადო „ბ“-სთან და ამ უკანასკნელს ერთი წლის ვადით სესხად გადასცა 10. 000 აშშ დოლარი. მოვალემ ვალდებულება დათქმულ დროში არ შეასრულა, რის გამოც კრედიტორმა „ა“-მ 2009 წლის 10 ნოემბერს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად გაცემული თანხის დაბრუნება.

2009 წლის 14 ნოემბერს რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო „ა“-ს სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2009 წლის 10 დეკემბერს, რის შესახებაც მხარეებს გაუგზავნა სასამართლო უწყებები 2009

წლის სამ დეკემბერს. მოპასუხე „ბ“-სათვის ჩასაბარებელი სასამართლო უწყება 8 დეკემბერს სასამართლოში დაბრუნდა წარწერით, რომ მოპასუხის მეუღლემ უარი განაცხადა მის ჩაბარებაზე.

2009 წლის 10 დეკემბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე “ბ“, ხოლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელე „ა“-მ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით „ა“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 10. 000 აშშ დოლარის გადახდა.

მოპასუხე „ბ“-ს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა 2009 წლის 15 დეკემბერს, მან 2009 წლის 18 დეკემბერს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მიმართა საჩივრით, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება განეხილა საქმე და მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან მას, ჯერ ერთი, არ ჩაჰბარებია სასამართლო უწყება და მეორეც, იგი ავად იყო, რის დამადასტურებლადაც წარმოადგინა მკურნალი ექიმის მიერ დამოწმებული ცნობა ავადმყოფობის შესახებ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ მხარეთა შეუტყობინებლად განჩინებით წარმოებაში მიიღო „ბ“-ს საჩივარი,დანიშნა მისი განხილვის დღე და ამის შესახებ შეატყობინა მხარეებს. 2010 წლის 15 იანვარს საჩივრის გახილვისას სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა საჩივრის ავტორი “ბ“, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა პირადად 2010 წლის 8 იანვარს. რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება.

კაზუსი №163

2011 წლის 12 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელმაც თავისი მეუღლის მეშვეობით აცნობა სასამართლოს, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებდა სხდომაზე გამოცხადებას, რის გამოც ითხოვდა საქმის განხილვის გადადებას ორი კვირით. მოსამართლემ ჩათვალა, რომ ვინაიდან მოპასუხე მხარის მიერ არ იყო წარმოდგენილი ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, მისი გამოუცხადებლობა ვერ ჩაითვლებოდა საპატიოდ და მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა სარჩელი. მოპასუხემ მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მის გამომტან სასამართლოში და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სასამართლოში გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ ავადმყოფობით, რის თაობაზეც მან სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყების წინ აცნობა მოსამართლეს, ხოლო ავადმყოფობის ცნობის წარმოდგენა იმ მომენტისათვის ვერ შეძლო, ვინაიდან ვერ მოახერხა ექიმთან მისვლა. მოპასუხემ საჩივარს თან დაურთო სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მისი ავადმყოფობის შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა მკურნალი ექიმი.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ ჩათვალა, რომ საჩივარი იყო დასაბუთებული, ამიტომ მხარეთათვის შეუტყობინებლად გამოიტანა განჩინება საჩივრის მიღებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. მოსამართლემ მიიღო მეორე განჩინებაც, რომლითაც დანიშნა საქ-

მის ხელახლა განხილვის დღე, რის თაობაზეც აცნობა მხარეებს საქართველოს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №164

2011 წლის 8 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა „დ"-მ მეუღლე „ა"-ს წინააღმდეგ ქორწინების შეწყვეტის შესახებ. „ა"-მ სასამართლოში შეიტანა შეგებებული სასარჩელო განცხადება ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით. 2011 წლის 25 აპრილს მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა მოპასუხეს შეგებებული სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად. სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2011 წლის 10 მაისს. მოპასუხეს სასამართლო უწყება გაეგზავნა მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე, საიდანაც იგი დაბრუნდა სასამართლო კურიერის მიერ შედგენილი აქტით, რომლის მიხედვითაც მოპასუხის დედამ უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე. მოსამართლემ მოპასუხის გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიიჩნია და მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №165

2009 წლის 10 ოქტომბერს „ა"-მ დადო ზეპირი სესხის

ხელშეკრულება „ბ“-სთან და ამ უკანასკნელს ექვსი თვის ვადით სესხად გადასცა 5. 000 აშშ დოლარი. მოვალემ ვალდებულება დათქმულ დროში არ შეასრულა, რის გამოც კრედიტორმა “ა“-მ 2010 წლის 10 ივნისს რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მსესხებელ „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად მიცემული თანხის დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2010 წლის 15 ოქტომბერს. 2010 წლის 7 ოქტომბერს მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი სასამართლო უწყება სასამართლოში 8 ოქტომბერს უკან დაბრუნდა წარწერით, რომ მოპასუხის მეუღლემ უარი განაცხადა მის მიღებაზე. 2010 წლის 15 ოქტომბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე „ბ“, ხოლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელე „ა“-მ კი მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: „ბ“ -ს დაეკისრა „ა“-ს სასარგებლოდ 5. 000 აშშ დოლარის გადახდა.

2010 წლის 24 ოქტომბერს მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. 2010 წლის 29 ოქტომბერს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს საჩივრით მიმართა „ბ“-მ, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ მხარეთა შეუტყობინებლად განჩინებით წარმოებაში მიიღო საჩივარი და დანიშნა მისი განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს სხდომაზე საჩივრის განხილვისას არ გამოცხადდა საჩივრის ავტორი “ბ“, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა პირადად. სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობით გამოიტანა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება.

კაზუსი №166

2011 წლის 18 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „დ“-საგან 2500 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს მოსამართლე შემოვიდა სხდომის დარბაზში, გახსნა სასამართლოს მთავარი სხდომა და გამოაცხადა, თუ რომელი საქმე უნდა განხილულიყო. ამის შემდეგ, სხდომის მდივანმა მოახსენა მოსამართლეს მხარეებისა და მათი წარმომადგენლების, მოსარჩელისა და მოპასუხის თხოვნით გამოძახებული მოწმეების სხდომაზე გამოცხადების შესახებ. გამოცხადდა ასევე სპეციალური საექსპერტო დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც საქმეზე მოწვეული იყო ექსპერტად. მან სასამართლოს წარუდგინა თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

განსაზღვრეთ აღნიშნულ პირთა გამოსვლის, დაკითხვის თანამიმდევრობა და წესი სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის პროცესში.

კაზუსი №167

2011 წლის 17 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „X-საგან სესხად გაცემული თანხის 4 000 ლარის დაბრუნება. საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით და

არავითარი ცნობები მისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოსათვის არ ყოფილა ცნობილი. მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №168

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაგზავნილი ჰქონდა შეტყობინება კანონის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლოსათვის მისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ არაფერი იყო ცნობილი. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე, რომელიც ითხოვდა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №169

2012 წლის 16 თებერვალს რაიონული სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე იხილავდა მოსარჩელე „X“-ის სარჩელს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც მიღებული ჰქონდა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით. მოსამართლემ განჩინებით საქმის განხილვა გადადო, რის შესახებაც მხარეებს შეატყობინა კანონით დადგენილი წესით. დანიშნულ დროს მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ მოპასუხე, ხოლო მოსარჩელის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოს

არანაირი ცნობები არ გააჩნდა. მოსამართლემ კვლავ გადადო საქმის განხილვა და განჩინებით დანიშნა საქმის ახლა უკვე სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღე, რის შესახებაც მხარეებს შეატყობინა კანონით დადგენილი წესით.

დანიშნულ დღეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა და სასამართლოსთვისაც არაფერი იყო ცნობილი მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

შეაფასედ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №170

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ რაიონულ სასამართლოში აღძრა სარჩელი მოპასუხე „დ“-ს მიმართ სესხად მიცემული თანხის – 1000 ლარის დაბრუნების შესახებ. თავის მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ ზეპირი სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მოპასუხეს აღნიშნული თანხა, გავიდა სესხის ხელშეკრულების ვადა, მაგრამ მოპასუხე არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად გასესხებულ თანხას უკან არ აბრუნებს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მომზადების დროს, მოსარჩელემ სესხის მიცემის ფაქტის დადასტურების შესახებ მოწმის ჩვენების გარდა, ვერ წარმოადგინა რაიმე წერილობითი მტკიცებულება. მოპასუხემ კი გამოაგზავნა წერილობითი შესაგებელი, რომელშიც მიუთითა, რომ არ ცნობდა სარჩელს. მოსამართლემ ჩათვალა რა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა, მხარეთა შეუტყობინებლად დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც მიიღო გადაწყვეტილება უსაფუძვლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №171

2012 წლის 5 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ყოფილი მეუღლე „დ“-სათვის მშობლის უფლების შეზღუდვა. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი წარმოებაში მიიღო, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის დანიშნულ დროს, მოსამართლე შემოვიდა სხდომის დარბაზში, გახსნა სასამართლოს მთავარი სხდომა და გამოაცხადა, თუ რომელი საქმე უნდა განხილულიყო. ამის შემდეგ სხდომის მდივანმა მოახსენა მოსამართლეს მხარეებისა და მათი წარმომადგენლების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის, მოსარჩელისა და მოპასუხის თხოვნით გამოძახებული მოწმეების სხდომაზე გამოცხადების შესახებ. გამოცხადდა ასევე მოპასუხის სამუშაო ადგილის პროფკავშირის წარმომადგენელი, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი. იგი საქმეზე მოწვეულ იქნა სპეციალისტად.

განსაზღვრეთ საქმის განხილვის პროცესში ალნიშნულ პირთა გამოსვლის წესი და დაკითხვის თანმიმდევრობა.

კაზუსი №172

სააქციო საზოგადოება „X“-მა 2011 წლის 10 ოქტომბერს რაიონულ სასამართლოს მიმართა სარჩელით შპს „Z“-ის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებულ იქნა ლიზინგის ხელშეკრულება, მაგრამ ლიზინგის გამცემმა – მოპასუხე „Z“-მა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება მიაწოდა ლიზინგის მიმღებს მოსარჩელე „X“-ს ვადის გადაცილებით, რის გამოც ლიზინგის მიმღებმა განიცადა 10000 ლარის ოდენობის ზიანი. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით და სასამართლოსათვის არაფერი იყო ცნობილი მისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. მოსამართლემ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მოპასუხემ მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეხუთე დღეს, გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მის გამომტან სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ სასამართლოს არ ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლება, რადგან მას საერთოდ არ უმსჯელია, თუ რა ობიექტურმა გარემოებებმა გამოიწვია ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადის გადაცილება და რომ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა ისეთ დაუძლეველ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ საჩივარი მიიღო წარმოებაში, განჩინებით დანიშნა მისი განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს. დანიშნულ დღეს მოსამართლემ განიხილა საჩივარი, უსაფუძვლოდ ცნო იგი და გამოიტანა განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №173

რაიონულმა სასამართლომ განიხილა მოპასუხე „ა“-ს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი და დანიშნა საქმის ხელახალი განხილვის დრო, მაგრამ მოპასუხე „ა“ არც ამ სხდომაზე არ გამოცხადდა, თუმცა კი მას უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით.

მოსამართლემ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოპასუხე „ა“-მ კვლავ გაასაჩივრა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმავე რაიონულ სასამართლოში. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ წარმოებაში მიიღო საჩივარი, განიხილა იგი, გააუქმა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გამოიტანა საქმეზე ახალი გადაწყვეტილება.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №174

2009 წლის 10 მარტს „ა“-მ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე „ბ“-ს ათი თვის ვადით სესხად გადასცა 10000 ლარი თვეში 2%-ის დარიცხვით. სესხის ხელშეკრულებით აგრეთვე განისაზღვრა, რომ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადაუხდელობის შემთხვევაში, პროცენტი დაერიცხებოდა 2%-იანი განაკვეთით გაზრდილ თანხასაც (პროცენტის პროცენტი). მსესხებელმა ვერ შეძლო თანხის დროული დაბრუნება, რის გამოც „ა“-მ 2011 წლის 20 მაისს სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ძირითადი თანხის – 10000 ლარის, მასზე დარიცხული 2%-ისა და პროცენტზე დარიცხული პროცენტის დაბრუნება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვა. მოსარჩელეს სასამართლო უწყება ჩაბარდა საქართველოს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. რაც შეეხება მოპასუხეს, მას უწყება გაეგზავნა ამ წესით, თუმცა, მის სახლში არყოფნის გამო უწყება ჩაბარდა მის ჩვიდმეტი წლის მეუღლეს „ნ“-ს. დანიშნულ დღეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე „ა“, არ გამოცხადდა მოპასუხე „ბ“. მოსარჩელემ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილების შეს-

ახებ. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან მეექვსე დღეს სასამართლოს მიერ გაეგზავნა მოპასუხეს სასამართლო კურიერის საშუალებით საქმეში არსებული მისამართის მიხედვით, მაგრამ მოპასუხის სახლში არავინ იმყოფებოდა. სასამართლოს კურიერმა რამდენჯერმე მიაკითხა მოპასუხის ბინას, მაგრამ მას იქ არავინ არ ხვდებოდა. კურიერმა ამის შესახებ აცნობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი გადაუგზავნა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, ერთი თვის გასვლის შემდეგ ჩათვალა იგი ჩაბარებულად და გასაჩივრების 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ თავისი ინიციატივით გასცა სააღსრულებო ფურცელი.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება და იმსჯელეთ მათ შესაბამისობაზე სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ნორმებთან.

კაზუსი №175

2011 წლის 10 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „დ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხის მთელი უძრავი ქონების, კერძოდ, მიწის ნაკვეთისა და ქალაქ „X-ში“, ჯიქიას №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მისთვის მიკუთვნება.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ მის ავტომანქანა „მერსედესს“, რომელიც იდგა ავტოსადგომზე და რომლის საბაზრო ღირებულებაც შეადგენს 50000 ლარს, დაეჯახა მოპასუხის საკუთრებაში მყოფი სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც თვითონ მოპასუხე მართავდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავტომანქანა „მერსედესი“ შემდგომში საექსპლოატაციოდ გამოუსადეგარი გახდა და მიყენებული მატერიალურმა ზიანმა შეადგენა 50000 ლარი.

რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2011 წლის 14 აპრილს განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების მიზნით მოსამართლემ განჩინებით დანიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც აცნობა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. დანიშნულ დროს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ მოსარჩელე, არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარებული ჰქონდა საქართველოს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხე „ბ“-მ მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადება და წარადგინა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მისი ავადმყოფობის შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და საქმესთან ერთად გადაუგზავნა ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოში.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №176

2011 წლის 20 აპრილს “ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მიუთითა, რომ 2010 წლის 10 მაისს მასსა და მოპასუხე „ბ“-ს შორის დაიდო

სესხის ხელშეკრულება 10.000 ლარის ოდენობით ექვსი თვის ვადით ყოველთვიურად 3%-ის სარგებლით. დათქმულ ვადაში მსესხებელმა თანხა არ დააბრუნა. მოსარჩელემ მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის - 10.000 და სარგებლის-1800 ლარის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე, დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. 2011 წლის 10 აგვისტოს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე „ბ“, რომელსაც უწყება ჩაბარდა პირადად სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ მიიღო სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეცხრე დღეს, მოპასუხე „ბ“-მ საჩივრით მიმართა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ მის წარმომადგენელს უწყება არ ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და შესაბამისად, დაუშვებელი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. საქმეში წარმოდგენილი იყო „ბ“-სა და მისი წარმომადგენლ “დ“-სათვის უწყების გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ უწყების ჩაბარების დასტური მოიპოვებოდა მხოლოდ მოპასუხე „ბ“-ს მიმართ. რაც შეეხება თავად მოპასუხე „ბ“-ს, მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, ავადმყოფობით, რის დასტურადაც საჩივარზე დართული იყო მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნული იყო, რომ „ბ“-ს 2011 წლის 10 აგვისტოს დაემართა გულის შეტევა.

მოსამართლემ „ბ“-ს დაუნიშნა შვიდი დღის ვადა საჩივარზე ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად

50 ლარის ოდენობით. „ბ“-ს მიერ სახელმწიფო ბაჟის დადგენილ ვადაში გადახდის შემდეგ, მოსამართლემ საჩივარი დასაშვებად ცნო, განჩინებით მიიღო წარმოებაში და დანიშნა მისი განხილვის დღე, რის შესახებაც არ აცნობა მხარეებს. საჩივრის განხილვის შედეგად რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ამიტომაც გამოიტანა განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სასამართლოს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო წესით გაასაჩივრა „ბ“-მ და მოითხოვა მისი გაუქმება.

უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სააპელაციო საჩივარი? შეაფასეთ რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედების კანონიერება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №177

2011 წლის 12 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ. „ა“-მ სარჩელში აღნიშნა, რომ „ბ“-ს შვილს-„დ“-ს სესხად გადასცა 10. 000 ლარი ერთი წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ მსესხებელმა არ დაუბრუნა სესხად მიღებული თანხა. რადგან მსესხებელი გახდა გადახდისუუნარო, ამიტომაც „ა“-მ თანხის ანაზღაურება მოითხოვა „ბ“-საგან, როგორც „დ“-ს ოჯახის წევრისაგან. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, საქმის მომზადების მიზნით გადაუგზავნა იგი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად მოპასუხეს, თანაც განუსაზღვრა ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში „ბ“-მ სასამართლოში არ წარადგინა წერილობითი შესაგებელი. მოპასუხის მიერ წერილობითი შესაგებლის არწარდგენის გამო, მოსამართლემ თავისი ინიციატივით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარ-

ჩელის დაკმაყოფილების შესახებ. „ბ“-მ მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეხუთე დღეს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოში შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ მოსამართლეს არ ჰქონდა სარჩელის დაკმაყოფილების უფლება. მოსამართლემ მხარეთათვის შეუტყობინებლად საჩივარი მიიღო წარმოებაში, განჩინებით დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს სხდომაზე, რის შესახებაც მხარეებს აცნობა კანონით დადგენილი წესით. დანიშნულ დროს სასამართლოს სხდომაზე საჩივრის განხილვისას არ გამოცხადდა „ა“. მოსამართლემ განიხილა „ბ“-ს საჩივარი, დააკმაყოფილა იგი, გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მხარის გამოუცხადებლობის გამო გამოიტანა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

შეაფასეთ რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №178

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზრაურება 5000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ 2011 წლის 14 მარტის განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც აცნობა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც საქართველოს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარებული ჰქონდა სასამართლო უწყება და სასამართლოსათვის არც გამოუცხადებლობის მიზეზები უცნობებია. მოსამართლემ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს არ მოუთხოვია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თა-

ვისი ინიციატივით მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შესახებ, ვინაიდან სასარჩელო განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად სრულად ამართლებდნენ სასარჩელო მოთხოვნას. მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან დარღვეული იქნე 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა რაიონული სასამართლოს მოსამართლემ წარმოებაში მიიღო საჩივარი, დანიშნა მისი ზეპირი განხილვა მხარეთა მონაწილეობის გარეშე. საჩივრის განხილვის შედეგად, მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა მოპასუხეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სსსკ-ის 233-ე, 241-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და შესაბამისად, არ არსებობდა საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

შეაფასეთ რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №179

2011 წლის 10 მარტს ქალაქ თბილისში მცხოვრებმა „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას რუსთავში მდებარე „X“საჯარო სკოლის მიმართ და მოითხოვა მასთან შორმითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ სკოლის დირექტორის მიერ 2011 წლის 15 თებერვალს გამოცემული ბრძანების ბათილად ცნობა, მასწავლებლის თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის სახით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2011 წლის 14 მარტის განჩინებით „ა“-ს სარჩელი წარმოებაში მიიღო. საქმის მომზადების მიზნით,

მოსამართლემ მოპასუხეს გადაუგზავნა სარჩელი თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად, აგრეთვე წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად განუსაზღვრა 14 დღის ვადა მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარებიდან, თანაც გაფრთხილა შესაგებლის წარუდგენლობის შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ. მოპასუხე მხარეს პირადად ჩაბარდა სასამართლოს გზავნილი. მოპასუხემ სასამართლოს მიერ მიცემულ ვადაში შესაგებელი არ წარადგინა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა არასაპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, თანაც ვინაიდან სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობის გამო „ა“-ს სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

მოპასუხემ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, სადაც შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზად მიუთითა შესაგებლის წარდგენისათვის მიცემული ვადის ბოლოს დღეს მისთვის გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციის ჩატარება, რის დასტურადაც წარადგინა მკურნალი ექიმის მიერ ხელმოწერილი ცნობა მოპასუხისათვის გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციის ჩატარების თარიღის მითითებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ განჩინებით საჩივარი წარმოებაში მიიღო და დანიშნა მისი განხილვის დღე, რის შესახებაც მხარეებს შეატყობინა კანონით დადგენილი წესით. საჩივრის განხილვის სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარის „X“ საჯარო სკოლის წარმომადგენელი, რის გამოც სასამართლომ გადადო საქმის განხილვა და ამის შესახებაც ეცნობათ მხარეებს კანონით დადგენილი წესით. დადგენილ დროს

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ორივე მხარე. საჩივრის განხილვის შედეგად მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, განჩინებით გააუქმა მის მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განაახლა საქმის განხილვა.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №180

2012 წლის 10 იანვარს „ა"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ"-ს წინაღმდეგ და მოითხოვა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე, დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, არ გამოცხადდა მოპასუხე „ბ", რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა პირადად. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო. მოპასუხე „ბ"-მ მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეშვიდე დღეს, საჩივრით მიმართა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ საფუძვლით, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით, კერძოდ, იგი გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას საავადმყოფოში და არ ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა სასამართლო პროცესს ან დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომ-

ტანმა მოსამართლემ საჩივარი დასაშვებად ცნო და განჩინებით დაადგინა საქმის ხელახალი განხილვის დღე, რის შესახებაც მხარეებს გაეგზავნათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით. სასამართლო სხდომაზე საჩივრის განხილვაზე არ გამოცხადდა საჩივრის ავტორი „ბ“. მოწინააღმდეგე მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №181

აღმასრულებელ „დ“-ს 2010 წლის 10 ივნისის №„X“-ის განკარგულების საფუძველზე ჩატარებულ საჯარო აუქციონზე, მოვალე „ა“-ს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქალაქ ბათუმში, „X “ ქუჩა №67-ში, შეიძინა „ბ“-მ, რომელიც საჯარო რეესტრში აღირიცხა შეძენილი ქონების მესაკუთრედ. აუქციონის ჩატარების მართლზომიერების საკითხი სასამართლო წესით გაასაჩივრა მოპასუხე „ა“-მ, თუმცა სასამართლომ ძალაში დატოვა აუქციონის შედეგი. მოპასუხე „ა“-მ უარი განაცხადა ბინიდან წასვლაზე და გააგრძელა მასში ცხოვრება. „ბ“-მ 2011 წლის 12 თებერვალს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს „ა“-ს მიმართ ამ უკანასკნელის ბინის დამქირავებლად ცნობისა და მისთვის ქირის გადახდის დაკისრების შესახებ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვა 2011 წლის 28 მარტს. მოპასუხე „ა“-ს სასამართლო უწყება ჩაბარდა სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით 2011 წლის 20

მარტს. 2011 წლის 28 მარტს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე „ა“ და არც მისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ არაფერი იყო ცნობილი სასამართლოსათვის. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №182

2012 წლის 5 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით გადასახდელი ძირითადი თანხის–3000 ლარის, სარგებელის–500 ლარისა და ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული მორალური ზიანის – 1000 ლარის გადახდა. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში და საქმის მომზადების მიზნით, სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადაუგზავნა მოპასუხეს. სასამართლო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტზე აღნიშნული იყო,რომ სარჩელი თანდართული დოკუმენტებით ჩაიბარა მოპასუხე “ბ“-ს 17 წლის დისშვილმა “დ“-მ,რომელიც მეუღლესთან ერთად დროებით ცხოვრობდა დეიდასთან და აიღო ვალდებულება, რომ სასამართლო გზავნილს (სარჩელს თანდართული დოკუმენტებით) გადასცემდა დეიდას-მოპასუხე „ბ“-ს. სასამართლოს გზავნილით, რომელსაც ხელს აწერდა მოსამართლის თანაშემწე, „ბ“ გაფრთხილებული იქნა, რომ ვალდებული იყო წერილობითი ფორმით შეედგინა პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე გამოეთქვა მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შეს-

ახებ და წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მათი ჩაბარებიდან 10 დღეში. მოპასუხეს გზავნილით აგრეთვე განემარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI –ე თავით დადგენილი წესით.

„ბ“-მ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარადგინა შესაგებელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232^1-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება „ა“-ს სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №183

2010 წლის 12 აპრილს „დ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ჟურნალ „X“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი გარდაცვლილი მეულლის- „ბ“-ს სახელისა და ღირსების შემლახავი მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობების უარყოფა, აგრეთვე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „X“-ის სააპელაციო საჩივარი, დანიშნა სხდომაზე საჩივრის განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა აპელანტსა და მოწინააღმდეგე მხარეს, თუმცა კი დანიშნულ დროს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტი არ გამოცხადდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიტანა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეებს უფლება აქვთ საკასაციო საჩივარი შეიტანონ ამ გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

შეაფასეთ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №184

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ რაიონულ სასამართლოში აღძრა სარჩელი „ ბ“-ს მიმართ და მოითხოვა სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. თავის მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მოპასუხეს ნივთი ერთი თვის ვადით უსასყიდლო სარგებლობაში, გავიდა დათქმული ვადა, მაგრამ მოპასუხემ უკან არ დააბრუნა ნათხოვარი ნივთი. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, რომლებსაც უწყებები ჩაბარდათ

კანონით დადგენილი წესით და სასამართლოსათვის არაფერი იყო ცნობილი მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. მოსამართლემ იმ მოტივით, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №185

2010 წლის 10 მარტს 16 წლის „გ"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს 17 წლის „დ"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად მიცემული თანხის 200 ლარის დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო „გ"-ს სარჩელი, საქმის მომზადების მიზნით დანიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც აცნობა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მხარეები. სასამართლომ გადადო მოსამზადებელი სხდომა ათი დღით და აცნობა ამის შესახებ მხარეებს. განმეორებით დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე „გ", გამოცხადდა მხოლოდ მოპასუხე „დ"-ს წარმომადგენელი ადვოკატი-„ა", რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის არასრულწლოვნობის გამო მისთვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნისა და აგრეთვე საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის შესახებ. საქმის განმხილველმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა და მოსამზადებელ სხდომაზე თავისი ინიციატივით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

რა შეცდომები დაუშვა მოსამართლემ? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №186

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 5000 ლარის გადახდევინება. მოსამართლემ 2011 წლის 14 მარტს განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

2011 წლის 20 მაისს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე „ბ“, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით. მოსამართლემ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მისი ჩაბარებიდან მეშვიდე დღეს „ბ“-მ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების შესახებ იმ საფუძვლით, რომ პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო პატივსადები მიზეზით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და 2011 წლის 20 ივნისს გამოიტანა შესაბამისი განჩინება. ამ განჩინებაზე „ბ“-მ მის გამომტან სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი განჩინების ჩაბარებიდან მეთორმეტე დღეს. მოსამართლემ განჩინებით კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა იგი წარმოებაში მიღებიდან ერთ თვეში, არ დააკმაყოფილა და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „ბ“-ს კერძო საჩივარი განჩინებით წარმოებაში მიიღო, განიხილა იგი, დასაშვებად მიიჩნია დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივარი, გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა რაიონულ სასამართლოს

ხელახლა განსახილველად.

შეაფასეთ ორივე ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №187

2010 წლის 10 მაისს ქალაქ თბილისში მცხოვრებმა „ა"-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას რუსთავში მდებარე შპს „X "-ის წინააღმდეგ 10. 000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მიუთითა, რომ 2010 წლის 18 იანვარს, კასპის რაიონის სოფელ მეტეხთან მართავდა მის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანას, რა დროსაც მას შეეჯახა შპს „X"-ის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოპასუხესთან შრომით ურთიერთობაში მყოფი მძღოლი „ბ". დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით, ავტომანქანის დაზიანებით მიყენებული ზიანი შეადგენს 10. 000 ლარს. მოსამართლემ 2010 წლის 14 მაისის განჩინებით სარჩელი წარმოებაში მიიღო. საქმის მომზადების მიზნით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2010 წლის 15 ივნისს. მხარეებს შეტყობინება გაეგზავნათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, მოსამართლემ თავისი ინიციატივით საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩააბა შპს „X"-ის თანამშრომელი "ბ", რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მართავდა მოპასუხის კუთვნილ სატვირთო ავტომანქანას, ვინაიდან მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს „ბ"-ს უფლებებსა და მოვალეობებზე მოპასუხის მიმართ. ამავე სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა და დაინიშნა ავტოსასაქონლო ექსპერტიზა. მოსამართლემ განჩინებით ექსპერტიზის ჩატარებამდე შეაჩერა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2010 წლის 18 აგვისტოს განჩინებით, ექსპერტის დასკვნის მიღების საფუძველზე განახლდა საქმის წარმოება და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2010 წლის 25 აგვისტოს,რის შესახებაც მოსამართლემ შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. მხარეებს უწყებები ჩაბარდათ პირადად. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა არცერთი მხარე. მოსამართლემ განჩინებით საქმის განხილვა გადაიდო 2010 წლის 8 სექტემბერს. სასამართლოს ახალი სხდომის ჩატარების დროის შესახებ მოსარჩელისათვის გაგზავნილი უწყება ჩაიბარა მისმა მეუღლემ. მოპასუხის წარმომადგენლის შპს „X "-ის დირექტორისათვის მის საცხოვრებელ მისამართზე გაგზავნილი უწყების ჩაბარებაზე უარი განაცხადა მისმა სრულწლოვანმა შვილმა „რ"-მ, რის შესახებაც სასამართლო კურიერმა უწყებაზე გააკეთა სათანადო აღნიშვნა. დამოუკიდებელი სასარჩელომოთხოვნის გარეშე მესამე პირმა „ბ"-მ უწყება ჩაიბარა პირადად. დანიშნულ დროს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე. მოსამართლემ მიიჩნია, რომ მას უწყება ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, ამიტომ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №188

2011 წლის 12 მარტს „ა"-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას „ბ"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად გადაცემული თანხის- 3000 ლარის დაბრუნება. 2011 წლის 15 მარტს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი წარმოებაში მიიღო. საქმის მომზადების მიზნით,

მოსამართლემ გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ასევე განუსაზღვრა ვადა სარჩელზე წერილობითი შესაგებელის წარმოსადგენად. მოპასუხემ წერილობით შესაგებელში სარჩელი არ ცნო და შუამდგომლობით მიმართა საქმის განმხილველ მოსამართლეს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მოსამართლემ განჩინებით დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2011 წლის 25 აპრილს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2011 წლის 25 აპრილს დანიშნულ სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ მოსარჩელე „ა“-ს სახელზე გაგზავნილი უწყება, 2011 წლის 20 აპრილს ჩაბარდა მის 17 წლის მეუღლეს. იმავე დღეს უწყება პირადად ჩაბარდა მოპასუხე „ბ“-საც.

2011 წლის 25 აპრილს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა მოსარჩელე „ა“. გამოცხადდნენ მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. მოსამართლემ განიხილა მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ და განჩინებით არ დააკმაყოფილა იგი უსაფუძვლობის გამო. ამავე სხდომაზე მოპასუხემ და მისმა წარმომადგენელმა იშუამდგომლეს, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეექვსე დღეს „ა“-მ საჩივარით მიმართა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რამეთუ მას არ ეცნობა სხდომის ჩატარების დღის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დად-

გენილი წესით. კერძოდ, უწყება ჩაბარდა არა უშუალოდ ადრესატს ან მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, არამედ მის არასრულწლოვან მეუღლეს, რომელთანაც სულ ექვსი თვეა, რაც იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. გარდა ამისა, უწყება მეუღლეს ჩაბარდა მხოლოდ 2011 წლის 20 აპრილს, რის გამოც „ა“-მ ვერ მოასწრო ადვოკატის მოძებნა და სხდომაზე გამოცხადება. ამასთან, მოპასუხისაგან განსხვავებით, რომელიც თბილისში ცხოვრობს, მოსარჩელე ბათუმში მაცხოვრებელია. საჩივრის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ როგორც მისთვის იყო ცნობილი, მოპასუხეს სასამართლოსათვის წარდგენილი ჰქონდა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე და მოსარჩელე ვარაუდობდა, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილდებოდა, თუმცა კი სასამართლომ ისე იმსჯელა მასზე და არ დააკმაყოფილა, რომ ამის თაობაზე მოსარჩელისათვის საერთოდ არ უცნობებია.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ საჩივარი მიიღო წარმოებაში, განჩინებით დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. დანიშნულ დროს სასამართლოს სხდომაზე საჩივრის განხილვისას გამოცხადდა ორივე მხარე. მოპასუხე „ბ“-მ განმარტა, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება და მისი გაუქმების საფუძველი, კერძოდ, მოსარჩელის სახელზე გაგზავნილი გზავნილი ჩაბარდა მისი ოჯახის წევრს, რომელიც უფლებამოსილი იყო აღნიშნულზე, გარდა ამისა, ნათელია, რომ მან უწყება ადრესატს გადასცა, რამეთუ, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, მან ვერ მოასწრო ადვოკატის მოძებნა. უწყება მოსარჩელისათვის ჩაბარებული იქნა სხდომამდე გონივრულ ვადაში, რასაც მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ იმავე დღეს ჩაბარდა უწყება მოპასუხესაც, რომელიც თავადაც გამოცხადდა დანიშნულ სხდომაზე და უზრუნველყო თავისი წარმომადგენლის გამოცხადებაც. რაც შეეხება საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე

შუამდგომლობას, იგი განიხილა მოსამართლემ და არ დააკმაყოფილა, შესაბამისად, გაგრძელდა სხდომა, რომელზეც მოპასუხემ ისარგებლა კანონით მინიჭებული შესაძლებლობით და დააყენა შუამდგომლობა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

დააკმაყოფილებს თუ არა მოსამართლე დაუსწრებელ გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილ საჩივარს? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №189

2011 წლის 16 მარტს „ბ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ა“-ს ბინიდან გამოსახლება და ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ დამქირავებელი ექვსი თვის განმავლობაში არ იხდიდა ბინის ქირას. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი წარმოებაში მიიღო, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარ სხდომა. დანიშნულ დროს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სასამართლოს შეტყობინება კანონით დადგენილი წესით და სასამართლოსთვისაც არაფერი იქნა ცნობილი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. მოსამართლემ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში საჩივრით გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ მართალია იგი სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადებულა, რადგან დაავიწყდა სხდომის ჩატარების თარიღი, მაგრამ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არსებითად არასწორია, რამეთუ ბინის გამქირავებელი თავს არიდებდა ბინის ქირის მიღებას, ამიტომაც მას ქირა შეჰქონდა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელის სახელზე, რის შესახებაც აღნიშნული ჰქონდა კიდევაც თავის წერილობით შესაგებელშიც.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ განჩინებით ძალაში დატოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა საჩივარი იმ საფუძვლით,რომ მოპასუხე სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არასაპატიო მიზეზით.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №190

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან კომპიუტერის გამოთხოვა. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე განხილვის დღე. დანიშნულ დროს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას, გამოცხადდა ორივე მხარე. საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის უკანონო მფლობელობაში იმყოფება მოსარჩელის როგორც კომპიუტერი, აგრეთვე ტელევიზორიც.

სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა, რომ პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხემ უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს მისი კუთვნილი, როგორც კომპიუტერი, აგრეთვე ტელევიზორიც.

„ბ“-მ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მეხუთე დღეს, განცხადებით მიმართა გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელეს ტელევიზორის დაბრუნება სასამართლოსათვის არ უთხოვია. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ და მიუთითა, რომ დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

შეაფასეთ მხარეთა და მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №191

2011 წლის 20 მაისს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „X“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება 150. 000 ლარის ოდენობით იმ საფუძვლით, რომ 2010 წლის 18 ივნისს მომხდარი ხანძრის შედეგად, მნიშვნელოვნად დაზიანდა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქალაქ თბილისში-კოსტავას „№“-ში, ხოლო იქ არსებული ავეჯი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები კი მთლიანად განადგურდა. მოსარჩელის განმარტებით, ხანძრის გაჩენა გამოიწვია მოპასუხე შპს „X“-ის ბრალეულმა ქმედებამ. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას დადასტურდა, რომ 2010 წლის 18 ივნისს ქალაქ თბილისში, კოსტავას „№“-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა მოსარჩელე „ა“-ს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, ხოლო ამავე სახლში არსებული ავეჯი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები მთლიანად განადგურდა. დადასტურდა ის გარემოებაც, რომ ხანძარი გამოწვეული იყო მოპასუხე შპს „X“ –ის უხეში გაუფრთხილებლობით. „ა“-მ მოითხოვა ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა იმ საფუძვლით, რომ მისი მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი დადგენილია და რაიმე ეჭვს არ იწვევს, ხოლო მოთხოვნის მოცულობის (ოდენობის) დადგენა დაკავშირებულია მრავალრიცხოვან გაანგარიშებებთან, რაც დიდ დროს მოითხოვს და გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას. მოპასუხე შპს „X“-ის წარმომადგენელი არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას და განმარტა, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება, ვიდრე არ ჩატარებს ყველა გაანგარიშებას და არ დაადგენს ზიანის ზუსტ ოდენობას. თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 აგვისტოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილებით „ა“-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხე შპს „X“-ს მოსარჩელის სასარგებლოდ ხანძრით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 75. 000 ათასი ლარის, ამასთან, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი სადავო საგნის ღირებულების – 150. 000 ლარის 3% -ის კერძოდ, 4500 ლარის ოდენობით გადახდა.

კანონიერია თუ არა პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №192

2012 წლის 18 იანვარს რაიონულმა სასამართლომ განიხილა „დ“-ს საჩივარი მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და დააკმაყოფილა იგი იმ საფუძვლით, რომ სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო პატივსადები მიზეზებით. სასამართლომ დააკმაყოფილა ასევე „დ“-ს შუამდგომლობა სასამართლო ხარჯების გადახდევინების მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №193

2011 წლის 14 მარტს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, რომელსაც მიღებული ჰქონდა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით და სასამართლოსათვის არაფერი იყო ცნობილი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ, მოსარჩელის შუამდგომლობით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

გასაჩივრებულ იქნა მოპასუხის მიერ. მოსამართლემ საჩივარი ცნო დასაშვებად, გამოიტანა განჩინება საჩივრის მიღების შესახებ და დანიშნა საქმის ხელახალი განხილვის დღე. მოსამართლემ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნა, რომ განჩინებაზე შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №194

2009 წლის 15 ოქტომბერს „ა“-მ დადო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება „ბ“-სთან 10000 ლარის სამი თვის ვადით სესხად აღებასთან დაკავშირებით. იპოთეკით დაიტვირთა „ა“ს საკუთრებაში არსებული ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა. „ა“-მ ვალდებულება დათქმულ დროში არ შეასრულა, რის გამოც კრედიტორმა „ბ“-მ 2011 წლის 15 მარტს სარჩელით მიმართა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით რაიონულ სასამართლოს „ა“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის თანხის- 10000 ლარის დაბრუნება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით „ბ“-ს სარჩელი მიიღო წარმოებაში და მოამზადა საქმე. მოპასუხემ წერილობით შესაგებელში სარჩელი არ ცნო. მოსამართლემ მიიღო განჩინება სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დღის დანიშვნის შესახებ.

2011 წლის 10 ივნისს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება „ბ“-ს სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ და მოპასუხე „ა“-ს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 10000 ლარის გადახდა. სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2011 წლის 25 ოქტომბერს „ბ“-მ კვლავ მიმართა რაიონულ სასასამართლოს სარჩელით „ა“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა იპოთეკის საგნის რეალიზაცია აუქციონის გზით, რადგან მოვალემ

(„ა“-მ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ნებაყოფლობით არ აღასრულა და ვალი არ გადაიხადა. რაიონულმა სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. „ა“-მ საქმის მომზადების დროს სასამართლოში შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგან მას პირადად არავითარი თანხა „ბ“-საგან სესხად არ აუღია, თანხა სესხად „ა“-ს დამ აიღო. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელიც, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

2011 წლის 15 დეკემბერს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას, მოსარჩელე „ბ“-მ განაცხადა, რომ სასამართლოს 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება არის მოპასუხე „ა“-ს საპროცესო აღიარება, რის გამოც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა. მოპასუხემ მოითხოვა სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით საკუთარი მამისა და დის გამოძახება და დაკითხვა, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ მას პირადად სესხი არ აუღია. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხე „ა“-ს შუამდგომლობა და გადადო საქმის განხილვა.

შეაფასეთ მხარეთა და მოსამართლის მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №195

2011 წლის 14 მარტს რაიონულმა სასამართლმ წარმოებაში მიიღო ყოფილ მეულლეებს შორის თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის შესახებ სარჩელი. მოსარჩელემ საქმის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე განხილვისას, აღძრა შუამდგომლობა საქმის განხილვის ათი დღით გადადების შესახებ, რადგან უნდოდა აეყვანა ადვოკატი საქმეში თავისი ინტერესების დასაცავად.

მოპასუხემ მოითხოვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე

უარის თქმა, რამეთუ თვითონ მას არ ჰქონდა საკმარისი სახსრები ადვოკატის ასაყვანად, ხოლო თუკი მოსარჩელე ადვოკატის დახმარებას გამოიყენებდა, მაშინ მოპასუხე არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებოდა.

მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა მოსარჩელეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ საქმის განხილვის გადადება გამოიწვევდა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას და მისთვის ადვოკატის დანიშვნა უსამართლო მოპყრობად ჩაითვლებოდა მოპასუხისადმი.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №196

2009 წლის 14 ივნისს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-სთან განქორწინება, აგრეთვე არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრება. 2009 წლის 20 ივლისს საქმის განხილვისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც სასამართლო შეტყობინება ჩაბარდა პირადად და სასამართლოსათვის არაფერი იყო ცნობილი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხეც, თუმცა კი მან სასამართლოს გამოუგზავნა წერილობითი შესაგებელი, რომელშიც ცნობდა სარჩელს და სთხოვდა სასამართლოს, რომ საქმე განეხილა მისი მონაწილეობის გარეშე.

მოსამართლემ გადადო საქმის განხილვა 25 ივლისისათვის, რის შესახებაც ორივე მხარეს გაუგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მაგრამ დანიშნულ დღეს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არც ერთი მხარე არ გამოცხადდა.

მოსამართლემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის განმეორებითი გამოუცხადებლობა მიიჩნია, როგორც მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმად და გამოიტანა განჩინება საქმის

წარმოების შეწყვეტის შესახებ.

შეაფასედ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №197

2011 წლის 16 მარტს რაიონული სასამართლო განიხილავდა „ა“-ს სარჩელს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ. მოსამართლემ საქმის მომზადების დროს გამოარკვია, რომ მოპასუხეს არ შეეძლო პირადად გამოცხადებულიყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად იმ მიზეზით, რომ იგი მსჯავრდებული იყო და სასჯელს იხდიდა სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში. მოსამართლემ საქმის მომზადების მიზნით, სასჯელის მოხდის ადგილის საპატიმრო დაწესებულებაში გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები, აგრეთვე მისცა 10 დღის ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად. მოპასუხემ დათქმულ ვადაში წარადგინა წერილობითი შესაგებელი, რომლითაც ცნო სარჩელი. მოსამართლემ დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რომელზეც არ გამოცხადდა არცერთი მხარე. მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, საფუძვლად დაუდო რა თავის გადაწყვეტილებას მოპასუხის შესაგებელი, რომლითაც იგი ცნობდა სარჩელს.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №198

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით, „ა“-ს სარჩელი „ბ“-ს მიმართ 10. 000 ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი

წარადგინა „ა“-მ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „ა“-ს სააპელაციო საჩივარზე გამოიტანა განჩინება სარვეზის შევსების შესახებ, კერძოდ, სასამართლომ აპელანტს განუსაზღვრა 10 დღის ვადა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარვეზის შევსების შესახებ აპელანტს ჩაბარდა 2011 წლის 20 ივნისს. აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სარვეზი არ შეავსო, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 5 ივლისს გამოიტანა განჩინება „ა“-ს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნული განჩინება „ა“-ს ჩაბარდა 2011 წლის 17 ივლისს. 2011 წლის 22 ივლისს „ა“-მ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სააპელაციო საჩივარზე სარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის აღდგენა. განმცხადებელი საპროცესო ვადის გადაცილების მიზეზად მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ მწვავე რესპირატორული დაავადების გამო იმყოფებოდა საავადმყოფოში მწოლიარე მდგომარეობაში. „ა“-მ განმცხადებას თან დურთო სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა „ა“-ს ავადმყოფობა.

დააკმაყოფილებს თუ არა სააპელაციო სასამართლო „ა“-ს შუამდგომლობას? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №199

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა პაექრობის დროს მხარეებმა მიუთითეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებებზე, რომლებიც გამოკვლეული არ იყო სასამართლოს სხდომის მიმდინარეობისას.

ბ) სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოტანის დროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები გამოუკვლეველი და შეუსწავლელი აღმოჩნდა.

კაზუსი №200

2011 წლის 14 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ნატურით გაყოფა და მის 1/3 ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობა. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების დროს, მოსამართლემ ორივე მხარის შუამდგომლობით დანიშნა ექსპერტიზა და საქმის განხილვა გადადო ოთხი თვის ვადით.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №201

2011 წლის 5 მაისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, მოსამართლემ განჩინებით განუხილველად დატოვა „კ“-ს სარჩელი საწარმოს ადმინისტრაციის მიმართ შრომითი მოვალეობების შესრულებისას მიღებული საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ წინასწარ არ მიმართა საწარმოს ადმინისტრაციას ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი№202

2012 წლის 10 მარტს „ბ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „დ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლემ დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადნენ არც მოსარჩელე და არც მოპასუხე,რომლებსაც პირა-

დად ჩაბარდათ სასამართლოს უწყებები. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №203

2010 წლის 10 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან სახელის, პატივისა და ღირსების შემბღალავი გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფა. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების მიზნით დანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე, მოსამართლემ მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე განჩინებით განუხილველად დატოვა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ ეს საკითხი განხილული იყო საწარმოს მუშაკთა კრებაზე, სადაც ყველამ დაგმო მოპასუხის საქციელი და მის მიერ გავრცელებული ცნობები ცილისმწამებლურად მიიჩნიეს.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №204

2011 წლის 10 მაისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე რაიონული სასამართლოს მოსამართლე განიხილავდა „ა“-ს სარჩელს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ სესხად მიცემული თანხის -100 ლარის უკან დაბრუნების შესახებ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე, ხოლო საქმეში არავითარი ცნობა არ იყო, ჩაბარდა თუ არა მას სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე მომავალშიც არ გამოცხადდებოდა სხდომაზე, ხოლო სარჩელის ფასი მცირეა და საქმის განხილ-

ვის გადადება მხოლოდ პროცესის გაჭიანურებას გამოიწვევდა, მოსამართლემ მაინც გამოიტანა საქმის განხილვის გადადების შესახებ განჩინება.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №205

2012 წლის 10 მარტს სასამართლოს მთავარ სხდომაზე რაიონული სასამართლოს მოსამართლე იხილავდა „ა“-ს სარჩელს მოპასუხე „დ“-ს მიმართ სესხის დაბრუნების შესახებ. საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს მოსამართლე შემოვიდა სხდომის დარბაზში, გახსნა სასამართლო სხდომა და გამოაცხადა, თუ რომელი საქმე იხილებოდა. მოსამართლემ მოისმინა სხდომის მდივნის მოხსენება იმის შესახებ, თუ განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა. ამის შემდეგ მოსამართლემ სიტყვა ახსნა-განმარტებისათვის მისცა მოპასუხეს. მოპასუხის ახსნა-განმარტების შემდეგ, მოსამართლემ მოუსმინა მოსარჩელეს და გამოაცხადა, თუ რა სახის წერილობითი მტკიცებულებებია საქმეში. მოსამართლე შეეკითხა მხარეებს, ხომ არ სურდათ ახსნა-განმარტებისათვის რაიმე დაემატებინათ ანდა აღეძრათ შუამდგომლობები. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ მოსამართლე გავიდა გადაწყვეტილების მისაღებად სათათბირო ოთახში. გადაწყვეტილება მოსამართლემ საჯაროდ წაიკითხა სასამართლო სხდომის დარბაზში.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. რა ნაწილებისგან შედგება სასამართლოს მთავარი სხდომა?

კაზუსი №206

2011 წლის 20 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის

ოდენობით. სასამართლოში საქმის მოსამზადებელ სხდომაზე განხილვისას, მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელზე იმ მოტივით, რომ რადგანაც მოპასუხეს გააჩნია რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამიტომაც გადაწყვიტა სარჩელი შეეტანა თელავის რაიონულ სასამართლოში. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გამოიტანა განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2011 წლის 15 ივნისს „ა“-მ იმავე სარჩელით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს. მოსამართლემ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ შემდგომ გამოარკვია რა, რომ საქმეზე არსებობდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, მანაც გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

რა შეცდომები იქნა დაშვებული მოცემულ საქმეზე?

კაზუსი №207

2011 წლის 15 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-ს ბავშვის მამად ცნობა. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი განუხილველად დატოვა იმ საფუძვლით, რომ სარჩელი შეიტანა პირმა, რომელსაც არა ჰქონდა უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე, რადგან მოსარჩელე ბავშვის ბებიაა, ხოლო სარჩელი მამად ცნობის შესახებ შეიძლება შეიტანოს მხოლოდ ბავშვის დედამ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? ჩამოთვალეთ სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები.

კაზუსი №208

2012 წლის 10 მარტს რაიონული სასამართლოს მოსამართლე სასამართლოს მთავარ სხდომაზე იხილავდა „ა“-ს სარჩელს მოპასუხე „კ“-ს მიმართ ქონების უკანონო მფლობელობი-

დან გამოთხოვის შესახებ. მხარეთა ახსნა-განმარტებების ეტაპზე მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უკან დაბრუნება (გამოიხმო სარჩელი), ხოლო მოპასუხემ კი აღძრა შუამდგომლობა, რომ სარჩელი განუხილველად ყოფილიყო დატოვებული. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №209

2011 წლის 10 ნოემბერს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ და მოითხოვა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. სასამართლოში საქმის განხილვა ვერ მოხერხდა ექვსი თვის განმავლობაში, რამეთუ არაერთგზის დანიშნული სასამართლო სხდომების მიუხედავად, საქმის განხილვა ვერ შედგა მოსარჩელის ავადმყოფობის გამო.

სარჩელის წარმოებაში მიღებიდან მეშვიდე თვეს მოსარჩელის მეზობელმა „დ“-მ, რომელიც საქმეში ჩაბმული იყო მოწმედ, საქმის განმხილველ მოსამართლეს წარუდგინა მოსარჩელის მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელე სულიერად დაავადებულია, ქმედუუნაროა და ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში. ექიმის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №210

2011 წლის 15 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მოსარჩელე შპს “X“-მა (რომლის იურიდიული მისამართი იყო

ქალაქი გორი) მოპასუხე შპს "Z"-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულებით ქალაქ თბილისში შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება 15000 ლარის ოდენობით. 2011 წლის 18 ივლისს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. 2011 წლის 25 ივლისს შპს „Z"-მა სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს შპს „X"-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხის მიერ მოსარჩელისაგან ნაყიდი ელექტროენერგიის საზღაურის გადახდა 17000 ლარის ოდენობით. 2011 წლის 26 ივლისს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. შპს „X"-მა საპროცესო ეკონომიის მიზნით ის სარჩელი, რაც მას თბილისის საქალაქო სასამართლოში ჰქონდა წარდგენილი, შეგებებული სარჩელის სახით წარადგინა გორის რაიონულ სასამართლოში, რომელიც მოსამართლის მიერ წარმოებაში იქნა მიღებული 2011 წლის 20 აგვისტოს. თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე შპს „X"-მა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მის სარჩელზე საქმის წარმოების შეჩერება იმ მოტივით, რომ გორის რაიონული სასამართლო ამ სარჩელს იხილავს, როგორც შეგებებულ სარჩელს და მის განხილვამდე შეუძლებელი იქნებოდა სარჩელის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით შპს"X"-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, თუმცა სასამართლომ თავისი ინიციატივით გამოიტანა განჩინება შპს „X"-ის სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

შეაფასეთ მხარეთა და მოსამართლეთა მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №211

2012 წლის 10 მარტს სასამართლოს მთავარი სხდომის

ჩატარებიდან სამი დღის შემდეგ, სასამართლო სხდომის მდივანმა შეადგინა „დ“-ს სარჩელზე სასამართლო სხდომის ოქმი. ოქმის შედგენიდან მეორე დღეს, სხდომის მდივანი მოულოდნელად ავად გახდა და საჭირო შეიქნა მისი სტაციონარული მკურნალობა. საქმის განმხილველი მოსამართლე გაეცნო რა საქმეზე შედგენილი ოქმის შინაარსს, არ დაეთანხმა მის ზოგიერთ დებულებას.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე მოცემულ შემთხვევაში?

კაზუსი №212

2012 წლის 10 მარტს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ საქმე განიხილა სასამართლოს მთავარ სხდომაზე და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხის წარმომადგენელი გაეცნო რა საქმეზე შედგენილ სასამართლო სხდომის ოქმს, გამოთქვა მის მიმართ გარკვეული შენიშვნები, რომელიც საქმის განმხილველმა მოსამართლემ არ მიიღო შემდეგი გარემოებების გამო:

ა) მოპასუხის მიერ გაცემულ მინდობილობაში არაფერი იყო ნათქვამი წარმომადგენლის უფლებაზე გამოეთქვა სხდომის ოქმის მიმართ შენიშვნები;

ბ) ოქმის შედგენიდან უკვე 5 დღე იყო გასული.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება? როგორი წესით ხდება ოქმის მიმართ შენიშვნების განცხადება და მათი განხილვა?

კაზუსი №213

რა სახის აქტი (გადაწყვეტილება თუ განჩინება) უნდა გამოიტანოს მოსამართლემ შემდეგ შემთხვევებში:

1) ქონების დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე, თუკი მოპასუხემ მოსამზადებელ სხდომაზე ცნო სარჩელი;

2) ზემოთ აღნიშნულ ანალოგიურ საქმეზე, თუკი მოსარჩელემ

უარი განაცხადა სარჩელზე;

3) მამობის დადგენის შესახებ საქმეზე მოსარჩელის მიერ გენეტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესაძებ აღძრული შუამდგომლობის მიმართ;

4) მოპასუხის განცხადებაზე საქმის განსახილველად სხვა სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ.

კაზუსი №214

2012 წლის 18 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-ს საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობა. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შედეგად, მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოდავე მხარეებს შორის არ იყო დადებული ხელშეკრულება სახლის საერთო წილობრივი საკუთრების შესახებ. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოსამართლემ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელემ გაუშვა ნაგებობის ასაშენებლად მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ სარჩელის შეტანისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №215

რა სახის აქტი (გადაწყვეტილება თუ განჩინება) უნდა გამოიტანოს მოსამართლემ შემდეგ შემთხვევებში:

1) მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე;

2) სასამართლო იხილავდა სარჩელს ქონების სხვისი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ. საქმის განხილვის შედეგად მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს;

3) მოსარჩელის განცხადებაზე სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ;

4) მოპასუხის განცხადებაზე გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ;

5) მოპასუხის განცხადებაზე სარჩელის ცნობის შესახებ;

6) მოსარჩელის შუამდგომლობაზე მოწმის სახით „ა“-ს დაკითხვისა და საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

კაზუსი №216

რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება შემდეგ საქმეებზე:

1) მოპასუხის გამოსახლებაზე დაქირავებული ბინიდან იმ საფუძვლით, რომ იგი საცხოვრებელ ბინას იყენებდა არადანიშნულებისამებრ და უარს აცხადებდა გადაეხადა გაზრდილი ბინის ქირა, რომელიც ბაზარზე არსებულ ფასს შეესაბამება;

2) ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე;

3) სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის სამუშაოზე აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ;

4) ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდის დაკისრების შესახებ;

5) სრულწლოვანი, შრომისუნარიანი შვილისათვის შრომისუუნარო მშობლების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრების შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებებიდან, რომელი მიეკუთვნება დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს?

კაზუსი №217

2012 წლის 10იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „კ“-საგან მეზობელი მიწის ნაკვეთების მიჯნაზე აშენებული დამხმარე სათავსო ნაგებობის აღება და სხვაგან გადატანა იმ მოტივით, რომ ნაგებობა აშენებული იყო მისი სახლის ფანჯრებთან ახლოს და ჩრდილავდა მას. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შედეგად სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება. მოსამართლემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩაწერა შემდეგი: „დაეკისროს მოპასუხეს დამხმარე სათავსო ნაგებობის აღება და მისი სხვა ადგილას გადატანა ორი თვის ვადაში. თუკი იგი დადგენილ დროში არ გადაიტანს სათავსს სხვა ადგილას, მაშინ მოსარჩელეს უფლება აქვს თვითონ გადაიტანოს სათავსო მოპასუხის ხარჯზე. დაეკისროს მოპასუხეს აგრეთვე მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით“.

სწორად არის თუ არა ჩამოყალიბებული სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი?

კაზუსი №218

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე,

განიხილა იგი სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოსარჩელის მოთხოვნა ჩათვალა დადასტურებულად და დააკმაყოფილა სარჩელი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოსამართლემ აღნიშნა: ,,აღდგენილ იქნეს მოსარჩელე ყოფილ სამუშაო ადგილზე, ასევე აუნაზღაურდეს მას უკანონოდ გათავისუფლების შედეგად დაკარგული ხელფასი 2000 ლარის ოდენობით".

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №219

2012 წლის 12 მარტს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მთავარ სასამართლო სხდომაზე განიხილა ,,ა"-ს სარჩელი მოპასუხე ,,ბ"-ს მიმართ 5000 ლარის ოდენობით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსამართლემ საქმის განხილვის შედეგად გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ,მოპასუხემ განცხადებით მიმართა მოსამართლეს და სთხოვა,რომ მატერიალური მდგომარეობის გაუარესების გამო, გადაევადა მისთვის დაკისრებული თანხის გადახდა ორი წლის ვადით.

მოსამართლემ მოპასუხის განცხადებას დაადო შემდეგი რეზოლუცია: ,,განუწილვადდეს მოპასუხეს დაკისრებული 5000 ლარის გადახდა ორი წლის განმავლობაში ყოველთვიურად თანაბარი ნაწილების გადახდით "

რა სახის პროცესუალური შეცდომები დაუშვა მოსამართლემ?

კაზუსი №220

2011 წლის 10 მაისს ,,ა"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისაგან სახელის, პატივისა და ღირსების შემბღალავი გავრცელებული ცნობების უარყოფა და

მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოსამართლემ ჩაწერა: „მოსარჩელის სულით ავადმყოფობის შესახებ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება“.

მიუთითეთ რაში მდგომარეობს აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ნაკლი?

კაზუსი №221

სამედიცინო დაწესებულება შპს “X“-ში „ა“ მუშაობდა ექიმად. დაწესებულების ხელმძღვანელის - “ბ“-ს ბრძანებით „ა“ გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. „ა“-მ სამსახურიდან მისი გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს „X“-ის წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენის შესახებ. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, განიხილა იგი სასამართლოს მთავარ სხდომაზე და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. გარდა ამისა, მოსამართლემ იგივე გადაწყვეტილებით შპს „X“-ის ხელმძღვანელობას დააკისრა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით, ხოლო დაწესებულების ხელმძღვანელ „ბ“-ს კი დააკისრა რეგრესის წესით დაწესებულებისათვის იმ თანხის გადახდა, რომელიც მიეკუთვნა „ა“-ს იძულებითი განაცდურის სახით.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №222

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან ოქროს საათის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

10000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების ეტაპზე, საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ საქმე ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდებოდა, თანაც რადგან საქმის განმხილველ რაიონულ სასამართლოში იყო მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისათვის, გამოიტანა მოტივირებული განჩინება საქმის სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ და განსაზღვრა კოლეგიური შემადგენლობა. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას, სასამართლო კოლეგიამ მოუსმინა მხარეებსა და მოწმეებს, საქმის გამოკვლევა დაამთავრებულად გამოაცხადა, გადავიდა მხარეთა პაექრობის ეტაპზე და მხარეთა პაექრობის შემდეგ გავიდა სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად. თათბირის დროს მოსამართლეთა აზრი გაიყო დაზიანებული საათის საბაზრო ღირებულების თაობაზე. ორი მოსამართლე თვლიდა, რომ საათი უფრო ნაკლები ღირებულების იყო, ვიდრე ამას მოსარჩელე მოითხოვდა. კოლეგიამ გადაწყვიტა გამოეთხოვა ექსპერტის დასკვნა იუველირისაგან.

სათათბირო ოთახიდან გამოსვლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი: მოსარჩელეს აქვს სარჩელის დაკმაყოფილების უფლება. მოტივირებული დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება გადაიდოს 15 დღით. მეორე დღეს, სასამართლო კოლეგიამ განჩინებით იუველირს დაავალა საექსპერტო დასკვნის მომზადება ოქროს საათის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენის შესახებ. ერთი კვირის შემდეგ, იუველირმა სასამართლოს წარუდგინა ექსპერტის დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ დაზიანებული საათის ღირებულება 6000 ლარს შეადგენდა. ექსპერტის დასკვნის საფუძველზე სასამართლო კოლეგიამ მოამზადა დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეთათვის გადასაცემად, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ

დააკისრა 6000 ლარის გადახდა.

შეაფასეთ სასამართლო კოლეგიის მიერ მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №223

2011 წლის 10 ივნისს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა საცხოვრებელი ბინიდან რეალური წილის გამოყოფა. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად მომზადების დროს, მოსამართლემ გამოითხოვა მერიის არქიტექტურის სამსახურის დასკვნა. დასკვნა ვერ იქნა; მიღებული, თუმცა კი მოსამართლემ დასკვნის გარეშეც დაადგინა განჩინებით საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. დანიშნულ დროს მოსამართლემ განიხილა საქმე სასამართლოს მთავარ სხდომაზე. მხარეთა პაექრობის შემდეგ,მოსამართლემ განუცხადა სხდომის დარბაზში დამსწრე პირებს, რომ გადიოდა გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბირო ოთახში. ამ დროს სასამართლოს კანცელარიაში მიიტანეს არქიტექტურის სამსახურის დასკვნა, რომელიც მაშინვე გადაეცა საქმის განმხილველ მოსამართლეს. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სახლის რეალურად გაყოფა შეუძლებელია. ამის გათვალისწინებით, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №224

დაქირავებული საცხოვრებელი ბინიდან დამქირავებლის გამოსახლების შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოსამართლემ მიუთითა: „გამოსახლე-

ბულ იქნეს მოპასუხე „ა“ თავის ოჯახთან ერთად მოსარჩელის ბინიდან. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ორი კვირის განმავლობაში გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარებიდან“.

მიუთითეთ, რაში მდგომარეობს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ნაკლი.

კაზუსი №225

2012 წლის 12 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეების „დ“-სა და „ბ“-საგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად 5000 ლარის ოდენობით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად, მოსამართლემ გადაწყვეტილებით დააკისრა თანამოპასუხეებს სოლიდარული პასუხისმგებლობის ნაცვლად წილობრივი პასუხისმგებლობა.

მოსარჩელემ სთხოვა მოსამართლეს გადაწყვეტილების განმარტება. მოსამართლემ გადაწყვეტილების განმარტების შესახებ გამოიტანა განჩინება, რომელშიც აღნიშნა, რომ თანამოპასუხეთა ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე უნდა ჩაითვალოს სოლიდარულად.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №226

„ა“-მ თავის გერ „ბ“-ს ანდერძით დაუტოვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ანდერძისმიერი მემკვიდრე მოანდერძის გარდაცვალებისთანავე შეუდგა სამკვიდრო ქონების მართვას. მან მამინაცვლის მიერ დატოვებული ნაკვეთიდან აიღო მოსავალი, გაუკეთა მას რეალიზაცია და მიიღო 3000 ლარის შემოსავალი. შემდგომში აღმოჩნდა, რომ მამკვიდრებელს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე შეუდგენია ახალი ანდერძი,

რომლითაც მიწის ნაკვეთი გადასცა თავის დისშვილს – „დ“-ს. „დ“-მ „ბ“-ს მოსთხოვა როგორც მიწის ნაკვეთის, ასევე ნაკვეთიდან აღებული მოსავლის ღირებულების – 3000 ლარის უკან დაბრუნება. „ბ“-მ დაუბრუნა „დ“-ს მიწის ნაკვეთი, მაგრამ უარი განუცხადა 3000 ლარის გადახდაზე.

2011 წლის 10 მარტს „დ“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ბ“-საგან მიწის ნაკვეთზე მოწვეული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხის – 3000 ლარის უკან დაბრუნება. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

კანონიერია თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №227

შრომისუუნარო „ა“, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებდა, თავისი ყოფილი მეუღლის -“ბ“-საგან ღებულობდა სარჩოს იმ საფუძვლით, რომ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. განქორწინებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ „ა“ ხელახლა დაქორწინდა, რის გამოც მისმა ყოფილმა მეუღლე „ბ“-მ შეწყვიტა მისთვის სარჩოს გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ „ა“ კვლავაც საჭიროებდა მატერიალურ დახმარებას. 2012 წლის 17 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ყოფილი მეუღლის “ბ“-საგან სარჩოს მიღების უფლების შენარჩუნება იმ საფუძვლით, რომ მისი ახალი მეუღლეც შრომისუუნაროა და მატერიალურ დახმარებას საჭიროებს. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, საქმის მომზადების მიზნით დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც მიიღო განჩინება უსაფუძვლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №228

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან 2500 ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად, გამოიტანა გადაწყვეტილება და მის სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა: „მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილებას ექვემდებარება. გადახდეს მოპასუხეს სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით“.

მიუთითეთ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ნაკლი. რა სახის უსწორობები შეიძლება გასწორდეს თვითონ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და რა წესით?

კაზუსი №229

2012 წლის 10 მარტს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ „ა“-ს სარჩელზე მოპასუხე „ბ“-ს მიმართ გაყიდული ნივთის ნაკლის გამოსწორების შესახებ, გამოიტანა შემდეგი სახის გადაწყვეტილება: „დაეკისროს მოპასუხეს უსასყიდლოდ გამოასწოროს მოსარჩელისათვის მიყიდული რბილი ავეჯის ნაკლი. თუკი მოპასუხე არ შეასრულებს ამ მოვალეობას, მაშინ მან სრულად უნდა აუნაზღაუროს მოსარჩელეს ნაყიდი ავეჯის ნაკლის გამოსასწორებლად გაწეული ხარჯები.

დაიშვება თუ არა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ასეთი სახით ჩამოყალიბება?

კაზუსი №230

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს ყოფილი მეუღლის „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილი აგარაკის გაყიდ-

ვის შედეგად მიღებული თანხის ნახევრის გადახდის დაკისრება. თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები, რომ გაყიდული აგარაკი წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრების ნაწილს, რომ იგი მოპასუხესთან 10 წლის განმავლობაში იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ შემდგომში ხასიათების შეუთავსებლობის გამო ისინი განქორწინდნენ, ხოლო აგარაკი კი შეიძინეს საერთო სახსრებით განქორწინებამდე ორი წლით ადრე და გააფორმეს მოპასუხის სახელზე. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი წარმოებაში მიიღო, საქმის მომზადების მიზნით გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და განუსაზღვრა ათი დღის ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

მოპასუხემ შესაგებელში განმარტა, რომ, იგი მართალია მოსარჩელესთან ათი წელი იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე ბოროტად იყენებდა ალკოჰოლურ სასმელებს და შეუძლებელი იყო მასთან ერთად ცხოვრება, ამიტომაც ისინი განქორწინებამდე 5 წლის განმავლობაში ფაქტობრივად ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და აღარ ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. რაც შეეხება აგარაკს, იგი მან იყიდა მხოლოდ თავისი ფულადი სახსრებით და ფულის მოსაგროვებლად რამდენიმე წელი მუშაობდა სხვადასხვა მძიმე სამუშაოზე, ამასთან აგარაკის მოვლაში მოსარჩელე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა და არავითარი ხარჯები მას გაწეული არა აქვს.

საქმეზე მოწმედ დაკითხულმა პირებმა სასამართლოს მოახსენეს, რომ მხარეები 5 წელზე მეტი ხანია, რაც ცალ-ცალკე აწარმოებენ საოჯახო მეურნეობას, მოსარჩელე მთელი ამ დროის განმავლობაში აგრძელებდა ალკოჰოლური სასმელების გამოყენებას, ხოლო აგარაკი კი მოპასუხემ შეიძინა იმ პერიოდში, როცა მოსარჩელესთან ერთად აღარ ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას.

შეადგინეთ მოცემულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების პროექტი.

კაზუსი №231

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 მარტის განჩინებით დამტკიცდა „ა“-სა და „ბ“-ს შორის მორიგება; 2011 წლის 12 აპრილს „ა“-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2011 წლის 10 მარტის განჩინების აღსრულების გადავადება შვიდი თვის ვადით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს განცხადება, მხარეთათვის შეუტყობინებლად განიხილა იგი, 2011 წლის 5 მაისის განჩინებით დაკმაყოფილა და 2011 წლის 10 მარტის განჩინების აღსრულება გადაავადა 2011 წლის 15 ნოემბრამდე. 2011 წლის 20 ივნისს „ბ“-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი განცხადებით მოითხოვა 2011 წლის 5 მაისის განჩინების განმარტება, კერძოდ, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება აღსრულების გადავადებას 2011 წლის 15 ნოემბრამდე, აგრეთვე, გადავადდა თუ არა „ბ“-სათვის მოპასუხე „ა“-ს მხრიდან თანხის გადაცემის ვალდებულება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2011 წლის 10 ივლისის განჩინებით „ბ“-ს განცხადება განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

შეაფასეთ მხარეთა და სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №232

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს შპს „X“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით, კერძოდ, სამშენებლო ობიექტის ასაშენებლად გამოყენებული უხარისხო ბეტონის გამოყენებით, მიყენებული ზიანის ანაზღაურება 80. 000 ლარის ოდენობით. სარჩელშივე „ა“-მ მოითხოვა, რომ სასამართლოს

დაენიშნა ექსპერტიზა, რათა დადგენილიყო, რა სახის და რა ოდენობის სამუშაო იყო შემდგომში ჩასატარებელი, რათა მას შეძლებოდა ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამო, შესაბამისი ობიექტის თავიდან აშენება.

მოსარჩელემ სარჩელს თან დაურთო მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული ნარდობის ხელშეკრულება, ექსპერტის დასკვნა მიყენებული ზიანის ოდენობის შესახებ, აგრეთვე ამონაწერი რეესტრიდან შპს „X"-ის შესახებ, სადაც სასამართლოში წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად მითითებული იყო შპს-ს ერთერთი დირექტორი „დ". 2011 წლის 14 მარტს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ „ა"-ს სარჩელი განჩინებით მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლემ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაუგზავნა მოპასუხეს, აგრეთვე განუსაზღვრა მას ათი დღის ვადა სარჩელზე წერილობითი შესაგებლის წრმოსადგენად. სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლის ჩაბარებიდან მერვე დღეს, სარჩელზე შესაგებელი შემოიტანა მოპასუხემ, რომელსაც ხელს აწერდა "კ" (და არა „დ"), როგორც ნარდობის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი შპს „X"-ის ერთერთი დირექტორი. შესაგებელში „კ"-მ არ ცნო სარჩელი. მისი განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში არის დაუსაბუთებელი, აგრეთვე ექსპერტიზის ჩატარება იმის შესახებ, თუ რა სახის და რა ღირებულების სამუშაოს წარმოებაა აუცილებელი შესაბამისი ობიექტის ასაშენებლად არ წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას. ამასთან, მათ მიერ შესრულებული სამუშაო არ იყო ნაკლის მქონე, რასაც ადასტურებდა მის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნაც. „კ"-მ აგრეთვე მიუთითა სასამართლოს, რომ აპირებდა შეგებებული სარჩელის შემოტანას „ა"-ს წინააღმდეგ, რამდენადაც „ა"-ს მიერ არ მომხდარა ნარდობის ხელშეკრულებით წარმოებული შესაბამისი სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება. შპს „X"-ის სახელით „კ"-ს მიერ წერილობითი შესაგებლის წარმოგდგენიდან მეთხუთმეტე დღეს, მოპასუხის მიერ

სასამართლოში შეტანილი იქნა შეგებებული სარჩელი, რომელსაც ხელს აწერდა შპს „X“-ის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი-რეესტრში რეგისტრირებული ერთერთი დირექტორი „დ“. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე „ა“ და მოპასუხე შპს “X“-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი „დ“. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის წარმოების გახსნის ეტაპზე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე „ა“-ს შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნაზე, რომელსაც იგი ითხოვდა სარჩელით. მოსარჩელემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხის მიერ შესაგებლის არ წარდგენის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რამდენადაც მოპასუხის შესაგებელს ხელს აწერდა არაუფლებამოსილი პირი, რომელიც არ იყო ასეთად მითითებული რეესტრის ამონაწერში. მოსარჩელემ აგრეთვე განაცხადა, რომ სასამართლოს წარმოებაში არ უნდა მიეღო არც შეგებებული სარჩელი, რადგან არ არსებობდა მისი მიღების სამართლებრივი საფუძველი. მოპასუხის წარმომადგენელ “დ“-ს მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმარტებული იქნა, რომ მის მიერ შიდა ბრძანებით, სასამართლოში წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად დანიშნული იყო შესაგებელზე ხელმომწერი „კ“, მას შიდა ბრძანების საფუძველზე ასევე ქონდა ხელშეკრულებებსა თუ სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება. „დ“-მ ამასთან ერთად აღნიშნა, რომ იგი სრულად ეთანხმება სასამართლოში წარმოდგენილ შესაგებელს, მასში მითითებულ გარემოებებს, შესაგებელი მისი დავალებით იქნა შედგენილი შესაბამისი დასაბუთებით, ამიტომაც არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები. რაც შეეხება შეგებე-

ბულ სარჩელს, იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით იქნა წარმოებაში მიღებული. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობები. ამასთან, მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების ეტაპზე, მოსამართლემ თავისი ინიციატივით დაინიშნა განმეორებითი ექსპერტიზა, რამდენადაც მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნას მოსარჩელისათვის 30. 000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების შესახებ, ვერ გაიზიარებდა დაუსაბუთებლობის გამო, რაც დადასტურებულად მიიჩნია სხდომაზე მოწვეული შესაბამისი საექსპერტო დასკვნის გამცემი პირის დაკითხვის შემდეგ და განჩინებით შეაჩერა საქმის განხილვა განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებამდე.

შეაფასეთ მხარეთა და მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №233

2012 წლის 10 მარტს სასამართლოს მთავარ სხდომაზე რაიონული სასამართლოს მოსამართლე იხილავდა „ა“-ს სარჩელს მეუღლის-„ბ“-ს მიმართ ბავშვის ჩამორთმევისა და მისი მოსარჩელისათვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ. მოსამართლემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად, გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს, რათა მას გადაწყვეტილება გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. თავის თხოვნას იგი იმით ასაბუთებდა, რომ მოპასუხე ცუდად ექცეოდა ბავშვს, ხშირად სცემდა, აგზავნიდა მას სპირტიანი სასმელების შესაძენად და მავნე გავლენას ახდენდა ბავშვის აღზრდაზე.

შეუძლია თუ არა მოსამართლეს აღნიშნულ შემთხვევაში დაადგინოს გადაწყვეტილების დაუყონებლივი აღსრულება?

კაზუსი №234

2008 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიწოდებული პროდუქციის ღირებულების - 25. 000 ლარის გადახდევინების დაკისრება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2008 წლის 5 მაისს, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. 2008 წლის 5 მაისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

2011 წლის 15 ივლისს იგივე რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა „ა“-მ და მოითხოვა 2008 წლის 5 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა. არქივიდან საქმის გამოთხოვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხი ბუნდოვანი იყო, რის გამოც მოსამართლემ დანიშნა განცხადების ზეპირი განხილვა, სადაც მოიწვია, როგორც „ა“, ისე „ბ“. „ბ“-ს უწყება გაეგზავნა საქმეში არსებული მისამართის მიხედვით, მაგრამ 3 წლის წინანდელ მისამართზე იგი აღარ ცხოვრობდა, რის გამოც სხდომა გადაიდო. მომდევნო სხდომამდე „ა“-მ წარმოადგინა მოპასუხის მობილური ტელეფონის ნომერი და მისი სახლის ახალი მისამართი. მოსამართლემ მოპასუხეს უწყება გაუგზავნა, როგორც საქმეში არსებული მისამართის მიხედვით, ასევე ახალ მისამართზე, აგრეთვე ტელეფონოგრამით აცნობა სხდომის დანიშვნის შესახებ. ამისდა მიუხედავად, 2011 წლის 25 სექტემბერს დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა “ბ“. მოსამართლემ არასაპატიოდ ცნო მხარის გამოუცხადებლობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267^1 მუხლის საფუძველზე განიხილა განცხადება და განჩინებით დაადგინა სააღსრულებო ფურცლის გაცემა. ამავე დროს, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა, რომ გან-

ჩინებაზე დაიშვებოდა კერძო საჩივარი.

2011 წლის 15 ოქტომბერს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა 2008 წლის 5 მაისის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დასდებოდა „ბ“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომლის საკუთრების უფლებაც დასტურდებოდა საჯარო რეესტრის მიერ 2011 წლის 30 სექტემბერს გაცემული ცნობით. მოსამართლემ განიხილა განცხადება და 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით ყადაღა დაადო მოპასუხე „ბ“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს.

2011 წლის 10 ნოემბერს „ბ“-მ კერძო საჩივარი შეიტანა რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა სასამართლოს როგორც 2011 წლის 25 სექტემბრის, ისე 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებათა გაუქმება იმ საფუძვლით, რომ რაიონულ სასამართლოს არ ჰქონდა აღნიშნულ განჩინებათა მიღების უფლება. მოსამართლემ განჩინებით კერძო საჩივარი შემოსვლიდან მეექვსე დღეს განსახილველად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

შეაფასეთ მხარეთა და რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №235

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს მიმართ თამასუქიდან გამომდინარე მოთხოვნების შესრულებისა და საქმის გამარტივებული წარმოების წესით განხილვის შესახებ. საქმის მომზადების დროს მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი ძირითად სარჩელთან ერთად განსახილველად. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელი, განიხილა იგი ძირითად სარჩელთან ერთად და მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №236

2011 წლის 15 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან თამასუქიდან გამომდინარე მოთხოვნის შესრულება. მოსამართლემ დაადგინა საქმის განხილვა გამარტივებული წესით. თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად „ა“-მ მოითხოვა მოწმის სახით დაეკითხათ „ბ“ და „დ. “ მოსამართლემ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას, მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ მოისმინა მოწმეთა ჩვენებები და მათ საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №237

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-სათვის სესხად გადაცემული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვის თხოვნით. მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში. საქმის განხილვისას მოპასუხემ განაცხადა, რომ არ ეთანხმება განმცხადებლის მოთხოვნას, რამეთუ ნარდობის ხელშეკრულებით განმცხადებელს მისთვის უნდა გადაეხადა გარკვეული ოდენობის ფულადი თანხა, რომელიც მან გაუქვითა განმცხადებელს სესხის თანხაში. მოსამართლემ მოპასუხის შესაგებლის საფუძველზე გამოიტანა განჩინება გადახდის ბრძანების მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №238

2011 წლის 12 მარტს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ბ“-საგან დავალიანების ამოღების შესახებ საქმის განხილვა გამარტივებული წესით და გადახდის ბრძანების მიღება. მოსამართლემ გამოარკვია, რომ მოპასუხე ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფება. ამ საფუძვლით მოსამართლემ გამოიტანა განჩინება დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ისე, რომ არ შეატყობინა განმცხადებელს და არ მოისმინა მისი ახსნა-განმარტება.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №239

„ა“-ს განცხადებაზე დავალიანების გადახდევინების შესახებ, რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მიიღო გადახდის ბრძანება და მოპასუხეს დააკისრა 10000 ლარის ოდენობის თანხის გადახდა. მოპასუხე არ დაეთანხმა გადახდის ბრძანებას და შეიტანა პროტესტი იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადახდის ბრძანება, ბრძანების მიღებიდან სამი კვირის შემდეგ. მოსამართლემ არ მიიღო პროტესტი იმ საფუძვლით, რომ იგი შეტანილ იქნა დადგენილი ვადის გადაცილებით. მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა საფოსტო განყოფილებიდან გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ მან გადახდის ბრძანების ასლი ჩაიბარა მისი გამოტანიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ და, შესაბამისად, დარჩენილი აქვს კანონით დადგენილი გაპროტესტების ვადა.

მოსამართლემ ვადის გასვლის საფუძვლით მაინც არ მიიღო პროტესტი და გასცა სააღსრულებლო ფურცელი გადახდის ბრძანების იძულებით აღსრულების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №240

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა გადახდის ბრძანების მიღება, რომლითაც „ბ“-ს დაეკისრებოდა განმცხადებლის სასარგებლოდ 20. 000 ლარის გადახდა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ „ბ“-ს 2010 წლის 25 მაისს 20. 000 ლარი სესხად გადასცა განმცხადებლის მამამ, აწ გარდაცვლილმა „დ“-მ და განცხადებას მტკიცებულებად დაურთო სესხის ხელშეკრულება. „ბ“-ს სესხად მიღებული თანხა უნდა დაებრუნებინა კრედიტორისათვის ექვსი თვის შემდეგ, მაგრამ ამ პერიოდში გამსესხებელი „დ“ გარდაიცვალა, „ბ“ კი უარს აცხადებს ვალის გადახდაზე. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს განცხადება, მოპასუხის შეუტყობინებლად განიხილა,დააკმაყოფილა განცხადება გადახდის ბრძანების მიღების თაობაზე და „ბ“-ს დააკისრა „ა“-ს სასარგებლოდ 20. 000 ლარის გადახდა.

„ბ“ გადახდის ბრძანების ჩაბარების შემდეგ დაუყოვნებლივ გაემგზავრა საზღვარგარეთ სამკურნალოდ, რის გამოც მან ვერ შესძლო გადახდის ბრძანების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში პროტესტის შეტანა სასამართლოში. საზღვარგარეთიდან დაბრუნებიდან მეორე დღეს „ბ“-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადახდის ბრძანების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. მან ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა, მთავარი პროკურატურის დადგენილება „დ“-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მისი გარდაცვალების გამო. ამ დადგენილებაში მითითებული იყო, რომ აწ გარდაცვლილმა „დ“-მ გააყალბა სესხის ხელშეკრულებაზე „ბ“-ს ხელმოწერა და სინამდვილეში მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა.

„ბ“-მ მეორე განცხადებით მოითხოვა ასევე გადახდის ბრძანების ბათილად ცნობა, რადგან მისთვის სასამართლოს არ უცნობებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად გადახდის ბრძანების მიღების თაობაზე საქმის განხ-

ილვის ადგილისა და დროის შესახებ.

გადახდის ბრძანების გამომტანმა მოსამართლემ ჯერ განიხილა „ბ“-ს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ და უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა იგი, ხოლო შემდგომ კი განიხილა „ბ“-ს განცხადება გადახდის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, დააკმაყოფილა იგი, გააუქმა გადახდის ბრძანება და განაახლა საქმის წარმოება.

შეაფასეთ მოპასუხისა და რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №241

2011 წლის 14 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა შპს "X"-ის დირექტორმა „ბ“-მ დავალიანების გახდევინების შესახებ და მოითხოვა გადახდის ბრძანებით „ა“-სათვის 15. 000 ლარის გადახდის დაკისრება, ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. განცხადებას თან ერთვოდა ექსპერტის დასკვნის დედანი, რომელშიც შპს-სათვის მიყენებული ზიანი შეფასებული იყო 15. 000 ლარად. მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში, განიხილა იგი, დააკმაყოფილა და მიიღო გადახდის ბრძანება, რომლითაც "ა"-ს დაეკისრა შპს „X"-ის სასარგებლოდ 15. 000 ლარის გადახდა. გადახდის ბრძანების ჩაბარებიდან მეთხუთმეტე დღეს, „ა“-მ პროტესტით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შპს „X“-ის მოთხოვნის სასარჩელო წარმოების წესით განხილვა, რამეთუ „ა“-ს მიერ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სარემონტო სამუშაოები შესრულებულია ჯეროვნად და არ არსებობს მისთვის 15. 000 ლარის გადახდის დაკისრების

სამართლებრივი საფუძველი, ამასთან დაუშვებელი იყო ასეთი მოთხოვნის განხილვა გამარტივებული წარმოების წესით. ათდღიანი ვადის გაშვების საპატიო მიზეზად „ა“-მ მიუთითა დედის გარდაცვალება, რის დასამტკიცებლადაც პროტესტს დაურთო დედის გარდაცვალების მოწმობის ასლი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2011 წლის 30 აპრილის განჩინებით, მოპასუხის მიერ ვადის გაშვება მიიჩნია საპატიოდ, გააუქმა გადახდის ბრძანება და დაადგინა შპს „X“-ის დირექტორის მოთხოვნის განხილვა სასარჩელო წარმოების წესით.

2011 წლის 30 აპრილის განჩინება მისი ჩაბარებიდან მეხუთე დღეს, კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „X“-ის დირექტორმა „ბ“-მ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სასამართლოს არ ჰქონდა გაპროტესტების ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი პროტესტის დაკმაყოფილების და დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნის სასარჩელო წესით განხილვის დადგენის უფლება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ იმსჯელა კერძო საჩივრის დასაშვებობაზე და 2011 წლის 20 მაისის განჩინებით მიიჩნია იგი დაუშვებლად, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ასეთი განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას. კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, საქმის მასალებთან ერთად განჩინებით გადაეგზავნა ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოს ხუთი დღის განმავლობაში.

შეაფასეთ მხარეთა და მოსამართლის მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №242

2011 წლის 10 ივნისს რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა 2010 წლის 5 მარტს გარდაცვლილი „ბ“-ს ძმისშვილმა

„დ“-მ და მოითხოვა გარდაცვლილი ბიძის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მას აღნიშნული ფაქტის დადგენა იმისთვის ესაჭიროებოდა, რათა მიეღო გარდაცვლილი ბიძის მიერ დატოვებული სამკვიდრო. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ სამკვიდრო ქონებაზე პრეტენზიას აცხადებდა მამკვიდრებლის დაც.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე?

კაზუსი №243

2011 წლის 10 მარტს რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა „ა“-მ და მოითხოვა ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მეუღლესთან მისი ქორწინება რეგისტრირებული იყო სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ, მაგრამ ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა დაკარგა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მან მიმართა სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს დაკარგული მოწმობის დუბლიკატის გაცემის თხოვნით, მაგრამ უარი მიიღო იმ საფუძვლით, რომ არ არსებობს ჩანაწერი მისი ქორწინების რეგისტრაციის შესახებ.

სასამართლომ თავისი ინიციატივით საქმეში მესამე პირად ჩააბა განმცხადებლის მეუღლე, რომელმაც დაადასტურა თავისი ახსნა-განმარტებით განმცხადებელსა და მას შორის ქორწინების რეგისტრაციის არსებობის ფაქტი. მოსამართლემ განმცხადებლისა და მისი მეუღლის ახსნა-განმარტება საკმარისად ჩათვალა და გამოიტანა გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №244

2010 წლის 14 მარტს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ

სასამართლოს და მოითხოვა თავისი შვილის „გ“-ს მიმართ გარდაცვლილი „ბ“-ს მამად ცნობის ფაქტის დადგენა. განმცხადებელი თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ინტიმურ ურთიერთობაში „ბ“-სთან, ისინი ერთად ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას ბავშვის ჩასახვის მომენტში, ხოლო ბავშვის დაბადების შემდეგ კი „ბ“ ბავშვის მიმართ იჩენდა დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას.

გარდაცვლილი “ბ“-ს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა მეუღლემ -„დ“-მ განცხადებით მიმართა მოსამართლეს, რათა იგი საქმეში დაინტერესებულ პირად ჩაერთოთ. მოსამართლემ განჩინებით „დ“-ს უარი განუცხადა საქმეში ჩართვაზე.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? რა წესით უნდა იქნეს გადაწყვეტილი მოცემული საქმე?

კაზუსი №245

2011 წლის 10 ნოემბერს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს მეუღლის „დ“-ს გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ. განცხადებაში მან მიუთითა, რომ 2011 წლის ივლისში მისი ქმარი ბანაობის დროს ზღვაში დაიხრჩო, ქმრის გვამი ვერ იქნა აღმოჩენილი, რის გამოც სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურმა უარი განუცხადა „ა“-ს ქმრის გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე. განმცხადებელმა მოითხოვა მოწმის სახით დაეკითხათ ქმრის ის მეგობრები, რომლებიც შეესწრნენ უბედური შემთხვევის ფაქტს.

მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში, საქმის მომზადების მიზნით დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, სადაც მოისმინა განმცხადებლის ახსნა-განმარტება, ასევე მოწმეთა ჩვენებები და გამოიტანა გადაწყვეტილება განმცხადებლის მეუღლის გარდაცვლილად ცნობის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №246

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს მეუღლის-„დ“-ს უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მისი მეუღლე უკვე სამი წელია, რაც არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას, ხოლო მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება კი სჭირდება, იმისათვის, რომ თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად საზღვარგარეთ წავიდეს, მაგრამ მეუღლის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მას არა აქვს თანხმობა ბავშვის თან წასაყვანად.

მოსამართლემ განჩინებით უარი განუცხადა „ა“-ს განცხადების წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ მეუღლის ადგილსამყოფელის დასადგენად არ ყოფილა გამოცხადებული ძებნა და, შესაბამისად, ამით არ იქნა დაცული საქმის წინასწარი სასამართლო გარეშე განხილვის წესი.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №247

2012 წლის 10 თებერვალს რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა „ბ“-მ და მოითხოვა მეუღლე „დ“-ს უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება. განცხადებაში მან აღნიშნა, რომ მეუღლესთან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში 2001 წლიდან. 2008 წელს მისი ქმარი სამუშაოდ წავიდა საზღვარგარეთ და ამის შემდეგ მასთან ყოველგვარი კავშირი შეწყდა. ქმრის დაკარგულად აღიარება “ბ“-ს იმისათვის ესაჭიროება, რომ განქორწინდეს სააგენტროს ტერიტორიულ სამსახურში.

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ საქმის მომზადებისას რა მოქმედებები უნდა განახორციელოს მოსამართლემ?

კაზუსი №248

რაიონული სასამართლო განიხილავდა "ა"-ს განცხადებას „ბ"-ს შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას მოსამართლემ გამოარკვია, რომ მოპასუხე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე სისტემატურად მოიხმარდა ალკოჰოლურ სასმელებს, რითაც ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებდა. მიუხედავად დადგენილი გარემოებისა, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ „ბ"-მ პირობა დადო აღარ გაეკარებოდა ალკოჰოლურ სასმელებს, გამოსწორდებოდა და სათანადო ყურადღებას მიაქცევდა ოჯახს.

მართებულია თუ არა მოსამართლის მოქმედება ამ საფუძვლით განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ? რომელი გარემოებები შედის მტკიცების საგანში მოცემულ საქმეზე?

კაზუსი №249

2010 წლის 15 დეკემბერს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს ბავშვის დედის „ქ"-ს შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „ქ" ბოლო 10 წლის განმავლობაში სისტემატურად იყენებდა ალკოჰოლურ სასმელებს, რის შესაძენადაც ხარჯავდა ფულად სახსრებს და სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ბავშვის აღზრდას. მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლემ თავისი ინიციატივით საქმეში დაინტერესებულ პირად ჩართო „ქ"-ს მეუღლე „დ". სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, მოსამართლემ მოწმედ დაკითხა „ქ"-ს ქმარი, რომელმაც, მართალია, არ უარყო ის ფაქტი, რომ მისი მეუღლე ხშირად სვამდა, მაგრამ საკმარისი შემოსავლის წყალო-

ბით ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობას არ განიცდიდა.

მოსამართლემ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ „ქ“-ს მეუღლემ მხარი არ დაუჭირა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნას.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? როგორია მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ საქმის განხილვის პროცესუალური თავისებურებები?

კაზუსი №250

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა თავისი შვილის „დ“-ს ქმედუუნაროდ აღიარება იმ საფუძვლით, რომ იგი დაავადებულია სულიერად და ამჟამადაც იმყოფება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით სამკურნალოდ. თავის თხოვნას განმცხადებელი ასაბუთებდა შვილზე მეურვეობის დაწესების საჭიროებით. მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში, განიხილა საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება „დ“-ს ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის არაფერი იყო ცნობილი საქმის განხილვის შესახებ. მოსამართლემ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი „დ“-ს სულით ავადმყოფობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და მის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების დაკისრების შესახებ.

რა შეცდომები დაუშვა მოსამართლემ ? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №251

2011 წლის 12 მაისს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს თავის შვილის-„დ“-ს დაბადების მოწმობაში ცვლ-

ილებების შეტანის, კერძოდ, მამის სახელის „გიორგის“ ნაცვლად „გია“ ჩაწერის შესახებ. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო განცხადება, განიხილა იგი, გამოიტანა გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილებით დაავალდებულა სააგენტოს ტერიტორიული სამსახური შეეტანა ბავშვის დაბადების მოწმობაში შესაბამისი ცვლილებები.

შეაფასეთ მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №252

2011 წლის 10 აპრილს „ა“-მ განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა უდავო წარმოების წესით ძმისშვილის– „ბ“-ს ქმედუუნაროდ აღიარება მისი ფსიქიკური აშლილობის გამო. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილია თიანეთი, ხოლო მისი ავადმყოფი ძმისშვილის საცხოვრებელი ადგილია თელავი, ვინაიდან მისი ძმა და რძალი („ბ“-ს მშობლები) 2009 წელს გარდაიცვალნენ ავტოკატასტროფის შედეგად, განმცხადებელი მეთვალყურეობას ახორციელებს ავადმყოფ ძმისშვილზე. იმის გამო, რომ მას სურს დაინიშნოს „ბ“-ს მეურვედ, ამიტომ ითხოვს მის ქმედუუნაროდ აღიარებას. მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2011 წლის 14 აპრილის განჩინებით არაგანსჯადობის საფუძვლით უარი უთხრა „ა“-ს განცხადების წარმოებაში მიღებაზე და განცხადება განსახილველად გადაუგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს. თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2011 წლის 29 მაისის განჩინებით „ა“-ს განცხადება წარმოებაში მიიღო. საქმის მომზადების მიზნით მოსამართლემ დანიშნა მოსამზადებელი სხდომა. მოსამზადებელ სხდომაზე გამოირკვა, რომ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე ვერ დგინდებოდა ქმედუუნაროდ ასაღიარებელი „ბ“-ს

მიმართ განმცხადებელ „ა“-ს ნათესაობის (მამიდობის) ფაქტი: „ბ“-ს მამის და განმცხადებლ – „ა“-ს დაბადების მოწმობებში მითითებული მათი მამის სახელი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მიიჩნია, რომ განცხადება შეცდომით მიიღო წარმოებაში და საოქმო განჩინებით განმცხადებელს დაუდგინა ხარვეზი ქმედუუნაროდ ასაღიარებელი პირის მიმართ მისი ოჯახის წევრობის (ნათესაური კავშირის) დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოსადგენად და ამისათვის დუდგინა ათი დღის ვადა. დადგენილ ვადაში განმცხადებელმა ვერ შესძლო ხარვეზის შევსება და განცხადებით მიმართა სასამართლოს დანიშნული ვადის 15 დღით გაგრძელების შესახებ მოთხოვნით, რაც მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დააკმაყოფილა. სასამართლოს მიერ დამატებით დადგენილ ვადაში, განმცხადებელმა წარმოადგინა საარქივო ცნობა - „ა“-ს დაბადების საქტო ჩანაწერის დამოწმებული ასლი, რომელშიც მითითებული მისი მამის სახელით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია „ბ“-ს მიმართ განმცხადებლის ნათესაური კავშირი, შესაბამისად დადგენილი ხარვეზი ჩათვალა შევსებულად. „ა“-მ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა „ბ“-ს ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით. მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ამავე განჩინებით შეჩერდა მოცემული სამოქალაქო საქმის განხილვა ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე. განჩინება საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საექსპერტო დაწესებულებას. 2011 წლის 15 სექტემბერს ექსპერტის დასკვნის მიღების საფუძველზე, მოსამართლემ განჩინებით განაახლა საქმის წარმოება და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

2011 წლის 12 ოქტომბერს დანიშნულ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, 2011 წლის 28 სექტემბერს სასამართლო უწყება გაეგზავნა თელა-

ვის მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს, რომელსაც უწყება ჩაბარდა 2011 წლის 5 ოქტომბერს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას თელავის მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს წარმომადგენელი არ გამოცხადდა. მოსამართლემ განიხილა "ა"-ს განცხადება, გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა იგი,,ბ" ცნო ქმედუუნაროდ და მეურვედ დაუნიშნა მამიდამისი – განმცხადებელი ,,ა".

შეაფასეთ პირველი ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №253

2010 წლის 10 მარტს ,,ა"-მ დედის გარდაცვალების შემდეგ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ. ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა. შეიტყო რა ამის შესახებ ,,ა"-ს დამ ,,ქ"-მ, სამკვიდროს გახსნის ადგილას რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნოტარიუსის მოქმედებაზე, რადგან ჩათვალა, რომ ნოტარიუსმა დაარღვია მისი სამემკვიდრეო უფლებები.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე?

კაზუსი №254

2010 წლის 10 მარტს ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულების მთავარმა ექიმმა უდავო წარმოების წესით განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს ,,ა"-ს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვა მისი იძულებითი წესით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სამკურნალოდ გაგზავნა. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ,,ა" სულიერად მძიმედ არის დაავადებული, ვერ აკონტროლებს თავის მოქმედებებს, წარმოადგენს პოტენციურ საფრთხის წყაროს,ამიტომაც იძულებითი წესით გაგზავნილ უნდა

იქნეს სამკურნალოდ სპეციალურ დაწესებულებაში. განცხადებას თან ერთვოდა ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნა, „ა“-ს საავალდებულო მკურნალობის აუცილებლობის შესახებ.

მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში, „ა“-სა და მისი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე განიხილა საქმე და საქმის გარემოებების გათვალისწინებით გამოიტანა გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი №255

2012 წლის 18 იანვარს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს 11 წლის გოგონას შვილად აყვანის შესახებ. მან განცხადებას დაურთო ბავშვის მშობლების წერილობითი თანხმობა გაშვილების შესახებ. მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში, დახურულ სხდომაზე განიხილა საქმე, მოუსმინა განმცხადებელს, ბავშვის მშობლებს, ასევე გამოაქვეყნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა მშვილებლის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილებულიყო.

დაუშვა თუ არა მოსამართლემ რაიმე შეცდომა საქმის განხილვისას? რა გარემოებები უნდა დაადგინოს მოსამართლემ შვილად აყვანის შესახებ საქმეზე?

კაზუსი №256

2011 წლის 20 ნოემბერს „ა“-მ ქალაქ ბათუმში მდებარე სასაქონლო საწყობში შესანახად ჩააბარა 11 ტონა მანდარინი ოთხი თვის ვადით. შემნახველმა “ბ“-მ მიმბარებელ „ა“-ს გადასცა სასაწყობო მოწმობა. მიმბარებელმა მისთვის გაურკვეველ ვითარებაში 2011 წლის 28 დეკემბერს დაკარგა სასაწყობო მოწმობა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობა შემნახველს და მოსთხოვა

ახალი მოწმობის გაცემა. შემნახველმა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

2012 წლის 10 იანვარს „ა“-მ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შემნახველისაგან ახალი სასაწყობო მოწმობის გაცემა. მოსამართლემ დააკმაყოფილა განცხადება და გამოიტანა გადაწყვეტილება განმცხადებლისათვის ახალი სასაწყობო მოწმობის გაცემის შესახებ, მაგრამ არ მიუთითა, თუ ვის უნდა გაეცა ახალი სასაწყობო მოწმობა.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? რა საპროცესო მოქმედებები უნდა განახორციელოს მოსამართლემ გამოწვევითი წარმოების წესით საქმეთა განხილვისას?

კაზუსი №257

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს. განცხადებაში მან აღნიშნა, რომ მისი 16 წლის ძმისშვილის დავითის დაბადების მოწმობაში შეცდომით წერია მისი სახელი. აქედან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა მასზედ, რომ დათოს სახელზე გაცემული დაბადების მოწმობა ეკუთვნოდა დავითს. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ „ა“-ს განცხადებაზე დაუდგინა ხარვეზი, კერძოდ, მიუთითა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის ანალოგიურ მოთხოვნაზე უარის თქმის მტკიცებულება, აგრეთვე, განცხადებაში არ იყო აღნიშნული, რა მიზნისთვის ესაჭიროებოდა განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა. განმცხადებელმა ხარვეზი ვერ შეავსო დადგენილ ვადაში და ითხოვა ვადის გაგრძელება. მოსამართლემ დააკმაყოფილა ვადის გაგრძელების შესახებ განცხადება და გააგრძელა ხარვეზის შევსების ვადა. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის გამო, მოსამართლემ „ა“-ს განცხადება განუხილველად დატოვა.

შეაფასეთ რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №258

2007 წლის 20 იანვარს სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა „ა“. 2010 წლის 30 მარტს რაიონულ სასამართლოს „ა“-ს უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ განცხადებით მიმართა მისმა მეუღლე “ბ“-მ. მოსამართლემ განჩინებით განცხადება მიიღო წარმოებაში, განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაირკვა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულ „ა“-ს „დ“-საგან სესხად ჰქონდა აღებული 5000 ლარი, რომელიც უნდა დაებრუნებინა 2010 წლის 10 ნოემბრისათვის. „დ“-მ მიმართა „ა“-ს მეუღლე “ბ“-ს ვალის დაბრუნების მოთხოვნით და თან წარუდგინა „ა“-ს მიერ გაცემული ხელწერილი, რომელშიც იგი ადასტურებდა 5000 ლარის სესხად აღების ფაქტს. მაგრამ დაკარგულის მეუღლე „ბ“-მ უარი განუცხადა “დ“-ს ვალის დაბრუნებაზე. „ დ“-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს ვალის დაბრუნების მოთხოვნით.

ვინ უნდა მიიღოს საქმეში “ა“-ს წარმომადგენლად მონაწილეობა?

კაზუსი №259

2011 წლის 10 მარტს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხე „ა“-ს სახელით სააპელაციო საჩივარი შეიტანა წარმომადგენელმა – მისმა ძმამ „ბ“-მ, მაგრამ არ დაურთავს სააპელაციო საჩივარის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო განჩინება „ა“-ს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ იმ საფუძვლით, რომ იგი შეტანილი იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ.

მართებულია თუ არა მიღებული განჩინება?

კაზუსი №260

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სააპელაციო საჩივარი შეიტანა გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოში. რაიონულმა სასამართლომ სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით საჩივარი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დღე. საქმის განხილვისას აპელანტმა მოითხოვა ახალი მოწმის „დ“-ს დაკითხვა იმ საფუძვლით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას „დ“-ს მოწმედ დაკითხვა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ იგი სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა მოწმის სახით „დ“-ს დაკითხვის შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო?

კაზუსი №261

2010 წლის 10 თებერვალს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 30. 000 ლარის ოდენობით. იმავე დღეს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხე „ბ“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე- მდებარე ქალაქ თბილისში, „X“-ს ქუჩაზე ყადაღის დადება. მოსარჩელემ განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თან დაურთო სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2010 წლის 14 თებერვალს განჩინებით

მოსარჩელე „ა“-ს დაუნიშნა 10 დღის ვადა სარჩელის ხარვეზის შესავსებად, ვინაიდან შეტანილი სარჩელი არ პასუხობდა საქართველოს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, თანაც თან არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამასთან მოსამართლემ თავისი განჩინებით შეაჩერა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ „ა“-ს განცხადების განხილვა სარჩელის წარმოებაში მიღებამდე.

მოსარჩელე „ა“-მ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შეავსო ხარვეზი და მოსამართლემ 2010 წლის 20 თებერვლის განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. იმავე დღეს სარჩელის წარმოებაში მიმღებმა მოსამართლემ განიხილა მოსარჩელე „ა“-ს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და განჩინებით დააკმაყოფილა იგი. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება მოპასუხე „ბ“-ს ჩაბარდა 2010 წლის 26 თებერვალს. „ბ“-მ 2010 წლის ორ მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ „ბ“-ს კერძო საჩივარი მიიჩნია დასაშვებად და დასაბუთებულად, განჩინებით მიიღო წარმოებაში, განიხილა და დააკმაყოფილა იგი – გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების განჩინებაზე მოსარჩელე „ა“-მ განჩინების ჩაბარებიდან მშვიდე დღეს საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მოსარჩელე „ა“-ს იმის გამო, რომ მას გადახდილი არ ჰქონდა საჩივრისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟი, დაუნიშნა 5 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. მოსარჩელემ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, რის გამოც მოსამართლემ საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად და საქმის მასალებთან ერთად განჩინების საფუძველზე გადაუგ-

ზავნა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იმ საფუძვლით, რომ საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, საჩივრის ავტორ "ა"-ს დაუნიშნა 10 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. მოსარჩელე „ა"-მ დადგენილ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის ნახევარი და შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ იმ საფუძვლით, რომ იგი არის უმუშევარი და არა აქვს ქონებრივი შესაძლებლობა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი სრული ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ჩათვალა, რომ უმუშევრობა არ წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების საფუძველს, ამიტომ განჩინებით "ა"-ს საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა ზემდგომ სასამართლოს – საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

შეაფასეთ მხარეთა, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №262

2011 წლის 15 მარტს „ა"-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად გადაცემული 10000 ლარის, აგრეთვე ვადის გადაცილებისათვის მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტის – 1500 ლარის გადახდევინება. მოსარჩელემ სარჩელს თან დაურთო მხარეთა შორის მარტივი წერილობითი ფორმით შედგენილი სესხის ხელშეკრულება. რაიონულმა სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა"-ს სარჩელი და საქმის მომზადების მიზნით

დანიშნა მოსამზადებელი სხდომა. მოსამზადებელ სხდომაზე გამოირკვა, რომ მოპასუხე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად. მოსამართლემ ამ საფუძვლით „ა“-ს სარჩელზე განჩინებით შეწყვიტა საქმის წარმოება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

რაიონული სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ „ა“-მ გაასაჩივრა კერძო საჩივრით სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით „ა“-ს კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში, განიხილა იგი მხარეთათვის შეუტყობინებლად, დააკმაყოფილა, გააუქმა საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება, მოპასუხე „ბ“-ს ნაცვლად საქმეში უფლებამონაცვლედ ჩართო მისი მეუღლე, როგორც პირველი რიგის კანონით მემკვიდრე და თვითონ დაიტოვა საქმე განსახილველად.

შეაფასეთ რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №263

2010 წლის 10 მაისს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან სესხად გადაცემული თანხის - 3000 ლარის დაბრუნება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შედეგად მოსამართლემ გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა „ა“-ს სარჩელი უსაფუძვლობის გამო. „ა“-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა „ბ“-საგან, როგორც სესხის თანხის 3000 ლარის, აგრეთვე თანხაზე დარიცხული პროცენტის 500 ლარის დაბრუნებაც. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით

განუხილველად დატოვა „ა“-ს სააპელაციო საჩივარი იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოში არ დაიშვება დავის საგნის გადიდება.

მართებულია თუ არა სააპელაციო სასამართლოს განჩინება „ა“-ს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ?

კაზუსი №264

2011 წლის 12 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „დ-საგან სესხად გაცემული 4000 ლარის უკან დაბრუნება. სასამართლომ გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილდა და მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2500 ლარის გადახდა. მოსარჩელემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და მოითხოვა მოპასუხისათვის დარჩენილი 1500 ლარის გადახდის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი, მოამზადა საქმე და დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მოწინააღმდეგე მხარემ წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა აპელანტისათვის ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 2000 ლარის გადახდის დაკისრება. აპელანტმა აღძრა შუამდგომლობა, რომ სააპელაციო სასამართლოს უარი ეთქვა მოპასუხისათვის შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. თუმცა სააპელაციო სასამართლომ მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღება, რის შესახებაც გამოიტანა განჩინება.

სწორია თუ არა სააპელაციო სასამართლოს განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ?

კაზუსი №265

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით საჩივარი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი განხილვის დღე. საქმის განხილვის შემდეგ, სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არც ფაქტობრივად და არც იურიდიულად დასაბუთებული არ იყო. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე რაიონულ სასამართლოში.

სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო?

კაზუსი №266

2011 წლის 10 მაისს რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა „ა“-ს სარჩელი „ბ“-ს მიმართ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მოსარჩელე. მოპასუხეს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2011 წლის 28 მაისს. მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და 2011 წლის 7 ივნისს საჩივარი გასაგზავნად ჩააბარა ფოსტას. ფოსტამ სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში მიიტანა 2011 წლის 14 ივნისს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში არ მიიღო სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ გასული იყო გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. აპელანტმა თხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა გასაჩივრების ვადის აღდგენა იმ საფუძვლით, რომ სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა და ვერ შეძლო გადაწყვეტილების დროულად გასაჩივრება. სააპელაციო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ვადის გასვლის მიზეზები საპატიოდ ჩათვალა და გამოიტანა განჩინება მისი აღდგენის შესახებ.

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №267

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „დ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად მიცემული თანხის - 5000 ლარის დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების ეტაპზე, მოპასუხემ წერილობით შესაგებელში სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მას მოსარჩელესათვის სრულად აქვს გადახდილი აღნიშნული თანხა. თავისი შესაგებლის დასადასტურებლად, მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა მოსარჩელისათვის 1800 ლარის გადახდის დამადასტურებელი ხელწერილი, ხოლო იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მას გადახდილი აქვს დარჩენილი 3200 ლარიც, მოითხოვა მოწმეებად „ბ“-სა და „გ“-ს დაკითხვა, რომლებიც მოპასუხის განმარტებით დაადასტურებდნენ სესხის დაბრუნების ფაქტს. საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსამართლემ განჩინებით დანიშნა საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. 2011 წლის 20 აპრილის სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოსარჩელე “ა“-მ შეამცირა თავისი მოთხოვნა და მოპასუხისაგან საბოლოოდ მოითხოვა 3200 ლარის გადახდა. იმავე სხდომაზე მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხე „დ“-ს შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე და გადადო საქმის განხილვა ერთი კვირით. ამ პერიოდში გარდაიცვალა მოსარჩელე „ა“. მოსამართლემ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლე-

ბამონაცვლეობას და თავისი ინიციატივით განჩინებით შეაჩერა საქმის წარმოება გარდაცვლილი მოსარჩელის უფლებამონაცვლის დადგენამდე. 2011 წლის 25 ივლისის განჩინებით სასამართლომ გარდაცვლილი მოსარჩელე შეცვალა მისი უფლებამონაცვლით – შვილით „კ“-თი და 2011 წლის 10 აგვისტოს განაახლა საქმის განხილვა. მოსარჩელის უფლებამონაცვლე „კ“- მ მოითხოვა მოპასუხე „დ“-სათვის 5000 ლარის გადახდის დაკისრება. მოსამართლემ უფლებამონაცვლის მხრიდან სარჩელო მოთხოვნის ოდენობის გადიდება არამართებულად მიიჩნია, განიხილა საქმე და გადაწყვეტილებით მოპასუხე „დ“-ს დააკისრა მოსარჩელის უფლებამონაცვლე „კ“-ს სასარგებლოდ 3200 ლარის გადახდა. მოპასუხე „დ“-მ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილი წესით შეიტანა სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „დ“-ს სააპელაციო საჩივარი, მოამზადა საქმე, განიხილა იგი, არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლობის გამო და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

შეაფასეთ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლს მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №268

2010 წლის 12 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან სესხად მიცემული თანხის – 5000 ლარის დაბრუნება. თავის მოთხოვნას მოსარჩელე იმით ასაბუთებდა, რომ მეზობლების თანდასწრებით გადასცა მოპასუხეს აღნიშნული თანხა, მაგრამ დათქმული ვადის

გასვლის შემდეგ მან თანხა უკან აღარ დაუბრუნა. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. რაიონულ სასამართლოში საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას მოპასუხე ამტკიცებდა, რომ მან თავის დროზე დაუბრუნა უკან მოსარჩელეს სესხად აღებული თანხა. თანხის დაბრუნებას მოწმის სახით ესწრებოდნენ „დ“ და „გ“, რომლებიც მისი ნაცნობები არიან და სთხოვა მოსამართლეს მათი მოწმის სახით დაკითხვა. მოსამართლემ უარი განაცხადა მოპასუხის მიერ დასახელებული პირების მოწმედ დაკითხვის შესახებ იმ საფუძვლით, რომ ისინი მოპასუხის ნაცნობები არიან და ვერ მისცემენ მიუკერძოებელ ჩვენებას. მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მხარეზე მოწმედ მოწვეულმა პირებმა დაადასტურეს მოპასუხისათვის სესხად მიცემის ფაქტი.

მოპასუხემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეოცე დღეს. სააპელაციო საჩივარში იგი სთხოვდა სასამართლოს, აღედგინა მისთვის გასაჩივრების ვადა იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილების ასლის გადაცემის შემდეგ იგი ავტოკატასტროფაში მოჰყვა, მკურნალობდა საავადმყოფოში, დასჭირდა ქირურგიული ოპერაციის ჩატარება(წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულებები) და ამიტომაც ვერ შეძლო სააპელაციო საჩივარის შეტანა კანონით დადგენილ ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საჩივარი დასაშვებად ცნო, მიიღო იგი წარმოებაში, საქმე ხელახლა განიხილა არსებითად, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, გააუქმა იგი და საქმეზე გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რითაც მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შეაფასეთ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №269

2010 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა: 2007 წლის 5 მარტს სესხის ხელშეკრულებით გადაცემული 10000 ლარის, აგრეთვე 2008 წლის 15 აგვისტოს დადებული თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მისი კუთვნილი ავტომანქანის უკან დაბრუნება. 2010 წლის 14 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით მოსამართლემ გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, აგრეთვე განუსაზღვრა ათი დღის ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

მოპასუხემ წერილობით შესაგებელში განმარტა, რომ სარჩელს არ ცნობდა, ვინაიდან 2009 წლის 10 ივნისს იგი გახდა სასულიერო პირი და ერისკაცობაში აღებული ვალდებულებებისთვის პასუხს არ აგებდა. 2010 წლის 28 აპრილს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დროს, შეიტყო რა „ა“-ს მიერ სარჩელის აღძვრის ფაქტი „გ“-მ, მან განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩაბმა იმ მოტივით, რომ ზემოთ აღნიშნული სადავო მანქანის მესაკუთრე გახლდათ იგი და რომ მას ეს ავტომობილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გორში მოპარეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 28 აპრილს მიიღო განჩინება საქმეში „გ“-ს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩაბმის შესახებ და გადადო საქმის განხილვა 14 დღით, რის შესახებაც შეატყობინა საქმეში მონაწილე პირებს კანონით დადგენილი წესით. დანიშნულ დღეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, არ გამოცხადდენ არც მოსარჩელე და არც მოპასუხე, რომლებსაც სასამართლო უწყება ჩაბარდათ პირადად, რის გამოც მესამე პირმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს

სარჩელის ნაწილობრივად დაკმაყოფილების (ავტომანქანის დაბრუნება) თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. მოსამართლემ დააკმაყოფილა მესამე პირის შუამდგომლობა და 2010 წლის 12 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მიაკუთვნა მას სადავო ავტომობილი, ვინაიდან მესამე პირმა წარადგინა შსს-ის მომსხურების საგენტოს მიერ 2008 წლის 28 ივლისს გაცემული ცნობა სადავო ავტომანქანის მესაკუთრედ ყოფნის შესახებ.

მოსარჩელე „ა“-მ 2010 წლის 12 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან მერვე დღეს გაასაჩივრა სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მისი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, განიხილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესახებ.

შეაფასეთ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №270

2012 წლის 10 იანვარს რაიონული სასამართლოს მოსამართლე სასამართლოს მთავარ სხდომაზე იხილავდა „ა“-ს სარჩელს მეუღლე „ბ“-სთან განქორწინების შესახებ. მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოსამართლემ მიუთითა, რომ განქორწინების მიზეზი იყო მოპასუხის ამორალური საქციელი – მის მიერ ყოველდღიურად ალკოჰოლური სასმელების მიღება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენდა შვილების აღზრდაზე.

მოპასუხემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. საჩივარში მან მიუთითა, რომ იგი განქორწინების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ არ ეთანხმება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, რამეთუ მასში მოყვანილი მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება და ლახავს მის პატივსა და ღირსებას.

შეიძლება თუ არა სააპელაციო საჩივრის ობიექტი იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილი?

კაზუსი №271

2011 წლის 10 მარტს „ა"-მ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს „ბ"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 18 000 ლარის ოდენობით ერთდროულად და შრომისუნარიანობის შემცირების გამო 200 ლარის ოდენობის სარჩო ყოველთვიურად. მოსამართლემ სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე და განჩინებით დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. 2011 წლის 26 ივნისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამცხადდა მოსარჩელე, არ გამოცხადდა არც მოპასუხე და არც მისი წარმომადგენელი. მოპასუხის წარმომადგენელმა "დ"-მ სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე (სხდომა ჩანიშნული იყო 12 საათზე) ერთი საათით ადრე, კურიერის საშუალებით სასამართლოში წარადგინა განცხადება და მოითხოვა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება იმ საფუძვლით, რომ იგი იმავე დღეს 12 საათსა და ოც წუთზე მონაწილეობას იღებდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, როგორც მოწმის ადვოკატი. „დ"-ს განცხადებას თან ერთვოდა შესაბამისი მტკიცებულებაც. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოპასუხის წარმომადგენლის

განცხადება არ მიიჩნია საპატიოდ, ვინაიდან სასამართლოს აზრით, ასეთ შემთხვევაში მოპასუხე ვალდებული იყო თვითონ გამოცხადებულიყო სასამართლოს მთავარ სხდომაზე პირადად ან უზრუნველყო წარმომადგენლის შეცვლა, ამიტომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა „ა“-ს შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და 2011 წლის 26 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა, რითაც მოპასუხეს დააკისრა ერთდროულად 18 000 ლარისა და ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა კანონით დადგენილი წესით იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გააწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძველი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 ივლისის განჩინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში, რაც სააპელაციო წესით მოპასუხემ გასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი, განიხილა იგი სასამართლოს მთავარ სხდომაზე, არ დააკმაყოფილა და განჩინებით ძალაში დატოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით. სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და განსახილველად გადაუგზავნა საკასაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში, განიხილა იგი, დააკმაყოფილა, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნა უკან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

ხომ არ იქნა დაშვებული რაიმე შეცდომები სასამართლოთა მიერ მოცემულ საქმეზე?პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №272

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა „ა“-ს სარჩელი და მოპასუხე „ბ“-ს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 20. 000 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე „ბ“-მ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ იგი არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს დავაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობამ განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი. საქმის მომზადების ეტაპზე სააპელაციო სასამართლომ არასათანადო მოპასუხე „ბ“ შეცვალა სათანადო მოპასუხით-„დ“-თი, დანიშნა სააპელაციო საჩივრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კნონით დადგენილი წესით.

2011 წლის 10 დეკემბრის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე საჩივრის განხილვისას, არ გამოცხადდა აპელანტი „დ“, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომაზე გამოცხადებულმა „ა“-მ იშუამდგომლა სააპელაციო სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. „ა“-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

შეაფასეთ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №273

2010 წლის 10 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს

სარჩელით მიმართა „ა“-მ მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის - 20000 ლარის დაბრუნება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 13 მარტს განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით მოსამართლემ დანიშნა მოსამზადებელი სხდომა 2010 წლის 31 მარტს, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. საქმის მოსამზადებლ სხდომაზე განხილვისას, მხარეებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს მათ შორის მიღწეული მორიგების დამტკიცება. მორიგების პირობების თანახმად, „ბ“ კისრულობდა ვალდებულებას, სესხის სანაცვლოდ „ა“-სათვის საკუთრებაში გადაეცა 1000 კვ. მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი. მორიგების აქტს ხელს აწერდნენ „ა“ და “ბ“-ს წარმომადგენელი ადვოკატი „დ“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2010 წლის 31 მარტის განჩინებით დაამტკიცა მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება და შეწყვიტა საქმის წარმოება, თუმცა განჩინებაში არაფერი მიუთითა მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის განაწილებასთან დაკავშირებით. 2010 წლის ექვს აპრილს „ა“-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების მიღება მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა“ა“-ს განცხადება და დამატებითი გადაწყვეტილებით დაუბრუნა მას მის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სრული ოდენობით. 2010 წლის 31 მარტის განჩინება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების თაობაზე „ბ“-ს ჩაბარდა 2010 წლის 15 აპრილს. 2010 წლის 20 აპრილს „ბ“-მ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა 2010 წლის 31 მარტის განჩინება და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ მის წარმომადგენელს არ ჰქონდა საქმის მორიგებით დამთავრების უფლებამოსილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში,

განიხილა, დააკმაყოფილა იგი და საქმე არსებითად განსახილველად უკან დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

შეაფასეთ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №274

2011 წლის 20 მარტს შპს „X"-მა სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ"-სა და „დ"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებილი სამუშაოს ღირებულების სახით თითოეული მოპასუხისათვის წილობრივად 7000-7000 ლარის გადახდის დაკისრება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2011 წლის 27 მარტის განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, საქმის მომზადების მიზნით გადაუგზავნა მოპასუხეებს სარჩელი და თან დართული დოკუმენტები, აგრეთვე განუსაზღვრა ათი დღის ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად საქმის მასალების ჩაბარების დღიდან. მოპასუხეებს გზავნილი ჩაბარდათ პირადად 2011 წლის 5 აპრილს. 2011 წლის 25 აპრილს მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხეების მიერ წერილობითი შესაგებლის წარუდგენლობის საფუძვლით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლები კანონით დადგენილი წესით და ვადაში პირადად ჩაბარდათ მოპასუხეებს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეშვიდე დღეს, მოპასუხე „დ"-მ საჩივრით მიმართა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოს, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ საფუძვლით, რომ მან წერილობითი შესაგებელი დროულად გააგზავნა სასამართლოში.

რაიონული სასამართლოს მოსამართლემ წარმოებაში მიიღო საჩივარი და მხარეთათვის შეუტყობინებლად დანიშნა მისი განხილვა. რაიონული სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებით გაუქმდა „ბ"-სა და "დ"-ს მიმართ გამოტანილი დაუს-

წრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა. სასამართლოს განჩინებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ორივე მოპასუხეს სასამართლოში წარსადგენი წერილობითი შესაგებელი ფოსტისათვის გადაცემული ჰქონდათ შესაგებლის წარსადგენად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, ხოლო სასამართლოში მისი გადაგზავნა კი დაგვიანდა ფოსტის მუშაკთა დაუდევრობის გამო. წერილობით შესაგებელში მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მოსამართლემ განჩინებით დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2011 წლის 15 ივლისს, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. "ბ"-ს უწყება ჩაბარდად პირადად, ხოლო „დ"-სათვის მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი უწყება სასამართლოში უკან დაბრუნდა წარწერით, რომ მოპასუხის მეულლემ უარი განაცხადა მის ჩაბარებაზე. 2011 წლის 15 ივლისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე, არ გამოცხადნენ მოპასუხეები და არც არაფერი აცნობეს სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. მოსამართლემ მოსარჩელის თხოვნით, მოპასუხეების მიმართ გამოიტანა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მათი სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო. მოსამართლემ აგრეთვე მიუთითა, რომ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულიყო სააპელაციო წესით.

რაიონული სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა „ბ"-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნება. აპელანტის განმარტებით, 2011 წლის 15 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება რაიონული სასამართლოს მიერ არასწორად იქნა მიჩნეული განმეორებითად, რადგან პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, იგი გაუქმდა, რადგან დადგინდა, რომ მოპასუხეებს შესაგებელი კანონით დად-

გენილ ვადაში ჰქონდათ წარდგენილი ფოსტაში. ამდენად, 2011 წლის 15 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიჩნეულ უნდა ყოფილიყო პირველ დაუსწრებელ გადაწყვეტილებად და მისი გასაჩივრებაც უნდა მომხდარიყო არა სააპელაციო საჩივრით, არამედ საჩივრით, თანაც, რაიონულმა სასამართლომ ისე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება,რომ არ მიაქცია ყურადღება შესაგებელზე თანდართულ მტკიცებულებებს, რომლებიც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებას მისი უსაფუძვლობის გამო. ამასთან ერთად,აპელანტმა „ბ“-მ სააპელაციო საჩივარს თან დაურთო სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ იგი 2011 წლის 15 ივლისს იმყოფებოდა სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც იტარებდა გადაუდებელ ამბულატორიულ გამოკვლევას. ცნობას ხელს აწერდა უშუალოდ ის ექიმი, რომელმაც ჩაუტარა აპელანტს გამოკვლევა. აპელანტმა სააპელაციო საჩივარში აგრეთვე აღნიშნა, რომ მეორე მოპასუხე „დ“-სათვის უწყების ჩაბარება არ მომხდარა კანონით დადგენილი წესით, რადგან რაიონულ სასამართლოს მისთვის უწყება გაგზავნილი ჰქონდა მხოლოდ მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ბ“-ს სააპელაციო საჩივარი, განიხილა, დააკმაყოფილა იგი, გააუქმა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად უკან დაუბრუნა რაიონულ სასამართლოს.

შეაფასეთ მხარეთა, რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №275

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა „ა“-ს სარჩელი: მოპასუხე „ბ“ გამოსახლებულ იქნა ქალაქ თბილისში, „X“ ქ. №7-ში მდებარე 20 მ^2 საცხოვრებელი ფარ-

თიდან, მასვე დაეკისრა გადაუხდელი ბინის ქირის სახით 1500 ლარის ოდენობის თანხის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და კრედიტორის- „ა“-ს მოთხოვნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული 5 თვის ბინის ქირის სულ – 1500 ლარის გადახდევინება. მოსამართლემ 2011 წლის 14 მარტს განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2011 წლის 15 მაისს, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. დანიშნულ დროს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოსამართლემ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეექვსე დღეს, მის გამომტან სასამართლოში მოპასუხე „ბ“-მ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ განსახილველ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო, ვინაიდან არ არსებობდა სარჩელის აღძვრის წინაპირობები. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო საჩივარი და მიუთითა საქმის ხელახალი განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვაზე მოსარჩელე „ა“მ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, საქართველოს სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით გაზარდა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა და მოითხოვა მოპასუხისათვის ბინის

ქირის სახით 2000 ლარის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 ივლისს განჩინებით მოპასუხე „ბ“-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელე „ა“-მ. აპელანტმა მიუთითა, რომ მოსამართლემ დაუშვა უსწორობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ხუთი თვის ბინის ქირა 20 $მ^2$ ფართობისათვის საბაზრო ფასებით შეადგენს 2000 ლარს, ამიტომ სწორედ ეს თანხა უნდა დაეკისრებინა სასამართლოს მოპასუხისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე,აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 ივლისის განჩინებისა და ამავე სასამართლოს 2011 წლის 15 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, მისი სარჩელის დაკმაყოფილება და მოპასუხისათვის 2000 ლარის გადახდევინების დაკისრება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს სააპელაციო საჩივარი, განიხილა და დააკმაყოფილა იგი.

შეაფასეთ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №276

2011 წლის 15 აპრილის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტმა შეამცირა დავის საგანი, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია აპელანტის მიერ დავის საგნის შემცირება და განჩინებით უარი უთხრა; ამის შემდეგ აპელანტმა იშუამდგომლა საქმის მორიგებით დამთავრების თაობაზე, რაზეც თანხმობა განაცხადა მოწინააღმდეგე მხარემაც,მაგრამ სააპელაციო სასამართ-

ლომ მხარეებს განჩინებით უარი განუცხადა დავის მორიგებით დამთავრებაზე,რადგან მხოლოდ მოსამზადებელ სტადიაზე აქვთ მხარეებს უფლება საქმე დაამთავრონ მორიგებით. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დროს, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ასევე მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე,რადგან სააპელაციო სასამართლოში არ ხდება ახალი მტკიცებულებათა გამოკვლევა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.

შეაფასეთ მხარეთა და სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №277

2011 წლის 15 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მიბარების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით. მოსამართლე „X“-მა განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების სტადიაზე, მოსამართლე „X“-მა ჩათვალა, რომ საკითხის განმარტება მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას, ამიტომაც გამოიტანა განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. მოსარჩელე “ა“-მ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის ჩატარება გააჭიანურებდა საქმის განხილვას, ამიტომ განჩინების გამომტან რაიონულ სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი ზემოაღნიშნულ განჩინების გაუქმების შესახებ განჩინების ასლის ჩაბარებიდან მეექვსე დღეს. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო კერძო საჩივარი, განიხილა იგი, არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებელობის გამო და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო კერძო საჩივარი, განიხილა იგი, გააუქმა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ რაიონული სა-

სამართლოს განჩინება და საქმე განსახილველად უკან დააბრუნა რაიონულ სასამართლოში. საქმის რაიონულ სასამართლოში დაბრუნების შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარემ საქმე განსახილველად გადასცა მოსამართლე „Y“-ს. მოპასუხემ განაცხადა, რომ მოსარჩელე და მოსამართლე „Y “ ახლო მეგობრები იყვნენ, ამიტომ მოითხოვა მოსამართლის აცილება. მოსამართლე „Y“-მა განჩინებით უარი უთხრა მოპასუხეს აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აცილებაზე უარის შესახებ განჩინებაზე მოპასუხე “ბ“-მ განჩინების გამომტან რაიონულ სასამართლოში, შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება. მოსამართლე „ Y“-მა კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში, არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო და განსახილველად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა; პალატას. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წარმოებაში მიიღო „ბ“-ს კერძო საჩივარი, განიხილა იგი და დააკმაყოფილა.

შეაფასეთ მხარეთა და ორივე ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №278

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილებით „ა“-ს სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის- „ბ“-ს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა ორივე მხარე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში 2011 წლის 23 მარტს საკასაციო წესით გაასაჩივრა „ბ“-მ. საქართველოს უზენაესი სასასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2011 წლის 22 მაისს განჩინებით „ბ“-ს საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში განსახილველად. 2011 წლის 29 მაისს, საკასაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან ერთ კვირაში „ა“-მ შეიტანა შეგებებული საკაციო

საჩივარი სააპელაციო სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წარმოებაში მიიღო „ა“-ს შეგებებული საკასაციო საჩივარი. „ბ“-მ მოითხოვა შეგებებული საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება დაუშვებლობის გამო, რადგან სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება „ა“-ს მიერ გასაჩივრებულ ნაწილში კანონიერ ძალაში იყო უკვე შესული. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა „ბ“-ს მოთხოვნა და განჩინებით „ა“-ს შეგებებული საკაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სწორად მოიქცა თუ არა საკასაციო სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №279

რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით „დ“-ს სარჩელი „ბ“-ს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:მოპასუხე „ბ“-ს არასრულწლოვანი შვილების – „კ“-სა და „გ“-ს სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მოთხოვნილი 100 ლარის ნაცვლად 60 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდა შვილების სრულწლოვანების მიღწევამდე. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა „ბ“-მ და მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით თითოეული შვილის სასარგებლოდ 20-20 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდევინების დაკისრება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით აპელანტს საჩივარზე დაუდგინა ხარვეზი და დაუწესა ვადა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადასახდელად, აგრეთვე განუმარტა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. აპელანტის მიერ ხარვეზი შევსებულ იქნა სასამართლოს მიერ დადგენილ

ვადაში, რის შემდეგაც, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წარმოებაში მიიღო „ბ“-ს სააპელაციო საჩივარი და განსაზღვრა საქმის ზეპირი განხილვის დრო, ხუთი დღის ვადაში სასამართლო უწყებები გაუგზავნა მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც სსსკ-ის 440-ე მუხლის შესაბამისად, უფლება ჰქონდათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება განეხორციელებინათ სააპელაციო სასამართლოში. აპელანტსა და მის მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლო უწყება ჩაბარდათ კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვისას, სხდომაზე გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე „ა“, არ გამოცხადდა არც აპელანტი „ბ“ და არც მისი წარმომადგენელი „მ“. ამ უკანასკნელს სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ „ა“-მ იშუამდგომლა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის-„ა“-ს შუამდგომლობა და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ აპელანტის გამოუცხადებლობის გამო. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი ასლის ჩაბარებიდან მეშვიდე დღეს, საჩივრით გაასაჩივრა აპელანტის წარმომადგენელმა „მ“ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ მას სასამართლო უწყება არ ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „მ“-ის საჩივარი დასაშვებად ცნო, განჩინებით მიიღო წარმოებაში და დაინიშნა საჩივრის განხილვის დღე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე საჩივრის განხილვისას, არ გამოცხადდა აპელანტი „ბ“, რის გამოც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე “ა“-მ იშუამდგომლა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მი-

იღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, რაც „ბ“-მ კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საკასაციო საჩივრის საკასაციო სასამართლოში შესვლიდან მეთხუთმეტე დღეს მიიღო განჩინება საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და განუხილველად დატოვების შესახებ.

შეფასეთ სამივე ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №280

2011 წლის 20 მარტს გარდაცვლილი მამკვიდრებლის- „დ“-ს ძმამ - „ა“-მ სასარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: პირველი რიგის მემკვიდრე -„ბ“-სა და – ნოტარიუს “გ“-ს წინააღმდეგ სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის აღდგენის, მემკვიდრედ ცნობისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე. მოსამართლემ წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების ეტაპზე, მოსამართლემ განჩინებით მოპასუხედ საქმეში ჩაერთო ნოტარიუსი „გ“, ხოლო „ბ“ კი მოპასუხის მხარეზე მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად სარჩელი დაკმაყოფილდა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ „ბ“-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით „ბ“-ს სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ბ“-ს რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა „ბ“-მ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძ-

ვლით, რომ რაიონულმა სასამართლომ „ა“ არასწორად ცნო მემკვიდრედ, ვინაიდან მამკვიდრებელს დარჩა პირველი რიგის მხოლოდ ერთი მემკვიდრე – შვილი კერძო საჩივრის ავტორი “ბ“. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წარმოებაში მიიღო „ბ“-ს კერძო საჩივარი, განიხილა იგი, არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო და სააპელაციო სასამართლოს განჩინება დატოვა უცვლელად.

შეაფასეთ სამივე ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №281

2011 წლის 25 იანვარს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას „ბ“-ს წინააღმდეგ სამკვიდრო მოწმობის ბათილობის მოთხოვნით. 2011 წლის 29 იანვრის სასამართლოს განჩინებით მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7 დღის ვადა. აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2011 წლის 10 თებერვალს. მოსარჩელემ 15 თებერვალს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით, ხარვეზის შესასვსებად განსაზღვრული ვადის ათი დღით გაგრძელების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 თებერვლის განჩინებით სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში, მოსარჩელის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო. აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2011 წლის 25 თებერვალს. 2011 წლის 10 მარტს მოსარჩელემ კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინების გაუქმება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2011 წლის 15 მარტის განჩინებით, კერძო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და გადაიგზავნა ზემდგომ (თბილისის საა-

პელაციო სასამართლო) სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 თებერვლისა და 15 მარტის განჩინებები და საქმე წარმოებაში მიღების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინტანციის სასამართლოს.

შეაფასეთ მოსარჩელისა და სასამართლოთა მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №282

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა "დ"-ს სარჩელი და მოპასუხე „კ"-ს მოსარჩელის სასარგებლოდ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 15000 ლარის გადახდა. 2011 წლის 22 აგვისტოს, სასამართლოს განცხადებით მიმართა „დ"-მ და მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა. მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე, მხარეთა შეუტყობინებლად განიხილა განცხადება და 2011 წლის 25 აგვისტოს განჩინებით სასამართლოს 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება გადასცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რაზედაც იმავე დღეს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 აგვისტოს განჩინება ჩაბარებიდან მეორე დღეს, 2011 წლის 5 სექტემბერს კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხე „კ"-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მანვე კერძო საჩივრით მოითხოვა აღსრულების შებრუნება და გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე გადახდილი 15000 ლარის უკან დაბრუნების დაკისრება მოსარჩელისათვის. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „კ"-ს კერძო საჩივარი მხარეთა

შეუტყობინებლად და 2011 წლის 15 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარი დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ მიაყენებდა აღსრულების დაყოვნება ზიანს, ამიტომაც არ არსებობდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საფუძველი. ამავე განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღსრულების შებრუნების ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელე "დ"-მ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო განჩინებით განუხილველად დატოვა.

შეაფასეთ ორივე ინსტანციის სასამართლოს და მხარეთა მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №283

რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხე „ბ"-ს მოსარჩელე „ა"- ს სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი,მოამზადა საქმე და დანიშნა ზეპირი განხილვის დღე. საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე). სააპელაციო სასამართლომ, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დააკმაყოფილა სარჩელი, გააუქმა პრიველი ინსატნციის სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

„ა"-მ, რომლის წინაღმდეგაც იქნა გამოტანილი სააპელა-

ციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გაასაჩივრა იგი საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ათი დღის ვადაში.

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოსა და მხარეთა მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №284

2009 წლის 15 მაისს „ა“-მ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიყიდა „ბ“-ს, რომელმაც საჯარო რეესტრში მოახდინა შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. შეიტყო რა ამის შესახებ „ დ“-მ, 2009 წლის 30 მაისს სარჩელთ მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა „ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თავის სასარჩელო მოთხოვნას „ დ“ იმით ასაბუთებდა, რომ სადავო სახლი მან „ა“-საგან შეიძინა „ბ“-სთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი წლით ადრე, მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით და გადაუხადა „ა“ -ს 50. 000 ლარი.

მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, განიხილა საქმე და გადაწყვეტილებით „დ“-ს სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა: ბათილად ცნო „ა“-სა და „ბ“-ს შორის 2009 წლის 15 მაისს დადებული საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო სადავო სახლზე საკუთრების უფლება კი მიანიჭა „დ“-ს.

მოპასუხე „ა“-მ სააპელაციო სასამართლოს მიმართა სააპელაციო საჩივრით რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელესთან მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით მას არ მიულია გათვალისწინებული

თანხა - 50. 000 ლარი და ფაქტობრივად სახლი არც კი გაუყიდია. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი, მოამზადა საქმე და დანიშნა მისი განხილვის დღე. სააპელაციო სასამართლოში საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დაწყებამდე გარდაიცვალა აპელანტი „ა“. მისი შვილმი „გ-მ“, განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმეში გარდაცვლილი აპელანტის უფლებამონაცვლედ ჩაბმა. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო განჩინება, რომლითაც შეაჩერა საქმის წარმოება უფლებამონაცვლის მიერ გარდაცვლილი მამკვიდრებლის (აპელანტის) ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე.

სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო?პასუხი დასაბუთეთ.

კაზუსი №285

ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონში მცხოვრებმა მეუღლეებმა „ა“-მ და „ბ“-მ მცხეთის რაიონში საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2009 წელს ააშენეს აგარაკი, რომელიც საჯარო რეესტრში აღირიცხა ცოლის „ა“-ს სახელზე. გარკვეული ხნის შემდეგ, ხასიათების შეუთავსებლობის გამო მეუღლეები განქორწინდნენ სასამართლო წესით. განქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, „ბ“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ყოფილი მეუღლის „ა“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა საერთო საკუთრებაში არსებული აგარაკის ნახევარზე საკუთრების უფლების ცნობა. სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე, განიხილა იგი სასამართლოს მთავარ სხდომაზე და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მოპასუხემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს სამოქა-

ლაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი, მოამზადა საქმე, განიხილა იგი, გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ სსსკ-ის 18-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებზე აღძრული დავა უნდა განხილულიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამიტომაც საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად მცხეთის რაიონულ სასამართლოში.

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №286

სააპელაციო სასამართლოში აპელანტის უფლებებს იცავდა ადვოკატი „მ“. სასამართლოს სხდომაზე მონაწილეობას ღებულობდა აპელანტი “ა“-ც, რომელსაც პროცესზე სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობამ განუცხადა, რომ ადვოკატი „მ“ არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო, ვერ შეძლებდა აპელანტის უფლებების ჯეროვნად დაცვას და შესთავაზა აპელანტს სხვა ადვოკატის აყვანა. პროცესში მონაწილე ადვოკატ “მ“-ს, სასამართლოს შემადგენლობამ განჩინებით უარი უთხრა წარმომადგენლად დაშვებაზე. აპელანტი და მისი ადვოკატი არ დაეთანხმნენ სააპელაციო სასამართლოს მოქმედებებს და პროტესტის ნიშნად დატოვეს სააპელაციო სასამართლოს სხდომა მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გააფრთხილა მოსალოდნელი შედეგების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, აპელანტი ჩათვალა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელ პირად და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

კანონიერია თუ არა სააპელაციო სასამართლოს მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №287

2011 წლის 10 მარტს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „X“-მა მოპასუხე „ბ“-ს მიმართ ქონების დაზიანებით მიყენებული 5000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე, განიხილა იგი სასამართლოს მთავარ სხდომაზე და მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხემ მისთვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეათე დღეს, გაასაჩივრა მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი და დანიშნა მისი განხილვის დღე. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, სასამართლო კოლეგიამ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შემდეგაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი შეადგენდა არა 5000, არამედ 6000 ლარს. ამ საფუძვლით სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობამ, გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმეზე გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 6000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №288

2011 წლის 20 მაისს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. მოსამართლემ განჩინებით „ა“-ს სარჩელზე დაუდგინა ხარვეზი, რადგან მოსარჩელეს არ ჰქონდა განსაზღვრული დავის საგნის ღირებულება. აღნიშნულის

მიზეზად, მოსარჩელემ მიუთითა, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანის დროისათვის შეუძლებელი იყო დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა. სარჩელს ასევე თან არ ახლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული ხარვეზის შევსების განჩინებით, მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელად განესაზღვრა 5000 ლარი, ამასთან, დაუდგინდა ათი დღის ვადა მის გადასახდელად. მოსარჩელემ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება, მის გამომტან რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა კერძო საჩივრით. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით კერძო საჩივარი დაუშვებლად ცნო და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „ა“-ს კერძო საჩივარი ცნო დასაშვებად, განხილა იგი, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და განჩინებით სარჩელი განსახილველად დაუბრუნა რაიონულ სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან განჩინების გაუქმებას საფუძვლად დაედო შემდეგი სახის მსჯელობა: თუ მოსარჩელე არ მიუთითებს დავის საგნის ფასს, მაშინ ის მოსამართლემ თვითონ უნდა განსაზღვროს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ჯერ უნდა განესაზღვრა დავის საგნის ღირებულება და მხოლოდ შემდეგ უნდა ემსჯელა სახელმწიფო ბაჟის ოდენობაზე, რაც კანონის შესაბამისად, წარმოადგენს დავის საგნის ღირებულების სამ პროცენტს.

შეაფასეთ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №289

2011 წლის 10 მაისს „ა“-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-

ყენების მოთხოვნით. სასამართლოს 2011 წლის 14 მაისის განჩინებით „ა“-ს განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო „ბ“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას-მიწის ნაკვეთს, მდებარეს დაბა ბორჯომში, ამასთან განმცხადებელს განესაზღვრა ათი დღის ვადა სარჩელის აღსაძვრელად. „ა“-მ ათი დღის ვადაში აღძრა სარჩელი მოპასუხე „ბ“-ს მიმართ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2011 წლის 29 მაისის განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 მაისის განჩინება „ბ“-ს ჩაბარდა 2011 წლის 18 ივნისს. 2011 წლის 29 ივნისს „ბ“-მ კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 2011 წლის 14 მაისის განჩინების გაუქმება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ივლისის განჩინებით „ბ“-ს კერძო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და გადაიგზავნა ზემდგომ(სააპელაციო) სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა „ბ“-ს კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 მაისისა და 6 ივლისის განჩინებები.

შეაფასეთ მხარეთა და ორივე ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დასაბუთეთ.

კაზუსი №290

2011 წლის 10 მარტს რაიონულმა სასამართლომ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე „ა“-ს გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელე „ბ“-ს შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყ-

ოფილების შესახებ. „ა“-მ მის წინააღმდეგ გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მის გამომტან სასამართლოში შეიტანა საჩივარი მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ მისი სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ სხდომის ჩატარების დღის შესახებ მას არ ეცნობა კანონით დადგენილი წესით. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა საჩივრის დასაშვებობის საკითხი და გამოიტანა განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ იმ საფუძვლით, რომ საჩივარში მითითებული გარემოება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და მოპასუხეს უწყება ჩაბარებული ჰქონდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. რაიონული სასამართლოს განჩინებაზე „ა“-მ შეიტანა კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, წარმოებაში მიიღო „ა“-ს კერძო საჩივარი, განიხილა, დაკმაყოფილა იგი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე რაიონულ სასმართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლომ ამჯერად წარმოებაში მიიღო „ა“-ს საჩივარი, დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. დადგენილ დროს სხდომაზე კვლავ არ გამოცხადდა „ა“, რის გამოც რაიონულმა სასამართლომ თავისი ინიციატივით გამოიტანა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

კანონიერია თუ არა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

„ა“-სა და „ბ“-ს შორის 2009 წლის 14 მარტს წერილობითი ფორმით დაიდო სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, „ა“-მ „ბ“-ს ექვსი თვის ვადით სესხად გადასცა 10. 000 ლარი, აგრეთვე განისაზღვრა, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში დავას განიხილავდა არბიტრაჟი. დათქმულ ვადაში მსესხებელმა ვალი არ გადაიხადა. 2011 წლის 15 აპრილს „ა“-მ საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა შპს „Xარბიტრაჟს“. „ბ“-მ უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, რადგან მხარეებს შორის არ არსებობდა შეთანხმება კონკრეტულ არბიტრაჟზე. „ა“-მ 2011 წლის 29 აპრილს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შპს „Xარბიტრაჟის“ კომპეტენციის ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ „ა“-ს განცხადება წარმოებაში მიიღო 2010 წლის 3 მაისს და მხარეთა დაუსწრებლად, 2011 წლის 10 ივნისს განჩინებით განცხადება დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ სესხის ხელშეკრულებაში პირდაპირ იყო მითითება მხარეებს შორის დავის არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტის შესახებ. მოსამართლემ განჩინებაში აგრეთვე მიუთითა, რომ განჩინება არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ საჩივრდება კერძო საჩივრით მხარეთათვის განჩინების ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში. „ბ“-მ სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმერა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ბ“-ს კერძო საჩივარი, განიხილა და არ დააკმაყოფილა. შპს „X არბიტრაჟმა“ 2011 წლის 15 სექტემბერს განიხილა „ა“-ს საარბიტრაჟო პრეტენზია და სრულად დააკმაყოფილა. შპს „X არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების ცნობის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, „ა“-მ 2011 წლის 20 ნოემბერს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებით წარ-

მოებაში მიიღო „ა“-ს განცხადება, განიხილა იგი, დააკმაყოფილა და გასცა სააღსრულებო ფურცელი.

შეაფასეთ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №292

2011 წლის 10 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ანდერძის ბათილად ცნობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენს პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს და ანდერძის ბათილად ცნობას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ ანდერძზე გაყალბებულია მოანდერძე „დ“-ს ხელმოწერა. მოსარჩელემ მოპასუხეებად მიუთითა ანდერძისმიერი მემკვიდრე „ბ“ და ნოტარიუსი „X“. 2011 წლის 14 აპრილს, მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, დანიშნა საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არცერთი მოპასუხე, რომლებთაც სასამართლო უწყება ჩაბარებული ჰქონდათ პირადად. მოპასუხეთა გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება (ექსპერტის დასკვნა) იმის შესახებ, რომ ანდერძზე ხელმოწერა არ ეკუთვნის მოანდერძეს. მოსამართლემ მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში საჩივრის შეტანის გზით გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. მოსარჩელემ დაუსწრებელ გადაწყვეტილე-

ბაზე მისი ჩაბარებიდან მეთორმეტე დღეს, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად იმ საფუძვლით, რომ დარღვეული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინება „ა“-მ გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

შეაფასეთ „ა“-სა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები.

კაზუსი №293

2012 წლის 10 იანვარს რაიონულმა სასამართლომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განიხილა „ა“-ს სარჩელი „ბ“-ს მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოსარჩელემ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ უარი განუცხადა აპელანტს საჩივრის წარმოებაში მიღებასა და მისი სააპელაციო სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა არ გადაიხადა სააპელაციო საჩივრისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟი.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №294

2011 წლის 10 მარტს სასამართლოს მთავარ სხდომაზე „ა“-ს სააპელაციო საჩივრის განხილვის შემდეგ, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობამ განჩინებით გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარემ აღნიშნული განჩინება საკასაციო

წესით გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში იმ მოტივით, რომ ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მუქარა და იძულება სააპელაციო სასამართლომ არ ცნო დადგენილად, თუმცა საქმეში არსებობს ამის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო საჩივარი, განიხილა იგი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე დააბრუნა ხელახლად განსახილველად იმავე სააპელაციო სასამართლოში.

სწორად მოიქცა თუ არა საკასაციო სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №295

2010 წლის 10 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ, ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული 15000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადებისას მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, ზიანის ოდენობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. საქმის განმხილველმა მოსამართლემ გამოიტანა განჩინება ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. მოპასუხემ აღნიშნულ განჩინებაზე, მის გამომტან რაიონულ სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება. განჩინების მიმღებმა მოსამართლემ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ, უსაფუძვლოდ ჩათვალა იგი და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წარმოებაში მიიღო „ბ“-ს სააპელაციო საჩივარი, განიხილა, გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და საქმე გადაუგზავნა განსახილველად სხვა რაიონულ სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ საქმის თავდაპირველად განმხილველ რაიონულ სასამართლოში

სხვა მოსამართლე არ იყო. მოსარჩელე „ა“-მ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანა კერძო საჩივარი საკასაციო სასამართლოში და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც საქმის განხილვა დაევალა სხვა რაიონულ სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით წარმოებაში მიიღო „ა“-ს კერძო საჩივარი, განიხილა, დააკმაყოფილა და საქმე განსახილველად დაუბრუნა თავდაპირველ რაიონულ სასამართლოს.

რომელმა სასამართლომ დაუშვა შეცდომები მოცემულ საქმეზე? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №296

2011 წლის 12 მარტს „დ“-მ რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა სესხად გადაცემული თანხის- 5000 ლარის დაბრუნება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. საქმის მომზადების ეტაპზე, მოსარჩელემ ვერ წარუდგინა სასამართლოს „ბ“-სათვის სესხის მიცემის ფაქტის დამადასტურებელი რაიმე წერილობითი დოკუმენტი და მიუთითა მხოლოდ ორ მოწმეზე, რომლებსაც შეეძლოთ დაედასტურებინათ სესხის მიცემის ფაქტი. საქმის განმხილველმა მოსამართლემ თავისი ინიციატივით, განჩინებით სარჩელი განუხილველად დატოვა იმ საფუძველით, რომ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით არ შეიძლება დადასტურდეს ზეპირი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა. რაიონული სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე, მოსარჩელე „დ“-მ შეიტანა კერძო საჩივარი მის გამომტან სასამართლოში. რაიონულმა სასამართლომ კერძო საჩივარი დაუშვებლად სცნო, რადგან მოსარჩელემ გაუშვა კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადა და კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა ზემდგომ სასამართლოს (სააპელაციო სასამართლოს). სააპელაციო სასამართ-

ლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ კერძო საჩივრის შეტანის ვადა გაშვებული იყო საპატიო მიზეზით, რადგან მოსარჩელეს ჩაუტარდა გადაუდებელი სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია, ამიტომ „დ“-ს აღუდგინა კერძო საჩივრის შეტანის გაშვებული ვადა, მიიღო კერძო საჩივარი წარმოებაში, გააუქმა რაიონული სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე თვითონ დაიტოვა გადასაწყვეტად, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე საქმის განხილვისას, სამოქალაქო საქმეთა პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანი იყო და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე „ბ“-მ. საკასაციო სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივარი, განიხილა იგი, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასათანადოდ იყო გამოკვლეული და განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად გადაუგზავნა საქმის თავდაპირველად განმხილველ რაიონულ სასამართლოს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობის მიმართ კი გამოიტანა კერძო განჩინება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით არ იყო დასაბუთებული.

რომელმა სასამართლომ დაუშვა შეცდომები საქმის განხილვის დროს? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №297

2011 წლის 12 მაისს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის სახით 3000 ლარის ანაზღაურება იმ საფუძვლით, რომ მას 2009 წლის 15 ოქტომბერს სხეულის განზრახ მსუბუქი

ხარისხის დაზიანება მიაყენა მოპასუხემ,რისთვისაც ეს უკანასკნელი გაასამართლეს და მას სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმის გადახდა. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, განიხილა იგი და 2011 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით „ა“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ კანონით დადგენილი წესით. 2011 წლის 25 დეკემბერს დანიშნულ სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, გამოცხადდა აპელანტი (მოსარჩელე) „ა“ და მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) –„ბ“-ს წარმომადგენელი „გ“. აპელანტმა “ა“-მ, მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო,მოითხოვა საქმის განხილვის გადადება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. აღნიშნულის გამო აპელანტმა მოითხოვა სხდომის თავმჯდომარის აცილება, მაგრამ სასამართლომ არც ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განაწყენებულმა აპელანტმა სხდომის დარბაზში დაიწყო ხმამაღლა ყვირილი, რის გამოც იგი სასამართლოს დაცვის მუშაკებმა იძულებით გაიყვანეს სხდომის დარბაზიდან. მოწინააღმდეგე მხარის(მოპასუხის) წარმომადგენელმა “გ“-მ შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა აპელანტ „ა“-ს სააპელაციო საჩივარი მისი გამოუცხადებლობის გამო და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

„ა“-მ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანა საკასაციო საჩივარი,

მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „ა“-ს საკასაციო საჩივარი განჩინებით მიიღო წარმოებაში, განიხილა იგი, გააუქმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე თვითონ დაიტოვა არსებითად განსახილველად.

რა შეცდომები იქნა დაშვებული სასამართლოთა მხრიდან საქმის განხილვისას? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №298

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს მიმართ ნარდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული 2000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების შესახებ. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე, განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მხარეთათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან მეოცე დღეს, მოპასუხე „ბ“-მ რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით, რადგან გასული იყო სააპელაციო წესით მისი გასაჩივრების ვადა.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაუშვებლობის საფუძვლით განჩინებით განუხილველად დატოვა „ბ“-ს საკასაციო საჩივარი.

სწორად მოიქცა თუ არა საკასაციო სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №299

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს „ბ“-ს წინაღმდეგ და მოითხოვა

სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 10000 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2011 წლის 14 მარტს განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. 2011 წლის 25 ივნისს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით „ა“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - 5000 ლარის ფარგლებში. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ: მოსარჩელემ მოითხოვა მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ კი მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომელიც მის წინააღმდეგ იქნა გამოტანილი. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ორივე მხარეს განჩინებით განუსაზღვრა ვადა სააპელაციო საჩივრებზე ხარვეზის შესავსებად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 აგვისტოს განჩინებით „ა“-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო. აღნიშნული განჩინება „ა“-ს კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 სექტემბრის განჩინებით „ბ“-ს სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიღებული იქნა წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2011 წლის 30 სექტემბერს გადაუგზავნა „ა“-ს სააპელაციო საჩივარი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომელიც „ა“-ს ჩაბარდა 2011 წლის 15 ოქტომბერს. 2011 წლის 24 ოქტომბერს „ა“-მ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარ-

ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინებით „ა“-ს შეგებებული სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან „ა“-ს სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველად, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული და განმეორებით იმავე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლებოდა. „ა“-მ აღნიშნული განჩინება 2011 წლის 2 დეკემბერს განჩინების ჩაბარებიდან მეათე დღეს, კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესს სასამართლოში, მოითხოვა მისი გაუქმება და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წარმოებაში მიიღი „ა“-ს კერძო საჩივარი, განიხილა იგი ზეპირი მოსმენის გარეშე და დააკმაყოფილა, ვინაიდან არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და განმარტა, რომ მართალია, მხარემ დაკარგა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების კვლავ გასაჩივრების უფლება, თუმცა არ დაუკარგავს ძირითადი სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება.

შეაფასეთ სამივე ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №300

2011 წლის 15 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული 4000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. სასამართლოში საქმის

მომზადების ეტაპზე, მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ზიანის ოდენობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. მოსამართლემ მიიღო განჩინება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოპასუხემ აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით განჩინების გამომტან რაიონულ სასამართლოში. მოსამართლემ იმსჯელა კერძო საჩივრის შესახებ, უსაფუძვლოდ ჩათვალა და საქმის მასალებთან ერთად, განჩინების მიღებიდან მერვე დღეს გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო კერძო საჩივარი, განიხილა იგი და არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო. მოპასუხემ კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა საკასაციო წესით. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით წარმოებაში მიიღო კერძო საჩივარი, განიხილა და არ დააკმაყოფილა იგი დაუშვებლობის გამო.

შეფასეთ სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №301

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი, მოამზადა საქმე და დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. საქმის განხილვისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც პირადად ვერ ჩაბარდა სასამართლო უწყება(უწყება ჩაბარდა მოპასუხის 17 წლის შვილს, რომელიც იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში თავის მეზობელ „დ“-სთან). მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლემ

გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მოპასუხეს ჩაბარდა მისი გამოტანიდან მეხუთე დღეს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან მეცხრე დღეს მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით იმ საფუძვლით, რომ მას პირადად არ შეატყობინეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის თარიღის შესახებ და საქმეში არ არსებობდა მის მიერ ხელმოწერილი არანაირი დოკუმენტი შეტყობინების მიღების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო „ბ“-ს სააპელაციო საჩივარი, განიხილა იგი, მოპასუხის გამოუცხადებლობის მოტივი საპატიოდ ჩათვალა, გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თვითონ დაიტოვა საქმე და დანიშნა საქმის ხელახალი განხილვის დღე – 2011 წლის 10 აპრილი, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლოში დანიშნულ დღეს საქმის განხილვისას, მოპასუხე კვლავ არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე, რის გამოც სასამართლო კოლეგიამ საქმის განხილვა გადადო 17 აპრილისათვის და შეატყობინა ამის შესახებ ორივე მხარეს. 2011 წლის 17 აპრილს დანიშნულ სხდომაზე მოპასუხე კვლავ არ გამოცხადდა. სასამართლო კოლეგიამ მოპასუხის განმეორებით გამოუცხადებლობის გამო, თავისი ინიციატივით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი ჩაბარებიდან 32-ე დღეს. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იმ საფუძვლით, რომ გაშვებული იყო კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა, გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

შეაფასეთ სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №302

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას თავის ძმის „ბ“-ს მიმართ და მოითხოვა მამის მიერ დატოვებულ საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობა, თუმცა კი „ა“-ს სამკვიდრო ქონების მიღებაზე სარჩელის აღძვრამდე სანოტარო წესით ჰქონდა ნათქვამი უარი მოპასუხის ანუ, თავისი ძმის სასარგებლოდ.

მოსამართლემ მოსარჩელეს განჩინებით უარი განუცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ თავის დროზე სანოტარო ორგანოსათვის განცხადებით მიმართვისას უარი თქვა მემკვიდრეობის მიღებაზე და ამიტომ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად. მოსარჩელემ აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი განჩინების გადაცემიდან მეათე დღეს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს კერძო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ გადახდილი არ იყო სახელმწიფო ბაჟი. სახელმწიფო ბაჟის გადახდის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში და მხარეთა დაუსწრებლად განიხილა იგი. კერძო საჩივრის განხილვის პროცესში სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმე ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდებოდა და მის სწორად გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც გამოიტანა განჩინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის საქმის განსახილველად გადაგზავნის შესახებ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დავა განსჯადობის შესახებ არ დაიშვებოდა.

შეაფასეთ სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №303

2010 წლის 16 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: „ბ“-ს, „გ“-სა და „დ“-ს წინააღმდეგ მათი ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 მარტის განჩინებით „ა“-ს სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში. საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლემ დანიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა 2010 წლის 18 აპრილს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2010 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მოსამზადებელ სხდომაზე „ა“-ს სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად მის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო. აღნიშნულ განჩინებაზე მისი გაუქმების მოთხოვნით კერძო საჩივარი შეიტანა მოპასუხეების წარმომადგენელმა „კ“-მ და აღნიშნა, რომ განჩინების მიღებისას მოსამართლის მიერ დარღვეული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სარჩელის გამოხმობა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. „კ“-ს კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წარმოებაში მიიღო „კ“-ს კერძო საჩივარი, მხარეთათვის შეუტყობინებლად განიხილა იგი, განჩინებით დააკმაყოფილა კერძო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და „ა“-ს სარჩელი განსახილველად დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

შეაფასეთ სასამართლოების მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №304

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გაცემული 200. 000 ლარის უკან დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი წარმოებაში მიიღო, მოამზადა საქმე და დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2011 წლის 22 აპრილს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც გაგზავნილი ჰქონდა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით და სასამართლოსათვის არაფერი იყო ცნობილი მისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან მეათე დღეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა მოპასუხის მიერ საჩივრით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანმა მოსამართლემ, განჩინებით საჩივარი დასაშვებად ცნო და მხარეთათვის შეტყობინებლად დანიშნა საჩივრის განხილვა 2011 წლის 15 მაისისათვის. 15 მაისს სასამართლოს სხდომაზე საჩივრის განხილვის შედეგად, მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო და სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ მიიღო განჩინება 2011 წლის 22 აპრილს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. იმავე განჩინებით მოსამართლემ დანიშნა საქმის არსებითი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2011 წლის 22 მაისისათვის, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით. 2011 წლის 22 მაისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად მოსამართლემ გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 150. 000 ლარის გადახ-

და. გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა ორივე მხარე. 2011 წლის 24 მაისს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, განცხადებით მიმართა მოსარჩელემ და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ. მოსამართლემ დააკმაყოფილა განცხადება და 2011 წლის 29 მაისს გამოიტანა დამატებითი გადაწყვეტილება, რომელშიც მიუთითა, რომ მასზე შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა. უკმაყოფილო მოპასუხემ დამატებითი გადაწყვეტილების თაობაზე შეიტანა კერძო საჩივარი, რომელიც არ დააკმაყოფილა მოსამართლემ და იგი ხუთი დღის შემდეგ განჩინებით განსახილველად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით კერძო საჩივარი დაუშვებლად ცნო და განუხილველი დატოვა. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება ჩაბარებიდან მეათე დღეს „ბ“-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო განჩინება უსაფუძვლობის გამო საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

შეაფასეთ სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №305

2011 წლის 12 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მეუღლე „ბ“-სთან განქორწინება ამ უკანასკნელის მხრიდან ცოლქმრული ღალატის ჩადენის გამო. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი და საქმის მომზადების მიზნით მხარეებს მისცა შესარიგებლად სამთვიანი ვადა. ამ ვადის განმავლობაში მეუღლეები მართლაც შერიგდნენ. მოსამართლემ მიიღო განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ორი თვის შემდეგ მეუღლეებს კვლავ დაეწყოთ ოჯახში უსიამოვნებები, რადგან „ბ“-მ ახლა უკვე

სხვა მამაკაცთან უღალატა „ა“-ს. 2011 წლის 24 მაისს „ა“-მ კვლავ შეიტანა სარჩელი რაიონულ სასამართლოში მეუღლე „ბ“-სთან განქორწინების შესახებ მოთხოვნით. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების დროს, მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან იმავე სასამართლოში, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ერთხელ უკვე იყო დავა იმავე მხარეებს შორის. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მოსარჩელემ აღნიშნულ განჩინებაზე მის გამომტან რაიონულ სასამართლოში, განჩინების ასლის ჩაბარებიდან მეათე დღეს შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა. მოსამართლემ კერძო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და იგი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაუგზავნა ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან ხუთი დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, კერძო საჩივარი დასაშვებად ცნო და დანიშნა მისი განხილვის დღე. დადგენილ დროს მოპასუხე „ბ“ სხდომაზე არ გამოცხადდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა და მიიჩნია, რომ კერძო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას, ამიტომაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ და რადგანაც საქმის განმხილველ რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განმხილველი მხოლოდ ერთი მოსამართლე იყო, საქმე თვითონ დაიტოვა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოპასუხე „ბ“-მ შეიტანა საკასაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივარი, განიხილა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა იგი: გააუქმა სააპელაციო სასამართ-

ლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმის განსახილველად დატოვების ნაწილში და საქმე განსახილველად გადაუგზავნა იმ რაიონულ სასამართლოს, რომელშიაც თავდაპირველად იქნა შეტანილი სარჩელი.

შეაფასეთ ყველა ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №306

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან სესხად გადაცემული თანხის – 5000 ლარის დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადების სტადიაზე, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა ვერცერთი წერილობითი მტკიცებულება და მიუთითა მხოლოდ მოწმეებზე, რომლებსაც შეეძლოთ დაედასტურებინათ მოპასუხისათვის თანხის სესხად გადაცემის ფაქტი. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ იმ საფუძვლით, რომ სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

მოსარჩელემ აღნიშნულ განჩინებაზე მის გამომტან რაიონულ სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი. მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს კერძო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე, რადგან მოსარჩელემ გაუშვა კერძო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი თორმეტდღიანი ვადა. მოსამართლემ განჩინების საფუძველზე კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ კერძო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა მოსარჩელემ გაუშვა საპატიო მიზეზით, ვინაიდან ამ დროის განმავლობაში ავად იყო და არ შეეძლო დამოუკიდებლად მოძრაობა

(საქმეში არსებობდა შესაბამისი მტკიცებულებები). სააპელაციო სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ ამ საფუძვლით აღუდგინა მოსარჩელეს გასაჩივრების გაშვებული ვადა, მიიღო წარმოებაში კერძო საჩივარი, განიხილა იგი ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით გააუქმა რაიონული სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით თვითონ დაიტოვა საქმე განსახილველად. სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დროს სასამართლო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანი იყო და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივარი, განიხილა იგი, ჩათვალა რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასათანადოდ იყო გამოკვლეული და განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად გადაუგზავნა რაიონულ სასამართლოს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობის მიმართ კი გამოიტანა კერძო განჩინება, ვინაიდან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით არ იყო დასაბუთებული.

რომელმა სასამართლომ დაუშვა შეცდომები საქმის განხილვის დროს და რაში გამოიხატება იგი?

კაზუსი №307

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის–4000 ლარის დაბრუნება. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების ეტაპზე მოპასუხე „ბ“-მ სასამართლოში შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა „ა“-საგან ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ღირებულების

–3000 ლარის ანაზღაურება. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელი.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის შემდეგ, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ 3000 ლარის ოდენობით, ხოლო მოპასუხეს კი უარი უთხრა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაუშვებლობის საფუძვლით, სააპელაციო საჩივარი განჩინებით განუხილველად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სააპელაციო საჩივრით მიმართა მოპასუხე "ბ"-მაც და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანა მის შეგებებულ სარჩელზე. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში მიიღო მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, დანიშნა მისი განხილვის დღე სასამართლოს მთავარ სხდომაზე, განიხილა იგი და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რითაც გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელი.

თავდაპირველმა მოსარჩელე "ა"-მ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით წარმოებაში არ მიიღო საკასაციო საჩივარი იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე "ა"-ს სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა სააპელაციო სასამართლომ და შესაბამისად „ა"-ს უფლება არა აქვს საკასაციო წესით გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

შეაფასეთ სამივე ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №308

როგორ უნდა მოიქცეს საკასაციო სასამართლო იმ შემთხვევაში, თუკი საკასაციო საჩივრის განხილვისას დაადგენს, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი და საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება დათარიღებულია სხვადასხვა რიცხვით, ანდა როდესაც სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ საქმე განიხილა სასამართლოს სხვა შემადგენლობამ, ხოლო გადაწყვეტილებას კი ხელს აწერენ სხვა მოსამართლეები.

რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი?

კაზუსი №309

2012 წლის 14 თებერვალს რაიონული სასამართლოს მიერ „ბ“-სა და „გ“-ს შორის დავაზე გამოტანილ განჩინებაზე „ა“-მ, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა ეს განჩინება, შეიტანა კერძო საჩივარი განჩინების გამომტან სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ „ა“ არ მონაწილეობდა საქმეში მხარედ, მოსამართლემ განჩინებით მაინც მიიღო კერძო საჩივარი წარმოებაში.

ჰქონდა თუ არა მოსამართლეს აღნიშნულ შემთხვევაში კერძო საჩივრის მიღების უფლება?

კაზუსი №310

2011 წლის 20 აპრილს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს “ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მო-

პასუხისაგან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობისათვის 15. 000 ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება. სარჩელს თან ერთვოდა მხოლოდ ცნობა მკურნალობის ხარჯების შესახებ. იმავე სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით „ბ“-ს საცხოვრებელ სახლზე ყადაღის დადება, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო „ბ“-ს მამის სახელზე. 2011 წლის 21 აპრილს მოსამართლემ მოსარჩელის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით დააკმაყოფილა. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით, სასამართლომ თავისი ინიციატივით „ა“-ს დაავალა განჩინების ჩაბარებიდან ხუთი დღის ვადაში, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის სახით საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 5000 ლარის შეტანა. 2011 წლის 24 აპრილს სასამართლომ მიიღო განჩინება „ა“-ს სარჩელზე ხარვეზის დადგენის შესახებ და ხარვეზის შევსების მიზნით დაავალა „ა“-ს ხარვეზის შევსების განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. „ა“-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის გაგრძელება შვიდი დღით. მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა „ა“-ს ვადის გაგრძელებაზე იმ საფუძვლით, რომ კანონით დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება არ დაიშვებოდა. საპროცესო ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე „ა“-მ განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი, რომელიც მოსამართლემ საქმის მასალებთან ერთად გადაავზავნა ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოში.

შეაფასეთ მოსარჩელისა და სასამართლოს მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №311

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული 5000 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურება. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო სარჩელი. საქმის მომზადების ეტაპზე, მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა წერილობითი შესაგებელი, სადაც გამოთქვა დავის მორიგებით დამთავრების სურვილი. მოსამართლემ განჩინებით დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, რომელზედაც მოპასუხე მოურიგდა მოსარჩელეს, რომ მას გადაუხდიდა 5000 ლარს 2 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გაყიდდა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს. მოსამართლემ გამოიტანა განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. რაიონული სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, კერძო საჩივარი შეიტანა „ბ“-ს მეუღლემ - „დ“-მ და მიუთითა, რომ მიწის ნაკვეთი არის მისი და მისი მეუღლე „ბ“-ს ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება და წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ წარმოებაში მიიღო „დ“-ს კერძო საჩივარი, განიხილა იგი ზეპირი მოსმენის გარეშე და განჩინებით არ დააკმაყოფილა.

შეაფასეთ რაიონული სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №312

„ა“-მ მცხეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მცხეთაში მცხოვრები „ბ“-ს წინააღმდეგ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის რაიონის სოფელ „X“-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით. მოსამართლემ განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ

საფუძვლით, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. „ა“-მ მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით განჩინების ჩაბარებიდან მე-14 დღეს. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში და დაუსაბუთებლობის მოტივით განჩინებით განსახილველად გადაუგზავნა ზემდგომ(სააპელაციო) სასასამართლოს.

შეაფასეთ „ა“-სა და რაიონული სასამართლოს მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №313

დაიშვება თუ არა კერძო საჩივრის შეტანა სასამართლოს მიერ გამოტანილ შემდეგ განჩინებებზე:

1. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;
2. სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ;
3. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად დანიშვნის შესახებ;
4. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ;
5. მოწმის სახით პირის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ;
6. ექსპერტიზის დანიშვნის ან ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ;
7. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, გადავადების ან ზედმეტად გადახდილი ბაჟის დაბრუნების შესახებ;
8. საქმის განხილვის გადადების შესახებ;
9. გაშვებული საპროცესო ვადის აღდგენის ან მის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ;
10. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ან უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ;
11. სარჩელის უზრუნველყოფის ან უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ;

12. საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;

13. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

14. სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

15. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ;

16. გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ;

17. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების ან გადავადებაზე უარის თქმის შესახებ;

18. წარმოებაში მიღებული საქმის სხვა სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემის შესახებ;

19. საქმეში მესამე პირად, რომელიც აცხადებს დავის საგანზე დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას, ჩაბმის ან ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ;

20. შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

21. სასამართლო სხდომის ოქმის მიმართ შენიშვნების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

22. მოსამართლის ან სასამართლო კოლეგიის შემადგენლობის აცილების ან თვითაცილების შესახებ;

23. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეზე გადახდის ბრძანების მიღების ან მის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

24. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმეზე ბრძანების მიღების ან მის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

25. სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

კაზუსი №314

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „ბ“-საგან 10. 000 ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. 2011 წლის 14 მარტის განჩინებით მოსამართლემ „ა“-ს სარჩელზე დაუდ-

გინა ხარვეზი და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრა 10 დღე განჩინების ჩაბარებიდან. მოსარჩელემ ვერ შეძლო დანიშნულ ვადაში ხარვეზის შევსება. 2011 წლის 26 მარტს მოსამართლემ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, ამავდროულად განუმარტა მოსარჩელეს, რომ განჩინებაზე დაიშვებოდა კერძო საჩივარი. მოსარჩელემ განჩინების ჩაბარებიდან მეშვიდე დღეს, წერილობითი განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა კერძო საჩივრის შეტანის ვადის ათი დღით გაგრძელება იმ საფუძვლით, რომ საზღვარგარეთ საჭიროებდა გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციას (წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები) და დადგენილ ვადაში ვერ ასწრებდა განჩინების გასაჩივრებას. მოსამართლემ განჩინებით დააკმაყოფილა „ა“-ს შუამდგომლობა.

შეაფასეთ „ა“-სა და რაიონული სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №315

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ განცხადებით მიმართა გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოს ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

თავის მოთხოვნას „ა“ იმით ასაბუთებდა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილ იქნა „ა“-სა და მოსარჩელე „ბ“-ს შორის ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეზე, ემყარებოდა მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენებას. თავის განცხადებას „ა“-მ მტკიცებულების სახით დაურთო საქმეზე მოწმედ დაკითხული „დ“-ს წერილობითი აღიარება იმის შესახებ, რომ მან სასამართლოს შეგნებულად მისცა ცრუ ჩვენება, თუმცა ამჟამად იგი ამას ძალიან ნანობს, რადგან დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა „ა“-ს.

გადაწყვეტილების გამომტანმა რაიონული სასამართლოს

მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო განცხადება, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა იგი სასამართლო სხდომაზე, გააუქმა მის მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილება და დანიშნა დრო საქმის ხელახალი არსებითი განხილვისათვის.

შეაფასედ მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №316

2011 წლის 20 ივნისს „ა“-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართა განცხადებით 2005 წლის 12 მარტს მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. „ა“-მ განცხადებაში მიუთითა, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია მასა და მოპასუხეს შორის, ემყარება მოწმის - „გ“-ს შეგნებულად ცრუ ჩვენებას. „ა“-მ განცხადებას დაურთო საქმეზე მოწმედ დაკითხული პირის „გ“-ს ახსნა-განმარტება, რომ მან თავის დროზე საქმის განხილვისას, მცხეთის რაიონულ სასამართლოს მისცა შეგნებულად ცრუ ჩვენება მოპასუხის სასარგებლოდ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ „ა“-ს განცხადება მიიღო წარმოებაში, განიხილა იგი და განჩინებით არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

შეაფასეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №317

რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა „ა“-ს სარჩელი „ბ“-ს წინააღმდეგ და ამ უკანასკნელს დაეკისრა სესხად მიღებული 10000

ლარის გადახდა. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ დაადგინდა „ბ“-ს იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაცია. სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, „ა“-მ განცხადებით მიმართა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა და გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით იპოთეკით დათვირთული მიწის ნაკვეთის აუქციონზე რეალიზაცია. მოსამართლემ გასცა სააღსრულებო ფურცელი. საჯარო აუქციონზე იპოთეკით დატვირთული ქონება შეიძინა „გ“-მ.

2011 წლის 25 აპრილს „ბ“-მ ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, განცხადებით მიმართა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. „ბ“-მ განცხადებაში აღნიშა, რომ ჯერ კიდევ „ა“-ს სარჩელის არსებითად განხილვის დროს იგი იმთავითვე მიუთითებდა, რომ სესხის თანხა მას რეალურად არ მიუღია, „ა“ მას დაჰპირდა თანხის გადაცემას ხელშეკრულების დადებიდან ორ დღეში, თუმცა პირობა არ შეასრულა. საქმე გამოძიებაში იყო და შესაბამისი მტკიცებულება მას არ გააჩნდა, ამიტომაც, სამოქალაქო დავა გადაწყდა მის საწინააღმდეგოდ. მხოლოდ სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, განხილული იქნა „ა“-ს მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე თანხის თაღლითურად მითვისების ფაქტზე და დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. „ბ“-მ განცხადებაში მიუთითა, რომ სასამართლოს განაჩენი (მტკიცებულება) რომ იმთავითვე არსებულიყო, სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო მიიღებდა მოსარჩელის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, ვინაიდან განაჩენით უდავოდ დადასტურდა მოპასუხის მიერ სესხის რეალურად მიუღებლობა. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ „ბ“-ს განცხადების შეტანიდან ორი დღის ვადაში დაუდგინა ხარვეზი, კერძოდ, დაავალა განმცხადებლს სახელმწიფო ბაჟის

სახით 150 ლარის გადახდა. ხარვეზის შევსების შემდეგ, „ბ“-ს განცხადება მოსამართლემ მიიღო განსახილველად. მოსამართლემ დანიშნა საქმის ზეპირი განხილვა, მოთხოვნა ჩათვალა საფუძვლიანად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა განჩინებით და დაადგინა „ა“-ს სარჩელის თავიდან განხილვა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების განჩინებასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ იგი გასაჩივრდებოდა საქმეზე საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) ერთად. 2011 წლის 28 მაისს საქმის არსებითად განხილვის დროს, რაიონულმა სასამართლომ გამოარკვია, რომ სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება იყო უკვე აღსრულებული, „ა“, როგორც კრედიტორი დაკმაყოფილებული, ამიტომ დავის საგნის არ არსებობის გამო განჩინებით შეწყვიტა საქმის წარმოება.

შეაფასეთ რაიონული სასამართლოს მიერ განხორციელებული თითოეული საპროცესო მოქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №318

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა 2008 წლის 15 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილებით სასამართლომ დააკმაყოფილა „ბ“-ს სარჩელი და „ა“ ოჯახთან ერთად გამოასახლა ქალაქ თბილისში, „X“ ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინიდან. მოსამართლემ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა მოსარჩელე „ბ“-ს საკუთრების უფლების არსებობა სადავო ბინაზე. „ა“-მ განცხადებაში მიუთითა, რომ 2010 წლის 5 თებერვლისათვის მისთვის ცნობილი გახდა, რომ სადავო ბინა დავის განხილვის მომენტისათვის არ ეკუთვნოდა მო-

სარჩელეს და ის წარმოადგენდა ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, რაც დგინდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო რეესტრიდან ამონაწერი კი „ა“-მ მიიღო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მისი ადვოკატის მიერ საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად, რაც მანამდე შეუძლებელი იყო, ვინაიდან არ გააჩნდა ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობა, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება და განახლდეს საქმის წარმოება, ვინაიდან საქმის განხილვის მომენტში სასამართლოსათვის ცნობილი რომ ყოფილიყო სადავო ბინაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების არარსებობის შესახებ, სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა. მოსამართლემ განჩინებით განცხადება დასაშვებად ცნო, განსაზღვრა დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის, განიხილა იგი, დააკმაყოფილა, განჩინებით გააუქმა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება და განაახლა საქმის წარმოება. განჩინების გასაჩივრების წესად მოსამართლემ მიუთითა, რომ განჩინება შეიძლება გასაჩივრებულიყო სააპელაციო წესით განჩინების ჩაბარებიდან 14 დღეში.

შეაფასეთ სასამართლოს მიერ განხორციელებული მოქმედებები. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №319

2011 წლის 10 მარტს „ა“-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა „X“ ქუჩა №3-ში მდებარე მისი ბინის საძინებლის თავზე განთავსებული, მოპასუხის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის („X“ქუჩა №5) სანიტარული კვანძის გაუქმება. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განჩინებით სარჩელი მიიღო წარმოებაში, მოამზადა საქმე, დანიშნა მისი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც შეატყობინა მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

მოსამართლემ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შედეგად 2011 წლის 25 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წამროების განახლების მოთხოვნით, განცხადებით მიმართეს „დ“-მ და „კ“-მ. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ 2011 წლის 15 თებერვალს მათ მემკვიდრეობით ფაქტობრივ მფლობელობაში მიიღეს სამკვიდრო ქონება, 2011 წლის 12 ივნისს გაცემული სამკვიდრო მოწმობების საფუძველზე ისინი 2011 წლის 20 ივლისს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდნენ "X"ქუჩა №5-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თანამესაკუთრეებად, შესაბამისად, რადგან „ბ“ არ წარმოადგენდა აღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი ბინის ერთადერთ მესაკუთრეს, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამოერკვია მემკვიდრეთა წრე, რომლებიც ფლობდნენ ქონებას და ყველა მათგანი უნდა მოეწვია სასამართლოს სხდომაზე, ვინაიდან მათთვის ცნობილი არ იყო სანიტარული კვანძის გაუქმების შესახებ დავის სასამრთლოში მიმდინარეობის თაობაზე და აღნიშნული შეიტყვეს მხოლოდ 2011 წლის 30 ივლისს.

განმცხადებლების მითითებით ის ფაქტი, რომ მათ აიღეს სამკვიდრო მოწმობები და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდნენ „X"ქუჩა №3–ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თანასაკუთრებად, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას,რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველია. მოსამართლემ განჩინებით განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად ცნო და განსაზღვრა დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის. საქმის ზეპირი განხილვის შედეგად რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია,რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანი იყო, ამიტომ განჩინებით გააუქმა გასაჩივრე-

ბული გადაწყვეტილება და დაადგინა საქმის ხელახალი განხილვა.

სწორად მოიქცა თუ არა რაიონული სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №320

2011 წლის 10 დეკემბერს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განიხილა „ა“-ს სარჩელი მოპასუხე „ბ“-ს მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. მოპასუხე „ბ“-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, განჩინებით წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი, განიხილა იგი და უცვლელად დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთი წლისა და ერთი კვირის შემდეგ, „ბ“-მ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ შეამოწმა „ბ“-ს განცხადების დასაბუთებულობა და განჩინებით იგი დაუშვებლად ჩათვალა იმ საფუძვლით, რომ გასული იყო კანონით დადგენილი საქმის წარმოების განახლების ვადები.

სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

№1

რადგან სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნას გამოყენებული, არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება წყდება, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე.

ბ. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

გ. დიახ, რადგან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლო დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია.

დ. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსამართლე განუხილველად ტოვებს სარჩელს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

№2

თბილისში მცხოვრებმა აბულაძემ, ბათუმში მცხოვრებ ნაკაშიძესთან დადო ნარდობის ხელშეკრულება ქობულეთში საცხოვრებელი ბინის მშენებლობის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, მენარდეს ბინა უნდა აეშენებინა ხუთი თვის განმავლობაში. მენარდემ ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება. შემკვეთმა აბულაძემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე ნაკაშიძისაგან ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შეტანილია

თუ არა სასამართლოში სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით?

ა. დიახ, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ბ. დიახ, რადგან თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით;

გ. არა, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო;

დ. არა, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

№3

მგელაძე თავის მცირეწლოვან შვილთად ერთად ცხოვრობდა მცხეთის რაიონში. მგელაძემ სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რადგან მოპასუხე „ა" ცხოვრობდა რუსთავში. შეტანილია თუ არა სასამართლოში სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით?

ა. დიახ, რადგან სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილი იქნეს სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ბ. დიახ, რადგან სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილი იქნეს სასამართლოში მოპასუხის ან მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

გ. არა, რადგან სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილი იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

დ. არა, რადგან სარჩელი მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს ქვემდებარე არ არის.

№4

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს?

ა. თარჯიმნად მოწვეული პირისათვის მისაცემი თანხა;

ბ. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები;

გ. მოპასუხის მოძებნის ხარჯები;

დ. სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები.

№5

სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, ვისაც მოთხოვნის უფლება აქვს. არასათანადო მოსარჩელემ სასამართლოს თანხმობა განუცხადა შეცვლილიყო სათანადო მოსარჩელეთი. მიუხედავად არასათანადო მოსარჩელის თანხმობისა, სათანადო მოსარჩელემ უარი განაცხადა შეეცვალა არასათანადო მოსარჩელე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო:

ა. შეაჩერებს საქმის წარმოებას;

ბ. შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე;

გ. გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებულობის გამო;

დ. განუხილველად დატოვებს სარჩელს.

№6

რაიონულმა სასამართლომ ნემსაძის სარჩელის განხილვისას ლორიას მიმართ დაადგინა, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია:

ა. განუხილველად დატოვოს სარჩელი;

ბ. მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით;

გ. გამოიტანოს გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

დ. თავისი ან მოსარჩელის ინიციატივით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით.

№7

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას გადაწყვეტილების გამოტანამდე, მოპასუხემ ზეპირი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ განცხადება უნდა ყოფილიყო წერილობითი ფორმით და არა ზეპირი ფორმით. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან განცხადება მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში ჩაბმის შესახებ უნდა გაკეთდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით;

ბ. დიახ, რადგან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმა ხდება მხოლოდ ამ პირის წერილობითი განცხადებით;

გ. არა, რადგან განცხადება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით;

დ. არა, რადგან განცხადება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ საქმის მომზადების ეტაპზე.

№8

მოსარჩელე დ. ბრეგვაძემ კანონის მოთხოვნათა დაცვით გასცა რწმუნებულება თავის დაზე — ლ. ბრეგვაძეზე. სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლემ თავისი ინიციატივით დაადგინა ადგილზე დათვალიერება, რის შესახებაც გამოიტანა განჩინება. სასამართლომ აცნობა მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს დათვალიერების ჩატარების

დრო და ადგილი. ლ. ბრეგვაძემ დროის უქონლობის გამო ვერ შეძლო პირადად მიეღო მონაწილეობა ადგილზე დათვალიერებაში და ამიტომ ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობა მიანდო ადვოკატ მინდაძეს. სასამართლომ მინდაძე არ დაუშვა აღნიშნულ საპროცესო მოქმედების შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც არაუფლებამოსილი პირი. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან სასამართლოში საქმის წარმოების და ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება აქვს მხოლოდ მხარეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს;

ბ. არა, რადგან მხარის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს;

გ. დიახ, რადგან ცალკეული საპროცესო მოქმედების სხვა პირზე გადანდობას სჭირდება სასამართლოს ნებართვა;

დ. არა, რადგან ადვოკატს ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კანონით.

№9

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსარჩელე მეტრეველმა აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ ნოტარიუს სანაძისაგან იმ მოტივით, რომ თვითონ ვერ შეძლო სანაძისაგან ამ წერილობითი მტკიცებულებების მიღება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გამოიტანა განჩინება წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული განჩინება:

ა. შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით;

ბ. შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით;

გ. ცალკე არ გასაჩივრდება;

დ. შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით.

№10

უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ

უფლებას აძლევს წარმომადგენელს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა:

ა. მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში;

ბ. შეცვალოს სარჩელის საფუძველი;

გ. წარადგინოს იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი;

დ. შეცვალოს სარჩელის საგანი.

№11

ნემსაძემ მდინარაძესთან დავაში, სასამართლოში თავის წარმომადგენლად დანიშნა ხარაბაძე კანონის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ნემსაძემ გააუქმა ხარაბაძისათვის მიცემული მინდობილობა და შეუწყვიტა მას წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით აცნობა როგორც სასამართლოს, ისე წარმომადგენელსაც. ნემსაძემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ახალი წარმომადგენლის დანიშვნამდე საქმის განხილვის გადადების შესახებ. სასამართლომ განჩინებით გადადო საქმის განხილვა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან მარწმუნებლის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა წარმოადგენს საქმის განხილვის გადადების საფუძველს;

ბ. არა, რადგან სასამართლოს საქმის განხილვა კი არ უნდა გადაედო, არამედ უნდა შეეჩერებინა საქმის განხილვა;

გ. არა, რადგან მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს;

დ. დიახ, სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

№12

საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება და მოსარჩელეს მტკიცებულების წარმოსადგენად განუსაზღვრა 5 დღის

ვადა. მოსარჩელემ ვერ შეძლო პატივსადები მიზეზით დადგენილ ვადაში მტკიცებულების წარდგენა. სასამართლომ თავისი ინიციატივით გაუგრძელა მოსარჩელეს ვადა კიდევ 5 დღით. ჰქონდა თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით ვადის გაგრძელების უფლება?

ა. არა, რადგან დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს თავისი ინიციატივით საპროცესო ვადის გაგრძელება არ შეუძლია;

ბ. არა, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით;

გ. დიახ, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით;

დ. დიახ, ვადის გაგრძელების საკითხს სასამართლო წყვეტს თავისი შეხედულებით.

№13

ნემსაძემ აღძრა სარჩელი ლორიას მიმართ და მოითხოვა მისგან სამი თვის ბინის ქირის გადახდევინება. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე, მოსარჩელემ მოითხოვა ასევე ბინის დაზიანების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც 1000 ლარის ოდენობით. სასამართლომ საქმის მომზადების ამ ეტაპზე სასარჩელო მოთხოვნის გადიდება დაუშვებლად მიიჩნია. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ, რადგან ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გასადიდებლად საჭირო იყო მოპასუხის წინასწარი თანხმობა;

ბ. დიახ, რადგან დავის საგნის გაზრდა გამოიწვევდა საქმის განხილვის გაჭიანურებას;

გ. არა, რადგან მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს;

დ. არა, რადგან მოსარჩელეს უფლება აქვს საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს გაზარდოს დავის საგანი, მოპასუხის თანხმობის მიუხედავად.

№14

მოსარჩელე პატარიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს კუჭავასაგან როიალის უკან დაბრუნების შესახებ. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელემ მოითხოვა არა როიალის, არამედ მისი ღირებულების ანაზღაურება, რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე კუჭავა. მოსამართლემ მოსარჩელის მოქმედება ჩათვალა სარჩელის შეცვლად და რადგან მოპასუხე არ იყო თანახმა, უარი უთხრა მოსარჩელეს ნივთის ღირებულების ანაზღაურებაზე. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ, რადგან საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით;

ბ. დიახ, რადგან ზეპირი განხილვის დროს დაუშვებელია სარჩელის საგნის შეცვლა;

გ. არა, რადგან სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება სარჩელით მოთხოვნილი ნივთის ნაცვლად ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება;

დ. არა, რადგან საქმის ზეპირი განხილვის დროს სარჩელის საგნის შეცვლა დასაშვებია მოსარჩელის სურვილით, მოპასუხის თანხმობის მიუხედავად.

№15

მოსარჩელე ნემსაძესა და მოპასუხე ივანიძეს შორის სამეზობლო დავის განხილვისას, სასამართლომ თავისი ინიციატივით დანიშნა ექსპერტიზა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. აქვს თუ არა სასამართლოს უფლება თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა?

ა. არა, რადგან მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხოლოდ მხარეები;

ბ. არა, რადგან თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა თავისი ინიციატივით მხოლოდ საქმის მომზადების სტადიაზე;

გ. დიახ, სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება;

დ. დიახ, რადგან თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრა, ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

№16

შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს:

ა. ორი კვირისა;

ბ. ორი თვისა;

გ. ერთი თვისა;

დ. ოცი დღისა.

№17

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე განიხილავდა საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეს. საქმის მომზადების დროს მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, საქმე სამართლებრივი თვალსაზრისით ძალიან რთული იყო და მოტივირებული შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, რათა ამ უკანასკნელს დაედგინა საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლოს თავმჯდომარემ განჩინებით დააკმაყოფილა შუამდგომლობა და დაადგინა საქმის კოლეგიური განხილვა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლოს თავმჯდომარე?

ა. არა, რადგან საქმის კოლეგიური განხილვა ხდება მაშინ,

როცა საქმე როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება და მის გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

ბ. დიახ, რადგან საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეები თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განიხილება სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით;

გ. არა, რადგან საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ მოტივირებული განჩინება გამოაქვს საქმის განმხილველ მოსამართლეს, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას;

დ. დიახ, რადგან სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს საქმის განხილვას სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით.

№18

რაიონული სასამართლოს მოსამართლეს მხარემ მიმართა განცხადებით აცილების მოთხოვნით. მოსამართლემ დააკმაყოფილა აცილების შესახებ მხარის შუამდგომლობა მოტივირებული განჩინებით, აიცილა საქმე და განჩინებაში მიუთითა, რომ განჩინებაზე შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა. სწორად მიუთითა თუ არა მოსამართლემ აცილების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი?

ა. არა, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინება საერთოდ არ საჩივრდება;

ბ. დიახ, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა;

გ. არა, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად;

დ. დიახ, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა.

№19

ჩამოთვლილთაგან რომელ განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა?

ა. წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ;

ბ. მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ;

გ. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ;

დ. ადგილზე დათვალიერების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ.

№20

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხარეების განცხადება აცილების შესახებ უნდა გაკეთდეს:

ა. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს.

ბ. საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

გ. პაექრობის დამთავრებამდე.

დ. გადაწყვეტილების მიღებამდე.

№21

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, აცილების განცხადების შემდეგ სასამართლომ შეიძლება მოუსმინოს:

ა. მხარეებს.

ბ. მხოლოდ აცილების განცხადების ავტორს.

გ. არც ერთ მხარეს.

დ. მხარეებსა და საქმის განხილვაში მონაწილე პირებს.

№22

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვის დროს პაექრობის დაწყებამდე, მოსარჩელემ აცილების განცხადება გააკეთა სხდომის მდივნის მიმართ. სასამართლომ განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს სხდომის მდივნის აცილების საკითხის განხილვაზე იმ მოტივით, რომ აცილების განცხადება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მოსამართლის მიმართ.

სწორია თუ არა სასამართლოს განჩინება?

ა. დიახ, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სხდომის მდივნის აცილება არ დაიშვება.

ბ. არა, რადგან სხდომის მდივნის აცილების საკითხის დაყენების უფლება აქვს მოსამართლეს და არა მხარეებს.

გ. არა, რადგან სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია.

დ. დიახ, რადგან სხდომის მდივნის აცილების საკითხს სასამართლო განიხილავს მხოლოდ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.

№23

საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს შეადგენს:

ა. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები.

ბ. დაკარგული ხელფასი (განაცდური).

გ. მხარეების მიერ მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯები.

დ. მოპასუხის მოძებნის ხარჯები.

№24

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თუ არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, მაშინ:

ა. შეწყდება საქმის წარმოება.

ბ. ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაებას საქმეში მესამე პირად.

გ. სარჩელი დარჩება განუხილველი.

დ. შეჩერდება საქმის წარმოება.

№25

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა:

ა. სრულწლოვანების მიღწევის მომენტიდან.

ბ. სასამართლოში სარჩელის წარდგენის მომენტიდან.

გ. დაქორწინების მომენტიდან.

დ. დაბადების მომენტიდან

№26

სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს წარმოადგენს:

ა. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები;

ბ. სახელმწიფო ბაჟი;

გ. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები;

დ. ადგილობრივ დათვალიერებაზე გაწეული ხარჯები

№27

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათ შორის გაფორმებული გარიგებიდან წარმოშობილი ქონებრივი დავის გადასაწყვეტად მიმართავენ არბიტრაჟს.

მართლზომიერია თუ არა მათი შეთანხმება?

ა. დიახ, რამეთუ ქონებრივი დავა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გადაეცეს განსახილველად არბიტრაჟს.

ბ. არა, რამეთუ ქონებრივი დავის გადაწყვეტის კომპეტენცია მხოლოდ საერთო სასამართლოს გააჩნია.

გ. დიახ, რამეთუ მხარეები რომც არ შეთანხმებულიყვნენ დავის გადამწყვეტ ორგანოზე, კანონის მოთხოვნით, ქონებრივი დავის განხილვის კომპეტენცია, მხოლოდ არბიტრაჟს შეუძლია.

დ. არა, რადგან არბიტრაჟს შეუძლია, მხოლოდ არაქონებრივი დავების განხილვა.

№28

ქონების ქირავნობის ხელშკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელზე დავის საგნის ფასი განისაზღვრება;

ა. ამ ქონების საბაზრო ღირებულებით;

ბ. დარჩენილი ვადით, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით. ;

გ. სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხით;

დ. დარჩენილი ვადით, მაგრამ არაუმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

№29

სამოქალაქო სამართალწარმოებისას პროცესის ხარჯებს არ შეადგენს:

ა. სახელმწიფო ბაჟი;

ბ. მარჩენალის დაკაგვის გამო დანიშნული სარჩო;

გ. სასამართლოს გარეშე ხარჯები;

დ. დაკარგული ხელფასი (განაცდური).

№30

ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელზე დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

ა. არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

ბ. იმ თანხით რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი,მაგრამ არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში;

გ. არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

დ. სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

№31

სასამართლო ხარჯებს შეადგენს:

ა. სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები;

გ. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები;

დ. დაკარგული ხელფასი და მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

№32

მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თუ:

ა. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე;

ბ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს;

გ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან;

დ. სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე.

№33

საქმის სხვა სასამართლოში განსჯადობის წესის დაცვით გადაცემის თაობაზე სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს:

ა. კერძო საჩივრის შეტანით განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის ვადაში;

ბ. საჩივრის შეტანით განჩინების გადაცემის მომენტიდან 5 დღის ვადაში;

გ. საქმის სხვა სასამართლოში განსჯადობის წესის დაცვით გადაცემის თაობაზე სასამართლო განჩინება არ საჩივრდება;

დ. საქმის სხვა სასამართლოში განსჯადობის წესის დაცვით გადაცემის თაობაზე სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად.

№34

ბერიძემ რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნემსაძის წიინააღმდეგ. მოპასუხე ნემსაძემ თავის წარმომადგენლად დანიშნა ლორია. სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რის გამოც სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა მოპასუხის წარმომადგენელმა ლორიამ და განმარტა, რომ მისთვის სასამართლო უწყება არ ჩაუბარებიათ და არც გაუგზავნიათ, რის გამოც სასამართლოს არ ჰქონდა

უფლება განეხილა საქმე და მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სწორია თუ არა წარმომადგენლის პრეტენზია:

ა. დიახ, რადგან, სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი სასამართლო უწყებით ეცნობებათ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს. ;

ბ. დიახ, რადგან თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდება მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, უწყება უნდა გაიგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც;

გ. არა, რადგან სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი სასამართლო უწყებით ეცნობება მხარეს ან მის წარმომადგენელს. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ–ერთ მათგანს;

დ. არა, რადგან სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი სასამართლო უწყებით ეცნობება მხარეებს და მათ წარმომადგენლებს. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

№35

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ:

ა. მხოლოდ უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს;

ბ. შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს;

გ. შვილად აყვანის შესახებ საქმეებს;

დ. ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება ორი ათასს ლარს.

№36

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ბერიძემ მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით. მოპასუხემ შესაგებელში განმარტა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი არის ქალაქი

გორი და იშუამდგომლა ბათუმის საქალაქო სასამართლოს წინაშე, საქმის გორის რაიონული სასამართლოსათვის მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსახილველად გადაცემის შესახებ. ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმე გადაუგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს იმ მოტივით, რომ მოპასუხემ, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ ცნობილი არ იყო, მოითხოვა საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სწორად მოიქცა თუ არა ბათუმის საქალაქო სასამართლო?

ა. დიახ, რადგან სარჩელები ალიმენტის გადახდევინების თაობაზე წარედგინება სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და თუ მოპასუხე რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ ცნობილი არ იყო, მოითხოვს საქმის გადაცემას მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სასამართლო საქმეს განსახილველად გადასცემს განსჯად სასამართლოს;

ბ. არა, რადგან სარჩელები ალიმენტის გადახდევინების თაობაზე შეიძლება წარედგინოს სასამართლოს მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით და თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოპასუხეს;

გ. დიახ, რადგან სარჩელები ალიმენტის გადახდევინების თაობაზე შეიძლება წარედგინოს სასამართლოს მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით და თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს;

დ. არა, რადგან სარჩელები ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

№37

სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს წარმოადგენს:

ა. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები;

ბ. სახელმწიფო ბაჟი;

გ. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები;
დ. ექსპერტისათვის მისაცემი თანხები;

№38

თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა ქონებრივი მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

ა. უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით;
ბ. უფრო დაბალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით;
გ. მოთხოვნათა შეჯამების შედეგად;
დ. 4000 ლარით.

№39

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს?

ა. თარჯიმნად მოწვეული პირისათვის მისაცემი თანხა;
ბ. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები;
გ. მოპასუხის მოძებნის ხარჯები;
დ. სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები.

№40

უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა:

ა. მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში;
ბ. გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება;
გ. წარადგინოს იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი;
დ. შეცვალოს სარჩელის საფუძველი.

№41

რაიონული სასამართლოს მოსამართლე განიხილავდა მიბარების

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას. საქმის მომზადების დროს მოსამართლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, საქმე ფაქტობრივი თვალსაზრისით ძალიან რთული იყო და მოტივირებული შუამდგომლობით მიმართა რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, რათა ამ უკანასკნელს დაედგინა საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლოს თავმჯდომარემ განჩინებით დააკმაყოფილა შუამდგომლობა და დაადგინა საქმის კოლეგიური განხილვა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლოს თავმჯდომარე?

ა. დიახ, რადგან სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს საქმის განხილვას სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით

ბ. არა, რადგან საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ მოტივირებული განჩინება გამოაქვს საქმის განმხილველ მოსამართლეს, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას;

გ. დიახ, რადგან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განიხილება სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით;

დ. არა, რადგან საქმის კოლეგიური განხილვა ხდება მაშინ, როცა საქმე როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება ან მის გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

№42

რაიონული სასამართლოს მოსამართლეს მხარემ მიმართა განცხადებით აცილების მოთხოვნით. მოსამართლემ დააკმაყოფილა აცილების შესახებ მხარის შუამდგომლობა მოტივირებული განჩინებით, აიცილა საქმე და განჩინებაში მიუთითა, რომ განჩინებაზე შეიძლებოდა საჩივრის შეტანა. სწორად მიუთითა თუ არა მოსამართლემ აცილების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი?

ა. არა, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინება საერთოდ არ საჩივრდება;

ბ. დიახ, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა.

გ. არა, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად;

დ. დიახ, რადგან აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა;

№43

რომელი მსჯელობაა მცდარი?

მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს თუ:

ა. საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის;

ბ. სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

გ. სარჩელში არ არის მითითებული მოსარჩელის შუამდგომლობები;

დ. თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად.

№44

მოსარჩელემ აღძრა სარჩელი რაიონულ სასამართლოში, რომელშიც გააერთიანა ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ. სასამართლომ არ მიიღო ეს სარჩელი განსახილველად იმ საფუძვლით, რომ მასში გაერთიანებული მოთხოვნები ემყარება არა ერთსა და იმავე, არამედ სხვადასხვა საფუძველს. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ, რადგან მოსარჩელეს შეუძლია გააერთიანოს ერთ სარჩელში ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, თუკი ეს მოთხოვნები ემყარება ერთსა და იმავე საფუძველს;

ბ. დიახ, რადგან მოსარჩელეს სხვადასხვა მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანების უფლება არა აქვს;

გ. არა, რადგან მოპასუხე არ იყოს საქმეების ერთად განხილვის წინააღმდეგი;

დ. არა, რადგან მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ეს მოთხოვნები ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება თუ არა.

№45

მოსარჩელემ აღძრა სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ. სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში. საქმის მომზადების დროს, სასარჩელო განცხადების მიმღებმა მოსამართლემ ცალკე წარმოებად გამოყო რამდენიმე მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. არა, რადგან მოსარჩელის თანხმობის გარეშე მოსამართლეს არ შეუძლია ცალკე წარმოებად მოთხოვნათა გამოყოფა;

ბ. არა, რადგან დაირღვა დისპროპორციონირების პრინციპი;

გ. დიახ, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოსამართლეს ამის შესაძლებლობას ანიჭებს;

დ. დიახ, რადგან სასამართლო არის პროცესის წარმმართველი.

№46

ბერიძემ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა მწერალ ხორბალაძესთან დადებული საავტორო ხელშეკრულების შეწყვეტა. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე გარდაიცვალა და რადგან სადაო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო უფლებამონაცვლეობა, სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან სასამართლოს უნდა გამოეტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

ბ. არა, რადგან სასამართლოს უნდა გამოეტანა განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;

გ. დიახ, ასეთ შემთხვევაში სარჩელი განუხილველად დარჩება;

დ. დიახ, სასამართლოს შეეძლო საკუთარი შეხედულებით სარჩელი დაეტოვებინა განუხილველად ან შეეჩერებინა საქმის წარმოება.

№47

სასამართლომ მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების სტადიაზე მოპასუხის მოთხოვნით საქმის განხილვა ორი დღით გადადო. დანიშნულ დღეს სასამართლომ საქმის განხილვა გააგრძელა მხარეთა ახსნა-განმარტებების სტადიიდან, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მოითხოვდა საქმის განხილვის გაგრძელებას იმ სტადიიდან, რომელზედაც მხარეები ორი დღის წინ გაჩერდნენ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან მხოლოდ ორივე მხარის მოთხოვნით შეიძლებოდა საქმის განხილვის თავიდან დაწყება;

ბ. არა, რადგან საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში საქმის ხელახალი განხილვა აუცილებლად გაგრძელდება იმ სტადიიდან, რომელზედაც იგი გადაიდო;

გ. დიახ, რადგან სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს;

დ. დიახ, რადგან საქმის ხელახალი განხილვა მიზნად ისახავს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

№48

დვალმა სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა თავისი მეულლისაგან ალიმენტის გადახდევინება მათი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ. სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე მოპასუხე უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. სასამართლომ თავისი ინიციატივით შეწყვიტა საქმის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე ამის წინააღმდეგი იყო. სწორად მოიქცა თუ არა რაიონული სასამართლო?

ა. დიახ, რადგან ამ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არ დაიშვება;

ბ. არა, რადგან სასამართლოს სარჩელი განუხილველად უნდა დაეტოვებინა;

გ. დიახ, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო თავისი ინიციატივით შეეწყვიტა საქმის წარმოება ან სარჩელი განუხილველად დაეტოვებინა;

დ. არა, რადგან სასამართლოს უნდა შეეჩერებინა საქმის წარმოება უფლებამონაცვლის დადგენამდე.

№49

რა ვადაში შეიძლება დაისვას დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი?

ა. მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 დღეში;

ბ. სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღეში;

გ. დაინტერესებული მხარის მიერ დამატებითი გადაწყვეტილების თაობაზე განცხადების შეტანიდან 7 დღეში;

დ. სასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

№50

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ რაიონული სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება:

ა. კერძო საჩივრის შეტანა;

ბ. სააპელაციო საჩივრის შეტანა;

გ. აღნიშნული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად;

დ. აღნიშნული განჩინება საერთოდ არ საჩივრდება.

№51

ივანიძემ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ნემსაძისაგან 5000 ლარის გადახდის დაკისრება. სარჩელის წარმოებაში მიღებისას სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ სარჩელში არ მიუთითა თავისი მისამართი. სასამართლომ გამოიტანა ხარვეზის

შესახებ განჩინება და მოსარჩელეს მის შესავსებად დაუნიშნა 5 დღის ვადა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ მოსარჩელემ სარჩელში არ მიუთითა თავისი მისამართი, სასამართლო გამოიტანს სარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს მის შესავსებად უნიშნავს გონივრულ ვადას;

ბ. არა, რადგან თუ მოსარჩელე სარჩელში არ მიუთითებს თავის მისამართს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

გ. დიახ, რადგან თუ მოსარჩელე სარჩელში არ მიუთითებს თავის ან მოპასუხის მისამართს, სასამართლოს გამოაქვს ხარვეზის შესახებ განჩინება და მოსარჩელეს მის შესავსებად უნიშნავს გონივრულ ვადას;

დ. არა, რადგან თუ მოსარჩელე სარჩელში არ მიუთითებს თავის მისამართს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

№52

ბერიძემ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე ძნელაძისაგან მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ბერიძემ სარჩელში არ მიუთითა ძნელაძის მისამართი. სასამართლომ გამოიტანა ხარვეზის შესახებ განჩინება და მოსარჩელეს მის შესავსებად დაუნიშნა 7 დღის ვადა. ბერიძემ ვერ შეძლო დადგენილ ვადაში ხარვეზის შევსება. სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეტანა განჩინება საქმის წარმოების გადადების შესახებ;

ბ. დიახ, რადგან თუ მოსარჩელე დადგენილ ვადაში ვერ შეავსებს ხარვეზს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

გ. არა, რადგან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ით-

ვალისწინებს ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების გამოტანის შესაძლებლობას, ამიტომ სასამართლოს თავიდანვე უნდა გამოეტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

დ. დიახ,რადგან თუ მოსარჩელე დადგენილ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების გადადების შესახებ;

№53

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე ივანიძის შუამდგომლობა და დანიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ სასამართლომ, იმ მოტივით, რომ ექსპერტის დასკვნა იყო დაუსაბუთებელი, დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, მას შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა;

ბ. არა, რადგან სასამართლოს დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს;

გ. არა, რადგან თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, მას შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა;

დ. დიახ, რადგან სასამართლოს თავისი შეხედულებით ყოველთვის შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა.

№54

ივანიძემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბრეგვაძეს და სთხოვა მის წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმესთან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნიკურაძის წარმოებაში არსებული საქმის გაერთიანება. შეუძლია თუ

არა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს მის წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმესთან გააერთიანოს ამავე სასამართლოს (კოლეგიის) სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმე?

ა. არა, რადგან ასეთი უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეს;

ბ. დიახ, რადგან მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება;

გ. არა, რადგან მოსამართლეს შეუძლია მის წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმესთან გააერთიანოს მხოლოდ თავის წარმოებაშივე არსებული სხვა სამოქალაქო საქმე, თუ ეს საქმეები ერთგვაროვანნი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა;

დ. დიახ, რადგან სამოქალაქო საქმეთა გაერთიანების ასეთი წესი კანონით დასაშვებია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

№55

თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ზარიძემ მოპასუხე ბერიძის მიმართ. სასამართლომ იმ საფუძვლით, რომ სარჩელში არ იყო მითითებული მოსარჩელის მოთხოვნა, გამოიტანა ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება და მოსარჩელეს დაუნიშნა 10 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. მოსარჩელემ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, რის გამოც თელავის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის უმოძრაოდ დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან თუ მოსარჩელე სასამართლოს მიერ დან-

იშნულ ვადაში არ შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო სარჩელს უმოძრაოდ დატოვებს და მოსარჩელეს დაუბრუნებს;

ბ. დიახ, რადგან სარჩელში მოსარჩელის მოთხოვნის აღუნიშვნელობა ყოველთვის წარმოადგენს სარჩელის უმოძრაოდ დატოვებისა და მოსარჩელისათვის დაბრუნების საფუძველს;

გ. არა, რადგან თუ მოსარჩელე სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ;

დ. არა, რადგან სასამართლოს არ ჰქონდა ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების გამოტანის უფლებამოსილება. მას უნდა მიეღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

№56

ბერიძემ რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი თევდორაძის წინააღმდეგ მიბარების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ. სასარჩელო განცხადებაში ბერიძემ მიუთითა, რომ თევდორაძეს შესანახად მიაბარა ხუთი ტონა ხორბალი, მაგრამ საწყობში შემნახველის ბრალით გაჩნდა ხანძარი და ხორბალი გაანადგურდა. მოპასუხე თევდორაძემ თავის წერილობით შესაგებელში სადავო გახდა, როგორც ხანძრის გამომწვევი მიზეზები, ასევე ზიანის მოცულობა. საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიტანა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ, სადაც დადასტურებულად მიიჩნია თევდორაძის ბრალით საწყობში ხანძრის გაჩენის ფაქტი. კანონიერია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. დიახ, რადგან სასამართლოს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება, თუ ჩათვლის, რომ ეს ხელს შეუწყობს საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტას;

ბ. არა, რადგან თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე მოთხოვნის მოცულობა, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ;

გ. დიახ, რადგან თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე მოთხოვნის მოცულობა, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ;

დ. არა, რადგან სასამართლო ვალდებულია სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძვლების, ასევე მოთხოვნის მოცულობის შესახებ გამოიტანოს ერთობლივი გადაწყვეტილება.

№57

პირვანდელი და შეგებებული სარჩელების ერთად განხილვის შედეგად, სასამართლოს როგორც წესი, გამოაქვს:

ა. ერთობლივი გადაწყვეტილება;

ბ. ნაწილობრივი გადაწყვეტილება;

გ. შუალედური გადაწყვეტილება;

დ. დამატებითი გადაწყვეტილება.

№58

მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. ამ ვადის გაშვების შემდეგ, თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით, მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი.

ა. სასამართლოს მთავარი სხდომის გახსნისას;

ბ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე;

გ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა პაექრობის დაწყებამდე;

დ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

№59

მოპასუხე კილანავამ მოსარჩელე მახარაძის მიმართ შეგებებული სარჩელით მიმართა საქმის განმხილველ რაიონულ სასამართლოს საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, ასევე წარუდგინა მტკიცებულებები, რითაც დასტურდებოდა, რომ საქმის მომზადების ეტაპზე შეგებებული სარჩელის წარუდგენლობა გამოწვეული იყო პატივსადები მიზეზებით. საქმის განმხილველმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელი და თავისი ინიციატივით გადადო საქმის განხილვა სხვა დროისათვის. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ, თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, სასამართლოს თავისი ინიციატივითაც შეუძლია ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება;

ბ. არა, თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, სასამართლოს მხოლოდ მოსარჩელის თხოვნით შეუძლია ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება;

გ. დიახ, თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, სასამართლოს თავისი ინიციატივით ან მოპასუხის თხოვნით შეუძლია ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება;

დ. არა, სასამართლოს ამ შემთხვევაში საერთოდ არ უნდა მიეღო შეგებებული სარჩელი წარმოებაში.

№60

ივანიძემ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს ბაციკაძის

მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 3000 ლარის გადახდის დაკისრება. საქმის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე მოპასუხე ბაციკაძემ სასამართლოში შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა ივანიძისაგან ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოსათვის 5000 ლარის გადახდევინება. სასამართლომ გარკვეულად და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულად ჩათვალა თავდაპირველი სარჩელი და თავისი ინიციატივით გამოიტანა ნაწილობრივი გადაწყვეტილება. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან პირვანდელი და შეგებებული სარჩელების ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება;

ბ. დიახ, სასამართლოს შეუძლია პირვანდელი და შეგებებული სარჩელების ერთად განხილვის შედეგად გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება;

გ. არა, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებული ერთ-ერთი: — სარჩელი ან შეგებებული სარჩელი, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება მხოლოდ დაინტერესებული მხარის თხოვნით;

დ. დიახ, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებული ერთ-ერთი: — სარჩელი ან შეგებებული სარჩელი, სასამართლოს თავისი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით შეუძლია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება.

№61

რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილში შეცდომით მიუთითა მოპასუხეზე დაკისრებული თანხის ოდენობა. აღნიშნულის გამო მოპასუხემ სასამართლოში შეიტანა განცხადება და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა. სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, გამოიტანა დამატებითი გადაწყვეტილება, სადაც უკვე სწორად მიუთი-

თა მოპასუხეზე დაკისრებული თანხის ოდენობა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება;

ბ. არა, რადგან დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს მხოლოდ თავისი ინიციატივით;

გ. დიახ, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში არსებობდა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლები;

დ. არა, რადგან სასამართლოს მოპასუხის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაუშვებლად უნდა ეცნო, რამეთუ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აღნიშნულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

№62

რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილში დაუშვა აშკარა არითმეტიკული შეცდომა. კერძოდ, მოსარჩელეს, ნაცვლად ათიათასი ლარისა, მიაკუთვნა ასიათასი ლარი. გადაწყვეტილების მიმღებმა მოსამართლემ თავისი ინიციატივით გაასწორა გადაწყვეტილებაში დაშვებული არითმეტიკული შეცდომა. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ, სასამართლოს შეუძლია გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი;

ბ. არა, სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეუძლია გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი;

გ. დიახ, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები;

დ. არა, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა თხოვნით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

№63

მოსარჩელემ აღძრა სარჩელი რაიონულ სასამართლოში, რომელშიც გააერთიანა ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ. სასამართლომ არ მიიღო ეს სარჩელი განსახილველად იმ საფუძვლით, რომ მასში გაერთიანებული მოთხოვნები ემყარება არა ერთსა და იმავე, არამედ სხვადასხვა საფუძველს. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ, რადგან მოსარჩელეს შეუძლია გააერთიანოს ერთ სარჩელში ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, თუკი ეს მოთხოვნები ემყარება ერთსა და იმავე საფუძველს;

ბ. დიახ, რადგან მოსარჩელეს სხვადასხვა მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანების უფლება არა აქვს;

გ. არა, რადგან მოპასუხე არ იყოს საქმეების ერთად განხილვის წინააღმდეგი;

დ. არა, რადგან მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ეს მოთხოვნები ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება თუ არა.

№64

მოსარჩელემ მიმართა საქმის განმხილველ რაიონულ სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. საქმის განმხილველმა მოსამართლემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება განიხილა შეტანის დღესვე მოპასუხის შეუტყობინებლად და გამოიტანა განჩინება მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. მოპასუხემ უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მისთვის გადაცემიდან მერვე დღეს განჩინების გამომტან რაიონულ სასამართლოში შეიტანა საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმების მოთხოვნით. საქმის განმხილველმა მოსამართლემ გასაჩივრების ვადის გასვლის გამო საჩივარი დაუშვებლად და დაუსაბუთებლად მიიჩნია და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძ-

ველზე ხუთი დღის ვადაში გადააგზავნა ზემდგომ სასამართლოში. სწორად მოიქცა თუ არა საქმის განმხილველი მოსამართლე?

ა. დიახ, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან;

ბ. დიახ, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე საჩივარი შეიტანება ზემდგომ სასამართლოში;

გ. არა, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება არ საჩივრდება;

დ. არა, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება საჩივრდება არა საჩივრით, არამედ კერძო საჩივრით 12 დღის ვადაში მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან.

№65

შოთაძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. სასამართლომ დააკმაყოფილა შოთაძის განცხადება, ამასთან განმცხადებელს მისცა ათდღიანი ვადა სასამართლოში სარჩელის შესატანად, და განუმარტა განმცხადებელს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმდებოდა სარჩელის უზრუნველყოფა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია განმცხადებელს დაუდგინოს სარჩელის შეტანის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ათ დღეს;

ბ. დიახ, რადგან სასამართლომ სარჩელის შეტანის ვადა უნდა განსაზღვროს, რათა არ შეილახოს მეორე მხარის უფლებები;

გ. არა, რადგან განმცხადებელს სარჩელის შემოსატანად ვადას სასამართლო დაუნიშნავს მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ათ დღეს;

დ. არა, რადგან სასამართლოს შოთაძისაგან უნდა მოეთხოვა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

№66

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია:

ა. საქმის მომზადების სტადიაზე;

ბ. საქმის განხილვის ყველა სტადიაზე;

გ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე;

დ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა პაექრობის დამთავრებამდე.

№67

გორის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელე ნაკაშიძემ სამშაბათს 17 საათზე შეიტანა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სასამართლო კანცელარიის მიერ ნაკაშიძის განცხადება მოსამართლე ბერიძეს გადაეცა 17 საათსა და 30 წუთზე. სამშაბათს სამუშაო საათების დასრულებამდე მოსამართლე ბერიძემ ვერ მოასწრო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვა. მოსამართლე ბერიძემ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განიხილა ოთხშაბათს 16 საათზე მოპასუხის შეუტყობინებლად და მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. არა, რადგან განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განიხილება განცხადების შეტანის დღესვე;

ბ. დიახ, რადგან განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად;

გ. არა, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვისას სავალდებულოა მოპასუხის მონაწილეობა;

დ. დიახ, რადგან განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების მოსამართლისათვის გადაცემიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად.

№68

მოსარჩელე ბერიძემ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხე ნემსაძის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბერიძის განცხადება და გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. მოსარჩელე ბერიძემ განმეორებით მიმართა სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. სასამართლომ მიიღო განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით;

ბ. დიახ, რადგან სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რაც გასაჩივრდება კერძო საჩივრით;

გ. არა, რადგან სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით;

დ. დიახ, რადგან უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ.

№69

ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას?

ა. მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

ბ. ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის

აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეწყვეტა;

გ. მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

დ. ყადაღის დადება მოპასუხის ფულად სახსრებზე.

№70

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია:

ა. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში;

ბ. სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე;

გ. საქმის ყველა სტადიაზე;

დ. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანიდან 12 დღის ვადაში.

№71

სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს:

ა. კერძო საჩივარი 5 დღის ვადაში განჩინების გადაცემის მომენტიდან;

ბ. საჩივარი 7 დღის ვადაში განჩინების გადაცემის მომენტიდან;

გ. სააპელაციო საჩივარი 14 დღის ვადაში განჩინების გადაცემის მომენტიდან;

დ. საჩივარი 5 დღის ვადაში განჩინების გადაცემის მომენტიდან.

№72

რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ივანიძემ მოპასუხე ბერიძის მიმართ სესხის დაბრუნების თაობაზე. ამასთან, მოსარჩელემ

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხის საკუთრებაში არსებულ სახლზე ყადაღის დადება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით სასამართლომ გააუქმა ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე 5 დღის ვადაში კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ამ ნაწილში. სწორად მოიქცა თუ არა მოსარჩელე?

ა. დიახ, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 5 დღის ვადაში;

ბ. არა, რადგან სარჩელის უზრუნჭელყოფის გაუქმების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 7 დღის ვადაში;

გ. დიახ, რადგან სარჩელი დასაბუთებული იყო და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა;

დ. არა, რადგან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

№73

თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოსამართლე გამოიტანს:

ა. განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

ბ. განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

გ. გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

დ. განჩინებას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

№74

ნემსაძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სარჩელის აღძვრამდე. სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ამასთან განუმარტა მოწინააღმდეგე მხარეს, რომ მისი განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ,რადგან საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის თანახმად, თუ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეტანილ იქნა სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე, მაშინ მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ვადას,რომლის განმავლობაშიც,თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს,სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ;

ბ. დიახ, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რის თაობაზეც სასამართლომ უნდა განუმარტოს მოწინააღმდეგე მხარეს;

გ. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში, სასამართლო დანიშნავს ათი დღის ვადას,რომლის განმავლობაშიც,თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ;

დ. არა, რადგან ასეთ შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინი-

ციატივით დანიშნავს შვიდი დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

№75

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დოლიძემ განიხილა მოსარჩელე ლემონჯავას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება და გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ. რა წესით შეიძლება გასაჩივრდეს ეს განჩინება?

ა. სააპელაციო საჩივრით;

ბ. ცალკე არ გასაჩივრდება;

გ. კერძო საჩივრით;

დ. საჩივრით.

№76

ერგემლიძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სარჩელის აღძვრამდე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება და გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ. რა ვადაში და რა წესით შეუძლია ერგემლიძეს გაასაჩივროს ეს განჩინება?

ა. განჩინების მოსარჩელისათვის გადაცემის მომენტიდან ხუთი დღის ვადაში საჩივრის შეტანით;

ბ. განჩინების მოსარჩელისათვის გადაცემის მომენტიდან ხუთი დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანით;

გ. განჩინების მოსარჩელისათვის გადაცემის მომენტიდან 12 დღის ვადაშიკერძო საჩივრის შეტანით;

დ. განჩინების მოსარჩელისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში სააპელაციო საჩივრის შეტანით.

№77

სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოსამართლემ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ვერ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას და გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. არა, რადგან მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ. არა, რადგან მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება;

გ. დიახ, რადგან მოსამართლე მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

დ. დიახ, რადგან მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოიტანება არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება.

№78

რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც კაჭარავას ბროლაძის მიმართ დაკისრა 2 000 ლარის გადახდა. ბროლაძემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა განცხადება და განჩინებით დაადგინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

ბ. არა, რადგან მოპასუხეს არ გამოუთქვამს თავისი თანხმობა;

გ. დიახ, რადგან სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ თანხა არ აღემატება 2000 ლარს;

დ. დიახ, რადგან სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ აღსასრულებლად გადასცეს დაუსწრებელი გადაწყვეტილებები;

№79

ბერიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ძნელაძის მიმართ და მოითხოვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 5000 ლარის გადახდევინების დაკისრება. მოსამართლემ მიიღო სარჩელი წარმოებაში. საქმის მომზადების სტადიაზე მომსამართლემ მხარეთა მორიგების მიზნით დანიშნა მოსამზადებელი სხდომა, რის თაობაზეც მხარეებს აცნობა კანონით დადგენილი წესით. მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე ძნელაძე, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით. მოსარჩელე ბერიძის შუამდგომლობით სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან მოსამზადებელ სხდომაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია;

ბ. დიახ, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ შეიძლება მიიღოს როგორც მოსამზადებელ, ისე სასამართლოს მთავარ სხდომაზე;

გ. არა, რადგან მხარის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე;

დ. დიახ, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

№80

რაიონული სასამართლო იხილავდა ბერიძის სარჩელს იმედაძის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე ბერიძე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოპასუხე იმედაძის შუამდგომლობით, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოსარჩელე ბერიძემ მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ საჩივარი შეიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. მოსამართლემ განჩინებით წარმოებაში მიიღო საჩივარი და მიუთითა, რომ განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით 12 დღის ვადაში. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. არა, რადგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღების თაობაზე გამოტანილი განჩინება არ საჩივრდება;

ბ. დიახ, რადგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღების თაობაზე გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა;

გ. არა, რადგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღების თაობაზე გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა;

დ. დიახ, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღების თაობაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრება.

№81

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო:

ა. განუხილველად ტოვებს სარჩელს;

ბ. შეწყვეტს საქმის წარმოებას;

გ. გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის;

დ. შეაჩერებს საქმის წარმოებას.

№82

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ თავისი ინიციატივით გაასწორა თავისივე გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, რის თაობაზეც გამოიტანა განჩინება. განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ ამ განჩინებაზე შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა მხარეთათვის განჩინების გადაცემიდან 12 დღის განმავლობაში. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა თხოვნით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი;

ბ. დიახ, რადგან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მხარეთათვის განჩინების გადაცემიდან 12 დღის ვადაში;

გ. არა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და არა განჩინებით;

დ. დიახ, რადგან გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ამ განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში.

№83

მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საკითხს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღების შესახებ წყვეტს:

ა. მხარეთათვის სავალდებულო შეტყობინებით, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საჩივრის მიღების საკითხის გადაწყვეტას;

ბ. მხარეთათვის შეუტყობინებლად;

გ. სასამართლო სხდომაზე ზეპირი მოსმენით, რომელზედაც სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს მხარეები, მაგრამ მათი

გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საჩივრის მიღების საკითხის გადაწყვეტას;

დ. მხოლოდ საჩივრის ავტორის მონაწილეობით.

№84

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება საქართველოს სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოპასუხემ არ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ამასთან განაცხადა, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო?

ა. სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს,ვინაიდან მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას;

ბ. სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება;

გ. სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

დ. სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა.

№85

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება;

ბ. თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი(შუალედური) გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ;

გ. თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გამოიტანოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება;

დ. თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ.

№86

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო მოპასუხის შუამდგომლობით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა მისი გაუქმება. მოსამართლემ მხარეთათვის შეუტყობინებლად განიხილა საჩივრის მიღების (დასაშვებობის) საკითხი. საჩივარი ცნო დასაშვებად, გამოიტანა განჩინება საჩივრის მიღების შესახებ და დანიშნა საქმის ხელახლა განხილვის დღე. სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა კერძო საჩივრი. სწორია თუ არა მოპასუხის მოქმედება?

ა. დიახ.,რადგან ასეთ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მოპასუხისათვის განჩინების გადაცემიდან 12 დღის ვადაში;

ბ. არა, რადგან ასეთ განჩინებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა 14 დღის ვადაში;

გ. არა, რადგან სასამართლოს ასეთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება;

დ. დიახ, რადგან სასამართლოს ნებისმიერ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

№87

ჟორდანიამ სარჩელით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე აბრალავას მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით და გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია. სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხემ 10 დღის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება. მოსამართლემ ჩათვალა, რომ საჩივარი იყო დასაბუთებული, ამიტომ მხარეთათვის შეუტყობინებლად გამოიტანა განჩინება საჩივრის მიღებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საკითხს საჩივრის მიღების შესახებ წყვეტს მხარეთათვის შეუტყობინებლად, ხოლო საჩივარს განიხილავს სასამართლო სხდომაზე, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს;

ბ. არა, რადგან მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საკითხს როგორც საჩივრის მიღების (დასაშვებობის), ასევე საჩივრის საფუძვლიანობის (დაკმაყოფილების) შესახებ წყვეტს სასამართლო სხდომაზე, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს;

გ. დიახ, რადგან საჩივარი დასაბუთებული იყო და სასამართლოს შეეძლო გაეუქმებინა მის მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

დ. დიახ, რადგან სასამართლო მხარეთათვის შეუტყობინებლად წყვეტს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის მიღებისა და მისი გაუქმების საკითხს.

№88

ბერიძემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი მეუღლის – ცეცხლაძის წინააღმდეგ, მოითხოვა განქორწინება და აგრეთვე ქორწინების პერიოდში წარმოშობილი შრომისუუნარობის გამო, მოპასუხისათვის ყოველთვიური სარჩოს – 100 ლარის გადახდის დაკისრება. სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელე გარდაიცვალა. სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქორწინო და საოჯახო საქმე უნდა შეწყდეს.

ბ. დიახ, რადგან ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ამაზე თანახმა იყო;

გ. არა, მოსამართლეს უნდა შეეჩერებინა საქმის წარმოება გარდაცვლილის უფლებამონაცვლის დადგენამდე;

დ. არა, მოსამართლეს უნდა გამოეტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

№89

სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ:

ა. მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში;

ბ. სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა;

გ. მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას;

დ. გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

№90

თუ მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს სასამართლოში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით, სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს საქმის წარმოება:

ა. არა უმეტეს ორი თვის ვადით;

ბ. მხარის გამოჯანმრთელებამდე;

გ. გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა;

დ. არა უმეტეს ექვსი თვის ვადით;

№91

საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა. მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში;

ბ. სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა;

გ. მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას;

დ. მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას.

№92

ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაშია სასამართლო ვალდებული შეაჩეროს საქმის წარმოება?

ა. სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა;

ბ. თუ მოპასუხე იმყოფება საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში;

გ. მხარე გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად;

დ. გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

№93

ბადრიძემ განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გადახდის ბრძანების მიღება, რომლითაც მოპასუხე ნემსაძეს დაეკისრებოდა უკანონოდ მითვისებული ტელევიზორისა და ასევე სესხად მიცემული თანხის – 1000 ლარის უკან დაბრუნება. რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელს თავისი განჩინებით უარი უთხრა დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, ვინაიდან გამარტივებული წესით შეიძლება განხილული იქნეს მოთხოვნები გარკვეული ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ;

ბ. დიახ, რადგან მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე;

გ. არა, რადგან სასამართლოს უნდა განეხილა განცხადება და დაეკისრებინა მოპასუხისათვის განმცხადებლის სასარგებლოდ თანხის და ტელევიზორის დაბრუნება;

დ. არა, რადგან სასამართლოს უნდა განეხილა განცხადება და უარი ეთქვა განმცხადებლისათვის მის დაკმაყოფილებაზე.

№94

მოპასუხემ არ ცნო სასამართლოს მიერ მის წინააღმდეგ გამოტანილი გადახდის ბრძანება და ამის საწინააღმდეგოდ, კანონით დადგენილ ვადაში მოტივირებული შესაგებელი (პროტესტი) შეიტანა იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო ეს გადახდის ბრძანება. რადგანაც მოპასუხემ დროულად შეიტანა თავისი შესაგებელი სასამართლოში, ამიტომაც დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს სარჩელის წარმოების საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში რა მომენტიდან ითვლება საქმე სასამართლო განხილვის საგნად?

ა. გადახდის ბრძანების გადაცემის მომენტიდან;

ბ. გადახდის ბრძანების გამოტანის მომენტიდან;

გ. შესაგებლის (პროტესტის) შეტანის მომენტიდან;

დ. სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოტანის მომენტიდან.

№95

ბერიძემ აღძრა რაიონულ სასამართლოში სარჩელი დუმბაძის მიმართ თამასუქიდან გამომდინარე მოთხოვნების შესრულებისა და საქმის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ. საქმის მომზადების დროს მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი ძირითად სარჩელთან ერთად განსახილველად. სასამართლომ წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელი და განიხილა

თავდაპირველ სარჩელთან ერთად. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად;

ბ. არა, რადგან თამასუქის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე არ დაიშვება შეგებებული სარჩელის აღძვრა;

გ. დიახ, რადგან სასამართლოს არ ჰქონდა საქმის მომზადება დამთავრებული;

დ. არა, რადგან შეგებებული სარჩელის მისაღებად საჭირო იყო თავდაპირველი მოსარჩელის თანხმობა.

№96

რომელ სასამართლოში შეიძლება აღიძრას სარჩელი თამასუქის თაობაზე?

ა. იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა;

ბ. იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა ან სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

გ. სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

დ. სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

№97

მოსამართლე განცხადებას ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განიხილავს სასამართლოში მისი შეტანიდან:

ა. სამი დღის ვადაში;

ბ. ორი კვირის ვადაში;

გ. ოცი დღის ვადაში;
დ. ერთი კვირის ვადაში.

№98

თელავში მცხოვრებმა მჭედლიძემ, რომელსაც საკუთრებაში ჰქონდა სააქციო საზოგადოება „ალუმინის“ ხმის უფლების მქონე აქციების 96%, განცხადებით მიმართა სააქციო საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით რუსთავის საქალაქო სასამართლოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მჭედლიძის განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან მჭედლიძეს საკუთრებაში ჰქონდა სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 95%-ისა;

ბ. არა, რადგან აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებას ამ შემთხვევაში განიხილავს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო;

გ. დიახ, რადგან აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებას განიხილავს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც სააქციო საზოგადოებას გააჩნია იურიდიული მისამართი;

დ. არა, რადგან აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებას განიხილავს მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლო.

№99

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ბერიძის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. მოპასუხე სააქციო საზოგადოება „ფოლადმა“ სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან ათ დღეში გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა უცვლე-

ლად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააქციო საზოგადოება „ფოლადმა“ რა წესით შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება?

ა. კერძო საჩივრით;

ბ. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია;

გ. საკასაციო საჩივრით;

დ. საჩივრით.

№100

ბერიძემ სასამართლოს მიმართა სარჩელით ლაბაძის წინააღმდეგ და მოითხოვა თამასუქიდან გამომდინარე პრეტენზიის გამარტივებული წესით განხილვა. საქმის მომზადების ეტაპზე ბერიძემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და ლაბაძისაგან მოითხოვა ასევე ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოსათვის ორი ათასი ლარის გადახდევინება. მოსამართლემ უარი უთხრა ბერიძეს თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელის სხვა მოთხოვნის გამო აღძრულ სარჩელთან შეერთებაზე. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება ეს მოთხოვნები თუ არა.

ბ. დიახ, რადგან სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია;

გ. არა, რადგან დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს;

დ. დიახ, რადგან არ დაიშვება თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების შეერთება სხვა პრეტენზიების გამო აღძრულ სარჩელებთან.

№101

სასამართლოს განჩინებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობ-

ელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება:

ა. კერძო საჩივრის შეტანა;

ბ. სააპელაციო საჩივრის შეტანა;

გ. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანებასთან ერთად;

დ. საკასაციო საჩივრის შეტანა.

№102

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს:

ა. მხოლოდ სააპელაციო წესით;

ბ. კერძო საჩივრით;

გ. ცალკე არ საჩივრდება;

დ. საკასაციო საჩივრით.

№103

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ზედგენიძის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. მოპასუხემ სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან თორმეტ დღეში გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ამ შემთხვევაში სააპელაციო წესით საქმის განხილვის ვადაა:

ა. თორმეტი დღე;

ბ. თოთხმეტი დღე;

გ. ერთი თვე;

დ. ორი თვე.

№104

საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის დაკარგვის ან განადგურებისას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში რომელ სასამართლოში შეიძლება შეიტანოს განცხადება დაინტერესებულმა პირმა ამ დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქაღალდის ძალა-

დაკარგულად გამოცხადებისა და მასზე უფლების აღდგენის შესახებ?

ა. იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა;

ბ. სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

გ. სასამართლოში ფასიანი ქაღალდის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით;

დ. სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ან ფასიანი ქაღალდის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

№105

მცხეთის რაიონულ სასამართლოს ბერიძემ განცხადებით მიმართა დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ. სასამართლომ დანიშნა გაცხადების განხილვის დღე და კანონით დადგენილი წესით შეატყობინა მხარეებს, თუმცა დანიშნულ დროს არცერთი მხარე არ გამოცხადებულა სასამართლოში. მიუხედავად ამისა, რაიონულმა სასამართლომ მაინც განიხილა განცხადება და მიიღო განჩინება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან განცხადებას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლო განიხილავს მხარეთა დასწრებით, თუმცა ერთ-ერთი ან ორივე მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას;

ბ. არა, რადგან ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს;

გ. დიახ, რადგან განცხადებას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლო განიხილავს მხარეთა დასწრების გარეშე;

დ. არა, რადგან ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას.

№106

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია აღძრას სარჩელი საერთო წესით. ეს განჩინება:

ა. შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით;

ბ. შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით;

გ. შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით;

დ. საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

№107

რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს:

ა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს;

ბ. საგადასახადო ორგანოებს რეკეტირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში;

გ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;

დ. პროკურორს.

№108

პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ:

ა. სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;

ბ. სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი

წლის ვადაში, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;

გ. სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვს თვეში, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;

დ. სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

№109

მოპასუხე ლორიამ შეგებებული სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე. მოსარჩელე კიღურაძემ თხოვნით მიმართა სასამართლოს ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შესახებ. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოსარჩელის თხოვნა და გადადო საქმის განხილვა სხვა დროისათვის. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ, რადგან შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოსარჩელის თხოვნით სასამართლოს შეუძლია ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება;

ბ. არა, რადგან შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სასამართლოს მხოლოდ თავისი ინიციატივით შეუძლია ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება;

გ. დიახ, რადგან შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება;

დ. არა, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლოს არ შეეძლო ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება.

№110

რა ვადაში შეუძლიათ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს წარადგინონ თავიანთი შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმთან დაკავშირებით?

ა. გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ხუთი დღის ვადაში;
ბ. სასამართლო სხდომის ჩატარებიდან ხუთი დღის ვადაში;
გ. სხდომის ოქმის შედგენიდან სამი დღის ვადაში;
დ. სხდომის ოქმზე ხელმოწერიდან სამი დღის ვადაში.

№111

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქმე და მიიღო შესაბამისი განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხს განიხილავს სააპელაციო სასამართლო;

ბ. არა, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხს განიხილავს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა საარბიტრაჟო განხილვა;

გ. დიახ, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე აღსრულებო ფურცლის გაცემის საკითხს განიხილავს სააპელაციო სასამართლო;

დ. არა, რადგან საქმე უნდა განეხილა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

№112

რომელი სასამართლო განიხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ საქმეს?

ა. რაიონული (საქალაქო) სასამართლო;

ბ. სააპელაციო სასამართლო;

გ. საქართველოს უზენაესი (საკასაციო) სასამართლო;

დ. ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა საარბიტრაჟო განხილვა.

№113

სასამართლო არბიტრს ნიშნავს:

ა. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;

ბ. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში;

გ. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში;

დ. სასამართლოს არ გააჩნია არბიტრის დანიშვნის უფლებამოსილება.

№114

საარბიტრაჟო შეთანხმების მხარემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არბირტაჟის კომპეტენციის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ განცხადების წარმოებაში მიღებიდან მეათე დღეს გამოიტანა დასაბუთებული განჩინება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან სასამართლოს არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ დასაბუთებული განჩინება გამოაქვს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში;

ბ. არა, რადგან არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ დასაბუთებული განჩინება გამოაქვს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს საარბიტრაჟო განხილვა განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში;

გ. დიახ, რადგან არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ დასაბუთებული განჩინება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში;

დ. არა, რადგან არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ დასაბუთებული განჩინება გამოაქვს საკასაციო სასამართლოს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში;

№115

ივანიძემ არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ არბირტაჟის კომპეტენციის შესახებ

საკითხის განხილვამდე დაავალა საქმის განმხილველ არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერება. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან სასამართლოში არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ საკითხის განხილვა შეაჩერებს არბიტრაჟში საქმის განხილვას, თუ ამას მოითხოვს განმცხადებელი;

ბ. დიახ, რადგან სასამართლოში არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ საკითხის განხილვა შეაჩერებს არბიტრაჟში საქმის განხილვას.

გ. არა, რადგან სასამართლოში არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ საკითხის განხილვა ვერ შეაჩერებს არბიტრაჟში საქმის განხილვას.

დ. დიახ, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

№116

სასამართლოს მხარის განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ არსებობს „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე:

ა. შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა;

ბ. შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა;

გ. შეიძლება საჩივრის შეტანა;

დ. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

№117

საქმის განმხილველმა არბიტრაჟმა სასამართლოს მიმართა განცხადებით მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს განჩინებაზე მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით:

ა. შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გამოტანიდან

12 დღის ვადაში;

ბ. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

გ. შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა განჩინების გამოტანიდან 14 დღის ვადაში;

დ. შეიძლება გასაჩივრდეს არბიტრაჟის გადაწყვეტილებასთან ერთად.

№118

ნემსაძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თბილისში მდებარე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „X“-ის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა. სააპელაციო სასამართლომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადება განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გამოიტანა განჩინება. სააპელაციო სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე განჩინებასთან ერთად განმცხადებელ მხარეს გადასცა სააღსრულებო ფურცელიც. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან სააპელაციო სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე განჩინებასთან ერთად მხარეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი;

ბ. არა, რადგან სააპელაციო სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს მხოლოდ ზეპირი მოსმენით;

გ. დიახ, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას;

დ. არა, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. სა-

სამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას.

№119

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „X "-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულების შესახებ. საარბიტრაჟო მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა საკასაციო წესით. რა წესით საჩივრდება სასამართლოს განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე?

ა. კერძო საჩივრით განჩინების გამოცხადებიდან 12 დღის ვადაში;

ბ. სააპელაციო საჩივრით განჩინების გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში;

გ. საკასაციო საჩივრით განჩინების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში;

დ. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

№120

„არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით. სასამართლო ვალდებულია განიხილოს საჩივარი და გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება:

ა. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;

ბ. საქმის ზეპირი განხილვიდან 14 დღის ვადაში;

გ. განცხადების წარმოებაში მიღებიდან ორი თვის ვადაში;

დ. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში;

№121

„არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში;

ა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდება;

ბ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება;

გ. სასამართლოს უფლება აქვს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ვადით არა უმეტეს 30 დღისა განცხადების წარმოებაში მიღებიდან, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა;

დ. სასამართლოს უფლება აქვს თავისი ინიციატივით შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ვადით არა უმეტეს 30 დღისა განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

№122

მოსარჩელემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ სასამართლოში. რაიონულმა სასამართლომ, იმის გამო, რომ სააპელაციო საჩივარს თან არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, აპელანტს მისცა ხუთდღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად, ანუ ბაჟის გადასახდელად. აპელანტმა ხარვეზი გამოასწორა, რის შემდეგაც რაიონულმა სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დაურთო სააპელაციო საჩივარს და საქმესთან ერთად სამი დღის ვადაში გადაგზავნა სააპელაციო სასამართლოში. კანონიერია თუ არა რაიონული სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, რადგან სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს სააპელაციო სასამართლო ამოწმებს;

ბ. არა, რადგან სასამართლოს ხარვეზის შესავსებად უნდა მიეცა კანონით დადგენილი ათდღიანი ვადა;

გ. დიახ, რადგან სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს ის რაიონული სასამართლო, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაც საჩივრდება;

დ. დიახ, რადგან თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი,

საჩივრის შემტან პირს რაიონული სასამართლო ავალებს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას.

№123

რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ. აღნიშნულ განჩინებაზე მხარეს შეუძლია შეიტანოს:

ა. კერძო საჩივარი;

ბ. სააპელაციო საჩივარი;

გ. საჩივარი;

დ. აღნიშნული განჩინება არ საჩივრდება.

№124

სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახალა განსახილველად, თუ:

ა. საქმეზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალები საკმარისია გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ. ამას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;

გ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას;

დ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

№125

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იხილავდა მდინარაძის სააპელაციო საჩივარს მგელაძის მიმართ. სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე, რასაც მოწინააღმდეგე მხარე არ დაეთანხმა. სააპელაციო სასამართლომ უნდა:

ა. შეწყვიტოს საქმის წარმოება, რის შედეგადაც მხარეს ერთ-

მევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით;

ბ. განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი;

გ. გადადოს სააპელაციო საჩივრის განხილვა;

დ. განიხილოს სააპელაციო საჩივარი.

№126

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა აპელანტს შეუძლია:

ა. სააპელაციო სასამართლოში საქმის მომზადების სტადიაზე;

ბ. სააპელაციო სასამართლოში საქმის მთავარი სხდომის დაწყებამდე;

გ. სააპელაციო სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე მხარეთა პაექრობის დაწყებამდე;

დ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

№127

სააპელაციო სასამართლო იხილავდა ბერიძის სააპელაციო საჩივარს თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. სააპელაციო სასამართლოში საქმის მომზადების სტადიაზე მოწინააღმდეგე მხარემ შეიტანა შეგებებული სარჩელი. სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო შეგებებული სარჩელი. სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო?

ა. არა, რადგან სააპელაციო სასამართლოში შეგებებული სარჩელის შეტანა დაუშვებელია;

ბ. დიახ, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მისთვის სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას აპელანტის მიმართ შეგებებული სარჩელი, მიუხედავად იმისა, უარი აქვს თუ არა ნათქვამი სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე;

გ. არა, რადგან სააპელაციო სასამართლოში შეგებებული სარჩელის შესატანად საჭიროა აპელანტის თანხმობა;

დ. დიახ, რადგან სააპელაციო სასამართლოში არ დაიშვება მხოლოდ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება.

№128

ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებს?

ა. ქონების უპატრონოდ ცნობა;

ბ. აქციათა სავალდებულო მიყიდვა;

გ. ბავშვის მიტოვებულად აღიარება;

დ. დაკარგულ საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება).

№129

არაბულმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ წერილობითი ფორმით უარი განაცხადა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე. მოწინააღმდეგე მხარემ კანონით დადგენილი წესით და ვადაში გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. არაბულმა სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან მეთორმეტე დღეს შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო არაბულის შეგებებული სააპელაციო საჩივარი. სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო?

ა. დიახ, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე;

ბ. არა, რადგან თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება;

გ. დიახ, რადგან აპელანტს არ უთქვამს უარი სააპელაციო საჩივარზე;

დ. არა, რადგან არაბულმა გაუშვა შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა.

№130

ბერიძემ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს ივანიძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 3000 ლარის გადახდის დაკისრება. რაიონულმა სასამართლომ ბერიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ბერიძემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით. სააპელაციო სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპზე ბერიძემ მოითხოვა აგრეთვე ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ივანიძისათვის 2000 ლარის გადახდის დაკისრება. სააპელაციო სასამართლომ განიხილა ბერიძის ორივე სასარჩელო მოთხოვნა, სრულად დააკმაყოფილა და ივანიძეს ბერიძის სასარგებლოდ დააკისრა 5000 ლარის გადახდევინება. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა;

ბ. არა, რადგან დავის საგნის გადიდება სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია;

გ. დიახ, რადგან მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისაგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები თუ არა;

დ. არა, რადგან მართალია, მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, მაგრამ სასამართლო ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მოპასუხეს.

№131

სააპელაციო სასამართლომ აპელანტს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის გამოსასწორებლად (საჩივარს არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებული ქვითარი) დაუდგინა 10 დღის ვადა. აპელანტმა მეთორმეტე დღეს წარადგინა ხარვეზის შევსების

დამადასტურებული დოკუმენტი. სააპელაციო სასამართლომ უარი განუცხადა აპელანტს საჩივრის წრმოებაში მიღებაზე. სწორად მოიქცა თუ არა სააპელაციო სასამართლო?

ა. დიახ, რადგან აპელანტმა ხარვეზი ვერ შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში;

ბ. არა, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლოს საჩივარი განუხილველად უნდა დაეტოვებინა;

გ. დიახ, რადგან საპროცესო მოთხოვნის შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ;

დ. არა, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გაეგრძელებინა თავისი ინიციატივით აპელანტისათვის ხარვეზის შევსების ვადა.

№132

რაიონულმა სასამართლომ დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოაცხადა 2010 წლის 1 მარტს. დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა ორივე მხარე. გადაწყვეტილება მოსარჩელეს ჩაბარდა 2010 წლის 10 მარტს. 2010 წლის 22 მარტს მოსარჩელემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი?

ა. დიახ, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა თოთხმეტი დღე;

ბ. არა, რადგან თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივარის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან;

გ. დიახ, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანის თოთხმეტდღიანი ვადა იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან;

დ. არა, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა თორმეტი დღეა.

№133

სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ:

ა. მხარეებს, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს გადაწყვეტილება;

ბ. მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით;

გ. მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით;

დ. მხარეებს და მესამე პირებს.

№134

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტმა ბერიძემ აცილება განუცხადა მომხსენებელ მოსამართლეს. ამ მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტისას დანარჩენი ორი მოსამართლეთაგან ერთმა მხარი დაუჭირა აცილებას, მეორემ კი საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა. ასეთ შემთხვევაში:

ა. მომხსენებელი მოსამართლე ითვლება აცილებულად;

ბ. მომხსენებელი მოსამართლე არ ითვლება აცილებულად;

გ. მომხსენებელი მოსამართლის აცილების საკითხს გადაწყვეტს სასამართლოს თავმჯდომარე;

დ. მომხსენებელი მოსამართლის აცილება დაუშვებელია.

№135

ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელი პასუხი არ არის სწორი?

სასამართლოს შეუძლია მხარათა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა. ალიმენტის მიკუთვნების შესახებ საქმეებზე;

ბ. მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

გ. უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

დ. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებზე.

№136

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა პაექრობის დამთავრებამდე მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა და მოითხოვა საქმის განხილვა და გადაწყვეტა. ასეთ დროს სასამართლო:

ა. განიხილავს და გადაწყვეტს საქმეს;

ბ. გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

გ. გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

დ. უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

№137

მოპასუხემ სარჩელზე შეიტანა წერილობითი შესაგებელი, სადაც მიუთითა ძირითადი მისამართი და სამუშაო ადგილის მისამართიც. 2009 წლის 10 თებერვალს სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყება მოპასუხეს ვერ ჩაბარდა მოსარჩელეს მიერ მოპასუხისათვის მითითებულ ძირითად მისამართზე მოპასუხის ადგილზე არყოფნის გამო, სასამართლომ უწყება ჩაბარებულად ჩათვალა და მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ჩაბარებულად ითვალება თუ არა სასამართლო უწყება?

ა. არა, რადგან თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე;

ბ. დიახ, რადგან თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბატება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს განმეორებით იმავე მისამართზე;

გ. არა, რადგან, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხ-

ის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ბარდება ხელმეორედ გაგზავნის შემდეგაც, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ;

დ. დიახ, რადგან თუ მოპასუხის მიერ შესაგებელში მითითებული თავისი მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება და სარჩელი განიხილება.

№138

მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მიმართა სასამართლოს თხოვნით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან სასამართლო ვალდებულია გაათავისუფლოს მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, თუ მოსარჩელე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ბ. დიახ, რადგან სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, თუ მოსარჩელე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში;

გ. არა, რადგან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მხოლოდშეუმციროს ან გადაუვადოს ერთ ან ორივე მხარეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა;

დ. არა, რადგან სასამართლო გაათავისუფლებს მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, თუ მოსარჩელე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ამავდროულად წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, რომ იღებს საარსებო შემწეობას.

№139

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მთლიანად თავისუფლდებიან:

ა. მხარეები ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე;

ბ. მხარეები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;

გ. მხარეები წინასწარი(შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისას;

დ. მხარეები, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან.

№140

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად რა წესით ხდება სასამართლო უწყების ჩაბარება, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია?

ა. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ანდა გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით;

ბ. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ;

გ. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

დ. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია შეწყვიტოს საქმის წარმოება.

№141

საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დროს მოწინააღმდეგე მხარემ წარადგინა შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, რომ მას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ წერილობითი უარი ჰქონდა ნათქვამი საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. საკასაციო პალატამ მიიღო და განიხილა მოწინააღმდეგე მხარის შეგებებული საკასაციო საჩივარი. სწორად მოიქცა თუ არა საკასაციო სასამართლო?

ა. დიახ, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე;

ბ. არა, რადგან საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია;

გ. დიახ, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საქმის ზეპირი განხილვის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი;

დ. არა, რადგან შეგებებული საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნეს სააპელაციო სასამართლოში.

№142

საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ:

ა. კანონის მითითებულ დარღვევას აქვს ადგილი;

ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა;

გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას;

დ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მართალია საპროცესო დარღვევებით, მაგრამ ამას არ შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

№143

საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ. საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

დ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე.

№144

ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საქმის განსახილველად გადაცემის საფუძველს?

ა. საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

გ. საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

დ. საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

№145

საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სასამართლოს კოლე-

გიური შემადგენლობა. დასაშვებობის შემოწმების ვადა:

ა. არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს;

ბ. არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს;

გ. არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს;

დ. არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

№146

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემთხვევაში საკასაციო სასამართლო დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად ამზადებს:

ა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში;

ბ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან ორი თვის ვადაში;

გ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში;

დ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან ექვსი თვის ვადაში.

№147

სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება იმ საფუძვლით, რომ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად, მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის. მოსარჩელეს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ჩაბარდა 2009 წლის 5 აპრილს. იმის გამო, რომ მოსარჩელეს სასწრაფოდ ჩაუტარდა მძიმე ქირურგიული ოპერაცია, მან ვერ შეძლო კანონით დადგენილ ვადაში კერძო საჩივრის შეტანა. 2009 წლის 25 აპრილს მოსარჩელემ შეიტანა კერძო საჩივარი და თანაც მოითხოვა საპატიო მიზეზით გაშვებული კერძო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა. დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნას კერძო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ?

ა. დიახ, რადგან ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით;

ბ. დიახ, რადგან სასამართლოს უფლება აქვს პატივსადები მიზეზების არსებობისას აღადგინოს კანონით დადგენილი ვადა;

გ. არა, რადგან ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება;

დ. არა, რადგან კერძო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა დაუშვებელია.

№148

ჩამოთვლილთაგან რომელ განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა?

ა. წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ;

ბ. სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

გ. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ;

დ. ადგილზე დათვალიერების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ.

№149

რაიონული სასამართლოს განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივრის განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა კერძო საჩივრის ზეპირი განხილვა იმ მოტივით, რომ ეს ხელს შეუწყობდა საქმის გარემოებების გარკვევას. მოწინააღმდეგე მხარე ამის წინააღმდეგი იყო. შეუძლია თუ არა სააპელაციო სასამართლოს კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოიტანოს ზეპირი განხილვით?

ა. არა, რადგან სააპელაციო სასამართლოს კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს მხოლოდ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე;

ბ. დიახ, რადგან სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა ან ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას;

გ. არა, რადგან ეს ეწინააღმდეგება კერძო საჩივრის განხილ-

ვის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესებს;

დ. დიახ,რადგან სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას;

№150

კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან:

ა. ოცი დღის ვადაში;

ბ. ორი თვის ვადაში;

გ. ერთი თვის ვადაში;

დ. ორი კვირის ვადაში.

№151

კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს:

ა. იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო გასაჩივრებული განჩინება, კერძო საჩივრის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში;

ბ. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, კერძო საჩივრის მიღებიდან ორი თვის ვადაში;

გ. გასაჩივრებული განჩინების მიმღებ სასამართლოს, კერძო საჩივრის შეტანიდან ოცი დღის განმავლობაში;

დ. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, კერძო საჩივრის მიღებიდან ოცი დღის განმავლობაში.

№152

ზემდგომი (სააპელაციო) ინსტანციის სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე საჩივრდება:

ა. სააპელაციო წესით;

ბ. კერძო საჩივრით;

გ. არ გასაჩივრდება;

დ. საკასაციო საჩივრით.

№153

გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია თხელიძის განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ და თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად დატოვა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. დიახ, რადგან თუ არ არსებობს საქმის განახლების შესახებ განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით;

ბ. დიახ, სასამართლოს შეუძლია ასეთი განჩინების გამოტანა, რაც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით;

გ. არა, რადგან სასამართლომ ჯერ უნდა მისცეს განმცხადებელს ვადა ხარვეზის შესავსებად და თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, შემდგომ დატოვოს განცხადება განუხილველად;

დ. არა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დარღვეულია დასაშვებობის პირობები, სასამართლოს უნდა განესაზღვრა დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის.

№154

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი:

ა. თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ. თუ დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

გ. თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში;

დ. თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა.

№155

საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შედეგად უსაფუძვლოა. რაიონულმა სასამართლომ თავისი განჩინებით უარი უთხრა განმცხადებელს განცხადების დაკმაყოფილებაზე. რაიონული სასამართლოს აღნიშნული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს:

ა. კერძო საჩივრით;

ბ. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში;

გ. განჩინება არ გასაჩივრდება;

დ. სააპელაციო საჩივრით.

№156

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოტივით შეიძლება გასაჩივრდეს, თუ:

ა. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების მიღებაში;

ბ. ერთ-ერთი მხარე არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე;

გ. აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

დ. პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

№157

ჟღენტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ. სასამართლომ თავისი ინიციატივით შეამოწმა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობა, მიიღო განცხადება წარმოებაში და განსაზღვრა განჩინებით დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის. მოპასუხე

ბიწაძემ სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე შეიტანა კერძო საჩივარი. სასამართლომ კერძო საჩივარი განუხილველად დატოვა დაუშვებლობის გამო. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ა. არა, რადგან განჩინებაზე საქმის ზეპირი განხილვისათვის დროის განსაზღვრის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია;

ბ. დიახ, რადგან აღნიშნული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით;

გ. არა, რადგან სასამართლოს უნდა განეხილა კერძო საჩივარი;

დ. დიახ, რადგან აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

№158

თუ გამოირკვა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით. სასამართლოს აღნიშნული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს:

ა. კერძო საჩივრით;

ბ. სააპელაციო საჩივრით;

გ. საკასაციო საჩივრით;

დ. ცალკე არ გასაჩივრდება.

№159

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა დგებუაძის სარჩელი ბაქრაძის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, დააკმაყოფილა იგი და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა 4000 ლარის გადახდევინება. მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე ბაქრაძემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბაქრაძის სააპელაციო საჩივარი და დააკისრა მას დგებუაძის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდევინება. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ ბაქრაძემ მოითხოვა ახლადაღ-

მოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. რომელ სასამართლოში უნდა შეიტანოს ბაქრაძემ განცხადება ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ?

ა. მცხეთის რაიონულ სასამართლოში;

ბ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში;

გ. მცხეთის რაიონულ ან თბილისის სააპელაციო სასამართლოში;

დ. სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის განმცხადებელს.

№160

რა ვადაში უნდა იქნეს შეტანილი სასამართლოში განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა?

ა. თოთხმეტი დღის განმავლობაში;

ბ. ერთი თვის განმავლობაში;

გ. ხუთი თვის განმავლობაში;

დ. ხუთი წლის განმავლობაში.

რეკომენდირებული ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ.,1997.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ.,1997.
3. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, თბ.,2009.
4. საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ, თბ.,1998.
5. ლაცლუაშვილი, თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, თბ.,2001.
6. ლილუაშვილი, თ. სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, თბ.,2002.
7. ლილუაშვილი, თ. ხრუსტალი, ვ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, თბ.,2003
8. ლილუაშვილი,თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი,თბ.,2005
9. ლილუაშვილი, თ. აპელაცია სამოქალაქო პროცესში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ.,2005
10. ლილუაშვილი, თ. ხრუსტალი, ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ.,2007
11. კობახიძე, ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ.,2001.
12. ქურდაძე, შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მეორე გამოცემა, თბ.,2006
13. ქურდაძე, შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბ.,2006
14. ძლიერიშვილი, ზ. უდავო წარმოება, თბ.,2000
15. ძლიერიშვილი, ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007

16. ძლიერიშვილი, ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010

17. ძლიერიშვილი, ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2011

18. ჭანტურია, ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011

19. ახვლედიანი, ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999

20. თოდუა, მ. ვილემსი, ჰ. ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006

21. ზოიძე, ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005

22. ჰენშელი, ს. სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ.,2009

23. ბოელინგი, ჰ. /ლუტრინგჰაუსი, პ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, თბ., 2009

24. ბოელინგი, ჰ., ჭანტურია, ლ. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ.,2004

25. ციპელიუსი, რ. იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი (თარგმანი ქართულ ენაზე 2009), 2006

26. ხურცილავა, რ. გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბ.,2009

27. თოდრია, თ. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ.,2011

28. საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბ., 2007

29. საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკო-

მენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010

30. საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011

31. Baumbach/Lauterbach/Albers/Hartmann, Zivilprozessordnung: ZPO mit FamFG, GVG und anderen Nebengezetzen, 70., vollig neubearbetete Auflage, Kommentar, C. H. Beck, 2012

32. Thomas/Putzo, Zivilprozessordnung: ZPO, FamFG Verfahren in Familiensachen, GVG, Einfuhrungsgesetze, EU-Zivilverfahrensrecht 32.,neubèarbeitete Auflage, Kommentar, C. H. Beck, 2011

33. Musielak, Hans-joachim, Grundkurs ZPO, Eine Darstellung zur Vermittlung von Grundlagenwissen im Zivilprozessrecht (Erkenntnisverfaren und Zwangsvollstreckung) mit Fällen und Fragen zur Lern- und Verstandniskontrolle sowie mit Ubungsklausuren, 10.,neubearbeitete Auflage, C. H. Beck, 2010

34. Rosenberg, Leo/Schwab, Karl-Heinz/Gottwald, Peter Zivilprozessreht, 17.,neubearbeitete Auflage, C. H. ZBeck, 2010

35. Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung:ZPO mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen, 3.,Auflage, C. H. Beck, 2011

Zurab Dzlierishvili

Fällen in Zivilporzessrecht

Verleg Meridiani

Tbilisi, 2012

(in der georgischen Sprache)

კომპ. უზრუნველყოფა **თამარ სტეფნაძე**
ტექ. რედაქტორი **მაგდა ტატიშვილი**

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: info@meridianpub.com ტ. 239-15-22